

ახალი აღთქმის პერიოდის პოლიტიკური ცხოვრება რომის იმპერია

როცა ახალი აღთქმის წიგნები იწერებოდა, მთელი ცივილიზებული სამყარო, გარდა შორეული აღმოსავლეთის ნაკლებად ცნობილი სახელმწიფოებისა, რომის ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდა.

დასავლეთში, ატლანტის ოკეანიდან დასავლეთით, მდ. ევფრატამდე და წითელ ზღვამდე, რაინიდან, დუნაიდან, შავი ზღვიდან და კავკასიონიდან ჩრდილოეთში და საჰარამდე სამხრეთში, ვრცელდებოდა ერთი გიგანტური სახელმწიფო, რომელსაც რომის იმპერატორი მართავდა და რომელსაც ახალი აღთქმის ავტორები „კეისარს“ (Caesar, ლკ. 2:1) ან მეფეს (Basileos, 1პეტრ. 2:17) უწოდებდნენ.

რომის იმპერიამ თავისი სახელწოდება მიიღო ქალაქ რომიდან, რომელიც იტალიაში მდებარეობდა. იგი დაარსდა ძვ. წ. აღ. 753 წელს. იმორჩილებდა რა უზარმაზარ ტერიტორიებს თავის გარშემო, რომი ქვეყნის მთავარ ქალაქად იქცა. თავდაპირველად იგი იყო ტიბროსის ნაპირებზე განლაგებული რამდენიმე მომცროს დასახლების კავშირი, რომლის სათავეში მეფე იდგა. V-ის დასაწყისში ეს კავშირი იქცა ძლიერ პოლიტიკურ ორგანიზაციად მმართველობის რესპუბლიკური ფორმით. მოგვიანებით კი, იტალიაში მრავალრიცხოვანი მეომრების ჩამოსახლების შედეგად (ძვ. წ. აღ. 265წ.), რომი სრულიად დაეუფლა აპენინის ნახევარკუნძულს.

დამორჩილებული ქვეყნები იძულებული ხდებოდნენ ხელშეკრულება დაედოთ რომის მოკავშირის სტატუსით, რის შედეგადაც მათი ტერიტორიები თანდათან რომის სახელმწიფოს ფარგლებში მოექცა.

მომდევნო ასწლეულში (265-246ძვ.წ.აღ.) რომმა აწარმოა სასტიკი ბრძოლები კართაგენთან – დასავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთის უძლიერეს საზღვაო სახელმწიფოსთან. ოდესღაც კართაგენი ფინიკიის კოლონიას წარმოადგენდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც აღ. მაკედონელმა მეტროპოლია გაანადგურა, იგი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცა. ფინიკიელთა მაგალითის მიბაძვით, კართაგენელებმა უძლიერესი ფლოტი შექმნეს, რითაც უზრუნველყვეს მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთის საზღვაო ვაჭრობა. კართაგენის საზოგადოება, სახელმწიფო წყობა იყო ოლიგარქიული. სახელმწიფოს სათავეში იდგა თვითმპყრობელი მმართველი. ქვეყანა ფლობდა ძლიერ დაქირავებულ არმიას.

პარალელურად, რომის გავლენის სფეროს გაფართოვებით, ერთმანეთს შეეჯახა ორი ერთმანეთისთვის უცხო, კულტ. და პოლიტ. წყობით მკვეთრად განსხვავებული ცივილიზაცია. დაპირისპირება დასრულდა ძვ. წ. აღ. 146წ., როცა რომის მხედართმთავრის სციპიონ ემილიანის ჯარებმა დაიპყრეს კართაგენი და გაასწორეს იგი მიწასთან. ა. გ. რომი დაეუფლა ჩრ. აფრიკასა და ესპანეთს. იმავე წელს რომაელებმა დაიპყრეს კორინთო და აქაია რომის პროვინციად აქციეს, ცოტა ადრე იგივე ბედი ხვდა წილად მაკედონიასაც. ძვ. წ. აღ. 133წ. მეფე პერგამა ატალი III მოკვდა, ხოლო ტერიტორიების მართვა ანდერძით რომს გადასცა, რის შედეგადაც წარმოიშვა კიდევ ერთი პროვინცია – ასია. ბრძოლები მც. ზიის აღ. ნაწილში დასრულდა პომპეუსის მიერ პონტოსა და კავკასიის დაპყრობით. ძვ. წ. აღ. 63წ. პომპეუსმა სირიაც რომის პროვინციად გამოაცხადა და იუდაკასის ანექსირება მოახდინა. ძვ. წ. აღ. 58-57წწ. გაია იულია ცეზარ გალიას ცნობილი გალელი მეომრების მეშვეობით იქცა რომის სახელმწიფოს ნაწილად.

აი, ასე იქცა 5 საუკუნის გაუთავებელი ომების შედეგად, პატარა დასახლება რომი უზარმაზარ იმპერიად. ასეთმა სწრაფმა გაფართოებამ არსებითი ცვლილებები მოახდინა თავად რომაელი ერის ცხოვრებაშიც. სამხედრო ბელადებმა, იგრძნეს რა გემო ძალაუფლებისა, დაიწყეს არმიის გამოყენება არა მარტო უცხო მიწების მისატაცებლად, არამედ საკუთარი უფლებების განსამტკიცებლადაც. ასწლეული, კორინთოს აღებასა და იულიუს ცეზარის გარდაცვალებას შორის, აღსანიშნავია გაუთავებელი ომებით, რომელთაც სამოქალაქო ხასიათი ჰქონდათ. მარიი, სულდა, ცეზარი, ანტონი, ოქტავიანე – ერთიმეორის მიყოლებით ცდილობდნენ რომში ძალაუფლების მოპოვებას. საბოლოოდ, რომის სენატმა მიანიჭა რა ავგუსტუსის წოდება ოქტავიანეს, იგი რომის იმპერატორი გახდა.

იესო ქრისტე სწორედ ავგუსტუსის მმართველობის (ძვ. წ. აღ. 27–ახ. წ. აღ. 14წ.წ.) პერიოდში იშვა.

პროვინციების მართვა

რომის იმპერიაში შედიოდნენ როგორც დამოუკიდებელი ქალაქ სახელწიფოები – პოლისები, ასევე მცირე სამეფოები, რომელთაც მთავრები მართავდნენ, ასევე ტერიტორიები, რომის ჩინოვნიკების მმართველობის ქვეშ, მაგრამ ყველა ექვემდებარებოდა ერთ ცენტრალურ ხელისუფლებას. ამ სახელმწიფოთა ნაწილი ნაბაყოფლობით შევიდა რომის იმპერიის შემადგენლობაში, ნაწილი კი დაპყრობილ იქნა. პერიფერიების სამართავად ფორმირებდა პროვინციების მართვის აპარატი.

თავდაპირველად სიტყვა „პროვინცია“ ნიშნავდა მხედართმთავრის ძალაუფლებას, რომელიც აწარმოებდა ომებს მოცემულ ტერიტორიებზე, ასევე აპარატს, რომლის საშუალებითაც იგი განახორციელებდა ამ ძალაუფლებას, სახელწოდება თანდათან ვრცელდებოდა დაპყრობილ ტერიტორიებზე. იერთებდა რა ყველა ახალ ოლქს, რომმა მოაქცია ისინი პროვინციაში და დაუქვემდებარა თავის ადმინისტრაციას.

რომის პირველი პროვინცია იყო სიცილია, რომელიც პირველი პუნიტური ომის შედეგად იქნა მოპოვებული კართაგენისგან (ძვ. წ. აღ. 264-241წ.წ.). შემდეგ შემოერთებული იქნა სარდინია (ძვ. წ. აღ. 237წ), ორი პროვინცია ესპანეთში (ძვ. 197წ), მაკედონია (ძვ. 146წ), აფრიკა (ძვ. 146წ). ძვ. წ. აღ. 133წ. მეფე პერგამმა ნაბაყოფლობით გადასცა რომს თავისი სამფლობელოები, შემდეგ ძვ. 129წ. მათ ადგილას ასიას პროვინცია შეიქმნა. დაახლოებით ძვ. 118წ. ახალი დაპყრობების შედეგად აღმოცენდნენ ტრანსალპიის გალლისა და ტიზალპიის გალლის პროვინციები. ნაბაყოფლობით პროვინციებად იქცნენ კორუნია (ძვ. 96წ.) და ბითუნია (ძვ. 75წ.). ძვ. 67წ. პომპეუსმა დაიპყრო კილიკია და კრეტა, ხოლო ძვ. 63წ. მან მიიტაცა პალესტინა და იგი სირიის პროვინციის ნაწილად აქცია. ა. გ. რომის იმპერიის მთელი ტერიტორია, გარდა საკუთრივ იტალიისა, რომის პროვინციალურ სისტემას ექვემდებარებოდა.

არსებობდა პროვინციის მართვის ორი სახე. შედარებით მშვიდი ტერიტორიები სენატის პროვინციებში შედიოდნენ და მათ სენატის წინაშე პასუხისმგებელი პროკონსული მართავდა. შფოთიან პროვინციებს უშუალოდ იმპერატორი მართავდა ჯარის მეშვეობით. იქ მას თავისი წარმომადგენლები – პრეფექტები, პროკურატორები და პროპრეტორები (ჯარის მმართველები) ჰყავდა.

სენატის პროვინციებს მიეკუთვნებოდნენ: აქაია, რომლის პროკონსულად წმ. პავლეს მისიონერული მოღვაწეობის დროს იყო გალლიონი (საქმ. 18.12); პალესტინა უფალ იესო ქრისტეს მსახურების დროს უშუალოდ იმპერატორს ემორჩილებოდა, რომლის წარმომადგენელიც ადგილზე იყო პროკურატორი

პონტოელი პილატე. პროკონსულები სენატის მიერ ინიშნებოდნენ ერთი წლით. პროკურატორები და პროპრეტორები კი თავიანთ პოსტებზე მანამ რჩებოდნენ სანამ იმპერატორი თვლიდა საჭიროდ.

რომის ადმინისტრაციის ძალაუფლების ქვეშ პროვინციის მოსახლეობა სარგებლობდა თავისუფლებით. პოლისები ინარჩუნებდნენ თვითმმართველობას და ჰქონდათ უფლება-მოქტრათ მონეტა. რომაელები არ ერეოდნენ პროვინციების რელიგიურ ცხოვრებაში, ამიტომაც ყველა ტრადიციული კულტი უწინდებურად აგრძელებდა არსებობას. მოგვიანებით პროვინციებში ფართოდ გავრცელდა რომის კულტი. ავგუსტუსის მმართველობის დროიდან დაიწყო რომის სახელმწიფოს თაყვანისცემა. ავგუსტუსმა რომის, კერძოდ ეფესოსა და ნიკეაში მცხოვრებთ უბრძანა იულიუს ცეზარისადმი მიძღვნილი ტაძარი აეგოთ.

ადგილობრივი ძალაუფლების მოღვაწეობის ბევრი მაგალითია მოყვანილი საქმე მოციქულთაში 19:31-40. იქ დასახელებულნი (აღწერილნი) არიან ეფესოს მაგისტრატის წევრები, პროვინციის საპატიო ხელმძღვანელები, რომლებიც შესაძლებელია რომის ახალი კულტის ქურუმებად ითვლებოდნენ.

ახალ აღთქმაში მოიხსენებიან შემდეგი პროვინციები: ესპანეთი (რომ. 15:14), გალლია (რომ. 15:26), ასია (საქმ. 20:4), პოიტი (1პეტ. 1:1), ბითინია (საქმ. 16:7), გალატია (გალ. 1:2), კაბადოკია (1პეტ. 1:1), კილიკია (გალ. 1:21, საქმ. 6:9), სირია (გალ. 1:21), იუდეა (გალ. 1:22), კვიპროსი (საქმ. 13:4), პამფილია (საქმ. 13:13), ლიკია (საქმ. 27:5). ამათგან ზოგიერთი არაერთხელაა ნახსენები.

რომაელი ჩინოვნიკები განუწყვეტლივ ცდილობდნენ პროვინციის მმართველის თანამდებობის მოპოვებას, რადგან ეს ყველაზე შემოსავლიან საქმედ ითვლებოდა.

ელისტური სამეფოები

პირველი საუკუნის კულტურული ატმოსფერო განისაზღვრა არა მხოლოდ რომის პოლიტიკური ორგანიზაციებით, არამედ ელისტური სულითაც, რომელიც გავრცელებული იყო იმპერიის როგორც აღ-ში, ისე დას-ში. გამუდმებული დაპყრობითი ომებით რომმა შთანთქა მრავალრიცხოვანი ბერძნული კოლონიები, რომლებიც გალლისა და ესპანეთის სანაპიროზე მდებარეობდნენ, ასევე სიცილიასა და სამხრეთ იტალიაზე. აქაიას დაპყრობისა და კორინთოს გაძარცვის (ძვ. 146წ.) შემდეგ, რომაელებმა იქედან მრავალი ხელოვნების ნიმუში და განძი გაიტანეს, რითაც შემდეგ თავიანთი ვილები შეამკეს. რომაელთა სახლებში გაჩნდნენ ბერძენი მონები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში განათლებით აღმატებოდნენ თავიანთ ბატონებს. თანდათან ისინი ხდებოდნენ მასწავლებლები, ექიმები, მმართველები. გარდა ამისა, რომის არისტოკრატიული ახალგაზრდობა განათლებას ათენის (საბერძნეთი) უნივერსიტეტში ღებულობდა, ასევე როდოსისა და ტარსის სასწავლებლებში. რომაელები სწავლობდნენ ბერძნულ ენას, რომელიც მათთვის კულტურულ და დიპლომატიურ ენად იქცა. რომაელთა მიერ ბრძოლის ველზე დამარცხებული ბერძნები მათ კულტურის სფეროში იპყრობდნენ. თვით რომშიაც კი, ბერძნულმა ენამ ლათინური ენა განდევნა.

ალექსანდრეს დაპყრობები

მოვლენები, რომლებიც ახალი აღთქმის წიგნებშია აღწერილი, უმეტესწილად რომის იმპერიის აღ. პროვინციებში ხდებოდა. ეს ტერიტორიები ჯერ კიდევ რომაელთა მოსვლამდე განიცდიდნენ ძლიერ ელინიზაციას.

ბერძნული ცივილიზაცია აქ ძვ. VII ს-ში გავრცელდა ვაჭრების მიერ, როცა ისინი აქ პელოპონესიდან ბერძნულ საქონელს ეზიდებოდნენ. ძვ. 600წ. ბერძნული იარაღი და მუსიკალური ინსტრუმენტები უკვე ბაბილონშია ცნობილი. მოგვიანებით ბერძნები სპარსთა არმიაში დაქირავებულ მეომრებად მსახურობენ, რის შესახებაც მოწმობს ქსენოფონტე თავის წიგნში „ანაბარის 10.000 მარში“. მიუხედავად ზემო თქმულისა, გადამწყვეტი როლი აღმოსავლეთის ელინიზებაში ალ. მაკედონელის მეომრებმა ითამაშეს. ალექსანდრეს მამამ – ფილიპემ, მაკედონიის მეფემ, შექმნა ძლიერი სამხედრო სახელმწიფო და ერთიანი არმია. ამ მთავორიანი ქვეყნის ამტანი მცხოვრებლები, რომლებიც საბერძნეთიდან ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ არაჩვეულებრივ მოძრავ და ძლიერ არმიის მამაც მეომრებად იქცნენ. ოცი წლის განმავლობაში ფილიპემ შეძლო თითქმის ყველა ბერძნული პოლისის დამორჩილება. ძვ. 337 წ. კი, სიკვდილის წინ, მან კავშირი დადო ბერძნებთან, რომელიც აზიის დაპყრობაში ბერძნების დახმარებას ითვალისწინებდა.

ალექსანდრე, რომელმაც მამისაგან მემკვიდრეობით აგრესიულობა და მხედართმთავრის ნიჭი მიიღო, ბერძნული კულტურის ძლიერ გავლენას განიცდიდა. იგი ჰომეროსის „ილიადაზე“ იყო გაზრდილი. მისი მასწავლებელი გახლდათ არისტოტელე, უდიდესი ბერძენი სწავლული და ფილოსოფოსი, რის გამოც ალექსანდრემ არაჩვეულებრივად გაითავისა ელინური ტრადიციები და იდეალები. ასეთი გახლდათ მაკედონიის ახალი მეფე.

ძვ. 334 წ. ალექსანდრეს მეომრებმა გადალახეს ჰელოსპონტი, შეიჭრნენ მცირე აზიაში და გაანადგურეს სპარსეთის არმია... მდინარესთან შეტაკებაში. ალექსანდრემ მცირე აზიის სანაპიროზე მდებარე ქალაქები სპარსელთა ბატონობისაგან გაათავისუფლა, რის შედეგადაც ქვეყნის სიღრმისკენ დაიძრა, აქ მან სპარსელები სასტიკად დაამარცხა ის სესთან, რითაც მთელს მცირე აზიაზე მოიპოვა გავლენა. აქედან იგი სამხრეთისაკენ მობრუნდა, სირიის სანაპიროს გავლით დაიპყრო ეგვიპტე და დააარსა ქალაქი ალექსანდრია. აღმოსავლეთისაკენ დაძრულმა არმელასთან საბოლოოდ დაამარცხა სპარსელები, მიიტაცა ბაბილონი და კიდევ ორი დიდი ქალაქი - სუზი და პერსეპოლი.

შემდეგი სამი წელი ალექსანდრე ახალი იმპერიის შექმნით იყო დაკავებული. უხამებდა რა სამხედრო წარმატებებს მშვიდობიან დაპყრობებს, იგი თავის მეგობრებს ადგილობრივ ქალებთან ქორწილებისკენ უბიძგებდა. ალექსანდრემ ორგანიზებულად გაწვრთნა 3 000 სპარსელი ბერძნულ ენაში და დააარსა უამრავი ბერძნული კოლონია აღმოსავლეთში. იგი გარდაიცვალა ძვ. 324 წ. 32 წლის ასაკში.

ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ მისი იმპერია დაეცა. მას არ დაუტოვებია მემკვიდრე, ვინც ამ უზარმაზარი ტერიტორიების მართვას შეძლებდა, ამიტომაც, იგი მისმა მხედართმთავრებმა გაიყვეს. ეგვიპტე და სამხ. სირია წილად ხვდა პტოლომეს, ჩრ. სირია და ბაბილონი მიიტაცა ანტიკონმა, ფრაკია და დას. მცირე აზია - ლისიმაქემ, მაკედონია და საბერძნეთი - კასანდრმა. ძვ. 301წ. ანტიგონეს მიერ მიტაცებული ტერიტორიები გადავიდა სელევკი I ხელში, რომელმაც გააცამტვერა ანტიგონეს ჯარები იმპესთან. სელევკი I ასევე შეუერთა თავის სამეფოს მიწები, რომლებიც ლიმაქს¹ ეკუთვნოდა.

1. ასე უწოდებდნენ მეფეები დინასტიიდან, რომელიც დააფუძნენ ალ. დიდის მხედართმთავრებმა – პტოლომემ და სელევკიმ

პტოლომეები და სელევკიდები გამუდმებით ეომებოდნენ ერთმანეთს ტერიტორიებისთვის, რის გამოც მათ შორის მდებარე პალესტინა არაერთგზის გადადიოდა ხელიდან ხელში.

სელევკიდები სირიაში

მცირე აზიის ადგილობრივმა მოსახლეობამ შეძლო თანდათან სელევკიდების განდევნა თავისი ტერიტორიებიდან და იქ საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნეს, თუმცა სირიაში ამ დინასტიის მდგომარეობა საკმაოდ არაერთგვაროვანი აღმოჩნდა. მათ შეძლეს დიდი გავლენა მოეხდინათ პალესტინაში მიმდინარე მოვლენებზე.

ძვ. 209-200 წ.წ. ანტიოქე III დიდმა, სირიის მეფემ სელევკიდების დინასტიიდან, დაამარცხა ეგვიპტის არმია სკოპასის მეთაურობით მდ. იორდანესთან და დააწესა კონტროლი მთელ პალესტინაზე. აქცია რა იუდეველები თავის ქვეშევრდომებად, იგი შეეცადა მათ ელინიზებას, რისთვისაც მაკაბელთა აჯანყების პროვოცირება მოაწყო, ამ აჯანყების შედეგად მოხდა დამოუკიდებელი ებრაული სახელმწიფოს აღდგენა. მაკაბელთა მართვა ძვ. 63წ-მდე გაგრძელდა, ე.ი იმ დრომდე, ვიდრე პომპეუსი სირიას რომის იმპერიაში მოაქცევდა.

სელევკიდების ბატონობამ სირიაზე დიდი გავლენა მოახდინა მთელი რეგიონის ცხოვრებაზე. სელევკიდების სამეფოს დედაქალაქია ანტიოქია, სიდიდით მესამე ქალაქი იყო რომის იმპერიაში. აქ თითქოს ერთმანეთს შეხვდა აღ. და დას. კულტურა. ბერძნული ენა ფართოდ გავრცელდა ახლო აღმოსავლეთში და ერთაშორის კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობის უმთავრეს პირობად იქცა პალესტინის მრავალი ქალაქის მცხოვრები, განსაკუთრებით გალილეველნი, საუბრობდნენ ორ ენაზე და თავყანს სცემდნენ როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის ღმერთებს.

პტოლომეები ეგვიპტეში

პტოლომეების მმართველობა ეგვიპტეში იდენტური იყო სელევკიდების სირიაში მმართველობისა. ამ ორ სახელმწიფოს შორის გამუდმებული ომები მიმდინარეობდა. პტოლომეების მმართველობა ძვ. 30წ., კლეოპატრას დინასტიის უკანასკნელი დედოფლის სიკვდილით დასრულდა. ამის შემდეგ რომმა ეგვიპტის ანექსია მოახდინა. ამ ტერიტორიის კონტროლი მნიშვნელოვანი იყო რომისთვის, რადგან აქედან მარაგდებოდა პურით რომის იმპერია. ალექსანდრია იქცა უდიდეს კულტურულ და სავაჭრო ცენტრად. პტოლომეების მეფობაში აქ უზარმაზარი ბიბლიოთეკა შეიქმნა-შეიკრიბა, რომელიც ანტიკური ლიტერატურის უტყუარ განძს შეიცავდა. ბიბლიოთეკარებად ცნობილ სწავლულებს იწვევდნენ.

თავდაპირველად, ალექსანდრიის დაარსებიდან, ამ ქალაქში ძლიერი იყო იუდეური გავლენა. თვით ალექსანდრემ გამოყო ადგილი ებრაელი მოსახლეობისთვის და მათ სრულფასოვანი მოქალაქეობა მიანიჭა. პტოლომე ფილადელფის მეფობაში (ძვ. 285-246წწ), ებრაული წიგნები თარგმნილი იქნა ბერძნულ ენაზე. ეს თარგმანი, ე.წ. სეპტუაგინტა, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა იუდეველთა შორის, მას ხშირად იყენებდნენ ახალი აღთქმის წიგნების ავტორები.

გამუდმებულმა ომებმა სელევიკიდებსა და პტოლომეებს შორის, ორივე სახელმწიფოში გადასახლების მკვეთრი ზრდა გამოიწვია. ძვ. I ს-ში, ქრისტეს მოსვლის წინ, ორივე სახელმწიფო დიდ კრიზისს განიცდიდა, რითაც ისარგებლა რომმა და ორივე დაიმორჩილა.

ბერძნული მონაპოვრების შედეგები კულტურული გავლენა

ვერც სელევიკიდებმა, ვერც პტოლომეებმა ვერ შეძლეს აღმოსავლეთში მდგრადი პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნა. ადგილობრივი მოსახლეობა ამ დინასტიათა მეფეებს უცხო ტომის დამპყრობლებლად აღიქვამდა, რის გამოც მათ ვერ შეძლეს ამ ქვეყნებში ბერძნული მმართველობის შექმნა. უფრო პირიქით მოხდა, ორივე დინასტიის მონარქი თანდათან აღმოსავლელ დესპოტებს მიემსგავსნენ.

მიუხედავად ამისა, ბერძნების კულტურული გავლენა აღმოსავლეთის ერებზე დიდი იყო. სელევიკიდებმა და პტოლომეებმა მოახერხეს თავიანთ მიწებზე ბევრი ბერძნული ჩვევებისა და ტრადიციების დამკვიდრება. ქალაქში განვითარდა ბერძნული არქიტექტურა, ბერძნული ენა, რომელიც სამეფო კარზე იყო მიღებული, გავრცელდა ერშიც. ამას ადასტურებენ ნაპოვნი პაპირუსები. ბერძნულად იწერებოდა სამიჯნურო წერილები, ლექსები, ბიოგრაფიები. სახელისუფლო ჩინოვნიკების წოდებები ეგვიპტეში ბერძნული იყო თვით რომაული ოკუპაციის დროსაც. მმართველები ცდილობდნენ ელინური კულტურა შეეტანათ ერის ცხოვრებაში. ადგილობრივმა ღვთაებებმა მიიღეს ბერძნული სახელწოდებები. ქალაქებში შენდებოდა გიმნაზიები და ამფითეატრები. ბერძნული კულტურა იქცა სწორედ იმ გარემოდ, რომელშიც უფალ იესო ქრისტეს სახარება გავრცელდა. ბერძნული ბიბლიისა და ენის წყალობით, რომელიც ურთიერთობის უნივერსალური საშუალება იყო, ღვთის სიტყვამ შეაღწია რომის იმპერიის ყველაზე შორეულ კუთხეებშიც.

ებრაული სახელმწიფო ტყვეობა, ძვ.587-322წ.წ.

დამოუკიდებელმა ებრაელმა სახელმწიფომ თავისი არსებობა ძვ. 597წ. შეწყვიტა, როცა ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორი იუდეაში შეიჭრა და იერუსალიმი მიიტაცა. იუდეველთა მეფე იეჰონია სახელეულობით ტყვედ იქნა წარსხმული ბაბილონში. მასთან ერთად დეპორტირებული იქნა იუდეველთა საზოგადოების მთელი ელიტა, ასევე ისინიც, ვინც რაიმე ხელოვნებასა და ხელობას ფლობდა. იუდეველთა ტახტზე დამტკიცებული იქნა იეჰონიას ჩამოგდებული ბიძა - მათფანია, რომელმაც ნაბუქოდონოსორის ბრძანებით მიიღო სახელი სედეკი (4მეფ. 24:10-17). ძვ. 597-586წწ. იუდეა ბაბილონის მოხარკე ქვეყნად ითვლებოდა. სედეკმა ერთგულება შეჰფიცა ბაბილონის მეფეს, თუმცა საბოლოოდ დაარღვია ფიცი, დაამყარა რა საიდუმლო კავშირი ეგვიპტესთან, დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით. ძვ. 590წ. სედეკი „განუდგა ნაბუქოდონოსორს“ (4მეფ. 24:20), რადგან ეგვიპტის ფარაონი ფსამეტიხ II მტკიცედ მოიწვედა ჩრდილოეთისაკენ პალესტინის სანაპიროს გავლით და ნაბუქოდონოსორის სამფლობელოებს უახლოვდებოდა.

ნაბუქოდონოსორმა ეს გამოწვევა უყურადღებოდ არ დატოვა და ძვ. 548წ ტვიროსის დასაცავად დაიძრა. მან ალყა შემოარტყა იერუსალიმს, მაგრამ ეგვიპტელთა მოახლოების გამო, ალყა დროებით მოხსნა. მოგვიანებით ეგვიპტელებმა დასთმეს, ბაბილონის ჯარები კი იერუსალიმისკენ დაბრუნდნენ. საბოლოოდ, ძვ. 586წ. იერუსალიმი აღებულ იქნა სედეკი გაქცევის შედეგად, მაგრამ იგი შეიპყრეს, თვალები დათხარეს და ტყვედქმნილი ბაბილონში გაგზავნეს. იერუსალიმის ტაძარი გაძარცვეს, შემდეგ დაწვეს. გადაწვეს ასევე სამეფო სასახლე და გარშემო საცხოვრებლები. დაანგრიეს ქალაქის კედლები, ხოლო იერუსალიმის მოსახლეობა ბაბილონში იქნა განდევნილი. (იერ. 39:4-10)

დაპყრობილ ტერიტორიებზე წესრიგის დასამყარებლად, ბაბილონის არმიების ბელადმა – ნაბუზარადანმა, გამგებლად გოდოლი დანიშნა. ქვეყანაში მღელვარება არ ცხრებოდა. ამონიტელი მეფის, ბაალისის მიერ წამოწყებული აჯანყების შედეგად გოდოლი მოკლულ იქნა. აჯანყება სასტიკად ჩაახშეს. ცოცხლად დარჩენილებმა ევიპტეს შეაფარეს თავი.

იუდეის სამეფოს დასასრული სულაც არ ნიშნავდა იუდაიზმის დასასრულს. პირიქით, ამ მოვლენებმა საფუძველი ჩაუყარა ე.წ. „ორთოდოქსალური იუდაიზმის“ დასაწყისს. მრავალმა იუდეველმა ბაბილონში გადასახლებისას თან წაიღო სჯულისა და წინასწარმეტყველთა წიგნი. მიუხედავად ტაძრის დანგრევისა და მსხვერპლშეწირვის შეწყვეტისა, რელიგიური ცხოვრება გრძელდებოდა. ტყვედწარსმულთა შორის კეთილსინდისიერმა და განათლებულმა ადამიანებმა მოახერხეს თანამემამულეთა თემად გაერთიანება, რომელიც იერუსალიმის, როგორც რელიგიური ცენტრის ფუნქციას შეასრულებდა.

დიდი როლი ითამაშა თემის ორგანიზებასა და საქმიანობაში წინასწარმეტყველმა და ზნეობის მასწავლებელმა – იეზეკიელმა, რომელიც მეფე იეჰონის დროს იქნა ტყვედ წამოყვანილი ბაბილონში. 70 წლიანმა ტყვეობამ ბაბილონში, საფუძველი ჩაუყარა სინაგოგების დაარსებას და მათი მნიშვნელობის ზრდას იუდაიზმში. აქ იკრიბებოდნენ იუდეველები საღვთო წერილის წასაკითხად და ლოცვისთვის. ისინი ირჩევდნენ თავიანთ შორის მასწავლებლებს, რომლებიც ერის რელიგიური ბელადები ხდებოდნენ. ცვლიდნენ რა ტაძრის მღვდლებს, სჯულის სწავლებამ მსხვერპლშეწირვა შეცვალა, ხოლო რიტუალი – მორალური ნორმების დაცვამ.

ძვ. 539 წ. ბაბილონის სამეფო დაეცა. შეიჭრა რა ბაბილონის სამეფოში სპარსეთის მეფე კვიროსი, ბრძანა გაეთხარათ გიგანტური არხი და გაეყვანათ მდინარე ევფრატი ბაბილონიდან. შუა და ახლო აღმოსავლეთის ბატონობა მიდია სპარსელების ხელში გადავიდა. კვიროსი დიდსულოვანი მმართველი აღმოჩნდა. თავისი მეფობის პირველსავე წელს მან ებრაელებს სამშობლოში დაბრუნებისა და ტაძრის აღდგენის ნება დართო. იერუსალიმში დაბრუნდა 42 000 ადამიანი, ძირითადად იუდას, ბენიამენის და ლევის ტომიდან. ისინი ქალაქში ძვ. 537 წ. მივიდნენ შუშბაცარის მთავრობით, იუდას ტომიდან, რომელიც კვიროსმა გამგებლად დანიშნა. (ეზდრა 1:3,5,11). ისინი შეუდგნენ ტაძრის აღდგენას (ეზდრა 3:1-11), მაგრამ ვერ შეძლეს მისი დასრულება. მათ შეჯახება მოუხდათ ერის იმ დაპირისპირებულ ნაწილთან, რომელიც ყოველთვის პალესტინაში იმყოფებოდა (ეზდრა 4:1-5). 17 წლის განმავლობაში ტაძარი აღუდგენელი დარჩა, თუმცა ტყვეობიდან დაბრუნებულებმა თავისთვის სახლის აშენება მოახერხეს (ანგია 1:4). ანგიასა და ზაქარიას ქადაგების გავლენით მუშაობა განახლდა, მაგრამ ძვ. 520 წელს, (ეზრა 5:1-2) ადგილობრივმა ჩინოვნიკებმა, რომლებმაც კვიროსის ბრძანება არ იცოდნენ მშენებლობა შეაფერხეს. ებრაელებმა სპარსეთის ახალ მეფეს – დარიოსს მიმართეს, რომელმაც კვიროსის ბრძანებულება ხელახლა დაამტკიცა. ტაძრის

აღდგენა სწრაფად გაგრძელდა და ძვ. 516 წელს დასრულდა. იმავე წელს მასში პასეჟის დღესასწაულზე ღვთისმსახურება განახლდა.

იმის შესახებ თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა ებრაული სახელმწიფო ძვ. 516-458წ, წერილობითი წყაროები არ არსებობს. ძვ. 458 წელს იერუსალიმში ბაბილონიდან დაბრუნდა გადასახლებულთა ახალი ჯგუფი, რომელსაც მეთაურობდა მწიგნობარი ეზდრა, ჰელკის შთამომავალი მღვდელმთავარი იოსის მეფობის დროს. მან თან წამოიყვანა მღვდლები, ლევიტელები და მგალობლები. ასევე თან ჰქონდა მეფე ანტაქსერქსის წერილი, რომელიც ნებას აძლევდა ტაძარში ღვთისმსახურების აღდგენისა და ადგილობრივ მთავრებს ფინანსური დახმარების გაწევას ავალებდა.

ახალგადმოსახლებულები რაიმე განსაკუთრებული საზ. ცვლილებების გარეშე შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

ძვ. 445წ. ნეემიასთან - იუდეაში, მსახურობდა რა მერიქიფეთ სპარსეთის მეფესთან - მოვიდა მაცნე იერუსალიმიდან ქანანის სახელით. იგი აცნობებდა, რომ იერუსალიმის კედლები დანგრეულია, ხოლო კარიბჭე დამწვარი. ზოგი მკვლევარი ამ წერილში ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღების გახსენებას ხედავს, თუმცა, უფრო სავარაუდოა, საუბარი ქალაქის აღებას ეხებოდეს ნეემიას დროს. ზოგიერთი მინიშნებები, რომელთაც ნეემიას წიგნი შეიცავს, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ იუდეველთა სახელმწიფოს აღდგენა გამოიწვია პალესტინის მკვიდრთა, კერძოდ სამარიის მცხოვრებთა მტრულმა მოქმედებებმა. უბედურება, რომლის შესახებაც ქანანმა აუწყა, შესაძლოა პარტიზანული გამოსტომის შედეგი იყო, რომლის მოსაგერიებლად ქალაქის მოსახლეობა არ იყო მზად.

ქანანის ცნობას მოჰყა უშუალო შედეგი. ნეემიამ მეფისგან დროებით გათავისუფლება გამოითხოვა, ქალაქის აღსადგენად. არტაქსერსმა მისცა მას წერილი სამეფო ტყის მცველისთვის გადასაცემად, რომლის ძალით მცველს - ასაფს იგი ქალაქის კარიბჭისთვის ხის მასალით უნდა უზრუნველყო.

ნეემია სასწრაფოდ გაემართა იერუსალიმისაკენ. ჩასვლიდან მესამე დღეს მან ქალაქის სიმაგრეები დაათვალიერა და მათი სასწრაფოდ აღდგენა გადაწყვიტა. ნეემიას ენერგიული ხელმძღვანელობით საქმე ორ თვეზე ადრე გასრულდა (ნეემ. 6:15-16).

ნეემიამ შეიტანა ზოგიერთი სოციალური და ეკონომიკური რეფორმები. იგი იყო სჯულის მკაცრი დამცველი. მის მიერ აიკრძალა შერეული ქორწინებები (ნეემია 10:30) და ყოველგვარი ვაჭრობა შაბათ დღეს (ნეემია 10:31). დაწესებულ იქნა რელიგიურად წლის გადასახადი მეთაუდისა (ნეემ. 12:44). მისი მმართველობის პერიოდში ქვეყნიდან განდევნილი იქნა მღვდელმთავრის შვილიშვილი მანასე, რომელიც სამარიის მეფის ქალიშვილზე დაქორწინდა. იოსებ ფლავიუსი გვამცნობს, რომ იგი სამარიაში გაიქცა, სადაც ქორაზინის მთაზე ააგო ტაძარი და დააწესა კულტი, რომელიც კონკურენციას გაუწევდა იერუსალიმის ტაძრის კულტს. ქორაზინის მთა სამარიტელთა რელიგიურ ცენტრად იქცა.

ნეემიას რეფორმებმა დიდი კვალი დატოვა ერის ცხოვრებაში, თუმცა ებრაელთა ისტორიის შესახებ, ძვ. II ს-მდე, მწირი ცნობებია შემორჩენილი. არსებობს ცნობა იმის შესახებ, რომ მოხდა სრული გამოიჯვნა, ებრაელთა და სამარიტელთა შორის.

ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ე.წ. “სამი სვეტი”, რომელსაც დღესაც ეყრდნობა ებრაული რელიგიური სწავლებლები:

1. წმიდა წიგნები (ძველი აღთქმა):

2. სინაგოგა (ღვთისმსახურება ახალი ტიპით, რომელიც მსხვერპლშეწირვას გამორიცხავს);

3. რაბინიზმი (სიტყვიდან “რაბი” – მოძღვარი, მასწავლებელი)

ამ პერიოდის ძირითადი პოლიტიკური ძალა სამღვდელთა იყო. იოსებ ფლავიუსი წერს, რომ, როცა ალ. მაკედონელმა პალესტინის გავლით ეგვიპტეში გაიარა, მას შეეგება მღვდელმთავარი იადლუი, რომელიც დიდხანს ესაუბრებოდა მას ერთი ჭეშმარიტი ღვთის თაყვანისცემის შესახებ.

იუდეურ სახელმწიფოში მღვდელმთავარი პირველ პირად ითვლებოდა, მაგრამ თანდათან ღვთის სამეფო სახლი გაქრა და ახალ აღთქმაში არსებული შესხენებები (ცნობები) მის შესახებ გვიჩვენებენ, რომ ამ დიდებული ტომის შთამომავლები შესაძლებელია ისეთი უბრალო ხელოსნები ყოფილიყვნენ, როგორც იყო იოსები ნაზარეთიდან.

ებრაული ცხოვრების ორი ძირითადი ნიშანი – მონარქია და წინასწარმეტყველთა მსახურება, სპარსელებისა და ბერძენების ბატონობის პერიოდში გაქრა. მთელი სასულიერო და პოლიტიკური ძალაუფლებისა და უფლებამოსილების კონცენტრირება მოხდა მღვდელმთავრის ხელში. მალაქიას შემდეგ კი, წინასწარმეტყველები სრულიად შეწყდა.

პტოლომეების ძალაუფლების ქვეშ

ძვ. 322-198 წ.წ.

იმის გამო, რომ ალექსანდრე მაკედონელს თავის შემდეგ მემკვიდრე არ დაუტოვებია, მისი იმპერია მისმა ოთხმა მხედართმთავარმა გაიყო და საბოლოოდ დაცემამდე მიიყვანა. ეგვიპტე წილად ხვდა პტოლომეებს, სირია – ანტიგონეს, პალესტინა კი ბრძოლის არენად იქცა. ძვ. 320 წ. იერუსალიმი პტოლომეებმა აიღეს, ხუთი წლის შემდეგ (ძვ. 315წ.) ანტიგონემ ჩაიგდო ხელში, კიდევ სამი წლის შემდეგ იგი გაზასთან დამარცხდა და პალესტინაზე კონტროლი დაკარგა. ძვ. 301 წ. ანტიგონე იმპესთან ბრძოლაში იქნა მოკლული და პალესტინა კვლავ პტოლომემ დაიბრუნა, სირია კი წილად სელევკის ხვდა.

ამ პერიოდის პალესტინელ ებრაელთა ცხოვრების შესახებ ცოტა რამაა ცნობილი. ისინი ცხოვრობდნენ ორ, ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა შორის და ორივესაგან თანაბრად იტანჯებოდნენ. მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ორივე სახელმწიფო ცდილობდა ებრაელთა კეთილგანწყობის მოპოვებას, ამიტომ ვერც ერთი ვერ ახერხებდა მათზე აბსოლუტური ძალაუფლების გამოვლენას. ხდებოდა ისეც, რომ ებრაელთა ის ნაწილი, რომელიც რომელიმე მეფეს ემხრობოდა, მისი დამარცხების შემთხვევაში მის ტერიტორიაზე სახლდებოდა. ასე რომ, პირველ პტოლომელთა დროს, ებრაელთა მნიშვნელოვანი ჯგუფი ალექსანდრიაში გადასახლდა. აქ შრომისა და ვაჭრობისათვის ბევრად ხელსაყრელი პირობები იყო, რის გამოც პირველ ჯგუფს სხვებიც მიჰყვნენ და რამდენიმე წლის განმავლობაში ალექსანდრიაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ებრაელთა კოლონია. ელინისტური სამეფოს ქალაქები ამ შრომისმოყვარე და ენერგიულ ხალხს სიამოვნებით ღებულობდნენ თავის რიგებში.

პტოლომეების დროს პალესტინის ებრაელები ბევრ პრივილეგიებს ფლობდნენ და ცხოვრობდნენ, როგორც თავისუფალი თემი. მმართველად

მღვდელმთავარი რჩებოდა, რომელიც ფხიზლად დარაჯობდა ერში სჯულის დაცვას. მას ეხმარებოდა საბჭო, რომელიც მღვდლებისა და უხუცესებისაგან შედგებოდა. ერის ცხოვრების ცენტრი იყო ტაძარი. ყოველწლიურად პასექის, ერგასისა და კარვობის დღესასწაულთა აღსანიშნავად აქ მოემართებოდნენ მრავალრიცხოვანი მომლოცველები მსოფლიოს ყველა კუთხიდან.

ერის ეკონომიკური მდგომარეობა, პტოლომეების დროს, როგორც ჩანს, მძიმე იყო. ისინი იხდიდნენ დაბალ გადასახადს, გამუდმებული ომები და მიგრაციები ასუსტებდა ქვეყანას. პტოლომეების მართვის დასასრულს იოსებმა, მღვდელმთავარ ონის მემკვიდრემ, დაარწმუნა პტოლომე III ევერგეტი, გადასახადების აკრეფა მისთვის მიენდო. უფრო მეტიც, მან იოსებს 2 000 მეომარი გამოუყო დასახმარებლად. ის, ვინც უარს ამბობდა გადასახადზე, ქონების ჩამორთმევით ისჯებოდა. პტოლომე ფრიად კმაყოფილი იყო, იოსები გამდიდრდა, მაგრამ ქვეყნიდან გაზიდული იქნა უკანასკნელი რესურსები. შესაძლებელია, აუტანელმა საგადასახადო ტვირთმა ბევრს აძებნიდა კავშირი პტოლომეების მტერთან, სირიის მეფე – ანტიოქე III-სთან.

პტოლომეები, როგორც წესი, კარგად ეპყრობოდნენ ებრაელებს პტოლომე დაგასის მემკვიდრის ფილადელფოს პტოლომეს დროს (ძვ. 285-246წწ.) ათასობით მონა ებრაელი იქნა გამოსყიდული მონობისაგან. ზოგიერთებმა საპასუხისმგებლო თანამდებობებიც კი მიიღეს სახელმწიფოში. ებრაელთა ახალი თაობები ბერძნულ ჩვევებს დებულობდნენ და ბერძნულ ენაზე საუბრობდნენ, კარგავდნენ რა თავიანთ სპეციფიკურ სემიტურ სახეს.

ჩვენ უკვე ავლნიშნეთ, რომ პტოლომე ფილადელფის დროს ბერძნულ ენაზე გადმოითარგმნა ებრაული ბიბლია. იოსებ ფლავიუსის წიგნში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ გაიგო პტოლომეს ბიბლიოთეკარმა დემეტრემ მატიანის შესახებ, კრებდა რა ბიბლიოთეკისთვის წიგნებს ალექსანდრიაში. მატიანე მოგვითხრობს ებრაელი ერის ისტორიის შესახებ. დემეტრემ მეფეს ამ მასალის გადათარგმნა სთხოვა. ამ უკანასკნელმა კი იუდეველთა მღვდელმთავარს, ელეაზარს გამოსთხოვა ექვს-ექვსი უხუცესი თითოეული ტომიდან, რათა მატიანე ზედმიწევნით ზუსტად ეთარგმნათ. გადმოცემის თანახმად, 72 უხუცესი მუშაობდა 72 დღის განმავლობაში ამ თარგმანზე და როცა იგი იუდეველებს წაუკითხეს, მათ მოიწონეს ნაშრომი. უფალ იესო ქრისტეს დროს, საღვთო წერილის ბერძნული თარგმანი ფართოდ იყო გავრცელებული ებრაულ დიასპორებს შორის.

სელევკიდების ძალაუფლების ქვეშ

ძვ. 198-168 წ.წ.

იმ დროს, როცა ეგვიპტეში პტოლომეები მეფობდნენ, სირიას სელევკიდები მართავდნენ. სირიის დედაქალაქი იყო ანტიოქია, რომელიც მდ. ორონტზე იყო აშენებული. სირიის მეფე ანტიოქე I (ძვ. 280-261წწ.) უშედეგოდ ცდილობდა პალესტინის მიტაცებას. მისი შვილი ანტიოქე II დაქორწინდა ეგვიპტის მეფის (ძვ. 249წ.) ქალიშვილზე – ბერენიკზე იმ იმედით, რომ მემკვიდრეობით მიიღებდა მისი ტერიტორიების ნაწილს, თუმცა სიმამრის გარდაცვალების შემდეგ, პირველი ცოლის – ლაოდიკიას დაბრუნების მიზნით, იგი ბერენიკს გაშორდა. ლაოდიკიამ მოაწყო ბერენიკისა და მისი შვილის სიკვდილი, მოწამლა ანტიოქე. პტოლომე II ევერგეტი (ძვ. 246-222 წ.წ.) შურისძიების მიზნით შეიჭრა სირიაში

და გაძარცვა იგი. ომი გაგრძელდა მანამ, სანამ ძვ. 217 წ. ეგვიპტის მეფის, პტოლომე IV-ს მემკვიდრეებმა არ გაანადგურეს ანტიოქე III-ს მემორები. სირიელები იერუსალიმიდან განდევნეს და ქვეყანა ეგვიპტის ძალაუფლების ქვეშ გადავიდა.

ამ მომენტისათვის იერუსალიმში არსებობდა ორი მტრულად განწყობილი ჯგუფი. ერთ-ერთი, რომელსაც მღვდლები ხელმძღვანელობდნენ ონია III-ის მეთაურობით, მოითხოვდა პტოლომეს ერთგულების შენარჩუნებას. მეორე – ტობიას ხელმძღვანელობით, სირიელებს ამჯობინებდა. ონიას მიმდევრებმა გაიმარჯვეს და მოწინააღმდეგეები იერუსალიმიდან განდევნეს. მათ დასახმარებლად სირიის მეფე ლევკი IV-ს მიმართეს, თან გადაუკრეს, რომ იგი შეძლებდა იერუსალიმის ტაძრის საგანძურით თავისი გადატაკებული ხაზინის შევსებას.

ძვ. 175წ. სელევკი გარდაიცვალა და იგი მისმა ძმამ ანტიოქე IV-მ შეცვალა. იგი იყო მმართველი ენერგიული, მაგრამ ახირებული (ხუმტურებიანი). ბევრი მას ეპიმანს (სულელს) უწოდებდა. ოფიციალურად კი მისი ტიტული – ეპიფანე, ღვთის მოვლენილს ნიშნავდა. ანტიოქე აქტიურად ერეოდა პალესტინის საქმეებში, ცდილობდა რა მისი მოსახლეობის ელინიზირებას. მისი ბრძანებით ონია III გადაყენებულ იქნა და ახალ მღვდელმთავრად მისი ძმა – იასონი დაინიშნა, რომელიც ტაძრის ხარჯზე ხაზინის შევსებას შეჰპირდა. ამისთვის იასონმა ყველა ებრაელისათვის ანტიოქიის მოქალაქეობა გამოითხოვა. იასონის დანიშვნასთან ერთად იერუსალიმში, ტაძრის ახლოს, გიმნაზიის შენობის აღდგენა დაიწყო. მღვდლებს აიძულებდნენ ტაძარში მსახურების ნაცვლად თამაშებში და შეჯიბრებებში მიეღოთ მონაწილეობა. იასონი იქამდე მივიდა, რომ მონაწილეობა მიიღო ტირსის ღვთაების მეღკარტას საპატივცემულოდ გამართულ თამაშებში და ძღვენიც კი გაგზავნა მსხვერპლშეწირვისთვის. თვით იასონის უახლესმა მომხრეებმაც კი უარი განაცხადეს ამ მკრეხელობაში მონაწილეობის მიღებაზე. საბოლოოდ ეს ძღვენი სირიის ფლოტის მშენებლობისთვის გამოიყენეს.

ეგვიპტესთან ურთიერთობის მორიგი დაძაბულობის გამო, შეეჭვდა რა ანტიოქე იასონის ერთგულებაში, იგი იუდეველი მენელაით შეცვალა. სირიელების წამოწყება ეგვიპტეში შეჭრილიყვნენ, რომის ელჩის ჩარევით, მათი უკანდახევით დასრულდა. გაბოროტებულმა ანტიოქემ თავისი მრისხანება ებრაელებს დააფრქვია.

იერუსალიმის მოსახლეობა მონებად წაასხეს, ქალაქის კედლები დაანგრიეს, ტაძარი გაძარცვეს, მოგვიანებით კი ოლიმპიის ზევსის ბომონად აქციეს. ძვ. 168 წ. 16 დეკემბერს ზევსის ქანდაკება ტაძრის საკურთხეველზე დადგეს, ხოლო ათი დღის შემდეგ მას მსხვერპლად ღორი შესწირეს. მთელს ქვეყანაში წარმართული საკურთხეველების აღმართვა დაიწყო. იუდაიზმი სასტიკად აიკრძალა. ყველას, ვისაც თორას უპოვნიდნენ, სიკვდილით სჯიდნენ, აიკრძალა შაბათის დაცვა და წინადაცვეთის წესის შესრულება (მაკაბ. 1:21-50). ერის მდგომარეობა აუტანელი გახდა. ნაპერწკალი, რომელმაც ომის ცეცხლი დაანთო, იყო მოდინას დასახლებიდან მოხუცი მღვდლის – მატათას აჯანყება. მოდინაში მოსული ელჩი მატათას ჯილდოს ჰპირდებოდა, თუკი იგი კერძს მსხვერპლს შესწირავდა. მოხუცი მღვდელი უარზე იყო, როცა ერთი იუდეველთაგანი სამსხვერპლოს მიუახლოვდა განრისხებულმა მღვდელმა მოკლა სჯულის მოღალატე, მოკლა ელჩიც და სამსხვერპლო დაანგრია.

მატათა თავისი სახლეულით უდაბნოში გაიქცა. მალე მას მრავალი ებრაელი შეუერთდა. მრავალრიცხოვან შეტაკებაში ებრაელები მარცხს განიცდიდნენ. მალე მატათა გარდაიცვალა და მოდინაში იქნა დაკრძალული. აჯანყებას სათავეში მისი შვილი იუდა მაკაბელად (?ურთ) წოდებული ჩაუდგა. თავდაპირველად ანტიოქე ამ აჯანყებას არასერიოზულად აღიქვამდა, მაგრამ სირიელთა დიდი რაზმის დამარცხების შემდეგ მან იუდეაში შეიარაღებული ჯარი გაგზავნა ლისიას სარდლობით, თავად კი აღმოსავლეთში გაემართა სალაშქროდ. აჯანყებულებმა სირიელები დაამარცხეს და იერუსალიმიდან განდევნეს, ტაძარი განწმინდეს, ააგეს ახალი საკურთხეველი. კურთხევის წესის შემდეგ დააწესეს ახალი დღესასწაული ამ მოვლენის გასახსენებლად, განახლების სახელწოდებით (ინ. 10:22). იუდამ ომი იორდანედან აღმოსავლეთში მიწების დაბრუნებით დაასრულა, რის შემდეგაც მთელი პალესტინა მის ხელში აღმოჩნდა.

დამარცხების ამბავმა იმდენად შეძრა ანტიოქე, რომ მალე მოკვდა, ომი მისმა მემკვიდრემ გააგრძელა. იუდა მაკაბელმა დასახმარებლად რომს მიმართა. მიუხედავად მეგობრული გამოსმაურებისა, მათგან რეალური დახმარება არ მიუღია. იუდა შეტაკებაში დაიღუპა. იგი მისმა ძმამ – იონათანმა შეცვალა. ომი ძვ. 143 წ-მდე გაგრძელდა; დრომდე, როცა დემეტრე II-მ, სირიის ტახტის პრეტენდენტმა, მესამე ძმა – სიმონ მაკაბელი, თავის მოკავშირედ ცნო. დემეტრე იუდეველებს პოლიტიკური თავისუფლებისა და გადასახადებისაგან განთავისუფლების გარანტიას აძლევდა.

მაკაბელთა გამარჯვებამ ებრაელთა სახელმწიფოს დამოუკიდებლობა მოუტანა, რომელიც შენარჩუნებული იქნა რომაელთა მოსვლამდე. სელევკიდების გავლენა პალესტინაში ფაქტიურად აღმოიფხვრა. ამ ომმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ებრაელთა მრავალ თაობებზე. ერებმა, რომელთა შორისაც ისინი იყვნენ განბნეულნი მთელი შემდგომი ისტორიის მანძილზე, ვერ შეძლეს მათი ასიმილაცია.

ხასმონების მმართველობა

ძვ. 142-37 წ.წ.

იუდეას დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დასრულების შემდეგ სიმონ მაკაბელი მისი მღვდელმთავარი გახდა. ეს მმართველობა იყო ხანმოკლე, მაგრამ ფრიად წარმატებული. ძვ. 139 წ. დაიღო ხელშეკრულება რომთან, რომლის საფუძველზეც რომაელები იუდეველთა დამოუკიდებლობას ცნობდნენ და სხვა მოკავშირე ქვეყნებსაც მოუწოდებდნენ ამ ხალხთან მეგობრობისკენ. ასეთმა ურთიერთობებმა გააუმჯობესა ერის ეკონ. მდგომარეობა, მუშაობა დაიწყო მსაჯულებმა, გაიღვიძა რელიგიურმა ცხოვრებამ.

კეთილდღეობა არ ღმოჩნდა ხანგრძლივი. ძვ. 139 წ. პართიელებმა სირიის მეფე დემეტრე II ტახტიდან ჩამოაგდეს და ქვეყანა დაიპყრეს. დემეტრეს ძმამ ანტიოქე VII, რომელმაც სირიის ტახტი დაიკავა, დაარღვია სიმონთან დადებული კავშირი და დიდძალი გადასახადი მოითხოვა. სიმონის შვილებმა – იუდამ და იონათანმა შესძლეს სირიელების დამარცხება და ამ მხრივ საშიშროების ლიკვიდირება.

მდგომარეობა გართულდა შინაური უთანხმოების გამო, ძვ. 135წ. სიმონი და მისი ორი ვაჟი ღალატით იქნენ მოკლულნი სიძის – პტოლომეს მიერ, რომელიც იერუსალიმის დაპყრობას ცდილობდა. ცოცხლად დარჩენილმა სიმონის შვილმა – ირანე პირკანმა (ძვ. 135-104 წწ.) ხელი შეუშალა პტოლომეს და ალყა შემოარტყა მისსავე ციხე-სიმაგრეში, საბოლოოდ, პტოლომე ეგვიპტეში გაიქცა.

პარალელურად, ანტიოქე VII ჯარებმაც იერუსალიმს ალყა შემოარტყეს. ებრაელები იძულებულნი გახდნენ კაპიტულაცია გამოეცხადებინათ და ხარკი გადაეხადათ სირიის მეფისათვის, მაგრამ ანტიოქე მალე მოკვდა და სირიაში დაიწყო ომი ტახტის გამო. გირკანმა სასწრაფოდ ისარგებლა შემთხვევით და დაიპყრო სამხრ. იდუმეა და ჩრდ. სამარია, ასევე მედევა და იორდანიიდან აღმოსავლეთის მეზობელი ქალაქებიც. გირკანი გახდა მღვდელმთავარი და სახელმწიფოს მეთაური, ასევე დამფუძნებელი ხასმონების დინასტიისა.

სიკვდილის წინ მან მმართველობა თავის შვილს – არისტობულესა და თავის ცოლს გადასცა. არისტობულემ დედა და ძმები დაატუსაღა და ერთპიროვნული მართვა დაიწყო. ერთი წლის შემდეგ იგი მოკვდა, ტახტზე მისი ძმა იანნა ავიდა, რომელიც არისტობულეს ქვრივზე, ალექსანდრია სალომეაზე დაქორწინდა. მან გააგრძელა პალესტინის დაპყრობა. მისი მმართველობა (ძვ. 103-76წწ.) გამოირჩეოდა შინააშლილობებით, რაც ტახტის შენარჩუნებას უშლიდა ხელს. მისი სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა არისტობულე II, ალექსანდრია სალომეას შვილი. მან თავის უფროს ძმას გ(ჰ)ირკან II-ს მღვდელმთავრობა ჩამოართვა.

პარალელურად სირიასა და პალესტინაში მიმდინარე პოლიტიკურმა ქაოსმა რომის ყურადღება მიიპყრო. პომპეუსმა იუდეაში თავისი წარმომადგენელი სკავრი გაგზავნა, რომელმაც საქმე არისტობულეს სასარგებლოდ გადაწყვიტა, თუმცა მან წინააღმდეგობა გაუწია მას იუდეველთა საქმეში რომაელთა ჩარევის გამო. რომაელებმა იერუსალიმს ალყა შემოარტყეს. არისტობულეს მომხრეები მზად იყვნენ საბრძოლველად, მაგრამ გ(ჰ)ირკანმა რომაელებს ქალაქი ჩააბარა, არისტობულე ოჯახით ტყვედ წაასხეს რომში, მისი შვილი ალექსანდრე რომში მიმავალ გზაზე გაიქცა და შეეცადა ბუნტის ატეხვას გირკანის წინააღმდეგ, მაგრამ რომაელებმა იგი მოკლეს.

ცეზარსა და პომპეუსს შორის ამტყდარ სამოქალაქო ომში გ(ჰ)ირკანმა ცეზარის მხარე დაიჭირა, რისთვისაც სახელმწიფოს მეთაურობა და ზოგიერთი ზღვისპირა ქალაქების მფლობელობის უფლება მიიღო. მისმა მინისტრმა – ანტიპარემ კი, რომის მოქალაქეობა მიიღო, რითაც ხელში ჩაიგდო სახელმწიფოს რეალური მართვის სადავეები. მან თავისი შვილი – ფაზაილი, იერუსალიმის პრეფექტად დანიშნა, ხოლო მეორე შვილი - ჰეროდე – გალილეის პრეფექტად. იუდეაში კი ანტონმა ორივე ძმა დანიშნა თანამმართველებად. სანამ ანტონი ეგვიპტის საქმეებით იყო დაკავებული, იერუსალიმს პართელებმა შეუტიეს. პირკანი და ფაზაილი ტყვედ აიყვანეს. ჰეროდემ დროულად უშველა თავს ქალაქიდან გაიქცა. პარალელურად, სადუკეველთა პარტიამ ტახტზე ანტიგონე დასვა (არისტობულე II-ს შვილი), რომელიც რომის მტრად ითვლებოდა და პართელების მხარდაჭერით სარგებლობდა. მან გაილაშქრა ჰეროდეს წინააღმდეგ, მაგრამ უშედეგოდ. იგი რომაელებმა დაამარცხეს და ტყვედ აიყვანეს. ჰეროდესთან კეთილგანწყობის ნიშნად, ანტონმა ბრძანა ანტიგონესთვის თავის მოკვება (ძვ. 37წ.), რითაც ხასმონების დინასტია დასრულდა.

ჰეროდების მმართველობა

ძვ. 37-6 წ.წ.

ახალი დინასტიის ფუძემდებელი გახდა ანტიპატრე. მის ვაჟს – ჰეროდე დიდად წოდებულს, მამისაგან მემკვიდრეობით მმართველობისა და დიპლომატიის ნიჭი ხვდა წილად, რითაც სულ მალე იუდეის ტახტს დაეუფლა.

ჰეროდე დიდი

(ძვ. 37-4 წ.წ.)

ძვ. 37წ. 22 წლის ჰეროდე იუდეის მეფე გახდა. როცა პალესტინაში ანტიგონეს მომხრე პარტიელები შემოიჭრნენ, იგი თავის დედასთან – კიპროსთან, დასთან – სალომეასთან და საცოლესთან – მარიამნასთან (ჰირკანის ქალიშვილთან) ერთად გაიქცა. მან ისინი თავისი ძმის – იოსების მეურვეობის ქვეშ დატოვა მასადში, მკვდარი ზღვის ნაპირზე, თავად კი ჯერ ალექსანდრიაში ჩავიდა, იქედან კი რომში გაემგზავრა.

ინტრიგების დახმარებით, რომის თანამმართველმა ანტონმა და ოქტავიანემ იგი (ჰეროდე) იუდეველთა მეფედ ცნეს. პალესტინაში დაბრუნებულმა გამოიხსნა თავისი ოჯახი და პოზიციების განმტკიცება დაიწყო მის მიერ გათავისუფლებულ გალილეაში, რომელსაც ყაჩაღური ბანდები აწიოკებდნენ. რომაელთა დახმარებით ჰეროდემ იერუსალიმი დაიპყრო, ხოლო ტყვედქმნილი ანტიგონე ანტიოქიას გაგზავნა, სადაც მას თავი მოჰკვეთეს.

იმის გამო, რომ ჰეროდე წარმოშობით იდუმიელი იყო, მას არ შეეძლო მღვდელმთავარი გამხდარიყო, ამიტომ მისი პირველი ქმედება სწორედ მღვდელმთავრის დანიშვნა იყო, რათა თავიდან აეცილებინა ხასმონების გავლენის კვლავ დაბრუნება. ამ თანამდებობაზე მან ანანია დანიშნა, რომელიც ბაბილონურ დიასპორას ეკუთვნოდა. მაგრამ მარიამნას დედამ – ალექსანდრამ, რომელიც ეგვიპტის დედოფლის კლეოპატრას (ანტონის საყვარლის) კეთილგანწყობით სარგებლობდა, დაიყოლია ეს უკანასკნელი მხარი დაეჭირა მისი შვილის არისტობულეს დანიშვნისთვის. ჰეროდე მოერიდა ანტონის განაწყენებას და ანანია არისტობულეთი შეცვალა, რომელიც არასრულწლოვანი გახლდათ.

ხასმონების გვარის ახალგაზრდა მღვდელმთავარმა დიდი პოპულარობა მოიპოვა ხალხში, რამაც ჰეროდეში საშინელი შური და ეჭვები აღძრა. მან არისტობულეს იერიქონში ნადიმი მოუწყო და იქვე, აბანოში დაასრჩობინა მეტოქე.

კლეოპატრა უმალ გამოეხმაურა ამ საზარელ ამბავს და ჰეროდე ანტონს ალექსანდრიაში დააბარებინა. წასვლისას ჰეროდემ მარიამნას ბიძას – იოსებს დაუტოვა ბრძანება, რომ მისი გასამართლების შემთხვევაში მოეკლათ მისი ცოლი და ცოლის დედა. დაბრუნდა რა მშვიდობიანად ეგვიპტიდან, ჰეროდემ მარიამნას საიდუმლოს ცოდნა შეატყო და საიდუმლოს ვერშემნახველი იოსები სიკვდილით დასაჯა.

ძვ. 25 წ. რომმა ანტონსა და კლეოპატრას ომი გამოუცხადა. ჰეროდე საგონებელში ჩავარდა – ელალატა თავისი მფარველებისათვის თუ ჩაბმულიყო უიმედო ომში რომის წინააღმდეგ. ამ დამღუპველი დილემის გახსნაში კლეოპატრა დაეხმარა. ეშინოდა რა ჰეროდეს დალატისა, მან ჰეროდე არაბეთში გაგზავნა მეორენაირისხოვანი საომარი მოქმედებისათვის, სადაც ჰეროდემ გამარჯვება მოიპოვა. პარალელურად, ანტონის ჯარები აქციასთან საზღვაო შეტაკებაში დამარცხდნენ, რითაც ჰეროდემ ისარგებლა და ყოველგვარი მერყეობის გარეშე ზურგი აქცია ყოფილ მოკავშირეებს. თავად როდოსზე გაემგზავრა ოქტავიანეს კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. მართლაც, ოქტავიანემ იგი იუდეის მეფედ და თავის მოკავშირედ აღიარა. კლეოპატრას სიკვდილით კი სამუდამოდ დასრულდა საშიშროება იუდეის ეგვიპტესთან შეერთებისა.

ჰეროდეს მემკვიდრეები

ჰეროდეს ანდერძის თანახმად ტახტი გადაეცა არქელაოსს. უფლებების დასამტკიცებლად მას სასწრაფოდ რომში გამგზავრება ჰქონდა გადაწყვეტილი. გამგზავრებამდე მას სურდა ქვეყნის შინაარეულობის დაწყნარება, რაც მისი ოჯახისადმი მტრობით იყო გამოწვეული. პასექის დღესასწაულზე მომხდარი მღელვარების ჩაწყნარება კი სულაც ჯარების ჩარევის მეშვეობით გახდა შესაძლებელი.

არქელაოსი რომს გაემგზავრა, იუდეაში კი თავისი ძმა – ფილიპე დატოვა. რომში მას დახვდა მესამე ძმა – ანტიპა, რომელიც მამის მეორე ანდერძის თანახმად, ასევე იუდეის ტახტის მემკვიდრედ იყო დასახელებული. ავგუსტუსი დიდხანს ყოყმანობდა; პარალელურად იუდეაში ახალმა აჯანყებამ იფეთქა. პროკურატორმა რაბინმა, რომელიც ავგუსტუსის საკითხის გადაწყვეტამდე წესრიგის დასაცავად გაგზავნა იუდეაში, აიღო იერუსალიმი და ტაძარი დაანგრია. აჯანყებულებმა პროკურატორს მედგრად შეუტიეს; საბოლოოდ საქმე მოგვარდა სირიის მოადგილის – ბარის ლეგიონების ჩარევით.

რომში იუდეადან გაიგზავნა დელეგაცია ავტონომიის მოთხოვნით, რომელიც ჰეროდეანთა მეფობის დასრულებას ითვალისწინებდა. იმავე პერიოდში გაემგზავრა რომს ფილიპე, რათა არქელაოსისთვის დაეჭირა მხარი.

ხანგრძლივი მოსმენის შემდეგ ავგუსტუსმა გადაწყვიტა არქელაოსს მიენიჭოს ეტნარქის ტიტული და სამართავად გადაეცეს იუდეა, სამარია და ილუმია. ანტიპა გახდა გალილეისა და ჰერეიას ტეტრარქი, ფილიპე კი იორდანიდან აღ. და ჩრდ.ით გალილეის ზღვამდე მდებარე მიწების განმგებელი გახდა ტეტრარქის ტიტულით.

არქელაოსი

არქელაოსი დაქორწინდა გლაფირაზე, რომელიც კაბადოკიის მეფის, არქელაოსის ქალიშვილი იყო. იგი იყო მისი მესამე ქმარი ძმა ალექსანდრესა და მავრიტანიის მეფე იუბოს შემდეგ. ამ ქორწინებამ გააძლიერა ებრაელთა მტრობა არქელაოსის მიმართ, ვინაიდან ამ ქორწინების გამო იგი გაშორდა თავის პირველ ცოლს და ასევე გლაფირას დარჩა შვილები ალექსანდრესგან.

თავისი მამის მსგავსად არქელაოსმა განაახლა საზ. სამუშაოები და მშენებლობები, მაგრამ მისი მმართველობა იუდეველთათვის არ იყო მოსაწონი. მეფობიდან 9 წლის თავზე, რომში, არქელაოსზე საჩივრების ხელწერილები იქნა ჩატანილი იუდეველთა და სამარიტელთა უხუცესებისაგან შემდგარი დელეგაციის მიერ. მოისმინა რა პეტიცია, ავგუსტუსმა არქელაოსი ძვ. 6 წ. გალის ვიენაში გადაასახლა.

არქელაოსის დასახასიათებლად უტყუარ საბუთს გვაძლევს მათეს სახარება: “და ვითარცა ესმა, რამეთუ არქელაოს მეფობს ჰურიატანს ჰეროდეს წინ, მამისა თვისისა, შეეშინა მისვლად მუნ და ბრძანებაი მოიღო ჩუენებით და წარვიდა კერძოთა გალილეისათა” (მათ. 2:22)

როგორც ჩანს, არქელაოსი, მამის მსგავსად, შიშობდა ტახტის დაკარგვას და თავადაც საშიში იყო მათთვის, ვისშიც ტახტის მოცილეს დაინახავდა.

ფილიპე (ძვ.4–ახ.34 წ.წ.)

ფილიპესადმი გამოყოფილი ტერიტორია მოიცავდა პალესტინის ჩრდ.-აღ. კუთხეს, რომელიც შემოსაზღვრული იყო დასავლეთით გალილეის ზღვით, იორდანის ზემო დინებით, მერიის ტბით და ლიბანის მთებით. ჩრდილოეთით ეს ოლქი ვრცელდებოდა დამასკოს ახლოს აბილენეის საზღვრამდე. აღ. და სამხ.-აღ. ფილიპეს სამფლობელო უდაბნოზე გადიოდა, ხოლო სამხრეთით ათქალაქის საზღვრებს აღწევდნენ. ძირითად მოსახლეობას სირიელები და ბერძნები წარმოადგენდნენ.

ფილიპე ბედნიერი გამონაკლისი იყო ჰეროდეთა ოჯახში. მამისგან ნიჭად მშენებლობისადმი მიდრეკილება მიიღო. ხალხთან მიმართებაში კეთილი და სამართლიანი იყო. სახარებაში მოხსენიებული ფილიპეს კესარია (მთ. 16:13; მარკ. 8:27) აშენებული იყო იორდანეს სათავესთან, ძველი პანიასის ადგილზე. თავისი სახელწოდება მან რომის იმპერატორისა და ფილიპეს საპატივცემულოდ მიიღო. აღსანიშნავია ასევე ქალაქი იულიას ბეთსაიდა, რომელიც გალილეის ზღვის ჩრდ. სანაპიროზე მდებარეობდა.

ფილიპეს ცოლი გახლდათ სალომია – ჰეროდias ქალიშვილი. ფილიპე გარდაიცვალა მშვიდობიანად ახ. 34 წ. მისი სიკვდილის შემდეგ ტეტრარქია რომის პროვინციას – სირიას შეუერთეს, ხოლო 37 წ. კალიგულამ იგი სამართავად ფილიპეს დისშვილს – აგრიპა I გადასცა.

ლუკა მახარებელი ფილიპეს (3:1) მოიხსენებს, როგორც იტურისა და ტრაქონიტის ტეტრარქად. სხვა ცნობები მის შესახებ ახალ აღთქმაში არ მოგვეპოვება.

ჰეროდე ანტიპა

(ძვ 4-38 ახ.წ.წ.)

ჰეროდე ანტიპა, გალილეისა და ჰერეიას ტეტრარქი, მოიხსენიება ლუკას სახარებაში. (ლუკ. 13:32) იესომ მას “მელა” უწოდა. იგი იყო არა მარტო ცბიერი, არამედ შურისმაძიებელი მმართველიც.

თავისი მმართველობის 43-ე წელს ჰეროდემ გალილეის ზღვის სანაპიროზე ახალი დედაქალაქი – ტიბერიადა ააგო. ეს ქალაქი ძველ საფლავებზე იყო აშენებული, ამიტომ ორთოდოქსალური იუდეველები უარს ამბობდნენ მასში ცხოვრებაზე. ტეტრარქმა მოსახლეობა ძალით შეიყვანა ქალაქში. ტიბერიადა ბერძნული ტიპის ქალაქი იყო.

ჰეროდე ანტიპამ არაერთი დემონსტრირებული ერთგულება გამოავლინა იუდაიზმისადმი. იგი მიემხრო მოსახლეობას, როცა პილატემ იერუსალიმში წარმართული ღვთაებისადმი მიძღვნილი ფარის აღმართვა განიზრახა. ჰეროდე მონაწილეობას ღებულობდა პასექის დღესასწაულებშიც. (ლუკ. 23:7)

სახარებაში ჰეროდე ანტიპა მოიხსენიება როგორც იოანე ნათლისმცემლის მკვლედი, ასევე მაცხოვრის გასამართლებაში მონაწილე (ლუკ. 23:7-12) მისი ცოლი ჰეროდიადა იყო მისი ბიძაშვილი და ასევე თავდაპირველი ცოლი მისი ძმისა – ჰეროდე ფილიპე I-სა. (მათე 14:3, ლკ. 3:19) (ეს ფილიპე არ უნდა ავუროთ ტეტრარქ ფილიპესთან).

ჰეროდე, როგორც რიგითი მოქალაქე, რომში ცხოვრობდა. ანტიპას, იმყოფებოდა რა იქ, შეუყვარდა ჰეროდიადა, მისი გულისთვის გაშორდა პირველ ცოლს, რომელიც მამასთან გაიქცა არაბეთში, ამ უკანასკნელმა კი ჰეროდეს ომი გამოუცხადა.

ჰეროდემ ჰეროდიადა და მისი ქალიშვილი სალომია ტიბერიადაში გადაიყვანა. შესაძლოა, სწორედ მაშინ მოინახულა მან მიქერონის ციხესიმაგრე ჰერეიაში, სადაც იოანე ნათლისმცემლის ქადაგება გაიგონა. თუმცა ჰეროდე ანტიპა პატივისცემით იყო განმსჭვალული იოანეს პირდაპირობისადმი, სამაგიეროდ ჰეროდიადას აცეცხლებდა მქადაგებლის მხილება და მის მოკვდინებას ლამობდა. ანტიპა სუსტი ნებისყოფის აღმოჩნდა. ჰეროდეასთან ქორწინება მას სამეფო ფასი დაუჯდა. როცა ძვ. 37წ. იმპერატორი კალიგულა გახდა, მისი პირველი აქტი ჰეროდეას ძმისა და არისტობულეს შვილის – ჰეროდე აგრიპა I-ის მეფედ დასმა იყო, რითაც ფილიპეს ტეტრარქიაც გადასცა მას. ძმაზე გაგულისებულმა ჰეროდეადამ აიძულა ქმარი რომში წასულიყო სამეფო ტიტულის მისაღებად. რომში ჩასულს, აგრიპას წარმომადგენლებმა ფორტუნატმა, რომის საწინააღმდეგო შეთქმულებაში დასდო ბრალი. კალიგულამ ანტიპას ტეტრარქია ჩამოართვა და აგრიპას გადასცა, თავად კი გალაში გადაასახლა.

ჰეროდე აგრიპა I

(ახ. 37–44წ.წ)

ჰეროდე აგრიპა I იყო არისტობულესა და მისი ბიძაშვილის, ჰეროდე დიდის დის, სალომეს ქალიშვილის, ბერენიკას შვილი. განათლება მიიღო რომში, დაბრინდა პალესტინაში და ახ. 23წ. სიძისგან, ჰეროდე ანტიპასაგან მიიღო ტიბერიაში ბაზრებზე დამკვირვებლის თანამდებობა – ჰეროდესთან, შემდეგ ანტიოქიაში გაიქცა რომაელ მმართველთან შეკამათების გამო, ბოლოს იტალიაში დაბრუნდა. ჰეროდე აგრიპა გახდა ტიბერიოსის შვილიშვილის მასწავლებელი და უახლოესი მეგობარი კალიგულიასი, რომელსაც იმპერატორობა უწინასწარმეტყველა.

გაიგო რა ამის შესახებ ტიბერიუსმა, აგრიპა ციხეში გამოამწყვდია. ტიბერიუსი მალე მოკვდა და აგრიპაც გათავისუფლებულ იქნა ციხიდან.

როგორც კი კალიგულა იმპერატორი გახდა, აგრიპა იუდეის მმართველად დაინიშნა. ცდილობდა რა ებრაელთა კეთილგანწყობის მოპოვებას, მან გადაარწმუნა კალიგულა იერუსალიმის ტაძარში თავისი ძეგლი დაედგა, რითაც თავიდან აიცილა ებრაელთა მღელვარებანი.

ახ. 41წ. როცა კალიგულა მოკლეს, აგრიპა ისევ რომში დარჩა. მან მხარი დაუჭირა კლავდიუსს და საბოლოოდ სამფლობელოდ ჰეროდე დიდის მიერ გაერთიანებული სამეფო მიიღო.

პალესტინაში დაბრუნების შემდეგ აგრიპამ თავის ადგილსამყოფელად იერუსალიმი აირჩია. იგი დადიოდა ტაძარში, ცხოვრობდა ებრაელთა სჯულის შესაბამისად და ებრძოდა წარმართობას.

მისმა იუდაიზმისადმი თავგამოდებამ და ერთგულებამ იგი ქრისტიანობის პირველ მღევნელად აქცია. დაძაბულობამ ფარისევლებსა და ქრისტიანებს შორის იქამდე მიადწია, რომ საქმეში მეფე ჩაერია. თავდაპირველად ქრისტიანობას იუდაიზმის სექტად მიიჩნევდნენ. აგრიპამ ბრძანა იაკობ ზებედეს ძის დაპატიმრება და სიკვდილით დასჯა, ასევე პეტრე მოციქულის დაპატიმრებაც, რომელიც ღვთის შეწვევით, სასწაულებრივად გადაურჩა სასჯელს; იგი ღამით იქნა გათავისუფლებული. აგრიპამ გუშაგების სიკვდილით დასჯა ბრძანა, თავად კი კესარიაში გაემგზავრა. (საქმ. 12:11–19)

ახ. 44წ. ჰეროდე აგრიპას სიკვდილი მოულოდნელი იყო. იოსებ ფლავიუსისა და ლუკა მახარებლის აღწერილობები აგრიპას სიკვდილის შესახებ ძირითადად ერთნაირია. იოსებ ფლავიუსი აღწერს, რომ კესარიაში, იმპერატორის პატივსაცემად გამართულ თამაშებზე, ჰეროდე აგრიპა ბრწყინვალე მოსასხამით შემოსეს, თითქოს ღმრთისწილობის წარმოსაჩენად. ამის შემდეგ, ძალიან მალე მას ნაწლავების დაავადება დაეწყო და ხუთი დღის შემდეგ გარდაიცვალა.

ჰეროდე აგრიპა II

(ახ. 50-100 წ.წ.)

ჰეროდე აგრიპა I დატოვა ოთხი შვილი: სამი ქალიშვილი და ერთი ვაჟი. ერთ-ერთი ქალიშვილი დრუზილა, იუდეის პროკურატორ ფელიქსს გაჰყვა ცოლად. მათი შვილი – აგრიპა II რომში, როცა მისი მამა მოკვდა. ახ. 50წ. მისი ბიძის – ხალკიელის გარდაცვალების შემდეგ, მან მიიღო სამეფო და უფლება იერუსალიმის ტაძარში მღვდელმთავრის დანიშვნისა. 55წ. მან უარი განაცხადა ხალკისაში მეფობაზე, სანაცვლოდ მიიღო ფილიპესა და ლისანის ტეტრარქიები კლავდიუს სიკვდილის შემდეგ ნერონმა მის სამფლობელოებს შეუერთა გალილეისა და ჰერეიასის ზოგიერთი ნაწილი.

იუდეის პროკურატორად ფესტის დანიშვნისას, აგრიპა და მისი თანამმართველი და – ბერენიკა კესარიაში გაემგზავრნენ ამ ამბის ფესტისათვის მისალოცად. აქ აგრიპამ ერთგვარად ფესტის სულიერი მრჩევლის როლი ითამაშა პავლე მოციქულის საქმესთან დაკავშირებით, რომელიც

რომაელი წარმართვისათვის გამოცანა იყო (საქმ. 25:13, 26:32) თუმცა აგრიპა კარვად იცნობდა იუდაიზმსა და იცავდა მის ცერემონიალურ მოთხოვნებს, მისი რწმენა ჭეშმარიტებისადმი ზედაპირული იყო.

66წ. აჯანყების დროს მან აშკარად დაუჭირა მხარი რომაელებს. დაანახა რა ვესპასიანეს თავისი ერთგულება, ტიტუსთან ერთად მან გამარჯვება მოიპოვა თავის საკუთარ ერზე, ახალმა იმპერატორმა მისი სამეფო კიდევ უფრო გააფართოვა. აგრიპა და ბერენიკა რომში გადავიდნენ. ტიტე ბერენიკას ცოლად შერთვას აპირებდა, მაგრამ სკანდალურმა სიტუაციამ მას განზრახვაზე ხელი ააღებინა. სკანდალის მიზეზი კი ბერენიკასადმი და აგრიპასადმი ხალხის დიდი ზიზღი იყო.

ჰეროდე აგრიპა II 100წ. მოკვდა.

მღვდელთმთავართა მმართველობა იერუსალიმის დაცემამდე 70წ.

პალესტინის ყველა უცხოტომელი მმართველი, იქნებოდნენ ისინი პტოლომეები, სელევკიდები, ჰეროდეები თუ რომაელები, ებრაელთათვის ერთპიროვნულად დამპყრობლები იყვნენ, რომელთაც იტანდნენ, მაგრამ არასოდეს თვლიდნენ კანონიერ ხელისუფლებად. ებრაელთა წარმოდგენაში მხოლოდ სასულიერო დასი წარმოადგენდა ჭეშმარიტ ხელისუფლებას.

ისრაელის მთელი ისტორიის მანძილზე, სხვადასხვა დროში არსებობდა სხვადასხვა სახე სამოქალაქო ხელისუფლებისა. მოსეს დროს ისრაელის ტომს უხუცესები წარმოადგენდნენ; მსაჯულთა დროს არანაირი ცენტრალური ხელისუფლება არ ყოფილა, საჭიროების დროს წარმოჩნდებოდნენ ბელადები, რომლებიც პოპულარობით სარგებლობდნენ ხალხში, მაგრამ არ შეეძლოთ მუდმივად წესრიგის დამყარება. ერთიანი სამეფოების პერიოდში სახელმწიფოს თავი იყო მეფე, მიუხედავად ამისა, მღვდლის სიტყვა ყველა დროში გადამწყვეტი იყო, რამდენადაც იგი ღვთის სახელით საუბრობდა. ებრაულ სახელმწიფოში სწორედ რელიგიური ხელისუფლება ითვლებოდა უმაღლესად. ერის ცხოვრება თვისობრივად მასზე იყო დამოკიდებული. თუ სამღვდლოება გარყვნილი იყო, ეცემოდა ქვეყნის პოლიტ. ცხოვრებაც. თუ დგებოდა სულიერი აღგზნების უამრავი და ღვთის თაყვანისცემას იწყებდნენ, იზრდებოდა სამოქალაქო ხელისუფლების ავტორიტეტიც.

ტყვეობის დროს, ტაძრის დანგრევის გამო, ღვთისმსახურება დროებით შეწყვეტილ იქნა, თუმცა თვით მღვდლები არ გამქრალან. როცა ძვ. 536წ. ტყვეები იერუსალიმში დაბრუნდნენ, მათ შორის მღვდლებიც ერივნენ და ლტოლვილებიც (ეზდრა 2:36-54). ტაძრის აღდგენის შემდეგ ისინი თავიანთი მოვალეობის შესრულებას შეუდგნენ და აგრძელებდნენ მსახურებას არც თუ ისე ხანგძლივი შესვენებებით, ახ. 70 წლამდე, როცა ტაძარი კვლავ იქნა დანგრეული რომაელთა მიერ.

მთელი ამ ხნის განმავლობაში სამღვდლოება კიდევ უფრო ავტორიტეტული ჯგუფი იყო იუდეველთა შორის. მღვდელთმთავარი თავის თანამდებობას მემკვიდრეობით ღებულობდა და სიკვდილამდე ფლობდა. მისი ძალაუფლება უმაღლესი იყო მმართველის შემდეგ; მაგრამ ახლა ჭირს იმის

დადგენა, თუ რა ზომის თავისუფლებით სარგებლობდნენ მღვდელთმსახურები უცხოტომელთა ბატონობის დროს.

იოსებ ფლავიუსთან მოყვანილია ორი ეპიზოდი, რომლებიც მოწმობენ, რომ ალ. მაკედონელის დაპყრობის დროს სწორედ მღვდელთმთავარი გამოვიდა როგორც რწმუნებული და მთელი ებრაელი ერის სახელით საუბრობდა. როცა ალექსანდრე პალესტინაში შეიჭრა და ტვიროსს ალყა შემოარტყა, მან მღვდელთმთავრებსა და ებრაელ ერს სპარსეთის მსგავსი მხარდაჭერა მოსთხოვა. მღვდელთმთავარმა უარი შეუთვალა, რადგან ფიცით იყო შეკრული დარიოსთან. განრისხებული ალექსანდრე მას დაჰპირდა, ომის შემდეგ თუ ვის და რა უნდა შეჰფიცონ.

იმავე მონაკვეთში იოსები წერს, რომ როცა ალ. მაკედონელი იერუსალიმს მიუახლოვდა, მის შესახვედრად მღვდელთმთავარი იადუი გამოვიდა პროცესიით. მღვდელთმთავარმა მას საღმრთო წერილში მისი დაპყრობითი ომების შესახებ მოყვანილი წინასწარმეტყველებები უჩვენა, რამაც ალექსანდრეზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ალექსანდრე დიდი პატივისცემით განიმსჭვალა მის მიმართ და პალესტინა მშვიდობიანად დატოვა, თანაც ებრაელებს თვითმართველობა უფლება მისცა.

პტოლომეების დროსაც სამღვდლოება წამყვანი პოლიტ. ძალა იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში იგი პოლიტიკურ ჯილდოდ იქცა. ეს პრიზი ენიჭებოდა იმას, ვინც მეტს გადაიხდიდა. “ბედნიერი” კანდიდატი ვალდებული იყო დამორჩილებულიყო პოლიტიკური ბელადის სურვილებს, რათა ადგილი არ დაეკარგა.

სიტუაცია შეიცვალა მაკაბელთა აჯანყების შემდეგ, მღვდელთმთავართა უწინდელი დინასტია, რომელიც სელევკიდების დროს მსახურობდა, შერეულ იქნა ხასმონებით. ამ დროს დინასტიის დამაარსებელი იყო იოანე ჰირკანი - მაკაბელთა შთამომავალი. ჰეროდების დროს მთელი რელიგიური ძალაუფლება კვლავ მღვდელთმთავრის ხელში გადავიდა. დიდი ავტორიტეტის გამო, მას საშუალება ქონდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა, ასეთი სახით კი იგი რომაელ ხელისუფალთ აიძულებდა მისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებები მიეღოთ.

სასულიერო პირთა მმართველობა დასრულდა რომაელთა მიერ იერუსალიმის აღებით და ტაძრის დანგრევით, რაც ახ. 70წ. მოხდა. ამის შემდეგ იუდეველთა სამღვდლოებამ არსებობა შეწყვიტა.

რომაელთა ძალაუფლება ბარ-კოხბას აჯანყებამდე

70-135 წ.წ.

შეუძლებელია ქრონოლოგიური საზღვრების დადგენა იუდეის ერთმანეთის შემცვლელ პოლიტიკურ რეჟიმებს შორის. სასულიერო ხელისუფლება არსებობდა პტოლომეების, სელევკიდების და ჰეროდების ხელისუფლებასთან ერთად. სასულიერო და პტოლომელთა მმართველობა რომელთა მმართველობამ გადაკვეთა. ძვ. 63წ. პომპეუსის მიერ იუდეას დაპყრობის შემდეგ, რომი ჰეროდესაც და მღვდელთმთავარსაც მასზე დაქვემდებარებულ მმართველებად თვლიდა. როცა ჰეროდე დიდი მისმა შვილმა, არქელაოსმა შეცვალა, იგი

იმდენად არაპოპულარული აღმოჩნდა, რომ რომის იმპერატორს მისი გადაყენება მოუხდა და მის ნაცვლად პროკურატორი კოლონი დანიშნა. აქედან მოყოლებული, მოკლე შესვენებების გარდა, რომის პროკურატორმა იუდეაზე პირდაპირი მმართველობა განახორციელა უკანასკნელ წარუმატებელ აჯანყებამდე, რომელიც ახ. 135წ. მოხდა.

როგორც წესი, პროკურატორებს ერი არ წყალობდა. ცოტანი თუ დარჩნენ თანამდებობაზე 3 წლის განმავლობაში. ყველაზე დიდხანს ამ პოსტზე იმყოფებოდნენ ვალერი გრატი (15-26წ.წ.) და მისი შემცვლელი პონტოელი პილატე (26-36წ.წ.) პირველი უკიდურესად სძულდათ იმის გამო, რომ არღვევდა მღვდელთმთავართა მემკვიდრეობითობას და თავის კანდიდატებს ნიშნავდა, მეორე - როგორც ჩანს ყველაზე ცნობილი პროკურატორებს შორის, როგორც ქრისტეს გასამართლებასა და სიკვდილით დასჯაში მონაწილე. თავისი მმართველობის დასაწყისშივე მან ებრაელები ალაშფოთა იერუსალიმში იმპერატორის გამოსახულების შემოტანით. ხალხმა მძვინვარედ გააპროტესტა ქალაქის ასეთი შებილწვა. პილატეს საქციელი სისხლის ღვრამდე მიიყვანდა საქმეს, მაგრამ მან დათმო. 36 წელს იგი სამართიელებთან გათიშულობის გამო გადააყენეს და იგი შეცვალა მარცელმა.

37წ. კალიგულას იმპერატორად კურთხევის შემდეგ საქმე კიდევ უფრო გართულდა. მან თავი ღმერთად გამოაცხადა და იერუსალიმის ტაძარში თავისი გამოსახულების დადგმა ბრძანა, რომელიც სირიელ დელეგატს, პეტრონს უნდა აღესრულებინა. პეტრონი საგონებელში ჩავარდა: იმპერატორის რისხვა თუ რელიგიური ომი?! საბოლოოდ მან მოახერხა ბრძანების გადადება, 41 წელს კი კალიგულა სასახლის შეთქმულებმა მოკლეს.

66წ. იუდეა ომის დაწყებამდე ერსა და რომის ადმინისტრაციას შორის მუდმივი დაძაბულობა იყო. ხშირი იყო შეიარაღებული გამოსვლები. ზოლოტების პარტია, რომელიც განსაკუთრებით გალილეაში იყო გაძლიერებული, ღიად მოუწოდებდა ერს რადეთო ომისაკენ. შეიარაღებულ ლეგიონებთან შეტაკება ზიზღს კიდევ უფრო ამძაფრებდა რომის მიმართ. მთელი ქვეყანა უკიდურესად აღელვებულ მდგომარეობაში იყო, ამიტომ ყოველი ადამიანის ირგვლივ, რომლებიც თავს მესიად აცხადებდნენ, უამრავი ფანატიკოსი იყრიდა თავს.

საქმე მოციქულთაში მოხსენიებულნი არიან პროკურატორები ანტონი ფელიქსი და პორცი ფესტი (საქმ. 23:24-24:27, 25:1-28:32) (პორცი ფესტი, იგივე პორკოს ფესტოსი)

66წ. რომაელ ლეგიონებს ადგილობრივი მცხოვრებლები დაესხნენ თავს. თავდასხმა მასშტაბური ხასიათისა იყო და მალე რიგ ქალაქებში განხორციელდა, მაგრამ ისინი უკუქცეულნი იქნენ რომაელთ მიერ და საბოლოოდ რეპრესირებულნიც.

67წ. ნერონმა აჯანყების ჩასახრჩობათ ტიტე ფლავიუს ვერპასიანე გაგზავნა 60 ათასიანი არმიით. ამ დროს ზოლოტეკთა ბელადი იოანე თავის მოწინააღმდეგე თანამოძმეებს დაუპირისპირდა, რითაც ქალაქი სამოქალაქო ომში იქნა ჩათრეული. ამით ისარგებლა ვერპასიანემ და დაიპყრო პერეია, იუდეა და იდუმეა. იგი იერუსალიმის აღყისთვის ემზადებოდა, როცა ნერონის მკვლელობისა და რომის სამოქალაქო ომის შესახებ ცნობა მიიღო.

69წ. ივლისში იუდეაში მებრძოლთა არმიამ თავისი მხედართმთავარი გამოაცხადა იმპერატორად. დატოვა რა თავისი შვილი ტიტე იუდეაში საომარი მოქმედებების ხელმძღვანელად, ვერფასიანე ჯერ ალექსანდრიაში გაემგზავრა, შემდეგ რომში, სადაც 70წ. ჩააღწია.

პარალელურად იერუსალიმში მიმდინარეობდა ბრძოლა ხელისუფლებისათვის აჯანყებულ სამ ძალას შორის: იოანე ჰისხალელს, სიმონ ბარკიორსელსა და ელეაზარ სიმონის შვილს შორის. 70წ. ტიტემ ალყა გააძლიერა, აგვისტოში რომაელებმა კედელი გაარღვიეს და ქალაქის კარიბჭე დაწვეს. შინააშლილობითა და შიმშილით დაუძლურებულმა მოსახლეობამ კაპიტულაცია გამოაცხადა. მიუხედავად ტიტეს ბრძანებისა, ლეგიონებმა ტაძარი გადაწვეს და დაანგრიეს. მოსახლეობა მონებად განისყიდეს ან ამოხოცეს, ქალაქი კი მისაფუძვლამდე გაასწორეს მიწასთან.

ამის შემდეგ კიდევ სამი წელი გრძელდებოდა აჯანყებულთა უიმედო შეტაკებები, მაგრამ ბრძოლა წაგებული იყო. ებრაულმა სახელმწიფომ, იერუსალიმის დაცემითა და ტაძრის დანგრევით, არსებობა შეწყვიტა. იმპ. ტრაიანეს დროს ეგვიპტესა და კვირინიაში ისევ დაიწყო ებრაელთა გამოსვლები, მაგრამ რომაელები მათ სასტიკად უსწორდებოდნენ. 135წ. “ბარ-კოხბას” მეთაურობით წამოწყებული უკანასკნელი მცდელობა დამოუკიდებლობის დაბრუნებისა ჩანასახშივე ჩაიხშო.

აჯანყება აღრიანეს მიერ გამოცემულმა კანონმა გამოიწვია, რომელიც წინადაცვეთას კრძალავდა. იერუსალიმის ტაძრის აღვილზე ახალი, რომაული ტიპის ტაძარი აშენდა ეს იყო იუპიტერის ტაძარი და მასში შესვლა ებრაელებს სასტიკად ეკრძალებოდათ.

ებრაული სახელმწიფო გაქრა, მაგრამ იუდაიზმი არ მომკვდარა. 90წ. იმნაში იუდეველმა სწავლულმა იონათან ბენ-ზაკომ სჯულის შესასწავლად სკოლა გახსნა. მას სხვა სწავლულებიც შეუერთდნენ, განსაკუთრებით ფარისეელები. მართალია გაქრა სამღვდელეობა და მსხვერპლთშეწირვა, არ გამქრალა ებრაელი ერი. სჯულის მასწავლებლები (რაბინები) თავდაუზოგავად გადასცემდნენ კანონებს მომავალ თაობებს.

ი უ დ ა ი ზ მ ი

I საუკუნეში რომის იმპერიაში იუდაიზმს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა რელიგიებსა და კულტებს შორის. ეს იყო ებრაელთა შორის წარმოშობილი ეროვნული რელიგია, მაგრამ მკაცრი ნაციონალური ჩარჩოებით არ შემოიზღუდებოდა. ადრეული იმპერიის ხანაში არაერთ წარმართს ვხედავთ, რომლებმაც იუდაიზმი მიიღეს. ამ რელიგიის გარდა არსებობდა ერთი ღვთისთაყვანისცემის სხვა კულტებიც, მაგრამ ისინი განსხვავდებოდნენ იუდაიზმისაგან, რადგან სხვა ღმერთების არსებობასაც უშვებდნენ, ე.ი. არ იყვნენ მკაცრად მონოთეისტური. ბევრ რელიგიებს ტაძრებიც გააჩნდათ და მსხვერპლთშეწირვასაც აღასრულებდნენ, მაგრამ ეს ტაძრები, ებრაელთ

-
1. ”ბარ-კოხბა”, იგივე “ვარსკვლავის შვილი”, ასე იხსენიებდნენ აჯანყებულები თავიანთ ბელადს ვინაიდან მას “იაკობის ვარსკვლავად” მიიჩნევდნენ.

მსგავსად მათი სულიერების ცენტრს არ წარმოადგენდა. სახალხო რელიგიების დიდი წილი გადმოცემებსა და მისტიკურ გამოცდილებებს ეყრდნობოდა. იუდაიზმი კი საღვთო წერილში ჩაწერილი საღვთო გამოცხადებას ეფუძნებოდა.

I საუკუნეში იუდაიზმის ფორმირება დევნის პროცესში მოხდა. აქამდე ისრაელის ერი დროდადრო მხოლოდ სჯულის ერთგული იყო. იაჰვეს თაყვანისცემა ოფიციალური კულტი იყო, მაგრამ მუდამ გადაუხვევდნენ მისგან, არღვევდნენ რა დადგენილ წესებს და მოთხოვნებს. ძვ. IX ს-ში მთელი ჩრდილოეთ სამეფო მეფე ფინიკიელის ცოლის – იზაბელის კერპთაყვანისმცემლური გავლენის ქვეშ მოექცა. ეს გახლდათ ბაალის თაყვანისცემა. ხოლო ილიას გმირულ მსახურების წყალობით იქნა დაბრუნებული იაჰვეს თაყვანისცემა. სამხრეთ სამეფოში უცხო ღმერთებისადმი თაყვანისცემას ვხვდებით მეფე მანახეს და მისი შვილის - ამონის მმართველობის დროსაც. რელიგიური სიწმინდე აღდგენილ იქნა ოსიას ენერგიული მოღვაწეობით. ტაძრის აღდგენის დროს ნაპოვნი იქნა სჯულის წიგნი. ოსიამ შეისწავლა კანონები და ბრძანა ხალხისთვისაც ესწავლებინათ იგი. სიამ გაატარა მრავალი რეფორმა და აღადგინა პასექის დღესასწაული (2 ნეშტ. 34:1-33); ერი ადვილად ექცეოდა მდიდარი და ძლიერი წარმართული სახელმწიფოების გავლენის ქვეშ, ჩნდებოდა სხვა ღმერთების თაყვანისცემის ცდუნება. ეს ტენდენცია, რომელიც უდაბნოში მოგზაურობის დროს დაიწყო (რიცხვთა 25:1-3), ბაბილონის ტყვეობამდე გაგრძელდა.

ტყვეობამ ებრაელები სერიოზული არჩევანის წინაშე დააყენა: ან უნდა მიეღოთ კერპთაყვანისცემა და თანდათან ასიმილირდებოდნენ (ე.ი. შეეროდნენ სხვა ერს); ან უნდა დაეცვათ ჭეშმარიტი ღვთისთაყვანისცემა. ეროვნული გადარჩენისთვის აუცილებელი იყოსჯულის კანონების დაცვა, ამას გარდა, ტაძრის ღვთისმსახურების ნაცვლად რაღაც ახალი უნდა შემოედოთ, რადგან ტაძარი დანგრეული იყო, წიგნის ტარება კი დევნილობაშიც შეუძლებელი იყო. მაგრამ კულტმა, რომელიც ტაძარში ღვთისმსახურებას აღასრულებდა, არსებობა შეწყვიტა.

ასე, რომ VI ს-ში, ბაბილონის ტყვეობაში ახალმა იუდაიზმმა დაიწყო ფორმირება. კერპთაყვანისცემა ერთხმად იქნა უარყოფილი. ებრაელები, რომლებიც ბაალსა და ქანანელთა ღვთაებებს სცემდნენ თაყვანს, ჭეშმარიტი ღვთისკენ მობრუნდნენ. ამასვე მოწმობს დანიელის წინასწარმეტყველებაც, რომელიც აღწერს, თუ როგორ დაიცავს ერი ღვთის ერთგულებას.

ტაძარში ღვთისმსახურება სჯულის, ანუ თორას შესწავლამ შეცვალა. სულიერების ახალ ცენტრად სინაგოგა იქცა. ებრაელების ფართო განთესილობამ და ტყვეობამ, ასევე მიგრაციებმა გამოიწვია აუცილებლობა ლოცვითი შეკრებისა. მოგვიანებით, როცა ტაძარი აღდგენილ იქნა, ამ შეკრებებს თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავთ, რადგან მსახურებისთვის შორს წასვლა ყველას როდი შეეძლო.

სინაგოგები წარმოიქმნებოდა იქ, სადაც სჯულის შესასწავლად 10-20 ან მეტი ადამიანი შეიკრიბებოდა. სინაგოგაში კვირის მეშვიდე დღეს მიდიოდნენ. თანდათან ისე განმტკიცდა მსახურების ეს ფორმა, რომ I ს-ში, იერუსალიმში ტაძრის ღვთისმსახურების პარალელურად მსახურობდნენ სინაგოგებიც (საქმ. 6:9).

სინაგოგის არსებობის კიდევ ერთი დანიშნულება ის გახლდა, რომ ისინი ხალხს უნდა მოხმარებოდნენ ძველი რელიგიური წესების ახალ ცხოვრებასთან ადაპტირებაში. თუ წინათ იუდეველები მესაქონლეები იყვნენ, ტყვეობის შემდეგ ზოგი მიწათმოქმედი გახდა, ზოგმაც ვაჭრობას მოჰკიდა ხელი, ზოგიც ქალაქელად იქცა. წეს-ჩვეულებათა შესრულება ძველებურად შეუძლებელი იყო. განსაკუთრებით ეს პრობლემა რელიგიურ დღესასწაულებს ეხებოდა. ამას გარდა, სხვა რელიგიების ზეწოლა იუდაიზმზე მხოლოდ მისი ფორმების შეცვლას იწვევდა, ვერც კი ასუსტებდა. საბოლოოდ ამ რელიგიამ თავისი მთავარი პრინციპები, რომლებიც სჯულზე და წინასწარმეტყველებებზე იყო დაფუძნებული, სრულად შეინარჩუნა.

ტ ა ძ ა რ ი

იერუსალიმის პირველი ტაძარი აშენდა მეფე სოლომონის დროს. ძვ. 586წ. იგი ნაბუქოდონოსორმა დაანგრია, რომელმაც შტურმით აიღო იერუსალიმი. ტაძრის აღდგენა ძვ. 537 წლისთვის დაიწყო. ამ მოვლენის შესახებ საუბრობენ ანგია და ზაქარია წინასწარმეტყველნი. ტაძრის მშენებლობა რამდენჯერმე შეწყდა და ბოლოს ძვ. 516წ. ასრულდა (ეზრა 6:13-15). ტაძრის ისტორიის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი. ძვ. 168წ. ეს ტაძარი შებილწა და გაძარცვა ასურეთის მეფე ანტიოქე ეპიფანემ, რომელმაც იქ სამსხვერპლო აღმართა ზევსის პატივსაცემად. სამი წლის შემდეგ, იუდა მაკაბელმა სირიელები იერუსალიმიდან განდევნა და ტაძარი შეაკეთა. ძვ. 63წ. იერუსალიმი რომაელებმა დაიპყრეს. მათ პომპეუსი ხელმძღვანელობდა. ძვ. 54წ. ტაძარი გაძარცვა სხვა რომაელმა მხედართმთავარმა - კრასმა. ძვ. 37წ. ტაძარი კიდევ უფრო დაზიანდა ჰეროდეს შემოჭრის დროს. თავისი მმართველობის მე-18 წლის (ძვ. 29-18), ჰეროდე ტაძრის აღდგენას შეუდგა. მშენებლობის დროს მსახურება არ შეწყვეტილა რის გამოც მშენებლობა ნელა მიმდინარეობდა. მუშაობას მღვდლები ეწეოდნენ. წმიდათაწმიდას დასრულებას კი, კიდევ წელიწადნახევარი დასჭირდა. გალერეის და გარე მშენებლობის დამთავრება ძვ. 62 ან 64 წლისთვის მოხერხდა, როცა უფალ იესო ქრისტეს მტრები ეუბნებოდნენ, რომ ტაძარი 46 წელი შენდებოდა, მათ მხედველობაში ჰქონდათ ის, რომ მშენებლობა კვლავ გრძელდებოდა. (იოან 2:20)

ტაძარი ნაშენი იყო თეთრი მარმარილოთი, მისი ნაწილი ოქროთი იყო მოჭედილი. მისი ენით აუწერელი სილამაზე მრავალთ ხიბლავდა.

ს ი ნ ა გ ო გ ა¹

ჩვენ უკვე გავიგეთ, რომ იუდაიზმის განვითარებაში სინაგოგებმა ერთ-ერთი უმთავრესი როლი შეასრულეს. იუდეველთ დიასპორები მრავალ ქალაქში ხსნიდნენ სინაგოგებს. მრავალი სინაგოგა აღირაცხებოდა იერუსალიმში. გალილეა, რომლის მოსახლეობის უმრავლესობას მაკაბელთა დროს წარმართები წარმოადგენდნენ (მაკ. 5:21-23), იესო ქრისტეს დროს საესე იყო სინაგოგებით.

1. სინაგოგა—ბერძნული სიტყვაა და შეკრებას ნიშნავს.

სინაგოგა თითოეული ებრაელი თემის სასულიერო ცენტრი იყო. აქ ებრაელები ყოველკვირეულად ჩამოდიოდნენ ქალაქებიდან და სოფლებიდან, ეწეობოდა სკოლები, სადაც ბავშვებს სჯულს ასწავლიდნენ, ეწეობოდა ღვთისმსახურება, რომელიც ცვლიდა ტაძრის ღვთისმსახურებას, რადგან დიდ ქალაქებში ჩასვლა ყველას არ შეეძლო. სინაგოგებში მსხვერპლთშეწირვა ლოცვამ და სჯულის სწავლამ შეცვალა, მღვდელი კი - რაბინმა. სინაგოგის წევრთა თავში უხუცესების მიერ არჩეული მთავარი იდგა. იგი თავმჯდომარეობდა მსახურებას, დისპუტების მსვლელობას. სინაგოგის სამეურნეო ცხოვრებას ხელმძღვანელობდა სინაგოგის თანამსახური ან ქაზანი. იგი პასუხს აგებდა შენობის მდგომარეობას და ქონებაზე. მის მოვალეობაში შედიოდა ასევე მიწათმოქმედი გლეხების გაფრთხილება საბათის დაწყებადამთავრებაზე. სინაგოგები მასიური ქვით ნაშენი შენობა იყო. თითოეულ სინაგოგაში არსებობდა სკივრი, სადაც თორას გრაგნილები ინახებოდა.

ღვთისმსახურება სინაგოგებში იწყებოდა შემის—იუდაისტური სარწმუნოების სიმბოლოს კითხვით: “ისმინე ისრაელო! ერთია უფალი, უფალი ჩვენი ღმერთი, გიყვარდეთ უფალი, შენი ღმერთი მთელი შენი გულით და სულით, მთელი შენი შეძლებით” (II რჯ. 6:4.5) კითხვას წინ უძღოდა ღვთისადმი ლოცვა, რომელსაც ბერაკოთი (ძველებრაულად “ნეტარი”) ეწოდებოდა. შემდეგ სრულდებოდა რიტუალური ლოცვა, რომელიც ინდივიდუალურ, მღუმარე ხასიათს ატარებდა. ამის შემდეგ იკითხებოდა ნაწყვეტები თორადან. ყოველ დღეს შეესაბამებოდა თავისი ნაწყვეტი. დროთა განმავლობაში დადგინდა 154 ნაწყვეტი, რომელიც ამდენსავე დღეში უნდა შესრულებულიყო. პალესტინელი ებრაელები სამ წელიწადში კითხულობდნენ თორას, ბაბილონელი ებრაელები კი ერთ წელიწადში. სინაგოგაში ასევე იკითხებოდა წინასწარმეტყველებები, რაზედაც ლუკას სახარებაშია საუბარი (ლკ. 4:16)

იუდაისტური რელიგიური კალენდარი

(ე.წ. წმინდა წელი)

ებრაული კალენდრის მიხედვით წელი შედგება 12 მთვარის და ერთი დამატებითი თვისაგან, რომელიც მთვარის წელს მზის წელთან გასათანაბრებლად ემატებოდა. სამოქალაქო წელი იწყებოდა თიშრის¹ თვით, რომელიც თანამედროვე კალენდრის ოქტომბერს შეესაბამება. საეკლესიო წელი ნისანის თვით იწყება. ამ თვეს დღესასწაულები პასექს. ებრაელებს სულ შვიდი დღესასწაული ჰქონდათ: პასექი, წინდაცვეთა, ერგასი, ახალი წელი და განწმენდის დღე, კარვობის დღესასწაული, განახლება და პურიმი. ჩამოთვლილთაგან პირველი ხუთი მოსეს მიერ არის დაწესებული, ბოლო ორი კი - ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ დაემატა.

პ ა ს ე ქ ი (პეისახი)

პასექის დღესასწაული ებრაელთა უმთავრესი დღესასწაულია, რომელსაც ღრმად ისტორიული და რელიგიური მნიშვნელობა აქვს. ამ დღეს იხეიმება ებრაელთა გამოსვლა ეგვიპტელთა მონობიდან ღვთის შეწევნით. არსით ეს ფაქტი, ებრაელების, როგორც ერის არსებობის დასაწყისს ნიშნავდა.

1. თიშრის თვე-რელიგიური კალენდრის მეშვიდე თვე.

ებრაელები განასხვავებდნენ “ეგვიპტურ პასექს” და “მუდმივ პასექს”. პირველი აღინიშნებოდა 10 ნისანს, ეს იყო დღე, როცა ღვთის ბრძანებით ყველა ეგვიპტეში მცხოვრები ებრაელის კარი სამსხვერპლო ტარიგის სისხლით იქნა მონიშნული, რათა სიკვდილის ანგელოზს, რომელიც ეგვიპტელთა დასასჯელად მათ პირმშობებს ავლებდა მუსრს, ებრაელთა კართათვის გვერდი აეგლო.

“მუდმივი პასექი” შვიდი დღის განმავლობაში იხეიმება. ამ დღეებში იკრძალებოდა აფუებული პურის ჭამა. ორივე დღესასწაული ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ერთ სადღესასწაულო სეზონს შეადგენს.

პასექი ყოველწლიური დღესასწაულია, რომელზეც დასწრება აუცილებელი იყო ყველა იუდეველისათვის, ვინც 24კმ-ზე შორს არ ცხოვრობდა იერუსალიმიდან, გამონაკლისს წარმოადგენდნენ ის პირები, რომლებიც რიტუალურად უწმინდურებად ითვლებოდნენ, ფიზიკურად არ შეეძლოთ მგზავრობა. დღესასწაულზე დასწრების უფლება ჰქონდათ ქალებსაც, თუმცა მათი მონაწილეობა აუცილებლობას არ წარმოადგენდა. მომლოცველები მოდიოდნენ პალესტინის ყველა კუთხიდან, იმპერიის ყველა პროვინციიდან. იოსებ ფლავიუსი წერს, რომ პასექის პერიოდში იერუსალიმის მოსახლეობა სამ მილიონს აღემატებოდა. ბევრი, ვისაც ქალაქში ღამისთვის საშუალება არ ჰქონდა პირდაპირ ქალაქის კედლებთან, კარებში ბინავდებოდა. დღესასწაულებზე მსხვერპლად სწირავდნენ ორ ნორჩ მოზვერს (კურატს), ერთ ვერძს და შვიდ ერთწლიან კრავს. (რიცხ. 28:19), მეორე დღეს მსხვერპლად იწირებოდა პირველმომკილი ძნა და წელგამოვლილი საღი ცხვარი უფლისთვის აღსავლენად (ლუკ. 23:10-14)

ე რ გ ა ს ი

შვიდეულის დღესასწაული

ერგასი, იგივე შვიდეულის დღესასწაული იხეიმებოდა სიბანის (მაისი-ივნისი) თვეში, პირველი ძნის აღვლენის შემდეგ შვიდი კვირის განმავლობაში, პასექის შემდეგ 50-ე დღეს. იუდაისტური რელიგიის მიხედვით, ამ დღეს მიიღო მოსემ სინას მთაზე ღვთის სჯული. ამ დღესასწაულზე მსხვერპლად აღავლენდნენ ახალი მოსავლის საღი თავთავისგან დამზადებულ ორ აფუებულ პურს. სწორედ ამ დღეს გადმოვიდა მოციქულებზე სულიწმინდის მადლი, ამიტომაც ერგასის დღე ეკლესიის შობის დღედ ითვლება.

ახალი წელი, ანუ ბუკთა დღესასწაული

ბუკთა დღესასწაული, რომელსაც იუდეველები თიშრის (სეტემბერ-ოქტომბერი) თვის პირველ დღეს ზეიმობდნენ, ახალი წლის დასაწყისად ითვლება. მთელი დღის განმავლობაში ამ დღესასწაულზე ტაძარში საყვირებს აყვირებენ. პასექისა და ერგასისგან განსხვავებით, ეს დღესასწაული მომლოცველთა დიდი დასწრებით არ გამოირჩეოდა, რადგან იგი აღინიშნებოდა არა მარტო ტაძარში, არამედ სინაგოგებშიც.

განწმენდის დღე

განწმენდის დღე არ წარმოადგენს საზეიმო დღეს. იგი მარხვის დღეა. სწორედ ასე მოიხსენიება იგი ახალ აღთქმაში (საქ. მოც. 27:9). ამ დღეს მღვდელთმთავარი განწმენდის განსაკუთრებულ წესს აღასრულებდა. უბრალო, თეთრ ტილოში შემოსილი მღვდელთმთავარი, რომელიც ამ დღეს არ იცმევდა რიტუალურ, საზეიმო სამოსელს, წმიდათა წმინდაში შედიოდა სამსხვერპლოდან აღებული ნახშირიანი საცეცხლურითა და ხბოს სისხლით სავსე ჭურჭლით, რომელიც ცოდვათა მოსატევებლად შეიწირებოდა. საცეცხლურის სურნელება აღიმართებოდა მღვდელთმთავარსა და კიდობნის ხუფს შორის, რომელსაც იმავდროულად მსხვერპლის სისხლს ასხურებდა. იმავე სისხლით იპყრებოდა საკურთხეველის გარეთ მდებარე სასაკმევლე, სამსხვერპლო და სპილენძის სამსხვერპლოც. მღვდელს მოჰყავდა თხა, დაასხამდა ხელს და აღიარებდა მთელი ერის ცოდვებს, რის შემდეგაც ვაცს უდაბნოში უშვებდნენ, რაც ცოდვების სამუდამოდ ახსნას ნიშნავდა. (ლევ. 16:23, 27-32; რიცხ. 29:7-11). ცერემონიის დამთავრებისას, მღვდელთმთავარი განიძარცვავდა სელის სამოსს და კვლავ საზეიმო სამოსში გამოწყობილი, შეუდგებოდა ჩვეულებრივ მსხვერპლშეწირვას. თანამედროვე იუდაიზმში, დრო ახალ წელსა და განწმენდის დღეს შორის, სინანულის პერიოდად ითვლება. ღვთის მოშიში ერი ამ დროის განმავლობაში ინანიებდა ცოდვებსა და ღვთისაგან შენდობას ითხოვდა, რათა ახალ წელს განწმენდილები შეხვედროდნენ.

კარვობის დღესასწაული

განწმენდიდან ხუთი დღის შემდეგ იწყებოდა კარვობის დღესასწაული (ლევ. 23:34, მეორე სჯ. 16:13), რომელიც თიშრის თვეში უწევდა და 15-22 დღეს გრძელდებოდა. იგი აღინიშნებოდა უდაბნოში ხეტიალის გასახსენებლად, ასევე სამადლობლო დღესასწაულად ითვლებოდა, რომელიც მოსავლის აღების დასასრულს იმართებოდა. ამ დღესასწაულის ერთ-ერთი უმთავრესი რიტუალი ქოხების აღმართვა იყო, რომელიც უდაბნოში ხეტიალისა და ცხოვრების პერიოდს შეახსენებდა მრევლს. იწირებოდა დიდი რაოდენობით მსხვერპლი. გამოირჩევა უკანასკნელი კვირის ბოლო დღე, რომელსაც იოანე ღვთისმეტყველი მოიხსენიებს, როგორც “უკანასკნელი დღე დიდი დღესასწაულისა” (იოანე 7:37). ამ დღეს ტაძრის სამსხვერპლოს წყლის პყურება და დანსაკუთრებულ ფსალმუნთა გალობა აღესრულებოდა (ფს. 112-117) კარვობის დღესასწაული პოპულარული იყო და მხიარულ ხასიათს ატარებდა.

როგორც ავღნიშნეთ, შემდეგი ორი დღესასწაული დაემატა შემდეგ, ე.ი. ტყვეობიდან გამოსხნის მერე.

განახლების დღესასწაული

(ნათელი ჰანუკა)

ჰანუკა იზეიმება რვა დღის განმავლობაში. იგი იწყება კისლევის (ნოემბერ-დეკემბერი) 25-დან. ეს დღესასწაული მოხსენიებულია იოანეს სახარებაში (იოანე 10:22). იგი დააწესა იუდა მაკაბელმა ძვ. 164წ. ანტიოქე ეპიფანეს მიერ შებილწული ტაძრის განწმენდის გასახსენებლად. ამ დღეს

ყველა ებრაელის სახლი განსაკუთრებული სინათლით ბრწყინავდა, ბავშვებს კი უყვებოდნენ მოთხრობებს მაკაბელთა ცხოვრებიდან.

პურიმი

პურიმი, ანუ “ბედი” აღინიშნებოდა აღარის (თებერვალ–მარტი) თვის მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე დღეს. იგი უფრო ეროვნული დღესასწაულის ხასიათს ატარებს, ვიდრე რელიგიურის. ამ დღეებში სინაგოგაში საჯაროდ იკითხება ესთერის წიგნი. I საუკუნის იუდეაში არსებობდა კიდევ სხვა მრავალი დღესასწაული, ასევე სხვა სამარხო დღეებიც.

იუდაიზმის სექტები

პირველ საუკუნეში არსებობდა იუდაიზმის რამდენიმე მიმართულება. ამ პერიოდის იუდეველთა საზოგადოების შეხედულებათა სპექტრი მოიცავდა მისტიციზმსა და რაციონალიზმს, ლიბერალიზმსა და პოლიტიკურ ოპორტუნიზმს.

ფარისეველნი

ახალი აღთქმის პერიოდში ფარისეველები ყველაზე მსხვილი და გავლენიანი პარტია იყო. სახელწოდება მიიღო სიტყვა “ფარასიდან”, რაც “განყოფას” ნიშნავდა. ფარისეველნი იყვნენ სეპარატისტები და ეროვნული რელიგიის გულშემატკივრები, რომლებიც ებრძოდნენ უსამართლობას და დამოუკიდებელი არსებობისკენ ილტვოდნენ. ერისაგან მოითხოვდნენ სჯულის მტკიცედ დაცვასა და ზეპირი გადმოცემების ზედმიწევნით შესრულებას. ფარისეველთა გარკვეული ჯგუფები წარმოიშვნენ მაკაბელთა აჯანყების დროს და ძვ. 135 წლიდან უკვე მტკიცე პოზიციები დაიკავეს ებრაელთა საზოგადოებაში. მათი თეოლოგიის საფუძვლები ძველი აღთქმის კანონები იყო. განმარტებებისას მიმართავდნენ ალეგორიულ მეთოდს. სწამდათ ანგელოზთა და სულთა არსებობა, სულის უკვდავება და ხორცთა აღდგომა. ფარისეველები დიდ დროს უთმობდნენ ლოცვასა და მარხვას, დაუბრკოლებლად იხდიდნენ ტაძარში შემოსავლის მეთოდს. ახალ აღთქმაში ნახვენებია მათი განსაკუთრებული გულმოდგინება შაბათის დაცვაში. ისინი თითქოსდა ზედმიწევნით ასრულებდნენ სჯულის კანონებს, მაგრამ ამასთან უგულველყოფდნენ რეალურ პრობლემებსა და გარემომცველ სირთულეებს, ა.გ. ფარისეველობა იქცა ცბიერების სინონიმად. მიუხედავად ამისა, მათ შორის იყვნენ კეთილსინდისიერი ადამიანებიც. მაგ: ფარისეველი იყო ნიკოდიმოსი, იოსებ არიმათელი, სავლე ტარსიდან – მოგვიანებით მოციქული პავლე.

ფარისეველობა ერთადერთი იყო იუდაიზმის მომდინარეობას შორის, რომელმაც კიდევ დიდხანს იარსება ტაძრის დანგრევისა და ებრაული სახელმწიფოს განადგურების შემდეგ.

სადუკეველნი

ამ მომდინარეობის სახელწოდება მომდინარეობს მღვდელთმთავარი სადოკიდან, რომელიც დავითისა და სოლომონის პერიოდში ცხოვრობდა.

სადოკის გვარიდან მომდინარეობდა სამღვდლო იერარქია ტყვეობის წლებში. (2ნეშტთა 31:10, იეზ. 40:46; 44:15; 48:11). მათ ეს სახელწოდება შეინარჩუნეს ქრისტეს დღეებშიც. სადუკეველნი მცირერიცხოვანნი იყვნენ, მაგრამ ფლობდნენ ძალაუფლებას და გავლენას იუდეას სამოქალაქო და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

სადუკეველთა რელიგიური მსოფლმხედველობის საფუძველს წარმოადგენდა თორა. მათთვის ის იყო წიგნი - ავტორიტეტი, რომელსაც სცნობდნენ და აღიარებდნენ. წინასწარმეტყველებებსა და წერილებს სადუკეველნი უყურებდნენ როგორც მეორე ხარისხოვან მასალას სჯულთან შედარებით. ზეპირ გადმოცემებს კი მთლიანად უარყოფდნენ. სადუკეველნი მიისწრაფოდნენ რაციონალიზმისა და პრაგმატიზმისკენ. ამიტომაც არ სწამდათ არც ანგელოზებისა და არც ეშმაკებისა (საქ. 23:8) და უარყოფდნენ უკვდავებას. მათ რელიგიურ შეხედულებებში უფრო არდებითი იყო სჯულზე დაფუძნებული ეთიკა. პოლიტიკაში სადუკეველნი ხასიათდებოდნენ, როგორც აშკარა ოპორტუნისტები, ისინი თავიანთი უფლებებისა და გავლენის შესანარჩუნებლად რომთან კარგ ურთიერთობას ამჯობინებდნენ.

იერუსალიმის დანგრევის შემდეგ ამ პარტიამ არსებობა შეწყვიტა, რადგან ებრაულ სახელმწიფოს დაცემისა და სამღვდლოების გაქრობის ფონზე, სადუკეველთა მოძრაობა უაზრობად იქცა.

ესეები

ამ იუდაისტურ სექტაზე მცირე რამაა ცნობილ, ისიც იოსებ ფლავიუსის აღწერებიდან. გაურკვეველია თავად სახელწოდების მნიშვნელობა და წარმომავლობაც. ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით მას უკავშირებენ ბერძნულ სიტყვა “Rossos”, რაც “წმიდას” ნიშნავს.

ესეები, ფარისევლებისა და სადუკეველებისაგან განსხვავებით, არავითარ როლს არ თამაშობდნენ ქვეყნის სოც. და პოლიტ. ცხოვრებაში. ეს იყო ცხოვრებისაგან იზოლირებული ადამიანთა ასკეტური ძმობა. ძმობის წევრობისათვის აუცილებელი იყო უმკაცრესი წესების დაცვა. ისინი არ ქორწინდებოდნენ, არ გააჩნდათ კერძო საკუთრება, ყველაფერი საერთო ჰქონდათ. საკვები უკიდურესად უბრალო ჰქონდათ, გამოირჩეოდნენ თავშეკავებული ქცევებით, თუ არ შრომობდნენ, იმოსებოდნენ თეთრი სამოსით. იკრძალებოდა ფიცის დადება, მრისხანება. მკაცრად იცავდნენ შაბათს. სჯულის დამრღვევი იდევნებოდა ძმობიდან. სწამდათ სულების არსებობა და რელიგიური შეხედულებებით ახლო იყვნენ ფარისევლებთან.

ზილოტები

ეს არ გახლავთ რომელიმე პარტია ან ჯგუფი, ესაა ფანატიკოს-ნაციონალთა იდეოლოგია, რომლებიც არანაირ კომპრომისზე არ მიდიოდნენ და ცდილობდნენ რომის ძალაუფლებისაგან განთავისუფლებას. ეს იყო დაახლოებით შეიარაღებული აჯანყების შტაბის მსგავსი რამ. მათი ლოზუნგები უბრალო და გასაგებია: დმერთი ერთადერთი მმართველია ისრაელისა, ამიტომ რომისთვის ხარკის ხდა დაუშვებელია!

ზილოტთა მოძრაობა დაფუძნდა ახ. 6 წელს, იუდა გალილეველის მიერ. მისაბამ მაგალითად ისინი მაკაბელთ თვლიდნენ. ტიტეს იერუსალიმის აღდგენის დროს, ზილოტები ქალაქში მოწინააღმდეგეებს ხოცავდნენ და სამოქალაქო ომის

პროვოცირებას აწვობდნენ. ზილოტი იყო ქრისტეს ერთი თორმეტთაგანი - სიმონ მოშურნე, რაზედაც მისი მეტსახელი მოწმობს (ლკ. 6:15, საქმ.1:13).

დიასპორა

პირველ საუკუნეში ებრაელთა უმრავლესობა თავისი ისტორიული სამშობლოს საზღვრებს გარეთ ცხოვრობდა. პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა და კომერციულმა აქტიურობამ, ბაბილონიდან რომამდე ყველა მსხვილ ქალაქში, ებრაელთა თემების აღმოცენება გამოიწვია, პალესტინის გარეთ მცხოვრებ ებრაელებს დაუმკვიდრდათ სახელწოდება “დიასპორა” რაც “გაფანტვას” ნიშნავს. ებრაელთა განსახლების პროცესი დედამიწაზე ძვ. 721წ. დაიწყო, როცა ასურეთის მეფე სარგონმა გაანადგურა ჩრდ. სამეფო და მცხოვრებლები ასურეთში გადაასახლა. შემდგომში, ძვ. 597წ. ნაბუქოდონოსორმა გაანადგურა რა სამხრეთ სამეფო, მოსახლეობა ბაბილონში გადაასახლა, თუმცა 70 წლიანი ტყვეობის შემდეგ, ეზრასა და ნემიას ხელმძღვანელობით ბევრი მათგანი დაბრუნდა პალესტინაში. მცირე ნაწილმა ადგილზევე გადაწყვიტა დარჩენა, სადაც დაფუძნდა და გამდიდრდა კიდევ. ძვ. IV ს-ში ალექსანდრეს დაპყრობებმა ხელსაყრელი პირობები შექმნა მიგრაციისა და ახალი დასახლებებისათვის. ახლო აღმოსავლეთში წარმოიშვა ძლიერი სამხედრო სახელმწიფო, რომლის ძალაუფლების ქვეშ დროებით შეწყდა შინაომები, რამაც ხელი შეუწყო მოსახლეობის თავისუფალ გადაადგილებას. როგორც სელევკიდები, ისე პტოლომეები ახალისებდნენ ვაჭრობასა და კოლონიზაციას, რითაც მოსახლეობის თავის ტერიტორიაზე მოზიდვას უწყობდნენ ხელს. ისინი კოლონიზატორებს სამოქალაქო უფლებებსა და საგადასახადო შეღავათებს ანიჭებდნენ. ახლო აღმოსავლეთსა და მცირე აზიაში გაჩნდა სწრაფად მზარდი ელინური ქალაქები. ებრაელთა ნაწილი დროებით ჩერდებოდა ამ ტერიტორიებზე, სხვა ნაწილი კი მოქალაქეობას ღებულობდა და სამუდამოდ სახლდებოდა სამუშაო ადგილებზე. ალექსანდრიაში ებრაელთა თემმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა და ავტონომიაც კი ჩამოყალიბდა, რომელსაც ქალაქის ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი მმართველი და ჩინოვნიკები ჰყავდა. პირველ საუკუნეში ალექსანდრიაში ორი მილიონი ებრაელი ცხოვრობდა.

რომის იმპერიის ზრდასთან ერთად დასავლეთის ოლქებში გაჩნდნენ ებრაული დასახლებები. პომპეუსის დაპყრობის შემდეგ რამდენიმე ათასი მონა იქნა ჩაყვანილი რომში. მათმა ნაწილმა მიიღო თავისუფლება და ტვიბროსის მარჯვენა სანაპიროზე დასახლებები დააფუძნა. იულიუს ცეზარისა და ავგუსტუსის დროს ამ დასახლებებმა ოფიციალური სტატუსი მიიღო. ძვ. IV საუკუნეში, რომში 8 000 ებრაელი ცხოვრობდა.

ცხადია, ებრაული დიასპორები ძლიერი ელინური ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. შედეგად ბევრი ებრაელი იცვლიდა რელიგიასა და კარგავდა ეროვნულ სახეს, თუმცა უმრავლესობა თავისი რწმენის ერთგული დარჩა. ისინი დღესასწაულებზე იერუსალიმის ტაძარში იკრიბებოდნენ, იხდიდნენ შემოსავლის მეთაფს, დასახლების ადგილებში აფუძნებდნენ სინაგოგებსა და შაბათობით ერთად იყრიდნენ თავს წმინდა წერილის წასაკითხავად.

ებრაულ დიასპორებს შორის გამოიყოფა ორი ჯგუფი: ებრაელები და ელინისტები.

ე ბ რ ა ე ლ ე ბ ი

“ებრაელები” მოიხსენიება პავლე მოციქულის მიერ, რომელიც თავადაც მათი რიგებიდან იყო. იგი საკუთარ თავზე წერს: “წინადაცვეთილები რვა დღისამან, ნათესავით ისრაელისაი, ტომისაგან ბენიამენისა, ებრაელი ებრაელთაგან, სჯულითა ფარისეველი” (ფილ. 3:5), ამ კატეგორიის დიასპორა აღიარებდა ერთ ღმერთს, ინარჩუნებდა ყველა ჩვევას და სარგებლობდა არამეული ენით.

პავლე მოციქული დაბადებული იყო ბერძნულ ქალაქ ტარსში, ჰქონდა რომის მოქალაქეობა (საქმ. 21:39 22:25-28), არ განუცდია ბერძნული გავლენა, ბოლომდე დარჩა ებრაელი.

ე ლ ი ნ ი ს ტ ე ბ ი

ამ ჯგუფში გაერთიანებული იყვნენ გაცილებით დიდი ოდენობის ებრაელები, რომლებმაც ზურგი აქციეს ეროვნულ კულტურასა და წესჩვეულებებს და რომეულ-ბერძნული ტრადიციები აღიარეს. ისინი ძირითადად საუბრობდნენ ბერძნულად, ან იმ ენაზე, რომელ ქვეყანაშიაც ცხოვრობდნენ.

ე ნ ა

ჩვენთვის საინტერესო ეპოქის რომის იმპერიაში გავრცელებული იყო ოთხი ძირითადი ენა: ლათინური, ბერძნული, არამეული და ძველებრაული. ლათინური იმპერიის ოფიციალური ენა იყო. ამ ენაზე წარმოებდა სასამართლო, იქმნებოდა რომაული ლიტერატურა. ამ ენაზე საუბრობდნენ იტალიის გარეთ მდებარე დასავლეთი ოლქები.

დაპყრობილი ერები, საუბრობდნენ რა დამპყრობელთა ენაზე, გამუდმებით შეჰქონდათ მასში ცვლილებები. ასეთი სახით ტრანსფორმირებულმა ლათინურმა მრავალ ეროვნულ ენას დაუდო სათავე.

ბერძნული ენა ანტიკური კულტურის ენა გახლდათ. ამ ენაზე საუბრობდა იმპერიის ყველა განათლებული ადამიანი. ეს იყო სალაპარაკო ენა აღმოსავლეთის პროვინციებისა. ამ ენაზე მეტყველებდა პალესტინის მოსახლეობაც.

არამეული ახლო აღმოსავლეთში გავრცელებული ენა დახლდათ. ამ ენაზე მიმართავდა ხალხს ანტონიოსის ციხის საფეხურებიდან პავლე მოციქული. ეს ენა არც იესო ქრისტესთვის იყო უცნობი, რაზედაც მისი საუბრები მიგვითითებენ (იოან. 1:42; მათე 7:34; მათ. 27:46), როგორც ჩანს ბევრი პირველი ქრისტიანი საუბრობდა არამეულ ენაზე.

კლასიკური ებრაული ენა, რომელსაც არამეული ენათესავებოდა, ჯერ კიდევ ეზრას დროში დაიკარგა მოსახლეობაში. I საუკუნეებში მას მხოლოდ მღვდლები გამოიყენებდნენ (ასევე მწიგნობრებიც) ღვთისმსახურებისა და საღვთისმეტყველო დისპუტებში. უბრალო ხალხისთვის ეს ენა გაუგებარი იყო.

არ იქნებოდა ურიგო, აქვე გაგვეხსენებინა ის ფაქტი, რომ მაცხოვრის ჯვარზე მოკრულ ფირფიტაზე წარწერა სამენოვანი იყო – ებრაული

(არამეული), ბერძნული და რომაული. (ინ 19:20). სამივე ენა გამოიყენებოდა პალესტინაშიც.

იმპერიის ცენტრში ენების ასეთმა სხვადასხვაობამ ფართო ასპარეზი გაუხსნა ქრისტიანობის გავრცელებას. არც ებრაულსა და არც ლათინურს არ უთამაშია ისეთი დიდი როლი ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში, როგორც არამეულმა და ბერძნულმა ენებმა პირველ საუკუნეში. თითქმის მთელი ახალი აღთქმა ბერძნულ ენაზეა დაწერილი - ასე თვლიან მეცნიერები; გადმოცემა კი გვამცნობს, რომ იესო ქრისტეს სიტყვების ზოგიერთი უძველესი ჩანაწერი არამეულ ენაზე იყო გაკეთებული.

ცნება – ახალი აღთქმის საღვთო წერილი

ახალი აღთქმის საღვთო წერილად იწოდება ბიბლიის იმ საღვთო წიგნთა კრებული, რომელიც მაცხოვრის, უფლის იესო ქრისტეს მოწაფეების, ანუ სულიწმიდით განბრძნობილი მოციქულების მიერ ქრისტეს შობის შემდეგ დაიწერა. სახელწოდება “ახალი ახთქმა”, რომელიც ბიბლიის მეორე ნაწილს ჰქვია, მომდინარეობს ლათინურიდან “Novam Testamentum” რომელიც თავის მხრივ “Kaune Diathehe” მომდინარეობს. ეს გახლავთ ბერძნული წარმოშობის სიტყვა, რომელიც “უკანასკნელ დადგენილებას” ან “დარიგებას” ნიშნავს. ქართულად ითარგმნება როგორც “აღთქმა.” ამ სიტყვის მნიშვნელობა და არსი ძალიან ღრმაა. ესაა ხელშეკრულება, პირობა, რომელიც ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებელ ორ მხარეს მოიცავს. ეს უფრო მეტს ნიშნავს, ვინემ “დაპირება,” რადგანაც ავალდებულებს არა ერთს, არამედ ორივე მხარეს. ა. გ. “ახალი აღთქმა” ერთგვარად ახალი ხელშეკრულებაა, რომელიც ღმერთმა დადო ადამიანთან ქრისტეს მეშვეობით. ღმერთი აყენებს პირობას, რომელიც ადამიანის მიერ შეცვლას არ ექვემდებარება, მაგრამ მას აქვს თავისუფალი არჩევანი მიიღოს, ან უარყოს იგი.

ძველ აღთქმაში თავის ერს ღმერთი სჯულით უცხადებს თავს, ახალ აღთქმაში კი თავისი ძის - იესო ქრისტეს მეშვეობით; და ისინი, ვინც ამ განცხადებას ღებულობენ, ღმრთის შვილები ხდებიან.

ახალი აღთქმის საღვთო წიგნების დაწერის მიზანი მათი შინაარსი

ახალი აღთქმის საღვთო წიგნები იწერებოდა წმინდა მოციქულთა მიერ იმ მიზნით, რომ გამოეხატათ (გადმოეცათ) ადამიანთა ხსნა, რომელიც უფალმა იესო ქრისტემ, ძე ღვთისამ აღასრულა, ამ მაღალი მიზნის შესაბამისად, ეს წიგნები მოგვითხრობენ ძე ღვთისას განკაცების უდიდეს მოვლენაზე, მისი მიწიები ცხოვრების, სასწაულებისა თუ ქადაგებების შესახებ, მისი გამომსყიდველი ტანჯვისა და ჯვარცმის შესახებ, ბრწყინვალე აღდგომისა და ამადლების შესახებ. ასევე გვესაუბრებიან მოციქულთა მიერ ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების პირველ პერიოდზე, განგვიმარტავენ იესო ქრისტეს სწავლებასა და გვაფრთხილებენ სამყაროს და კაცობრიობის უკანასკნელ ხვედრზე.

რიცხვი, დასახელება და ახალი აღთქმის საღვთო წიგნთა თანმიმდევრობა

ახალი აღთქმის საღვთო წიგნთა რიცხვი 27-ია. მათი დასახელება და თანმიმდევრობა შემდეგია:

1. მათეს სახარება;
2. მარკოზის სახარება;
3. ლუკას სახარება;
4. იოანეს სახარება;
5. საქმე მოციქულთა;
6. იაკობ მოციქულის კათოლიკე ეპისტოლე;
7. პირველი კათოლიკე ეპისტოლე წმ. პეტრე მოციქულისა;
8. მეორე კათოლიკე ეპისტოლე წმ. პეტრე მოციქულისა;
9. პირველი კათოლიკე ეპისტოლე წმ. იოანე ღვთისმეტყველისა;
10. მეორე კათოლიკე ეპისტოლე წმ. იოანე ღვთისმეტყველის;
11. მესამე კათოლიკე ეპისტოლე წმ. იოანე ღვთისმეტყველისა;
12. წმ. მოციქული იუდას კათოლიკე ეპისტოლე;
13. წმ. პავლე მოციქულის ეპისტოლე რომაელთა მიმართ;
14. წმ. პავლე მოციქულის პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ;
15. წმ. პავლე მოციქულის მეორე ეპისტოლე კორინთელთა მიმართ;
16. წმ. პავლე მოციქულის ეპისტოლე გალატელთა მიმართ;
17. წმ. პავლე მოციქულის ეპისტოლე გალატელთა მიმართ;
18. წმ. პავლე მოციქულის ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ;
19. წმ. პავლე მოციქულის ეპისტოლე კოლასელთა მიმართ;
20. წმ. პავლე მოციქულის პირველი ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ;
21. წმ. პავლე მოციქულის მეორე ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ;
22. წმ. პავლე მოციქულის პირველი ეპისტოლე ტიმოთელთა მიმართ;
23. წმ. პავლე მოციქულის მეორე ეპისტოლე ტიმოთელთა მიმართ;
24. წმ. პავლე მოციქულის ეპისტოლე ტიტეს მიმართ;
25. წმ. პავლე მოციქულის ეპისტოლე ფილიმონის მიმართ;
26. წმ. პავლე მოციქულის ეპისტოლე ებრაელთა მიმართ;
27. აპოკალიფსი, ანუ გამოცხადება წმ. იოანე ღვთისმეტყველისა.

ახალი აღთქმის საღვთო წიგნთა სხვადასხვა

დასახელებათა შინაარსი

ახალი აღთქმის საღვთო კრებულს “ახალ აღთქმას” უწოდებენ. მასში შემავალი პირველი ოთხი წიგნი იწოდებოდა “ოთხთავად” ან უბრალოდ “სახარებად”, რამეთუ მასში “კეთილი ამბავია” გადმოცემული. სიტყვა “სახარება” ბერძნულიდან თარგმანში “კეთილ, კარგ ამბავს” ნიშნავს. ეს “კეთილი ამბავი” გვაუწყებს ღვთის მიერ პირველი ადამიანებისადმი აღთქმული მხსნელის ამქვეყნად მოვლინებასა და მის მიერ ადამიანთა გამოსყიდვის დიდებული საქმის აღსრულებას. სახარებად იწოდებიან წიგნები, რომლებშიც გადმოცემულია იესოს მიწიერი ცხოვრება და სწავლება. ახალი აღთქმის სხვა დანარჩენი წიგნები იწოდებიან “ეპისტოლეებად”. მათში აღწერილია წმ. მოციქულთა საქმეები და მათი დარიგებები პირველი ქრისტიანებისადმი.

ახალი აღთქმის საღვთო წიგნთა დაყოფა

შინაარსის მიხედვით

ახალი აღთქმის საღვთო წიგნები შინაარსის მიხედვით იყოფიან ოთხ ნაწილად.

1. წიგნი სჯულებითი – ესაა სახარება მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანესი. შეიცავენ ახალაღთქმისეული რჯულის არსს და გადმოგვცემენ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს გამომსყიდველი მოღვაწეობის შესახებ.

2. წიგნი ისტორიული – ესაა საქმე მოციქულთა, იგი გადმოგვცემს დედამიწაზე ქრისტეს ეკლესიის ჩამოყალიბებისა და გავრცელების ისტორიას.

3. წიგნი მოძღვრებითი – მას მიეკუთვნება 7 კათოლიკე ეპისტოლე; ერთი იაკობ მოციქულისა, ორი პეტრე მოციქულისა, სამი იოანე ღვთისმეტყველისა და ერთიც იუდა მოციქულისა. ასევე 14 ეპისტოლე პავლე მოციქულისა, რომლებიც მოციქულთა სწავლებებს – ქრისტეს სწავლებათა განმარტებებს შეიცავენ.

4. წიგნი წინასწარმეტყველებითი – აქ განიხილება აპოკალიფსი, ანუ წმ. იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადება. ესაა საიდუმლო ხილვები და წინასწარმეტყველებები ქრისტეს ეკლესიის მომავალი ბედის შესახებ, სამყაროსა და კაცობრიობის მომავალზე.

ახალი აღთქმის საღვთო წიგნთა

კანონიკურობის ისტორია

ახალი აღთქმის ყველა წიგნი კანონიკურად ითვლება. ამ წიგნებმა დაწერისთანავე მოიპოვეს კანონიკურობა, რადგან ყველასათვის იყო ცნობილი მათი ავტორების მაღალი ავტორიტეტულობა. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია წმ. პეტრე მოციქულის მოწმობა თავისსავე II ეპისტოლეში (3:16), სადაც ის ამბობს, რომ მისთვის ცნობილია პავლეს “ყველა ეპისტოლე”. არსებობს უამრავი მოწმობა იმისა, რომ ეკლესია ახალი აღთქმის დღემდე ცნობილ ყველა საღვთო წიგნს თავიდანვე კანონიკური ღირსების მქონე წიგნებად თვლიდა.

კანონიკური წიგნები ეწოდება ისეთ წიგნებს, რომლებიც წმიდა მამათა და საეკლესიო კრებათაგან ჭეშმარიტად მოციქულთა და წინასწარმეტყველთა მიერ დაწერილად არიან აღიარებულნი, ამიტომაც როგორც ღვთივსულიერნი, სავალდებულონი არიან ჩვენი ცხოვრებისათვის.

საღვთო წიგნთა კანონიკურად და არაკანონიკურად დაყოფისას ეკლესია ხელმძღვანელობდა ისტორიული საღვთო გამოცემით, რომელიც მეტყველებდა ამა თუ იმ წიგნის ჭეშმარიტად სამოციქულო ან წინასწარმეტყველურ წარმომავლობაზე. მაგ.: ახალი აღთქმის წიგნთა რიცხვი 27, კანონიკურად ითვლება. ამ წიგნთა ავტორებმა დიდხანს იცოცხლეს, ამასთან ცოცხლები იყვნენ ისინიც, ვისთვისაც ეს წიგნები იწერებოდა, ამიტომ ისინი იოლად შეძლებდნენ ყალბი წიგნების აღმოჩენასა და მხილებას. გარდა ამისა,

მოციქულთა ეპისტოლეები ერთ ეკლესიაში წაკითხვის შემდეგ, მეორეში იგზავნებოდა. აქ კი მას მხოლოდ მას შემდეგ წაიკითხავდნენ, რაც გამგზავნელი ეკლესია დაამოწმებდა, რომ ეპისტოლე ჭეშმარიტად მოციქულს ეკუთვნის. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ყოველი ახალი ეპისტოლეს შედარებას სხვა ეპისტოლეებთან. ამგვარი გონივრული სიფრთხილის შემდეგ, რასაც მოციქულები იჩენდნენ საღვთო წერილებთან დაკავშირებით, ეჭვს აღარ იწვევს ახალი აღთქმის 27-ე წიგნთა კანონიკურობა და სავალდებულობა.

VI მსოფლიო საეკლესიო კრებაზე საბოლოოდ და საზეიმოდ დამტკიცდა ახალი აღთქმის საღვთო წიგნთა რიცხვი და კანონიკურობა.

ახალი აღთქმის საღვთო წიგნთა ენა

ახალი აღთქმის ყველა საღვთო წიგნი, გარდა მათეს სახარებისა, დაწერილია ბერძნულ ენაზე. ეს არ გახლავთ კლასიკური ბერძნული ენა, არამედ ამ ენის ალექსანდრიული დიალექტია, რომელსაც სხვაგვარად “კიხი” ეწოდება და რომელიც გასაგები იყო რომის იმპერიის როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის პროვინციების მკვიდრთათვისაც. ეს იყო ენა მაშინდელი განათლებული საზოგადოებისა. საღვთო წიგნთა ამ ენაზე წერის მიზანიც სწორედ ის იყო, რომ იგი ხელსაყრელი და გასაგები ყოფილიყო ყველა განათლებული ადამიანისათვის.

შენიშვნა: მათეს სახარება თავდაპირველად ებრაულ ენაზე დაიწერა, კერძოდ პალესტინურ დიალექტზე – სიროქალდეურზე. წმ. ირინეოს ლიონელი წერს: “მათემ სახარება დაწერა ებრაელთათვის მათს საკუთარ ენაზე”. ნეტარი იერონიმე აღნიშნავს: “მათემ იუდეაში გამოსცა სახარება ებრაულად”. იგივეს მოწმობენ ეპიფანე, ავგუსტინე, ოქროპირი და სხვები. ამასთან ყველა ხსენებული მწერალი და პირველი დროის ქრისტიანებიც სარგებლობდნენ მათეს სახარების ბერძნული და არა ებრაული ვარიანტით. ა. გ. ეკლესიაში იმთავითვე მათეს სახარება ითარგმნა ბერძნულად და ეს ბუნებრივი იყო, რადგან ბერძნული განათლების მქონე ქვეყნებში ებრაული ნაკლებად, ან სულ არ იყო გასაგები. თუ ვის მიერ ითარგმნა მათეს სახარება, ზუსტად არ არის ცნობილი. არსებობს მოსაზრება, რომ იგი თავად მათემ თარგმნა. სხვა მოსაზრებით, იოანე ღვთისმეტყველის მიერაა თარგმნილი. ასევე ფიქრობენ, რომ მათეს რომელიმე მოწაფის მიერაა თარგმნილი ავტორის უშუალო ხელმძღვანელობით. ერთი რამ ცხადია, თარგმანი უეჭველია და დამტკიცებულია მისი სიზუსტე, რადგან სხვაგვარად ეკლესია მას არ მიიღებდა.

სად წავიდა მათეს სახარების ებრაული დედანი? როგორც ეკლესიის მამები მოწმობენ, იგი ებრაელ ქრისტიანებს დარჩათ. დროთა განმავლობაში მათ გამოეყვნენ სექტები – ნაბორეველები და ებიონელები და სახარებაც მათ ხელში გადავიდა. აქ იგი შეიბილწა და შეირყვნა: გაჩნდა ჩანამატები, ერეტიკული ჩანაწერები, მოხდა რიგი ადგილების ამოშლა, დაკარგვა. ერთი სიტყვით, მან თავდაპირველი სიწმინდე დაკარგა.

ახალი აღთქმის საღვთო წიგნები იწერებოდა ავტორთა ან გადამწერების მიერ, რომლებსაც თვით ავტორები კარნახობდნენ ტექსტს. საღვთო წიგნებს წერდნენ ეგვიპტური ლერწმისაგან დამზადებულ პაპირუსზე “კალმითა და მელნით” (ინ. 3:13). დასაწერად იყენებდნენ ცხოველთა ტყავსაც, რაც ძალიან

ძვირად ფასობდა. წერისას გამოიყენებოდა ბერძნული ენის დიდი ასოები, თანაც სასვენი ნიშნების გარეშე. ე. ი. სიტყვები ერთმანეთისაგან არ იმიჯნებოდა. სიტყვათა დაშორების მიზნით IX ს-ში შემოვიდა პატარა ასოები, ხოლო XVI ს-ში აღდგეს მაპუციას მიერ წიგნთა ბეჭდვის წარმოების დროს, დამკვიდრდა სასვენი ნიშნებიც. დაყოფის დღევანდელი ვარიანტი ეკუთვნის კარდინალ კუგს (XIII ს. დასავლეთის მოღვაწე), ხოლო ტექსტის მუხლებად დაყოფა პარიზელ ტოპოგრაფს – რობერტ სტეფანს (XVI ს.).

დღეა ეკლესია და სწავლული ეპისკოპოსები გულმოდგინედ ცდილობდნენ საღვთო წიგნების დაცვას ყოველგვარი დამახინჯებისაგან, რომელიც ძირითადად შეიძლება მომხდარიყო წიგნთა ბეჭდვის ან გადაწერის დროს. არსებობს ცნობა, რომ ტექსტების გასწორებაზე ზრუნავდნენ ისეთი დიდი ადამიანები, როგორცაა ორიგენე, ოსიხია, ლუკიანე, ეგვიპტელი ეპისკოპოსი, ანტიოქიელი მღვდელი და სხვა.

XV ს-ის პირველ ნახევარში თითქმის ერთდროულად გამოჩნდა ახალი აღთქმის ბერძნული ტექსტის ორი ბეჭდვითი გამომცემლობა: ე. წ. კომპლიუტენის პოლიგლოტა ესპანეთში და როტერდამის კრაზმა ბაზელში. აღსანიშნავია ტიშენდორფის შრომები გასულ ასწლეულებში – გამოიცა ახალი აღთქმის 900-მდე ხელნაწერი. წიგნის გავრცელების საუკეთესო საშუალებაა მისი სხვადასხვა ენაზე თარგმნა. ასე გავრცელდა ბიბლიაც. ბაბილონის ტყვეობამდე წიგნები ებრაული ენითაა დაწერილი. ბაბილონის ტყვეობაში ებრაელებს იმდენად დაავიწყდათ მშობლიური ენა, რომ აღარ შეეძლოთ საღვთო წიგნთა შინაარსის გაგება, ამიტომაც კითხვის დროს საჭირო იყო მისი განმარტებაც. აქედან წარმოსდგება ე. წ. ტარგუმი. ტარგუმი არის საღვთო წერილის თავისუფალი ქალდეური თარგმანი განმარტებებით. ტარგუმები შემოიღეს მაკაბელთა დროს.

საღვთო წერილის ძველ თარგმანთა შორის აღსანიშნავია ბერძნული თარგმანი, რომელსაც ეწოდება “თარგმანი სამოცდა ათთა მთარგმნელთა”. ეს თარგმანი შესრულდა იმ ებრაელთათვის, რომელთაც მშობლიური ენა დაავიწყდათ და აღექსანდრიული ბერძნულით საუბრობდნენ. ეგვიპტის მმართველის პტოლომეოსს ფილადელფის თხოვნით იერუსალიმელმა მღვდელმთავარმა ელეაზარმა აღექსანდრიაში გაგზავნა 72 სწავლული, რომლებიც კარგად ფლობდნენ ბერძნულ და ებრაულ ენებს და თან გაატანა ოქროს ასოებით დაწერილი ებრაული “დაბადება”, რომელიც ძვ. 270წ. ებრაულიდან ბერძნულად თარგმნეს. მთარგმნელთა რიცხვის მიხედვით ამ თარგმანს “სამოცდაათთორმეტთა” ან უფრო მარტივად “სამოცდაათთა” ეწოდება. ამ თარგმანის ღირსება ის არის, რომ იგი მთელი სიზუსტითაა თარგმნილი და ალაგ-ალაგ ახლავს განმარტებებიც. ამ თარგმანით სარგებლობდნენ იესო ქრისტე და მისის მოწაფეები, ასევე იგი გამოიყენებოდა აღმოსავლეთის ეკლესიებში. აქედანვეა თარგმნილი ქართული “დაბადებაც”.

ზემოსხენებულის გარდა არსებობს ქრისტეს შობის შემდეგ შესრულებული თარგმანებიც.

1. თარგმანი აკვილასი (პონტოელი ურია ქრ. შ-დან 128წ.), ახლოსაა დედანთან.
2. თარგმანი თეოდოსტიონესი (III ს. ქრ. შ-დან) ეს თარგმანი თავისუფლად გადმოსცემს დედნის აზრს.

3. თარგმანი სვიმაქოსი (180წ. ქრ. შ-დან). შუალედური ვერსიაა ორ ზემოხსენებულ თარგმანს შორის.

ასურეთში გაჩნდა საღვთო წიგნების ასურული თარგმანი. მათგან უძველესია “პეშიტო” (მარტივი, უბრალო). შეიქმნა II ს-ში. არსებობს ლათინური თარგმანიც, რომელიც პირველივე საუკუნეში შეიქმნა და ლათინურად მოლაპარაკეთათვის იყო განკუთვნილი. იგი იტალიაშიც იხმარებოდა, ამიტომ მას იტალიურსაც უწოდებდნენ.

IVს-ში, ებრაული ენის საუკეთესო მცოდნემ ნეტარმა იერონიმემ შეასწორა დაბადების ძველი თარგმანი და გამოსცა ახალი, რომელსაც “ვულგატა” ანუ “სახოგადო სახმარებელი” ეწოდება. XVIIს-ში ეს თარგმანი მოწონებული იქნა ტრიდენტის კრების მიერ და სავალდებულო გახდა რომის კათოლიკე ეკლესიითვის. ამ თარგმანს ჩვენთვისაც აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგან ვახუშტი ბატონიშვილმა სწორედ აქედან თარგმნა ივლითისა და ტობიას წიგნი.

პირველ ხანებში საქართველოში ღვთისმსახურება ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა. ქართველებმა თანდათან იწყეს საღვთო წიგნთა თარგმნა. პირველად ითარგმნა ღვთისმსახურებისთვის საჭირო წიგნები – დავითნი და სახარება. ქართველი მემატიანის მიხედვით V ს-ში სახარება თარგმნილა საგლუხტ დედოფლისთვის (408-410წ.წ.); ფარსმანე მეფემ (542-555წ.წ.) მისცა ეგაგრეს ძვირფასი სახარება. ქართული დაბადება გადმოითარგმნა ბერძნული LXX თარგმანიდან. თარგმანისას ქართველები სხვა თარგმანებითაც (მაგ. სომხურით) სარგებლობდნენ. წმ. გიორგი მთაწმინდელის ცნობით, მისი დროის საქართველოში არსებობდა:

1. საბაწმინდური თარგმანი;
2. ხანმეტნი;
3. თვით წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ შესრულებული თარგმანი;
4. ექვთიმე ათონელის თარგმანი “დაბადებისა”, რომელიც გიორგიმ იპოვა

შერყენილი და შეასწორა დიდის გულმოდგინებით.

მრიგად, ქართული დაბადება სრულად გადმოითარგმნა X ს-მდე. იგი ითარგმნებოდა ნაწილ-ნაწილ, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირთა მიერ, როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთაც – პალესტინაში, სირიაში, კონსტანტინოპოლში და ათონზე.

არჩილ მეფემ (1712წ.) რუსეთში გადასახლების შემდეგ შეაგროვა საღვთო წერილის სხვადასხვა ქართული ვარიანტები, რაც აკლდა სლავური ტექსტიდან გადმოითარგმნით შეავსო (მაკაბელთა და ზირაქის წიგნი), მაგრამ არჩილის მიერ გამოცემულ დაბადებაში გადამწერის დაუდევრობის გამო ბევრი შეცდომაა დაშვებული. გამოტოვებულია მრავალი მუხლი, აკლია ცალკეული სიტყვები და წინადადებები.

“დაბადება” არ იყო დაყოფილი თავებად, ამიტომ მეფემ ბაქარ ვახტანგის ძემ კვლავ ხელი მიჰყო ქართული დაბადების შესწორება-შეესებას. მან და სასულიერო პირთა კრებამ ვახუშტი ბატონიშვილს ქართული დაბადების თავებად და მუხლებად დაყოფა და მისი ებრაულ, ბერძნულ, ლათინურ, ასურულ და სომხურ ვარიანტებთან შედარება დაავალეს. ვახუშტიმ შეასწორა მოსეს ხუთი წიგნი, მსაჯულთა, ნეშტთა, იობის და სხვანი. ივლითისა და ტობიას წიგნები კი ლათინურიდან გადმოითარგმნა. ეს თარგმანი “ბაქარის დაბადებადაა” ცნობილი. იგი დაიბეჭდა 1743წ. მოსკოვში.

მიუხედავად დიდი შრომისა, ვერც ზემოხსენებული თარგმანი ასცდა შეცდომებს, რაც შემსწორებლების სლაური ენის ცუდად ცოდნით იყო გამოწვეული. 1863წ. უწმინდესი სიონის მიერ შედგა დაბადების შემსწორებელთა კომიტეტი, რომელსაც “ბაქარის დაბადება” უნდა შეესწორებინა. “უკანასკნელად დაბადება დაიბეჭდა 1884წ. თბილისში, ხელადის სტამბაში, მხედრული ასოებით. ეს ტექსტი უფრო უარესი გამოდგა “ბაქარის დაბადებასთან” შედარებით, ამიტომ საჭიროებდა შესწორებას. 1896წ. კომიტეტმა კვლავ შეასწორა და დაბეჭდა მოსეს ხუთი წიგნი.

წიგნის ბეჭდვის შემოღების შემდეგ პირველად ქართულად დაიბეჭდა “დავითნი” 1705წ. მოსკოვში. სახარება პირველად თბილისში დაიბეჭდა 1708წ. სრული დაბადება კი დაიბეჭდა ჯერ 1743წ. მოსკოვში, შემდეგ კი 1884წ. თბილისში.

ახალი აღთქმის საღვთო წიგნების დაწერის დრო

ახალი აღთქმის საღვთო წიგნთა დაწერის ზუსტი დროის განსაზღვრა შეუძლებელია, მაგრამ უეჭველია, რომ ყოველი მათგანი I ს-ის II ნახევარში დაიწერა. ამის დასტურია ის ფაქტიც, რომ მეორე საუკუნის მწერლები თავიანთ თხზულებებში ახალი აღთქმის საღვთო წიგნებს იყენებდნენ, მოჰყავდათ ციტატები ან ცალკეული მოსაზრებები. მაგ.: იუსტინე ფილოსოფოსი თავის აპოლოგიაში (150წ.) ხშირად იყენებს ციტატებს საღვთო წიგნებიდან; ასევე წარმართი მწერალი ცელსიუსი (III ს.), მღვდელმთავარი ეგნატე თავის ეპისტოლეებში (107წ.) და სხვა.

ახალი აღთქმის პირველი წიგნები თავდაპირველად წმ. მოციქულთა ეპისტოლეები გახლდათ, რომელიც ახალმოქცეული ქრისტიანების რწმენაში განსამტკიცებლად დაიწერა. მალევე შეიქმნა საჭიროება იმისა, რომ ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრებისა და მოძღვრების ამსახველი წიგნები შექმნილიყო. მთელი პატერიკული ლიტერატურა მოწმობს, რომ ახალი აღთქმის ყველა საღვთო წიგნი I ს-შია დაწერილი. საეკლესიო ისტორიკოსის ევსევის მოწმობით, რომელსაც ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელიც ემხრობა, თვლის, რომ მათეს სახარება დაიწერა მაცხოვრის ამალლებიდან მერვე წელს მარკოზის – მეათე წელს, ლუკას – მეთხუტმეტე წელს და იოანესი – ოცდამეთორმეტე წელს. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ მათეს სახარება სახარებათა შორის ყველაზე ადრეა დაწერილი, არა უგვიანეს 50-60 წ.წ.-სა. მარკოზისა და ლუკას სახარებები ცოტა მოგვიანებით, დაახლოებით იერუსალიმის დანგრევამდე (70წ.) დაიწერა, ყველაზე გვიან კი სახარება იოანე ღვთისმეტყველმა დაწერა I საუკუნის ბოლოს, დრმა სიბერეში, როგორც ვარაუდობენ 96 წლისამ. მანამდე კი, რამდენიმე ხნით ადრე დაიწერა აპოკალიფსი. წიგნი “საქმე მოციქულთა” დაიწერა მესამე სახარების შემდეგ და როგორც შესავლიდან ჩანს, იგი წარმოადგენს სახარების თითქოსდა გაგრძელებას.

ოთხთავი

ოთხივე სახარება ერთხმად მოგვითხრობს ქრისტეს ცხოვრებისა და სწავლების, მისი სასწაულების, ჯვარზე ვნების, სიკვდილისა და დასაფლავების, აღდგომისა და ზეცად ამალლების შესახებ. ისინი წარმოადგენენ ერთ მთლიან წიგნს და არ არიან ერთმანეთის მიმართ

წინააღმდეგობაში. ძვ. ქრისტიანი მწერლები ოთხთავს ადარებდნენ მდინარეს, რომელიც გამოდინდა ედემიდან, რწყავდა სამოთხეს და ოთხად გაყოფილი კეთილად სავსე ქვეყნებში მიედინებოდა. ოთხთავის სიმბოლოა ასევე საიდუმლო ეტლი, რომელიც ეზეკიელ წინასწარმეტყველმა იხილა მდ. ქობასთან (1:1-28). ეტლი იღვა ოთხ არსებაზე, მათი სახეები მოგვაგონებდა: ადამიანს, ლომს, ხბოსა და არწივს. ისინი მახარებელთა სიმბოლოებად იქცნენ. V ს-დან მოყოლებული ქრისტიანული ხელოვნება წმ. მათეს ადამიანის ან ანგელოზის სახით გამოხატავს, წმ. მარკოსს – ლომის, წმ. ლუკას – ხბოს და წმ. იოანეს – არწივის სახით.

წმ. მათეს ადამიანის სახით გამოხატავდნენ იმდენად, რამდენადაც ის თავის სახარებაში დავითიდან და აბრაამიდან დაწყებული, მაცხოვრის ადამიანურ წარმომავლობას აღნიშნავს. წმ. მარკოზი ხაზგასმით მიუთითებს მაცხოვრის ყოვლისშემძლეობაზე (ლომი); წმ. ლუკა საუბრობს მაცხოვარზე, როგორც ყველაზე დიდ მღვდელმთავარზე, რომელმაც თავისი თავი მიიტანა სამსხვერპლოზე კაცთა ცოდვისათვის (ხბო); წმ. იოანე მაცხოვარს მისი სულიერი სიმაღლის გამო ზეცად მოლივლივე არწივს ადარებს.

გარდა ოთხი კანონიკური სახარებისა, პირველი საუკუნეებში ცნობილი იყო 50-მდე სხვა წერილებიც, რომელთაც სახარებები ეწოდებოდა და სამოციქულო წარმომავლობას მიაწერდნენ. ეკლესიამ ეს წერილები “აპოკრიფულ” წიგნთა რიცხვს მიაკუთვნა.

ნეტარი ირინეოს ლიონელი, ყოფილი მოწაფე წმ. პოლიკარპე სმირნელისა, რომელიც თავის მხრივ იყო მოწაფე წმ. იოანე ღვთისმეტყველისა, თავის წიგნში “ერესების წინააღმდეგ” (III – 2.8) აღნიშნავს, რომ სახარება მხოლოდ ოთხია და ის არ უნდა იყოს არც მეტი, არც ნაკლები, ვინაიდან სამყაროს ოთხი მხარე აქვს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ იესოს 12 მოწაფეთაგან სახარების დამწერი მხოლოდ ორი მოციქულია – იოანე და მათე, ერთი პავლეს მოწაფე და ერთიც პეტრეს მოწაფე, ასე იმიტომ მოხდა, რომ ისინი არაფერს აკეთებდნენ პატივმოყვარეობით, არამედ სარგებლობისთვის. ცხადია, ერთ მახარებელსაც შეეძლო ყველაფრის თავიდან ბოლომდე აღწერა, მაგრამ სახარებები იწერებოდა სხვადასხვა დროსა და ადგილას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და მიუხედავად ამისა ისინი წარმოადგენენ ერთ მთლიანს, ჰარმონიულს, “თითქოს ერთი ბაგით წარმოთქმულს” – ამბობს წმ. იოანე ოქროპირი და ასკენის “სწორედ ეს წარმოადგენს ჭეშმარიტების დიდ მტკიცებულებას”. ზოგჯერ მახარებლები ერთმანეთს არ ეთანხმებიან, უფრო მეტიც, ეწინააღმდეგებიან კიდევ ერთმანეთს. ასე კი იმიტომ მოხდა, რომ მტერს ეჭვი არ შეპარვოდა მათს შეუთანხმებლად და დამოუკიდებლად შექმნაში. პირდაპირ ავტორისვე სიტყვებით რომ ვთქვათ: “თუ ისინი ყველაფერში ერთმანეთის თანახმა იქნებოდნენ – დროის და ადგილის თაობაზე, თვით სიტყვებშიც კი, მაშინ მტერთაგან არავინ დაიჯერებდა, რომ მათ სახარება ერთმანეთთან შეუთანხმებლად დაწერეს”.

ოთხი სახარების ურთიერთობა შინაარსის მიხედვით

ოთხი სახარებიდან სამი – მათესი, მარკოზისა და ლუკასი, შინაარსით ძალიან გვანან ერთმანეთს, მეოთხე – იოანესი კი განსაკუთრებულია და სავსებით განსხვავდება სხვებისაგან. ამასთან დაკავშირებით პირველ სამ სახარებას უწოდებენ “სინოპტიკურს”. “სინოპსისი” ბერძნული სიტყვაა და “გადმოცემის ერთ საერთო ხასიათს” ნიშნავს. მაგრამ მიუხედავად მათი შინაარსობრივი მსგავსებისა თითოეული მათგანი თავის თავში განუმეორებელ განსაკუთრებულობას ატარებს. სახარებათა მსგავსება გამოიხატება მაცხოვრის საუბრებში, განსხვავება კი – თხრობით ნაწილში. მსგავსება ლუკასა და მარკოზს შორის გაცილებით მეტია, ვიდრე ლუკასა და მათეს შორის.

სინოპტიკური სახარებები ფაქტიურად მაცხოვრის მხოლოდ გალილეაში მოღვაწეობის შესახებ მოგვითხრობენ, ხოლო წმ. იოანე იესოს იუდეაში მოღვაწეობას აღწერს. სინოპტიკოსები ძირითადად ძირითადად სასწაულების, იგავებისა და მაცხოვრის გარეგანი ცხოვრების შესახებ მოგვითხრობენ, იოანე მსჯელობს მაცხოვრის აზრთა სიმაღლეზე, მის საუბრებზე სარწმუნოების სიღრმის შესახებ. ძირითადი განსხვავება კი მაინც იესოს საუბრების გადმოცემაში ჩანს. სინოპტიკოსებთან ეს საუბრები უბრალოა და გასაგები, იოანეს კი განსაკუთრებული მიზანი აქვს – რაც შეიძლება სრულად და ღრმად ახსნას მოძღვრება იესო ქრისტეს, როგორც ძე ღვთისას შესახებ, რაც ცხადია, რთულია და ძნელად გასაგები. მიუხედავად ამ განსხვავებისა ეს სახარებები ერთმანეთს ავსებენ.

ხასიათი და განსხვავებულობა თითოეული სახარებისა

მართლმადიდებლური სწავლება საღვთო წერილის ღვთივსულიერების შესახებ ყოველთვის ერთ აზრზე იდგა: “საღვტო მწერლებს აზრებსა და სიტყვებს შთააგონებდა სულიწმიდა, თუმცა არ ზღუდავდა მათს საკუთარ გონებასა და ხასიათს. სულიწმიდის გარდამოსვლა არ თრგუნავდა ადამიანურ სულს, არამედ მხოლოდ განწმენდა და აღამაღლებდა. თავის ჩვეულებრივ საზღვრებზე მაღლა. ამიტომაც საღვთო ჭეშმარიტების გადმოცემაში ერთი მთლიანი სახით წარმოიდგინება ოთხივე სახარება, მახარებლების პირად ხასიათთან მიმართებაში კი - განსხვავებულად.

მათეს სახარება

პირველი სახარების ავტორია მათე, იგივე ლევი ძე ალფესისა, იგი ერთ-ერთ თორმეტ მოციქულთაგანი იყო. მოციქულად მოწოდებამდე იყო მეზვერე, ანუ ხარკის ამკრეფი, ამიტომ ებრაელ თანამემამულეთაგან არავის უყვარდა. ხალხი მათ მიმართ მტრულად, ზიზღით იყო განწყობილი, რადგან ქვეყნის მტრებს ემსახურებოდნენ. გარდა ამისა მეზვერეები დადგენილზე მეტს მოითხოვდნენ ხალხისაგან.

მათე მახარებელი თავისი მოწოდების შესახებ მოგვითხრობს სახარების IX თავის მე-9 მუხლში, სადაც თავის თავს “მათეს” უწოდებს, მაშინ როდესაც მარკოზი და ლუკა მას “ლევიდ” მოიხსენიებენ. ებრაელებში რამდენიმე სახელის ტარების ტრადიცია არსებობდა, ამიტომ უსაფუძვლოა ვიფიქროთ,

რომ საუბარი სხვადასხვა პიროვნებას ეხება. ამას ადასტურებს ისიც, რომ ქრისტეს მათესთან სტუმრობას სამივე მახარებელი ერთნაირად აღგვიწერს.

მათე მახარებელმა თავისი ხალხის, ებრაელი ერის ხსნის საქმე განსაკუთრებულად ახლოს მიიტანა გულთან, ამიტომ მისი სახარება უფრო ებრაელთათვისაა დაწერილი, რაც გვაგარაუდებინებს, რომ იგი ებრაულ ენაზე უნდა ყოფილიყო შექმნილი, მოგვიანებით კი ბერძნულად ითარგმნა.

მათე მახარებელი მიზნად ისახავს, რომ დაარწმუნოს თავისიერი: იესო ქრისტე სწორედ ის მესიაა, რომელზედაც ძველთაგან წინასწარმეტყველებდნენ, რომ იგია “აღსრულება წერილისა და წინასწარმეტყველთა”, რომ ძველათქმისეული გამოცხადება დაჩრდილულია მწიგნობართა და ფარისევლთაგან და მხოლოდ ქრისტიანობაში ნათელჰყოფს იგი თავის სრულყოფილ აზრს. ამიტომაც მათე მახარებელი სახარებას იესო ქრისტეს გენიალოგიით იწყებს, რითაც უმტკიცებს ებრაელებს მაცხოვრის ღვთისაგან და აბრაამისაგან წარმომავლობას. მას უამრავი მოჰყავს ძველი ალტჰმიდან წინასწარმეტყველების აღსრულების დასამტკიცებლად. ამგვარი მოწმობების რიცხვი მათეს სახარებაში 66 აღემატება, ამასთან 43 შემთხვევაში ისინი სიტყვა-სიტყვითაა ციტირებული. ებრაელთათვის სახარების დაწერას ისიც ადასტურებს, რომ ებრაელთა წეს-ჩვეულებებზე საუბრისას, მათე მათ განმარტებას საჭიროდ არ მიიჩნევს, არ განმარტავს ასევე ზოგიერთ არამეულ სიტყვას, რომლებსაც პალესტინაში ხმარობდნენ. (შდრ.: მთ. 15:1-3; მარკ. 7:3-4; 16-17; მარკ. 10:46)

საეკლესიო ისტორიკოსი ევსევი კესარიელი მათეს სახარების დაწერის დროდ მაცხოვრის ამალღებიდან მე-8 წელს მიიჩნევს. (III–24), ხოლო წმ. ირინეოს ლიონელის აზრით, წმ. მათემ სახარება დაწერა მაშინ, როცა პეტრე და პავლე რომში მახარობლობდნენ (ის. 60იანი წლენი).

სახარების დაწერის შემდეგ მათემ დაიწყო პალესტინაში ქადაგება, შემდეგ გაემგზავრა სხვა ქვეყნებშიც ღვთის სიტყვის საქადაგებლად. მათემ თავისი ცხოვრება მოწამეობრივი სიკვდილით დაასრულა ეთიოპიაში.

მათეს სახარება შეიცავს 28 თავს, ანუ 116 საეკლესიო დასაწყისს. ის იწყება მაცხოვრის წარმომავლობით და მისი ამალღების წინ მოციქულებისადმი დარიგებით მთავრდება. სახარება დაწერილია იერუსალიმში, ან იუდეაში.

წმ. მათეს სახარების შინაარსი:

- 1თ. იესო ქრისტეს გენიალოგია (1-17) და მისი შობა (18-25);
- 2თ. მოგვთა მოგზაურობა და თაყვანისცემა (1-12) ეგვიპტეში გაქცევა (13-15); ყრმათა ამოხოცვა (16-18), ეგვიპტიდან დაბრუნება (19-23);
- 3თ. იოანე ნათლისმცემელი და მისი ქადაგება (1-12), ქრისტეს ნათლობა (13-17)
- 4თ. იესო ქრისტეს გამოცდა (1-11), მისი კაპერნაუმში დასახლება (12-17) მეთევზეთა მოწოდება (18-22), იესოს ღიღება (23-25)

5თ. ქადაგება მთაზე (5-7), ნეტარება (1-16), სწავლება სჯულის შესახებ (17-20), ძვ. აღთქმისეული ცნებები: მკვლევლობის შესახებ (21-26), მრუშობის შესახებ (27-30), გაყრის შესახებ (31-32), ფიცის შესახებ (33-37), შურისძიების შესახებ (38-42), მოყვასის სიყვარულზე (43-48).

6თ. მთაზე ქადაგება (გაგრძელება): მოწყალების შესახებ (1-4), ლოცვის შესახებ (5-15) და მარხვის შესახებ (16-18), ჭეშმარიტი სიმდიდრე (19-34);

7თ. მთაზე ქადაგება (დასასრული): მოყვასის განუკითხველობაზე (1-5), სიწმინდეთა დაცვის შესახებ (5-7), მუდმივ ლოცვაზე (7-12), ფართო და ვიწრო კარიბჭეზე (13-14), ცრუწინასწარმეტყველებაზე (15-23), ჭეშმარიტ და ცრუ სიბრძნეთა შესახებ (24-27), დასასრული (28-29).

8თ. კეთროვანთა განკურნება (1-4), ასისტავის მონის განკურნება (5-13), სიმონის სიღედრის და სხვათა განკურნება (14-17), პასუხები მწიგნობარს და მოსწავლეს (18-22), ქარიშხლის დაცხრობა (23-27), ქვეყნებში ყოფნა (28-34)

9თ. განრღვეულის განკურნება (1-8), მათეს მოწოდება (9-13), პასუხი იოანეს მოწაფეებს მარხვის შესახებ (14-17), ბრძებისა და მუნჯების განკურნება (18-26), იესოს მოგზაურობა და საუბარი სამკალისა და მომკვლის შესახებ (35-38)

10თ. თორმეტი მოციქულის გაგზავნა საქადაგებლად იუდეაში და მათი დარიგება.

11თ. იოანეს შეკითხვა მოწაფეთა მეშვეობით ქრისტესადმი (2-4), უფლის პასუხი (4-6), და ხალხისადმი მიმართვა იოანეს შესახებ (7-15), იუდეველების შესახებ (16-19), მამა ღმერთის განდიდება (25-27) და ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მოწოდება (28-30)

12თ. საუბარი მოწაფეთა მიერ თავთავეების კრეფის გამო (1-8), ხელგამხმარისა და სხვათა განკურნება (9-21), ეშმაკულის განკურნება (22-37), იონას ნიშანი (38-40), მსჯავრი ერზე (41-45), ქრისტეს დედა და ძმები (46-50);

13თ. ცათა სასუფეველის შესახებ სწავლება იგავებში: მთესველზე (1-23), ხორბალსა და ღვარძლზე (24-30), მღოგვის მარცვალზე (31-32), საფუარზე (33), იგავებით დამოძღვრის შესახებ (34-35), ახსნა ხორბლისა და ღვარძლის იგავისა (36-43), იგავები: მინდორში დამარხულ საგანძურზე (44), ძვირფას მარგალიტზე (45-46), ზღვაში გასროლილ ბადეზე (47-50), კითხვა და მოწაფეთა დარიგება (51-52), იესო ნაზარეთის სინაგოგაში (53-58)

14თ. იოანე ნათლისმცემლის მოკვდინება (1-12), იესო ქრისტეს განრიდება, სნეულთა განკურნება და ხალხის სასწაულებრივი დაპურება (13-21), იესო ქრისტესა და პეტრე მოციქულის წყალზე სვლა (22-33), სნეულთა განკურნება გენესარეთის მიწაზე (34-36)

15თ. ფარისეველებთან საუბარი უხუცესთა გადმოცემის შესახებ (1-20), ქანანელი დედაკაცის ასულის განკურნება (21-31), ხალხის სასწაულებრივი დაპურება მეორედ (32-38)

16თ. იესო ქრისტეს გამოცდა ფარისეველთა და სადუკეველთა მიერ (1-4), ფარისეველთა და სადუკეველთა საფუარი (5-12), პეტრეს აღსარებლობა (13-20), ქრისტეს წინასწარმეტყველება თავის ტანჯვაზე, სიკვდილზე, აღდგომაზე (20-23), ქრისტეს მიმდევართა ჯვარზე (24-28);

17თ. უფლის ფერიცვალება (1-9), ელია-წინამორბედი მესიისა (10-13), ეშმაკეულის განკურნება (14-21), უფლის ახალი წინასწარმეტყველება თავის ტანჯვაზე, სიკვდილსა და აღდგომაზე (22-23), დიდრაქმის გადახდა (24-27)

18თ. ვინ არის დიდი ცათა სასუფეველში (1-5), ცდუნების შესახებ (6-11), იგავი გზაბნეულ ცხვარზე (12-14), ცოდვილ ძმაზე (15-17), უფლება შეკვრისა და გახსნისა (18-20), მიტევებაზე (21-22), იგავი მეფეზე (23-35).

19თ. ქრისტე იუდას საზღვრებში (1-2), ფარისევლებთან საუბარი ქორწინების დაურღვევლობაზე (3-9) და მოწაფეებთან უქორწინებლობის შესახებ (10-12), ბავშვების კურთხევა (13-15), საუბარი მდიდარ ყმაწვილთან (16-22) და მოწაფეებთან – სიმდიდრის საშიშროების შესახებ (23-26), ქრისტეს მიმდევრებსა და მოწაფეებს განმზადებული აქვთ ჯილდო (27-30);

20თ. იგავი მენელსაცხებლეზე (1-16), ახალი წინასწარმეტყველება ქრისტესი თავის სიკვდილზე, აღდგომაზე (17-19), პასუხი ზებედეების დედაზე (20-28), იერიქონელი ბრძების განკურნება (28-34)

21თ. იერუსალიმში შესვლა (1-11), ტაძრის განწმენდა, სნეულთა განკურნება და ბეთანიაში დაბრუნება (12-17), ლეღვის ხის გახმობა (18-22), იოანე საიდანაა? (23-27) იგავებში: “ვენახში გაშვებულ ძეგებზე” (28-32) და “ვენახში მომუშავეებზე” (33-41), ლოდი თავკიდური (42-46)

22თ. იგავი საქორწინო ვახშამზე (1-14), პასუხი ფარისევლებს კეისრის ხარკზე (15-22), პასუხი სადუკეველებს აღდგომის შესახებ (23-33), უფრო დიდი მცნების შესახებ (34-40), ქრისტე – ვისი შვილია? (41-46).

23თ. მამხილებელი საუბრები ფარისევლთა წინააღმდეგ (1-36), წუხილი იერუსალიმის შესახებ (37-39)

24თ. წინასწარმეტყველება იერუსალიმის დანგრევის შესახებ, ქრისტეს მეორედ მოსვლასა და სამყაროს აღსასრულზე (1-43), იგავი ბატონსა და მონაზე (44-51);

25თ. იგავები: ბრძენ და სულელ ქალწულებზე (1-13), ტალანტებზე (14-30), საშინელი სამსჯავროს გამოხატვა (31-46);

26თ. უწყება პასექისა და ტანჯვის შესახებ (1-2), იესოს მტრების შეკრება მის მოსაკლავად (3-5), იესო ქრისტე ბეთანიაში (6-13), იუდას გამცემლობა (14-16), ევქარისტის დაწესება (17-30), წინასწარმეტყველება პეტრეს უარყოფის შესახებ (31-35), ლოცვა გეთსამანისს ბაღში (36-46), იესო ქრისტეს შეპყრობა (47-55), იესო ქრისტე კაიაფას სასამართლოზე (56-68), პეტრეს უარყოფა (69-75);

27თ. ქრისტე პილატეს გადასცეს (1-2), იუდასა და სისხლის ფასის ბედი (3-10), პილატეს მსჯავრი (11-25), ქრისტეს ჯვარცმა (26-56), უფლის დამარხვა (57-61), მცველები საფლავთან (62-66);

28თ. მენელსაცხებლე დედები საფლავთან და აღმდგარი იესოს გამოცხადება (1-10), მცველების მოსყიდვა (11-15), აღმდგარი ქრისტეს გამოცხადება მოწაფეებთან გალილეაში (16-20).

წმ. მარკოზის სახარება

მარკოზის სახარება დაწერილია წმ. მარკოზის მიერ, რომელიც ასევე იწოდება იოანედ. იგი წარმოშობით იუდეიდან იყო, მაგრამ არ გახლდათ თორმეტ მოციქულთაგანი, ამიტომაც მას არ ჰქონდა საშუალება ხლებოდა და მოესმინა მაცხოვრისათვის, როგორც მათე მახარებელს. სახარება მარკოზმა წმ. პეტრე მოციქულის ხელმძღვანელობითა და მეთვალყურეობით დაწერა. იგი იყო თვითმხილველი მაცხოვრის მიწიერი ცხოვრების ბოლო დღეებისა. მხოლოდ მარკოზის სახარებაშია საუბარი ვინმე ახალგაზრდის შესახებ, რომელიც გეტსამანიის ბაღში მაცხოვრის შეპყრობისას თან მისდევდა მას: “და ერთი ვინმე ჭაბუკი მისდევდა მას და შეემოსა არდაგი შიშულივ, ხოლო სხვათა მათ ჭაბუკთა შეიპყრეს იგი და მან დაუტყვა არდაგი და ივლტოდა მათგან შიშველი” (მარკ. 14:51-52)

ძველი გადმოცემა ამ ჭაბუკში მეორე სახარების ავტორს, მარკოზს შეიცნობს. მისი დედა – მარიამი “საქმე მოციქულთაში” მოიხსენიება როგორც ქრისტიანობისათვის თავდადებული ერთი დედათაგანი (12:12). მორწმუნენი მარიამთან იკრიბებოდნენ ღოცვისათვის. მოგვიანებით, წმ. მარკოზი მოციქულ პავლეს ახლავს მოგზაურობაში სხვა თანამგზავრთან – ბარნაბასთან ერთად, რომელსაც დისწულად ეკუთვნოდა (კოლ. 4:10). როგორც “საქმე მოციქულთა” მოგვითხრობს, ქ. პამფილიაში მოსვლის შემდეგ, მარკოზი მათ გამოეყო და იერუსალიმში დაბრუნდა (13:13), ამიტომ მეორე მოგზაურობისას წმ. პავლემ არ ინება მარკოზის წაყვანა. ბარნაბამ არ ისურვა მარკოზთან განშორება, “მოხდა უთანხმოება”, “ისინი დაცილდნენ ერთმანეთს”, “ბარნაბამ თან წაიყვანა მარკოზი და გასცურეს კვიპროსამდე”. ხოლო პავლემ სილა ამოირჩია (საქ. 15:37:40). ეს გულგრილობა, როგორც ჩანს, დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან შემდგომში მარკოზს პავლესთან ერთად ვხედავთ რომში, სადაც დაიწერა “ეპისტოლე კოლასელთა მიმართ”, რომელთაც წმ. პავლე მარკოზის სახელითაც მოიკითხავს და აფრთხილებს მათ მარკოზის მოსვლის შესაძლებლობის შესახებ (კოლ. 4:10). შემდგომში როგორც გადმოცემა გვეუბნება, მარკოზი წმ. პავლეს განუყრელი თანამგზავრი და თანაშემწე გახდა, რასაც ადასტურებს წმ. პეტრეც თავის პირველ ეპისტოლეში: “გვიკითხავს თქვენ, რომელ არს ბაბილონს შინა რჩეულისა მის თანა და მარკოზ, ძე ჩემი”. (1პეტრე 5:13).

წმ. პავლე მოციქული კვლავ უხმობს თავისთან მარკოზს, როცა ტიმოთეს სწერს: “აიყვანე მარკოზი და მოიყვანე შენთან ერთად, ვინაიდან მსახურებისთვის მჭირდება”. გადმოცემის თანახმად, წმ. პეტრემ წმ. მარკოზი ალექსანდრიის პირველ ეპისკოპოსად დააყენა. წმ. მარკოზმა თავისი სიცოცხლე დაასრულა ალექსანდრიაში მოწამეობრივი სიკვდილით.

წმ. პაპის – იეროპოლის ეპისკოპოსის მოწმობით, ასევე იუსტინე ფილოსოფოსისა და ირინეოს ლიონელის მოწმობით, წმ. მარკოზმა თავისი სახარება წმ. მოციქულ პეტრეს კარნახით დაწერა. კლიმენტი ალექსანდრიელი ამტკიცებს, რომ მარკოზის სახარება არსით წმ. პეტრეს ზეპირი გადმოცემის ჩანაწერს წარმოადგენს, რომელიც წმ. მარკოზმა რომში მცხოვრები ქრისტიანების თხოვნით გააკეთა. თვით სახარების შინაარსი ცხადყოფს, რომ სახარება იმათთვის დაიწერა, ვინც, უწინ წარმართი იყო. მასში ნაკლებადაა საუბარი იესო ქრისტეს ძველადტქმისეულ სწავლებებზე, ამასთან მასში ვნახულობთ ლათინურ სიტყვებს.

სამაგიეროდ წმ. მარკოზი მთავარ ყურადღებას მაცხოვრის სასწაულებს უთმობს, რომლითაც უფლის სამეფო დიდებულებასა და ყოვლისშემძლეობაზე მიუთითებს. მის სახარებაში იესო “დავითის ძე” კი არ არის, როგორც მათესთან, არამედ ძე ღვთისა, მეუფე და მბრძანებელი; ამიტომაცაა მარკოზის სიმბოლო ღმირი, სამეფო ცხოველი და მბრძანებელი.

მარკოზის სახარების შინაარსი ძირითადად ახლოსაა მათეს სახარების შინაარსთან, მაგრამ მასთან შედარებით მოკლეა. მასში 16 თავი და 71 საექლესიო დასაწყისია. იგი იოანე ნათლისმცემლის მოვლინებით იწყება და წმ. მოციქულთა საქადაგებლად გამგზავრებით მთავრდება.

საექლესიო ისტორიკოსის ევსევის მოსაზრებით, მარკოზის სახარება დაიწერა ამაღლებიდან მე-10 წელს, ე.ი. იერუსალიმის დანგრევამდე.

წმ. მარკოზის სახარების შინაარსი:

1თ. იოანე ნათლისმცემელი (1-8), ქრისტეს ნათლობა (9-11), უდაბნოში გამოცდა (12-13), უფლის ქადაგება გალილეაში (14-15), ზოგიერთი მოციქულის მოწოდება (16-20), კაპერნაუმში სწავლება (21-22), კაპერნაუმში ეშმაკულის განკურნება (23-28), სიმონის სიდერის განკურნება (29-31), სხვათა განკურნება (32-34), უდაბნოში გასვლა (35-37), ქადაგება სოფლებსა და ქალაქებში (38-39), კეთროვანის განკურნება (40-45);

2თ. განრღვეულის განკურნება კაპერნაუმში და პასუხი მწიგნობრებს (1-12), ლევი (მათე) მებაჟის მოწოდება (13-17), ქრისტეს პასუხი კითხვაზე, თუ რატომ არ მარხულობენ მისი მოწაფეები (18-22), მოწაფეთა დაცვა, რომლებიც შაბათ დღეს თავთავებს კრეფდნენ (23-28);

3თ. ხელგამხმარის განკურნება (1-5), ბოროტი განზრახვა ქრისტეს მიმართ და მისი მოწაფეებიანად განრიდება (6-12), 12 მოციქულის ამორჩევა (13-19), სულიწმიდის გამობის შესახებ (20-30), უფლის დედა და ძმები (31-35);

4თ. სწავლება ცათა სასუფეველის შესახებ იგავებში: მთესველზე (1-9), იგავის განმარტება (10-20), იგავი თესვლზე (22-23), მდოგვის მარცვალზე (26-34), ქარის დაშოშმინება ზღვაზე (35-41);

5თ. დადარინელი ეშმაკულის განკურნება (1-21), იაიროსის ასულის აღდგინება და სისხლმდინარის განკურნება (22-43).

6თ. მაცხოვრის ქადაგება ნაზარეთის სინაგოგაში (1-6), მოციქულთა საქადაგებლად გაგზავნა (7-13), ჰეროდეს შეხედულება ქრისტეზე და თხრობა ნათლისმცემლის მოკვლის შესახებ (14-29), 5,000 კაცის სასწაულებრივი დაპურება უდაბნოში (30-41), ქარიშხლის დაცხრომა (45-52), იესო ქრისტე გენესარეთის (53-56);

7თ. საუბარი ფარისევლებთან და მწიგნობრებთან პურის ხელდაუბანელი ჭამის შესახებ (1-13), -> ხალხთან (14-16) და მოწაფეებთან (17-23). უფალი ტვიროსისა და სიდონის საზღვრებში განკურნება სიროფინიკელის ეშმაკუელი ქალიშვილისა (24-30), ენაბლუსა და ყრუს განკურნება (31-37);

8თ. ხალხის სასწაულებრივი დაპურება მეორედ (1-9), პასუხი ფარისევლებს ნიშნის შესახებ (10-12), მოწაფეთა გაფრთხილება ფარისევლთა საფუარისაგან

(13-21), ბეთსაიდელი ბრძის განკურნება (22-26), პეტრეს აღსარება (27-33), სწავლება თავგანწირვის შესახებ (34-38);

9თ. უფლის ფერისცვალება (1-8), ელია – მესიის წინამორბედი (9-13), ეშმაკეულის განკურნება (14-29), ქრისტეს ახალი წინასწარმეტყველება თავის ტანჯვაზე, სიკვდილსა და აღდგომაზე (30-32), ვინ უფრო დიდია ცათა სასუფეველში (33-37), საუბარი ცდუნებათა შესახებ (38-50);

10თ. სწავლება ქორწინების დაურღვეველობაზე (1-12), ბავშვების კურთხევა (13-16), საუბარი მდიდარ ჭაბუკთან (17-22) და მოწაფეებთან სიმდიდრის საშიშროების შესახებ (23-27), ჯილდო ქრისტეს მოწაფეებსა და მიმდევრებს (28-31), ქრისტეს ახალი წინასწარმეტყველება თავის ტანჯვაზე, სიკვდილსა და აღდგომაზე (32-34), ზებედეს ძეთა თხოვნა (35-41), მოწაფეთა დარიგება თავმდაბლობის შესახებ (42-45), ბრმა ბარტომეოსის განკურნება (46-52);

11თ. უფლის შესვლა იერუსალიმში (1-10), ლეღვის ხის დაწყევლა, ტაძრის განწმენდა (12-26), იესო ქრისტეს ღვთაებრივი ძალაუფლება (27-33);

12თ. იგავი ვენახში მომუშავეთა შესახებ (1-12), უფლის პასუხები ფარისევლებისა და ჰეროდიაწმენებისადმი კეისრის ხარკის შესახებ (13-17), პასუხი სადუკეველებს აღდგომის შესახებ (18-27), მწიგნობრებს შჯულში დიდი მცნების შესახებ (28-34), ვისი შვილია ქრისტე (35-37), საუბარი მწიგნობართა წინააღმდეგ (38-40), ღარიბი ქვრივის ორი ლეპტა (41-44)

13თ. საუბარი იერუსალიმის დანგრევაზე, ქრისტეს მეორედ მოსვლასა და სამყაროს აღსასრულზე.

14თ. მტრების განზრახვა ქრისტეს წინააღმდეგ (1-2), ქრისტე ბეთანიაში და მირონის ცხება ქალის მიერ (3-9), იუდას განზრახვა გაცემისა (10-11), საიდუმლო სერობა (12-26), წინასწარმეტყველება მოწაფეთა ცდუნების შესახებ (27-31), ლოცვა გეთსამანიის ბაღში (32-42), იუდას მიერ ქრისტეს გაცემა და სინედრიონის სამსჯავრო (43-65), პეტრეს მიერ ქრისტეს უარყოფა (66-72);

15თ. იესო ქრისტე პილატეს სამსჯავროზე (1-21), იესო ქრისტეს ჯვარცმა (20-41), დასაფლავება (42-47);

16თ. მენელსაცხებლე დედა საფლავისკენ მიმავალი (1-8), აღმდგარი ქრისტეს გამოცხადება (9-14), მოციქულთა გაგზავნა საქადაგებლად (15-18), ქრისტე ამადლება (19) და მოციქულთა ქადაგება (20).

წმ. ლუკას სახარება

ზუსტად არ არის ცნობილი, თუ ვინ იყო წარმოშობით ლუკა მახარებელი. ევსევი კესარიელი თვლის, რომ იგი ანტიოქიიდან უნდა იყოს, ამიტომ მიღებულია მოსაზრება, რომ ლუკა იყო “პროზელიტი”, ანუ წარმართი, რომელმაც იუდეველობა მიიღო.

პროფესიით წმ. ლუკა ექიმი გახლდათ, რაც წმ. პეტრეს “ეპისტოლეში კოლასელთა მიმართ” ჩანს (4:14). საეკლესიო გადმოცემა მას მხატვრობასაც მიაწერს.

წმ. ლუკას სახარებაში საუბარია უფლის მიერ 70 მოწაფის დარიგების შესახებ, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგიც მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა.

საოცარია მისი მონათხრობი აღმდგარი მაცხოვრის შესახებ, რომელიც ემაუს გზაზე ორ მოწაფეს გამოეცხადა. ერთ-ერთს კლეოპა ერქვა, მეორეს კი – ლუკა. “საქმე მოციქულთა” გვიჩვენებს, რომ წმ. პავლეს მეორე მოგზაურობიდან მოყოლებული, წმ. ლუკა მის განუყრელ თანამგზავრად იქცა და გადმოცემის თანახმად, წმ. პავლეს გარდაცვალების შემდეგ ის ქადაგებდა ქრისტეს სჯულს, რისთვისაც მოწამეობრივად აღესრულა კიდეც აქაიაში. იმპერატორ კონსტანტინეს დროს, წმ. ლუკასა და წმ. ანდრიას ნაწილები აქაიიდან კონსტანტინეპოლში გადააბრძანეს.

მესამე სახარების წინასიტყვაობიდან ვგებულობთ, რომ წმ. ლუკას სახარება ვინმე ცნობილი და ღვთისმოყვარე თეოფილესთვის დაუწერია. იგი ანტიოქიაში ცხოვრობდა და მოგვიანებით მისთვისვე დაიწერა წმ. ლუკას მიერ “საქმე მოციქულთა”.

სახარების წერისას წმ. ლუკა სარგებლობდა პირადი დაკვირვებით მაცხოვრის ცხოვრებაზე, უკვე არსებული ჩანაწერებით იესოს სწავლების შესახებ და სხვა, ამიტომაც ადგილისა და დროის თანამიმდევრობის განსაზღვრაში ლუკას სახარება განსაკუთრებული სიზუსტით გამოირჩევა.

“ფრიად პატივცემული თეოფილე”, რომლისთვისაც წმ. ლუკამ სახარება დაწერა, როგორც ირკვევა არ იყო პალესტინის მკვიდრი და არც იერუსალიმში იყო ნამყოფი. წინააღმდეგ შემთხვევაში წმ. ლუკა სხვადასხვა გეოგრაფიული ადგილების განმარტებას საჭიროდ არ ჩათვლიდა.

კლიმენტი ალექსანდრიელის გადმოცემით, თეოფილე იყო რომაელი. მდიდარი და ცნობილი პიროვნება. იგი აღიარებდა ქრისტეს სჯულს და ანტიოქიანელი ქრისტიანებისათვის მისი სახლი ეკლესიას წარმოადგენდა.

არსებობს სხვა ცნობებიც, რომ ანტიოქიაში ცხოვრობდა ვინმე ცნობილი მოქალაქე, რომელმაც თავის სახლში ქრისტიანული ეკლესია მოაწყო და რომელსაც თეოფილე ერქვა. არ ჩავვარდებით წინააღმდეგობაში, თუ ამ თეოფილეში სახარების ადრესატს ვიგულისხმებთ.

სხვა ვერსიით, თეოფილე არ არის ერთი პირის საკუთარი სახელი, არამედ იგი ღვთისმოყვარეს ნიშნავს და ა. გ. სახარებაც ყველა ღვთისმოყვარისთვის დაიწერა.

ლუკას სახარებას პავლე მოციქულის აშკარა გავლენა ეტყობა. იგი ხომ მისი განუყრელი თანამგზავრი და თანაშემწე იყო. წმ. პავლე, როგორც “წარმართთა მოციქული”, ცდილობდა განემარტა ის დიდი ჭეშმარიტება, რომ მესია – ქრისტე დედამიწაზე მოვიდა არა მარტო იუდეველთა, არამედ სრულიად კაცობრიობის ხსნისათვის.

წმ. ლუკას სახარების დაწერის დროს თვლიან 62, 63წ. იგი “საქმე მოციქულთაზე” ადრეა დაწერილი. “საქმე მოციქულთა” პავლე მოციქულის რომში ორწლიანი მოღვაწეობით მთავრდება (28:30).

წმ. ლუკა უფალ იესო ქრისტეზე საუბრობს, როგორც მღვდელმთავარზე, რომელიც კაცობრიობის გამოსახსნელი მსხვერპლის თვითშემწირველია,

ამიტომაც ამ მახარებლის სიმბოლოდ ითვლება ხბო, რომელიც ძვ. აღთქმის მიხედვით მსხვერპლშეწირვისთვის მოწონებული იყო ღვთისაგან.

წმ. ლუკას სახარების შინაარსი:

1თ. შესავალი: სახარების დაწერის მიზეზი და მიზანი (1-4), იოანე ნათლისმცემლის ჩასახვა (5-25), ხარება ქრისტეს შობის შესახებ (26-38), ღვთისმშობლის სტუმრობა ელისაბედთან (39-56), ნათლისმცემლის შობა და მისი სიყრმე (59-80)

2თ. ქრისტეს ბეთლემში შობა (1-7), მწყემსთა თაყვანისცემა (8-20), ახალშობილი ყრმის წინადაცვეთა (21) და ტაძრად მირქმა (22-38), წმიდა ოჯახის ნაზარეთში დაბრუნება (39-40), 12 წლის იესო იერუსალიმის ტაძარში (41-50), უფალი თავისი მშობლების სახლში ნაზარეთში (51-52).

3თ. იოანე ნათლისმცემელი და მისი ქადაგება (1-20), ქრისტეს ნათლობა (21-22), იესო ქრისტეს გენეალოგია (23-38).

4თ. იესოს უდაბნოში გამოცდა (1-13), გალილეაში დაბრუნება (14-15), ქადაგება ნაზარეთის სინაგოგაში (16-30), უფალი კაპერნაუმში (31-32), ეშმაკეულის განკურნება (33-37), პეტრეს სიდერის განკურნება (38-39), სხავ სნეულთა განკურნება (40-41), უდაბნოსა და სხვა ქალაქებში წასვლა (42-44).

5თ. ქრისტე გენესარეთის ტბასთან: სასწაულებრივი თევზაობა და მეთევზეთა მოწოდება (1-11), კეთროვანის განკურნება და იესოს დიდება (12-16), განრღვეულის განკურნება (17-26), ლევის მოწოდება და საუბრები მწიგნობრებთან, მეზვერებთან, ცოდვილებთან ურთიერთობისა და მარხვის შესახებ (27-39).

6თ. მოწაფეთა გამართლება შაბათს თავთავეების კრების გამო (1-5), ხელგამხმარის განკურნება (6-11), 12 მოციქულის გამორჩევა (12-16), ქადაგება (17-49).

7თ. კაპერნაუმის ასისტავის მონის განკურნების (1-10), ნაინელის ყრმის განკურნება (11-17), ნათლისმცემლის კითხვა უფლისადმი საპრობილეადან, მისი პასუხი და საუბრები იოანეზე (18-35), ქრისტე სიმონ ფარისევლის სახლში; ცოდვილი ქალი; ცხებული უფალი და იგავი ორი მევალის შესახებ (36-50)

8თ. ქრისტეს მოწოდება (1-3), ცათა სასუფევლის შესახებ სწავლება იგავებში: მთესველისა და თესლის შესახებ (4-8), მიზეზი იგავებით სწავლებისა (9-10), იგავის განმარტება (11-15), იგავური გამოთქმები ლამპარზე (16), საიდუმლოსა და ცხადის შესახებ (17), სიდატაკისა და სიმდიდრის შესახებ (18), ქრისტეს დედა და ძმები (19-21), ქარიშხლის) დაცხრომა (22-25), დადარინელი ეშმაკეულის განკურნება (26-39), იაიროსის ასულის განკურნება (40-56).

9თ. 12 მოციქულის იუდეაში საქადაგებლად გაგზავნა და მათი დარიგება (1-6), ჰეროდეს აზრი ქრისტეს შესახებ (7-9), უფლის მოშორება და ხალხის სასწაულებრივი დაპურება (10-17) პეტრეს აღსარება და სწავლება თავგანწირვის შესახებ (18-27), უფლის ფერისცვალება (28-36), ეშმაკეული ყრმის განკურნება (37-42), უფლის წინასწარმეტყველება თავის ტანჯვაზე (43-45), ვინ

უფორ დიდია ცათა სასუფეველში (46-50), მგზავრობა სამარიის გავლით (51-56), უფლის პასუხი მსურველთადმი იყენენ მისი მიმდევრები (57-62).

10თ. 70 მოციქულის საქადაგებლად გაგზავნა და მათი დარიგება (1-16), 70 მოციქულის დაბრუნება (17-24), უფლის პასუხი მისი გამომცდელი სჯულის მცოდნესადმი (25-37), უფალი მართასთან და მარიამთან (38-42).

11თ. უფლის ღოცვა (1-4), დარიგება გამუდმებული ღოცვისა და ღვთის სახიერების შესახებ (5-13), ეშმაკულის განკურნება (14-26), პასუხი დედაკაცს (27-28), იონას ნიშანი (29-30) და მსჯავრი ერზე (31-32), იგავური გამოთქმები ლამპარზე (33-36), ქრისტე სადილად ფარისეველებთან და მამხილებელი გამოთქმები ფარისეველთა და სჯულის მცოდნეთა წინააღმდეგ (37-54).

12თ. გაფრთხილება ფარისეველთა საფუარისაგან თავის დასაცავად (1-12), პასუხი ანგარების შესახებ (13-15), იგავი მდიდარზე (16-32), მოწყალებაზე (33-35), მღვიძარეზე (36-40), ერთგულებაზე (41-48), უფლის სწავლების მოქმედება (49-53), დროის ნიშანი (54-57), მოყვასთან შერიგების შესახებ (58-59).

13თ. უფლის პასუხი მოამბეთა მიმართ გალილეველთა შესახებ (1-5), იგავი ლედვზე (6-9), “დაკურუნხული” ქალის განკურნება და ამის შესახებ საუბარი (10-17), იგავები: მღოვვის მარცვალზე (18-19), საფუარზე (20-21), საუბარი გადარჩენილთა რიცხვის შესახებ (22-30), პასუხი ჰეროდეს ბოროტი განზრახვის წინააღმდეგ (31-33) და იერუსალიმის ჭირ-ვარამზე (34-35).

14თ. წყალმანკიანის განკურნება შაბათს და საუბარი ამის შესახებ (1-6), იგავური საუბარი მიპატიუებულთა ადგილების შესახებ (7-14), იგავი ვახშამზე მიწვეულთა შესახებ (15-24), თავგანწირვის შესახებ დარიგება (25-27), იგავური გამოთქმები კოშკის მშენებელთა შესახებ (28-30), მეფეზე, რომელიც ომისთვის ემზადება (31-33) და მარილზე (34-35).

15თ. იგავები: გზაბნეულ ცხვარზე (1-7), დაკარგულ დრაქმაზე (8-10), დაკარგულ ძეზე (11-32).

16თ. იგავი ორგულ სახლისმმართველზე (1-13), ფარისეველთა მხილება იგავში მოთხრობილი შემთხვევის გამო (14-18), იგავი მდიდარსა და ლაზარეზე (19-31).

17თ. ცდუნების შესახებ (1-2), ცოდვილი ძმისა და მიმტვეებლობის შესახებ (3-4), სარწმუნოების გაზრდის შესახებ (5-6), იგავი მონის შესახებ (7-10), 10 კეთროვნის განკურნება (11-19), ცათა სასუფეველის დადგომისა და კაცის ის მოსვლის შესახებ (20-37).

18თ. იგავები: მსაჯულისა და ქვრივის შესახებ (1-8), მეზვერისა და ფარისეველის შესახებ (9-14) ბავშვების კურთხევის შესახებ (15-17), სიმდიდრის საშიშროების შესახებ (18-30), ახალი წინასწარმეტყველება უფლის ტანჯვაზე, სიკვდილსა და აღდგომაზე (31-34), იერიხონელი ბრმის განკურნება (35-43).

19თ. უფალი ზაქე მეზვერის სახლში (1-10), იგავი მონის შესახებ (11-27), იერუსალიმში შესვლა, გოდება იერუსალიმზე (28-44), ტაძრის განწმენდა და მტრების ჩანაფიქრი (45-48).

20თ. კითხვა-პასუხი უფლის ძალაუფლების შესახებ (1-8), იგავი მევენახეზე (9-19), უფლის პასუხი კეისრის ხარკთან დაკავშირებით (20-26), პასუხი

სადუკეველების აღდგომის შესახებ (27-39), ვისი ძეა ქრისტე? (40-44), უფლის გაფრთხილება – ეროდეთ მწიგნობართ! (45-47).

21თ. ქვრივის ორი ლეპტა (1-4), წინასწარმეტყველება იერუსალიმის დანგრევისა და ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ (5-38).

22თ. იუდას განზრახვა (1-6), საიდუმლო სერობა (7-23), დარიგება სიბრძნის შესახებ (24-30), წინასწარმეტყველება პეტრეს უარყოფის შესახებ (31-38), გეთსამანიის ლოცვა (39-46), იუდას გამცმლობა (47-53), ქრისტე სინედრიონის სამსჯავროზე, პეტრეს უარყოფა (54-71).

23თ. იესო ქრისტე სამსჯავროზე: პილატეს (1-6), ჰეროდეს (7-12), კვლავ პილატეს (13-24) გოლგოთის გზა (25-32), ჯვარცმა (33-38), ავაზაკის სინანული (39-43).

24თ. მენელსაცხებლე დედები ქრისტეს საფლავისაკენ მიმავალნი (1-11), პეტრე მაცხოვრის საფლავთან (12), აღმდგარი ქრისტეს გამოცხადება ემაუსის გზაზე (13-35), გამოცხადება მოციქულებთან (36-48), ამაღლება უფლის იესო ქრისტესი (50-53).

წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახარება

მეოთხე სახარება დაწერილია უფლის საყვარელი მოწაფის – იოანე ღვთისმეტყველის მიერ. წმ. იოანე იყო გალილეელი მეთევზის (მთ. 4:21) ზებედესა და სალომეას შვილი (2,27,56; მარკ. 15:40). ზებედე შეძლებული კაცი გახლდათ და მოსამსახურეებიც ჰყავდა. ასევე ცნობილი პირი იყო საზოგადოებაშიც, რადგან მის შვილს – იოანეს ნაცნობობა ჰქონდა მღვდელმთავრებთან (იოან. 18:15). დედამისი სალომე მოიხსენიება მაცხოვრის მსახურ ქალთა შორის. იგი უფალს თან ახლდა გალილეაში, იერუსალიმში; ასევე სხვა მენელსაცხებლე ქალებთან ერთად მონაწილეობდა უფლისათვის, მაცხოვრის სხეულისათვის საცხებლად, ნელსაცხებლების შექმნაში (მარკ. 15:40-41, 16:1). გადმოცემა სალომეს იოსებ დამწინდველის ქალიშვილად მიიჩნევს.

თავდაპირველად იოანე წმ. იოანე ნათლისმცემლის მოწაფე იყო. გაიგონა რა მისი მოწილობა ქრისტეზე, როგორც ღვთის ტარიგზე, მაშინვე გაჰყვა მას ანდრიასთან ერთად (ინ. 1:37,40). ქრისტეს მოწაფე იოანე მოგვიანებით გახდა. კერძოდ, თევზის სასწაულებრივი ჭერის შემდეგ, როცა უფალმა თავად მოუწოდ მას ძმა – იაკობთან ერთად. (ლკ. 5:10). იოანე წმ. პეტრესთან და იაკობთან ერთად, მაცხოვართან განსაკუთრებული სიახლოვის ღირსი გახდა. იგი იმყოფებოდა მაცხოვრის გვერდით იაიროსის ასულის აღდგენისას (მარკ. 5:37), უფლის ფერისცვალებისას მოისმინა მაცხოვრის საუბარი მისი მეორედ მოსვლის შესახებ (მარკ. 13:3), იყო მოწმე გეთსამანიის ბაღში უფლის ლოცვისა (მთ. 26:37), ხოლო საიდუმლო სერობისას, განსაკუთრებული სიახლოვის გამო, “მკერდზე მიეკრა იესოს” (იოან. 13:23-25), საიდანაც წარმოსდგება მისი მეტსახელი – “მკერდსმიყრდნობილი”.

თავმდაბლობის გამო, წმ. იოანე სახარებაში თავის თავს უწოდებს “რომელიც უყვარდა იესოს” (13-23). უფლის დიდი სიყვარული გამოვლინდა

მაშინაც, როცა ჯვარსგაკრულმა მაცხოვარმა იოანეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მიანდო და უთხრა: “აი, დედა შენი” (ინ.19:27).

უფლისადმი მგზნებარე სიყვარულის გამო, იოანე აღშფოთებული იყო ქრისტეს მტრების არსებობით. სწორედ აქედან გამომდინარე უკრძალავს ის ერთერთ ადამიანს ქრისტეს სახელით ეშმაკეულის განკურნებას (მარკ. 9:38). უფრო მეტიც, როცა უფალი სამარიის გავლით იერუსალიმში მიემართებოდა სამარიტელებმა იგი არ მიიღეს, რაზედაც იოანემ უფლისაგან სამარიტელების ცეცხლით დასჯის ნება ითხოვა (ლკ. 9:54), ამის გამო მიიღეს ძმებმა მეტსახელად “ბენარგეს”, ანუ “ქუხილის ძეები”. უფლისადმი დიდი სიყვარულის გამო იოანე ცათა სასუფეველში ღმერთთან უახლესი ადგილების მიჩენას ითხოვს, რაზედაც მას ქრისტემ წინასწარმეტყველურად უპასუხა მათთვის განმზადებული ტანჯვის სასმისზე (მთ. 20:23)

უფლის ამადლების შემდეგ ჩვენ ხშირად ვხედავთ იოანეს პეტრე მოციქულთან ერთად (საქმ. 3:1, 4:13, 8:14). იგი ეკლესიის სვეტად ითვლება იერუსალიმის დანგრევის შემდეგ წმ. იოანეს საცხოვრებელ და სამოღვაწეო ადგილად მცირე აზიის ქალაქი ეფესო იქცა. იმპერატორ დომიტიანეს დროს (ზოგი მოსაზრებით – ნერონის ან ტრაიანეს დროს), იგი კუნძულ პატმოსზე გადაასახლეს, სადაც “აპოკალიპსი” დაწერა (1:9-19), სახარება კი გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ დაწერა ეფესოში და იქვე გარდაიცვალა. იგი ერთადერთია მოციქულთა შორის, რომელიც არ აღესრულა მოწამებრივად. გარდაიცვალა ღრმა სიბერეში. ზოგი ვარაუდით 150, ან 120 წლისა, იმპერატორ ტრაიანეს დროს.

სხვა სახარებებთან სხვაობის გამო, იოანეს სახარებას “სულიერს” უწოდებენ (პნემატიკონი), რადგან პირველი სამი სახარება უფლის მიწიერი ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს, იოანე კი მისი ღვთაებრიობის შესახებ სწავლებით იწყება. სახარებაში მოყვანილია უფლის ამადლებული საუბრები ღვთაებრივი და სიღრმისეული არსით. მაგ. ნიკოდიმოსთან საუბარი ცხოვრების წყაროზე, ღვთის სულითა და ჭეშმარიტებით თაყვანისცემაზე, ზიარების საიდუმლოზე, კეთილ მწყემსზე.

ღვთაებრივი ჭეშმარიტების განმარტების გამო, წმ. იოანემ ღირსეულად მიიღო “ღვთისმეტყველის” ზედწოდება.

გულით უმანკო და უფალს სულით მინდობილი წმ. იოანე ღრმად ჩაწვდა ქრისტიანული სიყვარულის ამადლებულ არსს, რისთვისაც მას “სიყვარულის მოციქულიც” შეარქვეს. სწორედ იოანესაგან ვგებულობთ, რომ მაცხოვარმა 33 წელი იცხოვრა დედამიწაზე და სამწველიწადნახევარი აღასრულებდა ღვთისმსახურებას.

იოანეს სახარება 21 თავსა და 67 დასაწყისს შეიცავს. იგი იწყება “ლოგოსზე” სწავლებით და მთავრდება უფლის გამოცხადებით გენესარეთის მახლობლად, ასევე ავტორის მტკიცებით, რომ “მისი დამოწმება ჭეშმარიტია” და ის, რაც იესომ მოიმოქმედა, დაწვრილებით რომ დაწერილიყო, “ქვეყნიერებაც ვერ დაიტევდა დაწვრილ წიგნებს”.

უფლის იესო ქრისტეს ამქვეყნად მოვლინება

1. სახარების წინასიტყვაობა, მისი უტყუარობა და მიზანი (ლკ. 1:1-4; ინ. 20:31)

ოთხივე სახარების წინასიტყვაობად შეიძლება ჩაითვალოს წმ. ლუკას სახარების პირველი თავის პირველი მუხლები (1-4), რომლებშიც წმ. მახარებელი საუბრობს გადმოცემულის “გულდასმით გამოკვლევაზე” და მიუთითებს სახარების დაწერის მიზანზე – ქრისტე მოძღვრების მყარი საფუძვლის ცოდნაზე. ამავე მიზნით ამბობს იოანე ღვთისმეტყველი მეოცე თავის 31-ე მუხლში: “რაითა გრწმენეს და ცხოვრებაი გაქუნდეს სახელითა მისითა”.

როგორც წმ. ლუკას მოყვანილი წინასიტყვაობიდან ჩანს, მას სახარების წერისთვის იმიტომ მოუკიდნია ხელი, რომ გაჩნდა უამრავი არაავტორიტეტული მონათხრობი ქრისტეს ცხოვრების შესახებ. წმ. ლუკამ “ღირსეული თეოფილესა” და ყველა ქრისტიანის რწმენაში განსამტკიცებლად აღწერა იესო ქრისტეს ცხოვრება, გამოიკვლია რა გულდასმით თვითმხილველთა და ლოგოსის მსახურთა გადმოცემები. როცა წმ. ლუკა ამბობს, რომ ბევრმა მიჰყო ხელი წერას, იგი გულისხმობს არა მოციქულებად წოდებულებს, არამედ უბრალო ადამიანებს, რომლებმაც ნაადრევად, თუმცა კარგი განზრახვით, იწყეს მაცხოვრის ცხოვრების აღწერა. ამიტომაც ისინი, მოციქულებისაგან განსხვავებით, არ იყვნენ დაზღვეულნი შეცდომისაგან. ასევე “ბევრში” არ იგულისხმებიან მათე და მარკოზი, რომელთაც სახარებები გაცილებით ადრე დაწერეს, ვიდრე ლუკამ.

წმ. ლუკა რამდენიმე თვის განმავლობაში ქრისტეს 70 მოწაფეთაგანი იყო, ამიტომ შეუძლებელია იგი ყველა მოვლენის თვითმხილველი ყოფილიყო. მაგ.: იოანე ნათლისმცემლის შობა, ხარება, ქრისტეს შობა, მირქმა. ა. გ. ცხადია, წმ. ლუკა თავისი სახარების მნიშვნელოვან ნაწილს თვითმხილველთა გადმოცემებზე დაყრდნობით გვამცნობს, აქ კი ცხადად ჩანს ზეპირი გადმოცემის უეჭველობა და აუცილებლობა, რომელსაც პროტესტანტები და სექტანტები უარყოფენ.

წმ. ლუკა ორჯერ მოიხსენიებს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, რომელიც ყველა მოვლენის თვითმხილველი და მონაწილე იყო, და რომელიც ყველაფერს გულში იმარხავდა. სწორედ ამიტომ და სხვა მრავალი მიზეზის გამო, ლუკას სახარების უპირატესობა ფაქტების გამოკვლევისა და მოვლენების თანამიმდევრობის მკაცრ დაცვაში მდგომარეობს. იგივე უპირატესობა აქვს დანარჩენ სამ სახარებასაც, რადგან მათე და იოანე იესოს 12 მოციქულთაგანი და მისი ცხოვრების თვითმხილველნი იყვნენ და მარკოზისა – წმ. პეტრეს უშუალო ზედამხედველობით შეიქმნა.

ოთხივე სახარების მიზანი გახლავთ იესო ქრისტეს ღვთაებრივი ბუნების წარმოჩენა.

საზებურო (ლკ. 1:1-4)

2. ძე ღვთისას უწინარეს შობა და განხორციელება (ინ. 1:1-14)

მაშინ, როცა მათე და ლუკა მახარებლები იესო ქრისტეს მიწიერი შობის შესახებ მოგვითხრობენ, წმ. იოანე სახარებას იესო ქრისტეს, როგორც მხოლოდშობილი ძე ღვთისას შობისა და განხორციელების სწავლების გადმოცემით იწყებს.

სამი მახარებელი თხრობას იწყებს მოვლენით, რომლის წყალობითაც ღვთის სასუფეველმა საწყისი მიიღო დროსა და სივრცეში; წმ. იოანე ვითარცა არწივი მაღლდება სასუფეველის უწინარეს საფუძველზე, ჭკერებს მის მარადიულ არსებობას, რომელიც “უკანაისკნელთა ამათ დღეთა” (ებრ. 1:1) იქცა ადამიანად.

ყოვლადწმიდა სამების მეორე პირს – ძე ღვთისას, იოანე უწოდებს “სიტყვას”. “სიტყვა” ბერძნულიდან თარგმანში (“ლოგოს”) ნიშნავს არა მარტო უკვე წარმოთქმულს, არამედ აზრს, გონებას, სიბრძნეს გამოხატულს სიტყვით, ამიტომ ძე ღვთისას ეს სახელი “დიდ სიბრძნესაც” ნიშნავს. (ინ. ლკ. 11:49, მთ. 23-24). წმ. პავლეც მაცხოვარს მოიხსენიებს “ღვთის სიბრძნედ” (1კორ. 1:24). იგივე მნიშვნელობითაა სწავლება ღვთის სიბრძნის შესახებ გადმოცემული იგავთა წიგნშიც (იგავნი 22:30).

ცხადია, ზემოთქმულიდან გამომდინარე, უცნაურია იმის მტკიცება ზოგიერთთა მხრიდან, რომ იოანემ თავისი სწავლება ლოგოსის შესახებ ისესხა ბერძენი პლატონისა და მისი მიმდევრებისაგან. წმ. იოანე წერდა იმას, რაც ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძვ. აღთქმიდან. იოანემ ეს ცოდნა საღვთო წერილებისა, თვით იესო ქრისტესაგან და სულიწმიდისაგან მიიღო.

“პირველითგან იყო სიტყვა” ნიშნავს, რომ სიტყვა თანამარადიულია ღვთისა, განუყოფელია ღმერთისაგან და ამისდა კვალად ერთარსია მისი. საბოლოოდ კი პირდაპირ აცხადებს: “და ღმერთი იყო სიტყუაი იგი”.

“პირველითგან”, ნიშნავს სამყაროს დასაწყისამდე მყოფს (დაბ. 1:1, ფს. 101,26; ებრ. 1-10). მახარებლის ამ სიტყვას აქვს შემდეგი მნიშვნელობა: სიტყვა იყო სამყაროს შემქნამდე, ასე რომ განხორციელებული სიტყვა – უფალი იესო ქრისტე გამოხატავს ზეციურ მამასთან თავის მარადიულ დიდებას. თუკი სიტყვა სამყაროს შემქნამდე იყო, ეს ნიშნავს, რომ იგი დროზე უწინარეს იყო, ვინაიდან სამყაროს დასაწყისი დროის დასაწყისიცაა ე.ი. დროზე უწინარეს მყოფი მარადიულობისაგან იყო. ა. გ. სიტყვის მყოფობა მარადიულია, დაუსაბამოა, ხოლო, რასაც დასაწყისი არა აქვს, არც არასდროს სრულდება.

როგორც ნეტარი თეოფილაქტე აღნიშნავს, იოანე ქრისტეს უწოდებს არა “შვილს ან ძეს”, არამედ “სიტყვას”, რათა ვისმენთ რა ძის შესახებ, არ ვიგულისხმოთ ვნებისული და ხორციელი შობა, არამედ როგორც სიტყვა იშვება ვნების გარეშე გონებიდან, ისე იშვა მაცხოვარი მამისაგან.

მაშასადამე “პირველითგან იყო სიტყვა” ნიშნავს: სიტყვა, მხოლოდშობილი ძე ღვთისა, განხორციელებული უფალი იესო ქრისტე შეუქმნელია, არ წარმოქმნილა დროში, არამედ აქვს დაუსაბამო ყოფიერება, ე.ი. მარადიული. “და სიტყუაი იგი იყო ღმერთისა თანა” – არის სწავლება ძის მამა ღმერთთან დამოკიდებულების შესახებ. ისევე როგორც მამა ღმერთია მარადიული, სიტყვა

– ძე ყოველთვის არსებობდა მამასთან ერთობაში. უფრო მეტიც, იგი არის პირი განსაკუთრებული, დამოუკიდებელი. მახარობელი ამბობს: “სიტყუაი იყო ღვთისა თანა” და არა ღმერთში, რაც სიტყვის პიროვნულ განსხვავებულობაზე მიუთითებს მამა ღმერთისაგან (წმ. იოანე ოქროპირი).

“ღმერთი იყო სიტყუაი იგი”, როგორც მარადიული, სიტყვა არის ღვთაებრივი პირი. ე.ი. ერთი არსება მამა ღმერთთან და ა.გ. არის ღმერთი, მამა ღმერთთან თანაბარი ღირსების.

“განასხვავე მამისა და ძის სახელები, მაგრამ აღიარე, რომ ისინი ერთმანეთის თანაბარნი არიან. მამა ღმერთი არის ღმერთი და ძეც ასევე არის ღმერთი. ერთია მათი არსი, ბუნება, თუმცა ბუნების ერთობისას ისინი შეურევნელნი არიან. ერთი მეორეში არ გადადის, ერთი მეორესთან შეერთებულია, მაგრამ ერთი მეორესგან განსხვავდება” (ეფრემ ასური).

“ყოველივე მის მიერ შეიქმნა”, ყველაფერმა არსებობა მიიღო, ყველაფერი შეიქმნა მის მიერ (დაბ.1, ებრ.1.2. კოლ.1,16). წმ. პავლე სიტყვა “ყველაფერში” მოიაზრებს “რაც ზეცაშია, მიწაზეა, ხილულია და უხილავია: საყდარნი თუ უფლებანი, მთავრობანი თუ ხელმწიფებანი – ყველაფერი მის მიერ და მისთვის არის შექმნილი” (კოლ.1:16)

ნუ ვიფიქრებთ, რომ სიტყვა მხოლოდ იარაღი იყო შექმნის დროს, პირიქით, სამყარო წარმოიშვა მთელი სამყაროს პირველმიზეზთაგან, მამა ღვთისაგან ძის მიერ, რომელიც არის წყარო ყოველივეს არსებობისა.

“მისთანა ცხორებაი იყო”. აქ არ იგულისხმება “ცხოვრება ჩვეულებრივი გაგებით, არამედ სულიერი ცხოვრება, რომელიც გონიერ არსებას არსებობის მიზეზისკენ სწრაფვას შთააგონებს. ეს სულიერი ცხოვრება მოიცემა მხოლოდ ჰიპოსტას ძე ღმერთთან ურთიერთობის გზით.” და “ცხორებაი იგი იყო ნათელ კაცთა” – ეს ღვთისგან მომდინარე სულიერი ცხოვრება განანათლებს ადამიანს სრულყოფილი განმგებლობით.

“და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს”. ადამიანისა და მთელი კაცობრიობის დაცემისა და ღვთისაგან განშორების კვალად, ადამიანში თანდათან მოკვდა და დაბნელდა ჭეშმარიტი ღვთის თაყვანისცემა. ჭეშმარიტება სიცრუეში ჩაიკარგა. პავლე მოციქულის სიტყვებით (რომ 13,12), სიტყვის ამაღლებამდე სამყაროში დამეა – ბნელა, ხალხი სიბნელესა და სიკედილის ჩრდილში ისხდა (მთ. 4:16). კაცობრიობა რელიგიურმა სიბნელემ მოიცვა, მაგრამ ღმერთს სრულად არ მიუტოვებია ხალხი. მან გამოარჩია ერთი ერი და მიანიჭა მას სულთა თავის თავზე განცხადება, მიანდო ღვთისშემეცნების ჭეშმარიტება სამყაროს განახლების დრომდე. ასეთი სახით ღმერთმა ებრაელებს მისცა ნათელი ჭეშმარიტებისა, ნათელი ბნელში ანათებს, ანათებს მოსეს სჯულში, წინასწარმეტყველებებში, აღთქმებში. “და ბნელი ვერ ეწია მას”. ბნელს არ ძალუძს ნათლის დაძლევა სიტყვა, ჭეშმარიტი ნათელი, კვლავ ხელმძღვანელობს ხალხს ცოდვის სიბნელეში, მაგრამ ამ ბნელმა არ მიიღო ნათელი; ცოდვაში გაჯიუტებულმა ხალხმა სიბნელეში დარჩენა არჩია, მაგრამ “ბნელი ვერ ეწია მას” – სიტყვას, რომელიც კვლავ ანათებდა სიბნელეში. მაშინ სიტყვამ განსაკუთრებულ საშუალებას მიმართა, რათა ცოდვის სიბნელეში მყოფი ადამიანები ეზიარებინა. წარმოგზავნილ იქმნა იოანე ნათლისმცემელი, მერე კი თავად სიტყვა განხორციელდა კაცთათვის.

“იყო კაცი მოვლინებული ღმრთისა მიერ და სახელი მისი იოანე”. ღვთის სიტყვის მარადიულობაზე საუბარში მახარებელს აქვს ცნობა იოანე ნათლისმცემელზე, როგორც ამ სიტყვის – ნათლის შესახებ მოწმეზე. “იყო კაცი” – ეს განსაკუთრებული მოწმე იყო ადამიანი და არა უზენაესი არსება ადამიანად მოვლენილი. “მოვლინებული ღმრთისა მიერ”, ე.ი. მას განსაკუთრებული მისია ჰქონდა დაკისრებული, კერძოდ, მესიის წინამორბედობა. სახარებიდან ჩანს, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი ადამიანი, არამედ “კაცი ასკეტი და მკაცრად მმარხველი, უდაბნოში გაზრდილი და აღზრდილი. მისი სახელია იოანე, რაც ნიშნავს “მადლმოსილს”. სახელი მას შობამდე დაარქვა უფლის ანგელოზმა, რაც მის განსაკუთრებულობასა და მოწოდებაზე მიუთითებდა.

“ეს მოვიდა მოწამედ”. ე.ი. მისი მოსვლის მიზანი ქრისტე – მესიის რწმენა, ქრისტესთვის გზის მომზადება და ხალხის სასუფეველისთვის განმზადება იყო.

“იგი არ იყო ნათელი”, ე.ი. იგი არ იყო თვითმყოფადი ნათელი, მაგრამ სრულად ირეკლავდა იმ ჭეშმარიტი ნათლისაგან, რომელიც მხოლოდ ერთი “თავისთავად განანათლებს ყოველსა კაცსა მომავალსა სოფლად”.

სამყარომ ვერ შეიცნო სიტყვა, როგორც ჭეშმარიტი ღმერთი და ამის ნაცვლად სხვა მრავალი ღმერთების აღიარებას მიჰყო ხელი. “თვისთა თანა მოვიდა”, ე.ი. თავისიანებთან, თავის რჩეულ ერთან მოვიდა და “თვისთა იგი არა შეიწყნარეს”, ე.ი. უარყვეს, ჯვარს აცვეს და მოკლეს. “ხოლო რაოდენთა იგი შეიწყნარეს”, რწმენითა და სიყვარულით, “მოსცა მათ ხელმწიფება შვილ ღმრთისა ყოფად”, ე.ი. მისცა მათ საშუალება ღვთისშვილებად ყოფნისა, ე.ი. ახალი სულიერი ცხოვრების დასაწყისისა, რომელიც როგორც ხორცისა, შობის მეშვეობით იწყება, მაგრამ არა ხორციელი ავხორციობით, არამედ ღვთისაგან მომდინარე შობით და “სიტყუაი იგი ხორციელ იქმნა”. “ხორციელში იგულისხმება მთლიანად ადამიანი, რომლითაც საღვთო წერილში ხშირად გამოიყენება სიტყვა “ხორცი” (მთ. 24:22), ე.ი. სიტყვა იქცა სრულყოფილ ადამიანად, რომელიც აგრძელებს ღმერთთან ყოფნას. “და დაემკვიდრა ჩვენს შორის სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა”. “მადლში” იგულისხმება მადლიცა და ღვთიური მადლის ნიჭიც, ასევე სულიწმინდის ნიჭიც.

“და ვიხილეთ დიდებაი მისი, დიდებაი ვითარცა მხოლოდშობილისაი მამისა მიერ”. მოციქულებმა ნამდვილად იხილეს მისი დიდება ფერისცვალებისას, აღდგომისას და ზეცად ამადლებსას. დიდება სუფევდა მის სწავლებებში, სასწაულებსა და ნებაყოფლობით თავისდამცირებაში. “მხოლოდშობილისაი მამისა მიერ”, რადგან მხოლოდ ის არის ძე ღვთისა არსებით, თავისი ღვთაებრივი ბუნებით.

საზებურო (ინ. 1:1-14)

ქრისტეს წინამორბედის – იოანეს ჩასახვა (ლკ. 1:1-25)

ამ თავში საუბარია მღვდელ ზაქარიას ტაძარში მსახურების დროს მასთან უფლის ანგელოზის მოვლინებაზე, რომელმაც ძის - იოანეს შობა უწინასწარმეტყველა, იოანე იქნებოდა დიდი ღვთის წინაშე. აქვე საუბარია ზაქარიას დასჯაზე ურწმუნოების გამო და იოანე ნათლისმცემლის ჩასახვაზე.

ამ დღეებში მეფობდა ჰეროდე, ტომით იდუმიელი, რომელიც არ მომდინარეობდა დავითის სამეფო სახლიდან. იგი იყო უკანონო მეფე ებრაელთა, ამიტომაც გამუდმებული შიშისა და ეჭვის გამო, ფლავიუსის ცნობით, მრავალ ადამიანს მოუსწრაფა სიცოცხლე. ჰეროდე ანტიპატრეს შვილი იყო არაბი ცოლიდან. ისტორიაში შევიდა “დიდის” ზედწოდებით ანტიგონესთან წარმატებული ომის გამო. სამეფო ტიტულის მიუხედავად, იგი ექვემდებარებოდა რომის იმპერატორს, რადგან იუდეა რომის პროვინცია გახლდათ. მან იმეფა 34 წელი და გარდაიცვალა რომის დაარსებიდან 750წ. მიუხედავად იმისა, რომ ჰეროდე პროზელიტი იყო, იუდეველებს იგი არ უყვარდათ და თავისიანად არ თვლიდნენ.

დავითის მიერ სამღვდელოება 24 წყებად იყო დაყოფილი. აარონი ითამარის და ელეაზარის შვილთა შთამომავლები დანიშნულ იყვნენ კარავთან სამსახურებლად, ხოლო შემდეგ ტაძართან სამსახურებლად და როცა ისინი ძალიან გამრავლდნენ, დავითმა ისინი 24 წყებად დაჰყო, რომელთაც ტაძართან 1 რიგის მორიგეობით უნდა ემსახურათ (1ნეშტა 24). აარონის პირმოს - ელეაზარის შთამომავლები წარმოადგენდნენ 16 წყებას, ითამარისა კი-8 წყებას. აბიას წყება იყო მერვე (1 ნეშთი 24:10), იგი წყების მთავარი იყო. ამ წყებაში ირიცხებოდა ზაქარია, რომელიც მღვდლად მოიხსენიება. არსებობს ვერსია რომ იგი მღვდელთმთავარი იყო, თუმცა მყარი საფუძველი ამის დასამტკიცებლად არ გაგვაჩნია. თითოეულ წყებას წელიწადში ორჯერ უწევდა ღვთისმსახურება, მღვდლები თავიანთ მოვალეობას წილისყრით განსაზღვრავდნენ.

ზაქარიას ცოლი - ელისაბედი (ნიშნავს ღვთის პატივისმცემელს), აარონის გვარიდან მომდინარეობდა, ე.ი. სამღვდელო გვარიდან იყო. ასე რომ იოანე ნათლისმცემელი მამითა და დედით სამღვდელო გვარს წარმოადგენდა. ზაქარია და ელისაბედი ღვთისწინაშე მართალნი იყვნენ, ე.ი. ზნეობრივად წმინდად ცხოვრობდნენ. მათ ამ ზნეობრივ სრულყოფილებას ღვთის მოცემული კანონების ზუსტი დაცვითა და მორჩილებით მიაღწიეს, რომელიც ღმერთმა ისრაელის ხალხს მოსესა და წინასწარმეტყველთა საშუალებით აუწყა.

ზაქარიასა და ელისაბედის მსახურება არ იყო გარეგნული. მათი სამართლიანობა ეფუძნებოდა შინაგან კეთილმსახურებას. “ეს იყო ჭეშმარიტი სამართლიანობა” (ექვთიმე) არა კაცთა, არამედ ღვთის წინაშე.

ზაქარია და ელისაბედი უშვილონი იყვნენ, რაც ებრაელთა წარმოდგენით ღვთის სასჯელი იყო ცოდვებისთვის, მაგრამ როგორც ჩანს მათს შემთხვევაში უშვილობა რწმენის გამოცდა იყო, რადგან ხანდაზმულები მემკვიდრის ყოლის იმედს აღარ იტოვებდნენ.

ერთხელაც, თავისი მორიგეობისას ზაქარია მღვდლობდა ღვთის წინაშე. მღვდელთმსახურების ჩვეულების მიხედვით მას წილად ხვდა კმევა და შევიდა უფლის ტაძარში, კერძოდ ტაძრის იმ განყოფილებაში, რომელსაც წმიდათა ეწოდებოდათ და სადაც კმევისთვის არსებობდა განსაკუთრებულ სამსხვერპლო-სასაკმეველე. ეს სამსხვერპლო წმიდათაში შუაში იდგა

კრეტსაბმელის წინ, რომელიც წმიდათას გამოყოფდა წმიდათა-წმიდასგან. მარჯვნივ, არც თუ ისე მოშორებით იდგა მაგიდა წინადაგებული პურით, მარცხნივ - ოქროს შეიდკანდელა. ეს სამსხვერპლო არ იყო დიდი, ოთკუთხა (გამ. 30:1); მასზე აწყობდნენ კეთილსურნელოვან ფხვნილს და ანთებდნენ, რაც ღვთის წინაშე კმევას ნიშნავდა. ამ სამსხვერპლოზე სხვა სახის კმევა იკრძალებოდა, ე.ი. იკმეოდა არა საკმეველი, არამედ კეთილსურნელოვანი ფხვნილი, რომელიც პირდაპირ სამსხვერპლოზე დაინთებოდა.

ვიდრე ზაქარია თავის მოვალეობას აღასრულებდა, ხალხი მათთვის განკუთვნილ ადგილას ღოცულობდა ტაძრის ეზოში. კმევა ყოველდღიურად ორჯერ-დილით და საღამოთი აღესრულებოდა (გამ. 30,7-8), ამის შესახებ ხალხს საყვირის ჩაბერვით აუწყებდნენ და ხალხიც სალოცავად მოედინებოდა ტაძარში. საკმეველის კმევა სიმბოლურად ცოდვების აღვლენას ნიშნავდა, ამიტომ საკმეველის კეთილსურნელებასთან ერთად აღავლენდნენ მორწმუნენი ღვთისადმი ღოცვას.

უეცრად, ზაქარიას საკმეველის სამსხვერპლოს მარჯვნივ მდგომი უფლის ანგელოზი ეჩვენა. ეს იყო ნამდვილი ხილვა, რადგან ხორციელად უფლის ანგელოზი მხოლოდ გულით წმინდანებს ეცხადება. შეერთა ზაქარია, ვინაიდან “არაჩვეულებრივი ხილვა აკრთობს წმინდანებსაც” (თეოფილატე). იუდეველთა გაგებით ანგელოზის მოვლინება სიკვდილს მოასწავებდა, ალბათ ამიტომაც შეერთა ზაქარია.

ანგელოზმა დაამშვიდა ზაქარია, რადგან ახალი გამოცხადების მისაღებად მშვიდი სულია საჭირო. ანგელოზმა უწყა, რომ მისი ღოცვა შესმენილია ღვთის მიერ და მისი ცოლი შობს ძეს, რომელიც “დიდი იქნება უფლის წინაშე”. ძნელი დასაჯერებელია, რომ ღვთისმსახურების ამ საზეიმო მომენტში ზაქარია შვილის მოცემისთვის ღოცულობდა. რასაკვირველია, როგორც ყველა მართალი, ზაქარიაც მესიის მალე მოვლინებაზე ღოცულობდა და სწორედ ამ ღოცვის დროს უთხრა ანგელოზმა, რომ მისი ღოცვა შესმენილია. და აი, მისმა ღოცვამ მიიღო ჯილდო: მას არა მარტო შვილი მიეცა, არამედ ის უფლის წინამორბედი იქნებოდა. მისი შვილი ყველას გადააჭარბებს თავშეკავებით. იგი ნაზარეველი იქნება, რომელმაც სჯულით მთელი ცხოვრების განმავლობაში თავი უნდა შეიკავოს ღვინისგან, თაფლუჭისაგან და ყოველგვარი მათრობელა სასმელისაგან. (ასეთები ძველ დროში იყვნენ სამსონი და სამუელი), სული წმინდით აივსება დედის მუცლითგან, რაც ნიშნავს, ადამიანის არაჩვეულებრივ მოსვას მადლის ნიჭით ღვთიური საქმეების აღსასრულებლად. ეს წინასწარმეტყველება ჯერ კიდევ ღვთისმშობლის ელისაბედთან სტუმრობის დროს აღსრულდა, როცა იოანე მუცელში სიხარულით შეიძრა.

წმ. იოანემ იუდეველები მესიის მოსვლისთვის უნდა მოამზადოს, რასაც ის სინანულის ქადაგებითა და ღვთისკენ ისრაელის ძეთა მოქცევით გააკეთებს. ეს უკანასკნელი ღმერთს ფორმალურად აღიარებდნენ, გულით კი, შორს იყვნენ მისგან. ამისთვის იოანეს მიეცა ილია წინასწარმეტყველის ძალა და სული. მიემსგავსა მას თავგამოდებით, მკაცრი მოღვაწეობით, სინანულის ქადაგებითა და უღირს საქციელთა მხილებით. მან უნდა გამოაფხიზლოს ზნეობრივი დაცემის უფსკრულში მყოფი იუდეველები და მშობელთა გულებში შვილების სიყვარული დაანთოს. წინამორბედმა უნდა მოამზადოს ხალხი მესიის მისაღებად, რაც მსხნელის მოსვლის მოახლოვებას ნიშნავდა. ღმერთი ითხოვდა და ითხოვს ხალხისგან ზნეობრივ განწმენდას, რაც აშკარად გამოიხატა იოანეს

ქადაგებაში. იოანე ნათლისმცემელი არაა დამნაშავე, თუ ქადაგების შემდეგ კიდევ დარჩნენ მოუშადებელნი მესიასთან შესახვედრად...

ზაქარიამ ვერ დაუჯერა ანგელოზს მოხუცებულობის გამო, მაგრამ მას, როგორც მღვდელს, საღვთო წიგნებიდან უნდა გახსენებოდა მაგალითები ღვთის ნების აღსრულებისა, როცა სიბერეში შობდნენ შვილებს (აბრაამი) და ანგელოზის მოწმობა წმინდა ადგილზე გამოცხადებით, საკმარისი უნდა ყოფილიყო მისთვის, რათა დაეჯერებინა. “იგი დაეჭვდა” და ამისთვის იგი დაისაჯა კიდევ: მოსეს სჯულის მიხედვით ლევიტელებს 50 წლამდე უნდა ემსახურათ ტაძართან, შემდეგ დაეტოვებინათ სამსახური. მღვდლებზე ეს კანონი, როგორც ჩანს არ ვრცელდებოდა. ზაქარიამ ანგელოზს არ დაუჯერა და ნიშანი მოსთხოვა. ანგელოზმა ზაქარიას თავის სახელი-გაბრიელი უთხრა რაც “ღვთის ძალას ნიშნავს”. ამ გაბრიელმა ახარა დანიელ წინასწარმეტყველს მესიის მოსვლა “შვიდეულების” ვადაში (დან 9:21-27). ურწმუნოების გამო ზაქარია დამუნჯებით და დაყრუებით დაისაჯა, რადგან ამის შემდეგ მას ნიშნებით ესაუბრებოდნენ.

ხალხი გაკვირდა ზაქარიას წმიდათაში შეყოვნებით, რადგან კმევას დიდი დრო არ სჭირდებოდა. კმევის შემდეგ მღვდელი ხალხს აკურთხებდა და ისინიც სახლებში ბრუნდებოდნენ. როცა ზაქარიამ ხალხთან საუბარი ნიშნებით დაიწყო, ერი მიხვდა რომ მას ხილვა ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ზაქარიამ ბოლომდე შეასრულა თავისი მსახურება და შემდეგ დაბრუნდა სახლში – ქებრონში ან იუდეაში. ზაქარიას ცოლს-ელისაბედს ჩაესახა ვაჟი, თავად ხარობდა ღმერთს მადლობას სწირავდა. იოანე ნათლისმცემლის ჩასახვა აღინიშნება 23 სექტემბერს (ნოქტ. ახ.სტილით).

საზეპირო ლკ. 1:6; 13-17; 25

4. ხარება ყოვლადწმიდა ღვთისმშობელისა

(ლკ. თ1:26-32)

წმ. იოანე ნათლისმცემლის ჩასახვიდან მეექვსე თვეს, გაბრიელ ანგელოზი წარგზავნილ იქნა პატარა ქალაქ ნაზარეთში, რომელიც გალილეის სამხრეთ ნაწილში მდებარეობდა, ქალწულ მარიამთან, რომელიც დაწინდული იყო იოსებზე.

ნ ა ზ ა რ ე თ ი იყო მომცრო ქალაქი გალილეაში, კაპერნაუმიდან დასავლეთით, კანადან არც თუ ისე შორს. იგი იდგა ნაწილობრივ ხევში და ნაწილობრივ მთებზე იყო შეფენილი. მისი მდებარეობა ულამაზესი იყო, თუმცა ქალაქის მოსახელობას ძალიან უჭირდა და არც კეთილშობილური ზნეობით გამოირჩეოდნენ. აქ ცხოვრობდნენ იოსები და მარიამი მათი წინდობისა და ხარების დროიდან, ვიდრე, ავეუსტუსის ბრძანებით აღწერის შესახებ, ბეთლემში გამგზავრებამდე. აქ დაბრუნდნენ ისინი ეგვიპტიდან მობრუნების შემდეგ და არა იუდეას ბეთლემში, რომელიც არქელაოსის განმგებლობაში შედიოდა. იყო ნაზარეველი – ეს ნიშნავდა, იყო უკიდურესად დამცირებული.

მახარებელი აღნიშნავს, რომ ქალწული მარიამი დაწინდული იყო იოსებზე. წინდობა იყო ერთგვარი პირობა, რომელიც იდებოდა სიძისა და

რძლის მამებს, ან მათი სიკვდილის შემთხვევაში, ნათესავებს შორის, რის მიხედვითაც იხდებიან როდის ფასი, ან საჩუქრები.

მახარებელი არ ამბობს “ქალწულთან, რომელიც მითხოვილ იყო იოსებზე”, არამედ, “ქალწულთან, რომელიც დანიშნულ იყო იოსებზე”, რაც ნიშნავს, რომ მარიამი ფორმალურად ითვლებოდა იოსების ცოლად, სინამდვილეში კი არ იყო მისი ცოლი.

ყოველწმიდა ქალწული მშობლებისგან ადრევე იყო შეწირული ტაძარში სამსახურებლად, ამიტომ მათთან დაბრუნებას ვერ შეძლებდა. მას უკვე 14 წელი შეუსრულდა და კანონის მიხედვით უნდა გათხოვილიყო. მღვდელთმთავრებმა და მღვდლებმა, გაითვალისწინეს რა ქალწულის აღთქმა ღვთის წინაშე, რომელსაც არ სურდა მარტო დარჩენილიყო მფარველის გარეშე, ფორმალურად დაწინდეს მის ნათესავზე მართალი ცხოვრებით. ეს გახლდათ 80 წლის იოსები, რომელსაც პირველი ქორწინებიდან მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰყავდა (მათ. 13:55-56) და ხელობით გურგალი იყო. დაწინდვიდან გარკვეული დროის განმავლობაში, ქორწინებამდის საცოლე თავის ნათესავებთან ცხოვრობდა. ხდებოდა ისეც, რომ დაწინდულები ერთად ბინადრობდნენ, მაგრამ არ ცხოვრობდნენ ცოლქმრული ურთიერთობით. ქორწინებამდე დანიშნული ვაჟის მეუღლედ ითვლებოდა. გადმოცემის თანახმად, მარიამი დაწინდვის შემდეგ იოსების სახლში ცხოვრობდა. მარიამიც და იოსებიც ღვთის ტომიდან წარმოდგებოდნენ. მოსეს რჯულის თანახმად, სხვა ტომიდან ცოლის მოყვანა ეკრძალებოდათ უფრო მეტიც, სხვა თემიდან, გვარიდანაც კი.

შევიდა ანგელოზი ქალწულთან, უწოდა მას “მიმადლებული” ე.ი. ღვთის სიყვარულისა და წყალობის ქვეშ მყოფი, გამორჩეული, რაც აუცილებელია წმინდა და დიდი საქმეებისთვის. მიმართვა “გინაროდენ” იგივეა, რაც “გამარჯობა”, მაგრამ “მიმადლებული”, რაღაც განსაკუთრებული და არაჩვეულებრივი მიმართვაა. “უფალი შენთანა” – ესეც ჩვეულებრივი მიმართვაა და ნიშნავს – უფალს სურს მასზე დაივანოს.

“კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის” და “სული წმიდაი მოვიდეს შენზე და ძალი მადლისა გფარვიდეს შენ”, – კვლავ არაჩვეულებრივი მიმართვა. “კურთხეულ იყო დედათა შორის” ნიშნავს მათზე წინ იდგე, იყო პირველი, საუკეთესო, უნეტარესი მათ შორის. ანგელოზის სიტყვებმა შეაშფოთეს მარიამი და იგი ჩაფიქრდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ სიტყვებს. მარიამის შემფოთება განსხვავდება ზაქარიას შემფოთებისაგან. ზაქარიას დაეცა შიში და უნდობლობა, ყოველად წმინდა კი დაფიქრდა, თუ რას უნდა ნიშნავდესო ეს არაჩვეულებრივი მისაღმება. ასევე აღსანიშნავია, რომ მარიამისთვის ზეციურ მაცნეთა გამოცხადება არ იყო უჩვეულო. გადმოცემა მოგვითხრობს, რომ დაწინდვამდე ქალწულ მარიამს, ტაძართან ცხოვრებისას, გამოეცხადა ანგელოზი, რომელმაც აუწყა, რომ იგი შობდა ძეს, რომელიც იქნება “დიდი”, მაგრამ არა როგორც იოანე, არამედ როგორც “ძე უზენაესისა”.

ანგელოზი ქალწულს ესაია წინასწარმეტყველის სიტყვებით მიმართავს. გადმოცემა გვამცნობს, რომ ანგელოზი ღვთისმშობელს სწორედ მაშინ გამოეცხადა, როცა ესაია წინასწარმეტყველის წიგნი ჩაიკითხა, გაჩერდა და ამ სიტყვებს ანალიზებდა.

წოდება “ძე მადლისა” ე.ი. მამა ღმერთისა. მას მიეცემა “საყდარი ღვთისა, მამისა თვისისა,” შობილი იქნება მეფე, მემკვიდრე და მფლობელი

დავითის სამეფო ღირსებისა – მამისა თვისისა. დავითი იწოდება მესიის – იესო ქრისტეს მამად, რადგან იგი წარმოდგება დავითსაგან პირდაპირი გზით – დედის მხრიდანაც და იოსებ დამწინდველის მხრიდანაც.

ღმერთმა აღუთქვა დავითს, რომ მის ტახტზე მარადიულად ისხდებოდნენ მეფეები დავითის ტომიდან და ეს აღთქმა აღსრულდა ქრისტეში – ეკლესიის მარადიულ მეფეში: – “მეუფებდეს სახლსა ზედა იაკობისა”, ე.ი. ებრაელთა ერზე, რომელიც პატრიარქ იაკობის 12 შვილისგან წარმოდგება. საღვთო წერილის ენაზე ებრაელი ერი იაკობის სახელად ან გვარად აწოდება. მესია მეფეა დედამიწის ყველა ერისა. ”საღვთო საყდარში” უნდა მოვიაზროთ სულიერი მხარე, ხოლო “იაკობის სახლში” – მორწმუნე ებრაელები და სხვა მორწმუნე ხალხები.

ქალწული მარიამის კითხვას: “ვითარ-მე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არა ვიცი?”- არ ექნებოდა აზრი, თუკი მას ქალწულობის აღთქმა არ ექნებოდა დადებული. ღვთისმშობელი ანგელოზს ეკითხება არა ურწმუნოების, არამედ მოვლენის უკეთ გაგების გამო. ანგელოზი მას არწმუნებს, რომ მისი აღთქმა არ დაირღვევა, რადგან იგი შობს შვილს ზებუნებრივი ძალით, ქმრის გარეშე. უთესლოდ ჩასახვას იქმს სულიწმინდა და “ძალა მადლისა.” ე.ი. თვით ძე ღვთისა (1კორ. 1:24) დაიფარავს მას და შევა მასში.

ყოვლად წმინდა ქალწული არ ითხოვს სასწაულს ან მოწმობას, პირიქით, ანგელოზი თვითონ მიუთითებს, ჭეშმარიტების დასანტიცებლად, ელისაბედზე, რომელიც ღვთის ყოვლის შემძლეობით სიბერეში დაფენხმობდა.

შობილს “წმიდა” ეწოდება, რადგან მესია მოვიდა იმისთვის, რომ კაცთა ცოდვისთვის ღვთის სიმატლეს შესწიროს თავი. ამისთვის მას არ უნდოდა და არც შეეძლო პქონოდა რაიმე ცოდვა, მათ შორის არც პირველშობილი ცოდვა, რომლითაც ყოველი ადამიანია შეკრული. სწორედ ამიტომაც წინასწარ განწმენდილ ქალწულში ჩაისახა მაცხოვარი ღვთის განსაკუთრებული ქმედებით.

ყოვლადწმიდა მარიამმა, საღვთო წერილებიდან კარგად იცოდა. რომ მას შვილთან ერთად მოელის არა მარტო დიდება, არამედ ვაებაც, თუმცა იგი ყველაფერში მორჩილია ღვთისა. იგი პასუხობს: “აჰა, მხევალი უფლისა მყავან მე სიტყვისაებრ შენისა!”

“დაუჯერა ევამ გველს, დაუჯერა მარიამმა გაბრიელს და რაც იმ რწმენით დაკარგა, ამ რწმენით მოიპოვა”().

ხარება იზეიმება 25 მარტს (7აპრილი ახ.სტ)

მიიღო რა ხარება ყოვლადწმიდა ქალწულმა, არაფერი არ უთხრა იოსებს, როგორც წმ. ოქროპირი ბრძანებს, სამართლიანი შიშით, რომ შესაძლებელია იგი არ დაუჯერებდა მას და დანაშულის დამალვაში დადებდა ბრალს.

საზეპირო: ლკ. თ1: 31:33

ყოველდღივად ქალწულ მარიამისა და ელისაბედის შეხვედრა

(ლკ. 1:39-56)

ყოველდღივად ღვთისმშობელი მიიჩქარის თავის ნათესავ ელისაბედთან, რომელიც ცხოვრობდა იუდეის ქალაქ იუტში, ქებრონთან ახლოს, რათა თავისი სიხარული გაუზიაროს. როცა მარიამი ზაქარიას სახლში შევიდა და დიასახლისს მიესალმა, ელისაბედს ყრმა შეუტოკდა მუცელში და სულიწმინდით ადივსო. ყრმის ასეთი უჩვეულო ქცევა დედის მუცელში მოწმობდა იმ უდიდეს სულიერ ურთიერთობაზე, რომელიც მათ შორის არსებობდა. ელისაბედიც ადივსო სულიწმინდით, რომლისგანაც მყისვე იგრძნო მარიამის საიდუმლო, თუმცა ჩვენ გვახსოვს, რომ ამის შესახებ ჯერ იოსებმაც არაფერი იცოდა. ანგელოზმა იოსებს მოგვიანებით გამოუცხადა დაფარული.

ელისაბედი მარიამს იმავე სიტყვებით ესალმება, რომლითაც ანგელოზმა მიმართა მარიამს: “კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი შენი”. როგორც ნათესავმა, ელისაბედმა უცილობლად იცოდა მარიამის ქალწულებრივი აღთქმის შესახებ, თუმცა იგი სიხარულით შესძახებს: “და ვინა ჩემდა ესე, რაითა მოვიდეს დედა უფლისა ჩემისა ჩემდა?” ელისაბედის ყრმამ სულიწმინდის მადლით შეიგრძნო იმ ყრმის სიახლოვე, ვისი მოსვლისთვისაც მას უნდა გაემზადებინა გზები და კაცობრიობა. სულიწმინდის მოქმედება ყრმიდან დედაზე გადავიდა და ღვთის მადლით იმავედროულად დედასაც ეუწყა მარიამის მიერ მოტანილი სასიხარულო ამბავი და მთავარანგელოზის მსგავსად ადიდა ქალწული, როგორც ღვთისმშობელი. იმ დიდი რწმენისთვის, რომლითაც მარიამმა ანგელოზის ხარებით მიიღო, ელისაბედი მადლიერებით ეფერება მას და თითქოს ამ რწმენას უპირისპირებს მისი ქმრის ზაქარიას ურწმუნოებას.

აქდან გამომდინარე, მარიამი მიხვდა, რომ ელისაბედმა ღვთისგან იცის უკვე მისი საიდუმლო. გახარებულმა იმით, რომ ახლოსაა მესიის მოსვლასა და ისრაელის ხსნის დღე, ქალწულმა შთაგონებული გალობით განადიდა ღმერთი. ეს გალობა დღემდე სრულდება ჩვენში ღვთისმსახურების დროს და ასე უღერს: “ადიდებს სული ჩემი უფალსა, და იხეიმა სულმან ჩემმა ღმერთზე, ჩემს მაცხოვარზე”. იგი ხაზგასმით უარყოფს თავის პირად ღირსებასა და ადიდებს უფალს, რომელმაც მოხედა მის თავმდაბლობას და იქვე წინასწარმეტყველებს, რომ ამ დიდი წყალობისთვის, რომელიც ყოველადღიერმა მას მიჰმადლა, ნეტარად ჩათვლის მას ყველა თაობა და წყალობა ღვთისა ექნებათ მას მოშიშთ თაობიდან თაობამდე. ამის შემდეგ ქალწული ჰმადლობს უფალს იმის გამო, რომ არ დაივიწყა მამებისა და აბრაამისადმი მიცემული პირობა და აჰა, მოუვლინა ისრაელს ნანატრი მსხნელი, რომ აამაღლა თავმდაბალნი და ტახტიდან გადმოყარა ძლიერნი.

საბოლოოდ, როგორც ჩანს, ქალწული მარიამი არ დალოდებია იოანეს შობას და თავის სახლში დაბრუნებულა.

საზებურო ლკ. თ:46-55

6. წმ. იოანე ნათლისმცემლის შობა

(ლკ. 1:57-80)

ელისაბედს დაუდგა მშობიარობის უამი და შობა ვაჟი. ეს გაიგეს მეზობლებმა და ნათესაებმა და მერვე დღეს შეიკრიბნენ წინდაცვეთის შესასრულებლად, რომელიც ჯერ კიდევ აბრაამის დროს და მოსეს მიერ იყო დაკანონებული. ამ წესით შედიოდა ყრმა ღვთის რჩეულ ერის საზოგადოებაში და ამიტომ ეს დღე საოჯახო დღესასწაულად ითვლებოდა. წინდაცვეთისას ახალშობილი რომელიმე წინაპრის სახელს არქმევდნენ, ამიტომ დედის სურვილმა – ყრმისთვის იოანე დაერქვათ – ერთგვარი გაოცება გამოიწვია. მახარობელი ამ გარემოებას ხაზგასმით აღნიშნავს. ალბათ იმის გამო, რომ ელისაბედის სურვილი სულიწმინდის შთაგონების შედეგია. გადაწყვეტილების მისაღებად მიმართეს მამას. მან ფიცარი მოითხოვა და დაწერა: “მისი სახელია იოანე”. ყველა გაოცებული იყო ამის გამო, რომ დედის და მამის სურვილი ასე დაემთხვა ერთმანეთს, თუმცა მათ გვარში ეს სახელი არავის რქმევია. მაშინვე, ანგელოზის წინასწარმეტყველების მიხედვით, ზაქარიას გაეხსნა პირი და ენა, აღივსო სულიწმინდით და წინასწარმეტყველებდა, რომ “ისრაელს ღმერთმა მოხედა თავისს ხალხს და მოუშადა მას გამოსყიდვა, რომელმაც აღგვიმადლა რქა ხსნისა თავისი მორჩილის დავითის სახელში”.

თუ ძველი აღთქმისეული ბოროტმოქმედებები ყოველად დასაწყველის სამსხვერპლოს მიაშურებდნენ და მისი რქის შეხებისას ხელშეუხებელი ხდებოდნენ, ამიერიდან ცოდვებით დამძიმებულმა და ღვთის სამართლით დევნილმა მოღვამ კპოვა ხსნა იესო ქრისტეში. ეს ხსნა გულისხმობს არა მხოლოდ ისრაელის განთავისუფლებას პოლიტიკური მტრებისგან, (როგორც ამას მწიგნობრები და ფარისეველები ფიქრობდნენ), არამედ უპირველესად ღვთის აღთქმის აღსრულებას, რომელიც მან ძვ. აღთქმის წმინდა მამებთან დადო. აღთქმა ასეთი იყო: ყველა ნამდვილ “ისრაელელს შესაძლებლობა ექნება ემსახუროს ღმერთს, რწმენითა და სიმართლით”. “სიმართლის” ქვეშ იგულისხმება გამართლება უფლისმიერი საშუალებებით, ანუ ადამიანის ქრისტესმიერი გამომსყიდველობის დამსახურების მინიჭებით. “სიწმინდის” ქვეშ იგულისხმება ადამიანის შინაგანი გამოსწორება, რაც ადამიანის ძალისხმევითა და ღვთის მადლით მიიღწევა.

ზაქარია თავის ყრმა შვილს უწინასწარმეტყველებს მომავალს, იმასვე რაც ანგელოზმა ბრძანა. კერძოდ ის, რომ ყრმას დაერქმევა უზენაესის წინასწარმეტყველი, რომ განუმზადებს უფალს გზებს, მისცემს ხალხს ხსნის ცოდნას მისი ცოდვების მიტევებით. მიტევება კი მოხდება მხოლოდ “ჩვენი ღვთის გულმოწყალებით, რომლითაც გადმოგვხედა აღმოსავლეთმა მადლიდან”, იგია მესია – გამომსყიდველი. ასე მოიხსენიებდნენ მას ძვ. აღთქმის წინასწარმეტყველნი – ზაქარია და იერემია.

გადმოცემის მიხედვით, იოანეს შობის ამბავმა ეჭვიან მეფე ჰეროდეს ყურამდეც მიაღწია და როცა იერუსალიმს მოგვები მივიდნენ და მას ჰკითხეს ახალშობილი იუდეველთა მეფის შესახებ, ჰეროდეს გაახსენდა ზაქარიას შვილი და ჩვილთა ამოხოცვის ბრძანებით იუდეაში ჯარი გაგზავნა. ამ დროს ზაქარია ტაძარში ღვთიამსახურებდა, ელისაბედი კი, ჩვილთან ერთად, უდაბნოში დაიმაღა. გაგულისებულმა ჰეროდემ ზაქარიასთან ხალხი გაგზავნა, რათა გაეგო, თუ სად მაღავდა ელისაბედი ჩვილს. ზაქარია მტკიცედ იმეორებდა, რომ იგი ღმერთს ემსახურებოდა და არ იცის შვილის

ადგილსამყოფელი. მკვლევებმა ზაქარია ტაძარსა და სამსხვერპლოს შორის გამოასალმეს სიცოცხლეს. ამ ამბავს იხსენებს მაცხოვარი ფარისევლებისადმი თავის მამხილებელ საუბარში. (მთ 23:35)

იოანე ნათლისმცემლის შობას ვდღესასწაულობთ 24 ივნისს (7 ივლისი ა.ხ.სტ.).

7. უფალ იესო ქრისტეს ხორციელი წარმოშობა

(მთ. 1:1-17; ლუკა 3:23-28)

უფალ იესო ქრისტეს ხორციელი წარმოშობის შესახებ ცნობებს ვხვდებით წმ. მათესა და წმ. ლუკას სახარებებში. ორივე ერთნაირად ამოწმებს, რომ უფალი იესო ქრისტე წარმოიშვა დავითისა და აბრაამისაგან, მაგრამ სხვა სახელები, რომლებიც სახარებებშია მოყვანილი, ყოველთვის არ ემთხვევიან ერთმანეთს. ამის მიზეზი ისაა, რომ წმ. მათე თავის სახარებას აბრაელთათვის წერდა. მისთვის მნიშვნელოვანი იყო დაემტკიცებინა, რომ უფალი, ძვ. აღთქმის წინასწარმეტყველების თანახმად, აბრაამისა და დავითისაგან წარმოიშვა. იგი თავის სახარებას იწყებს პირდაპირ უფლის წარმოშობით, იწყებს აბრაამით და ამთავრებს იოსებით, რომელიც იყო ქმარი მარიამისა, რომლისგანაც იშვა იესო, რომელსაც ჰქვია მხსნელი. ჩნდება კითხვა: რატომ გვამცნობს მახარებელი იოსების საგვარეულო ნუსხას და არა მარიამისას? ასე იმიტომ მოხდა, რომ ებრაელებში დედის წინაპართაგან ვისიმე საგვარეულოს წარმოქმნა მიღებული არ იყო; რადგანაც მარიამი იოაკიმესა და ანას ერთადერთი შვილი იყო, მოსეს კანონის მიხედვით ის ცოლად უნდა გაჰყოლოდა იმავე ძირის, ტომისა და გვარის ადამიანს და რადგანაც მოხუცი იოსები მეფე დავითის შთამომავალი იყო, ისიც იმავე წარმოშობისა უნდა ყოფილიყო.

წმ. ლუკა, რომელიც მიზნად წარმართების მოქცევას ისახავდა, იწყებს საგვარტომო ნუსხას უფლისას ადამიდან და მიჰყავს იგი ღმერთამდე. ლუკას სურდა დაემტკიცებინა, რომ ქრისტე ეკუთვნის მთელს კაცობრიობას და არის ყოველი ადამიანის გამომსყიდველი მხსნელი. მათესგან განსხვავებით, სადაც იოსები იაკობის ძეა, ლუკას მიხედვით იოსები ელიას ძეა; ასევე შეაღთიელი, რომელიც ორივე მახარებელთან მომიხსენიება როგორც ზორაბაბელის მამა, წმ. მათეს მიხედვით იეხონიას ძეა, ხოლო ლუკას მიხედვით ნერისა. უძველესი ქრისტიანი მეცნიერი იულიუს აფრიკელი ამას შეგუებულობის კანონით ხსნის, რაც იმას გულისხმობს, რომ “თუ ორ ძმათაგან ერთი უშვილოდ გადაეგებოდა, მეორე მოვალე იყო ცოლად მოეყვანა ძმის ცოლი და “ადედგინა სახელი ძმისა მისისა”. ამ ქორწინების პირშო უნდა ჩათვლილიყო პირველი მკვდარი ძმის შვილად, რათა მისი სახელი არ წაშლილიყო ისრაელში”. ამ კანონს ძალა ჰქონდა არა მარტო მკვიდრ ძმათა შორის ურთიერთობაში, არამედ დედით ან მამით საერთო ძმობის შემთხვევაშიც. ასეთი ძმები იყვნენ იაკობი – იოსების მამა წმ. მათეს მიხ. და ელი – იოსების მამა წმ. ლუკას მიხედვით. მათ ჰყავდათ სხვადასხვა მამები, ხოლო დედით ერთნი იყვნენ. დედა ცოლად გაჰყვა იაკობის მამას, შემდეგ ელის მამას. სახელად ერქვა ესტა. ამრიგად, როცა ელის ერთ-ერთი ძე გარდაიცვალა უშვილოდ, მეორე ძმამ – იაკობმა ცოლად შეირთო მისი ცოლი, ადადგინა ძმის თესლი და შვა იოსები. ა. გ. წმ. ლუკა აწარმოებს გვარტომობის აღრიცხვას რესათი, ზორაბაბელის ძით და ელით – იოსების

მამით; ხოლო წმ. მათე იწყებს ზორაბაბელით, შემდეგ აბიჰუდი – ზორაბაბელის სხვა ძე და იაკობი, იოსების მეორე მამა.

წმ. მათეს სახარების უფლის საგვარტომო ნუსხაში ცოდვილი და წარმართი ქალების შეტანა შემდეგნაირი დამოძღვრების მიზნით მოხდა: ღმერთი, რომელმაც არ იუკადრისა ასეთი ქალების რჩეული გვარტომობისთვის მიკუთვნება, არ უგულვებელყოფს არც წარმართებსა და ცოდვილებს თავის სასუფეველში მოსაწოდებლად – არა თავისი დამსახურების მიხედვით გადარჩება ადამიანი, არამედ ყოვლისგამპატიოსნებელი მადლის ძალით.

8. იესოს შობა

იესოს შობასა და მასთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ მოგვითხრობენ წმ. მათე და წმ. ლუკა თავიანთ სახარებებში. წმ. მათე გვამცნობს თუ როგორ გაუცხადა მართალ იოსებს ღვთის განხორციელების საიდუმლო, მოგვთა თაყვანისცემის, წმ. ოჯახის ეგვიპტეში ღტოლვილობის, ბეთლემში ყრმათა ხოცვის შესახებ.

წმ. ლუკა უფრო დაწვრილებით აღწერს ბეთლემში ქრისტეს შობის გარემოებებს და მწყემსთაგან თაყვანისცემას.

მართალი იოსებისთვის ღვთის განხორციელების განცხადება

(მათ. 1:18-25)

წმ. მათე გვამცნობს, რომ ქალწული მარიამის იოსებზე დაწინდვის შემდეგ, “ვიდრე იხინი შეუღლდებოდნენ”, ანუ მათ შორის ნამდვილ ქორწინებამდე, იოსებმა გაიგო, რომ მისი დანიშნული მარიამი “იყო დაორსულებული”. იოსები მართალი და მოწყალე ადამიანი იყო, ამიტომ მან გადაწყვიტა, ვითომდა ცოდვაში მყოფი მარიამი არ გაეწირა მოსეს კანონით დაწესებული საშინელი სიკვდილისათვის და ჩუმად გაეშვა იგი. ამ სადარდებელში იყო იოსები, რომ მას ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა, რომ ნაყოფი, რომელიც მის დანიშნულს ჩაესახა “სულიწმიდისაგან არის”, “გააჩენს ძეს და დაარქმევს მას სახელად იესოს, ვინაიდან იგი იხსნის თავის ხალხს მათი ცოდვებისაგან” (“იესო” ებრაულად “იჰოშუა” “მაცხოვარს” ნიშნავს). ანგელოზმა იოსების ეჭვის გასაქარვებლად მას გაახსენა ესაიას წინასწარმეტყველება, რომ უთესლოდ ჩასახვის ეს სასწაული და მაცხოვრის უბიწო ქალწულისაგან შობა წინასწარგანზრახული იყო ღვთის წინასაუკუნო განგებულებით. “აჰა, ქალწული დაორსულდება და გაუჩნდება ძე... (ეს.7:14). არ უნდა ვიფიქროთ, რომ წინასწარმეტყველება არ ახდა, თუკი წინასწარმეტყველი ამბობს “და დაარქმევენ მას სახელად იმანუელს”, ქალწულ მარიამის ნაშობს კი იესო დაარქვეს. “იმანუელი” არ არის საკუთარი სახელი, იგი სიმბოლურია და ნიშნავს “ჩვენთან არს ღმერთი”, რამეთუ მისი სახელით გარდამოხდა უფალი ზეცით და იწყო ხალხთან ერთად ცხოვრება. ეს წინასწარმეტყველება ნიშნავს, რომ სასწაულებრივად შობილი ყრმა იქნება არა წვლილი კაცი, არამედ უფალი.

ანგელოზის რწმუნებით, იოსებმა მიიღო “ცოლი თვისი”, ანუ დატოვა იგი თავის სახლში საცხოვრებლად. “აღარ გაჰკარებია მას, ვიდრე არ შვა თავისი ძე”. ამ ცნობამ არ უნდა დაგვაბნოს. სწორად აღნიშნავს ოქროპირი, რომ შეუძლებელია იმის დაშვება, რომ ისეთ მართალ კაცს, როგორც იოსებია, გაებედა გაჰკარებოდა უწმინდეს ქალწულს, მისი სასწაულებრივი დედობის შემდეგ. სიტყვა “ვიდრე” არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს შობის შემდეგ იოსები ქმრობას უწევდა წმიდა ქალწულს, როგორც ამას სექტანტები ამტკიცებენ. წმ. წერილში სიტყვა “ვიდრე” იხმარება აგრეთვე წარღვნის დამთავრების აღმწერ ფრაზაშიც. “და გამოუშვა ყვაფი, გაფრინდა და არ დაბრუნებულა, ვიდრე გამოჩნდა მიწა წყალში”. მაგრამ ყვაფი მერეც არ დაბრუნებულა. ან მაგალითად, უფლის სიტყვები: “აჰა, მე თქვენთანა ვარ ყოველდღე წუთისოფლის აღსასრულამდე”. (მთ. 28:20) როგორც ნეტარი თეოფილაქტე აღნიშნავს, ზემოთხსენებული ფრაზა არ ნიშნავს, რომ “წუთისოფლის აღსრულების შემდეგ ქრისტე აღარ იქნება ჩვენთან”. უფრო პირიქით, სწორედ მაშინ იქნება უფალი ჩვენთან.

“პირმშოდ” იწოდება მაცხოვარი არა იმიტომ, რომ პირველი გაჩნდა და შემდეგ სხვებიც დაიბადნენ, არამედ იმიტომ, რომ ერთადერთი დარჩა დედისთვის.

ძვ. აღთქმაში უფალი ბრძანებს: “განიწმინდოს ყოველი პირმშოდ”, მიუხედავად იმისა, ეყოლებათ მშობლებს კიდევ სხვა შვილები თუ არა. თუმცა სახარებაში მოხსენიებული არიან იესოს ძმები (მთ. 12:46; იოან. 2:12), ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ისინი მისი მკვიდრი ძმები იყვნენ. როგორც გადმოცემა გვამცნობს, ისინი იოსების შვილები იყვნენ პირველი ქორწინებიდან.

ქრისტეს შობის დრო და გარემოებანი

(ლკ. 2:1-20)

ყველაზე უფრო თანამიმდევრულად ქრისტეს შობის გარემოებისა და დროის შესახებ მოგვითხრობს წმ. ლუკა მახარებელი. ქრისტეს შობის მოვლენას იგი უკავშირებს რომის იმპერიაში საერთო აღწერის პერიოდს. აღწერა ჩატარდა კეისარ ავგუსტუსის ბრძანებით, რომლის სახელი იყო ოქტავიანე და რომელმაც რომის სენატისგან მიიღო “ავგუსტუსის”, ანუ “წმიდას” ტიტული. საწუხაროდ, ისტორიას არ შემოუნახავს ამ აღწერის ზუსტი თარიღი, მაგრამ ცნობილია ოქტავიანეს მმართველობის ისტორია. ეს და სხვა წყაროები, რომელზეც შემდგომში ვისაუბრებთ, საშუალებას მოგვცემს გავერკვეთ ქრისტეს შობის თარიღის განსაზღვრაში.

თანამედროვე წელთაღრიცხვა შემოღებული იქნა VI ს-ში, რომელი ბერის – დიონისე მცირეს მიერ, რომელმაც ჩათვალა, რომ ქრისტე იშვა რომის დაარსებიდან 754წ. საგულდაგულო კვლევამ ამ გამოთვლის უზუსტობა დაამტკიცა. დიონისე შეცდა სულ მცირე 5 წლით მაინც და მიუთითა თარიღები გაცილებით გვიან შობამდე, ვინემ სინამდვილეში იყო. დიონისეული წელთაღრიცხვა X ს-ში და შემდგომ გავრცელდა ქრისტიანულ ქვეყნებში და ყველგან და იქცა სამოქალაქო წელთაღრიცხვად (უწინ მხოლოდ საეკლესიო წელთაღრიცხვისთვის იყენებოდა), თუმცა იგი დღესდრეობით არაზუსტ წელთაღრიცხვად ითვლება.

ქრისტეს დაბადების თარიღის დადგენა უფრო ზუსტად სახარების შემდეგ მონაცემებზე დაყრდნობით მოხერხდა:

1. ჰეროდე დიდის მეფობის პერიოდი. მათეს 2:1-8 და ლუკას 1:5 სახარებიდან ნათლად ჩანს, რომ ქრისტე იშვა ჰეროდეს მეფობის დროს (774-750წ. რომის დაარსებიდან). მოკვდა 750 წელს; პასექამდე 8 დღით ადრე, ძალიან მალე მთვარის დაბნელების შემდეგ. ასტრონომიული გამოთვლით დაბნელება მოხდა 13დან 14 მარტის დამეს 750წ. იუდეური პასექი ამ წელს დაემთხვა 12 აპრილს. აქედან გამომდინარე ჰეროდე გარდაიცვალა 750წ. აპრილის დასაწყისში, ანუ ჩვენს ერამდე სულ მცირე 4 წლით ადრე.

1. წმიდა ლუკასთან ხსენებული სახალხო აღწერა. (2:1-5). დაიწყო კეისარ აგუსტუსის ბრძანებით 746წ. ჰეროდეს მეფობის ბოლო წლებში, შემდეგ შეჩერდა ჰეროდეს სიკვდილის გამო და გაგრძელდა კვირინოსის სირიაზე მმართველობისას, რაც ლუკას სახარებაშია ნახსენები (2:2). ამ აღწერის შედეგად პალესტინაში მოხდა სახალხო აჯანყება. მისი მომწყობი თვედ 750წ. 12 მარტს ჰეროდემ მოაკვლევინა. გასაგებია, რომ ეს აღწერა ამ მოვლენამდე ცოტათი ადრე უნდა დაწყებულიყო.

2. კეისარ ტიბერიუსის მმართველობა. მისი მმართველობის მეთხუთმეტე წელს, ლუკას სახარების მიხედვით (3:1), წმ. იოანე ნათლისმცემელმა დაიწყო ქადაგება, ხოლო უფალ იესო ქრისტეს 30 წელი შეუსრულდა (ლკ. 3:23). აგუსტუსმა ტიბერიუსი სიკვდილამდე 2 წლით ადრე თანამმართველად დანიშნა (765წ. იანვარში). ა. გ. ტიბერიუსის მმართველობის მეთხუთმეტე წელი იწყებოდა 779წ. იანვარში. იმდენად, რამდენადაც სახარების მიხედვით, უფალი იესო ქრისტე ამ დროს 30 წლისა იყო, გამოდის, რომ ის დაიბადა 749 წ.

3. ასტრონომიული გამოთვლები ცხადყოფენ, რომ მაცხოვრის ჯვარცმის წელი (სახარების მიხედვით ამ წელს დგებოდა პასექი პარასკევ სადამოს) 783 წ. უნდა ყოფილიყო, ხოლო რადგან მაცხოვრის დაბადებიდან 32-ე წელი მიდიოდა, სავარაუდოა, რომ იგი დაიბადა რომის დაარსებიდან 749წ.

ამრიგად, ზემოთმოყვანილი მონაცემები ცხადყოფენ, რომ მაცხოვრის შობის წლად აღიარებული უნდა იყოს 749 წ. რომის დაარსებიდან.

ოთხთავში მონაცემთა უკმარისობის გამო შეუძლებელია ქრისტეს დაბადების დღის ზუსტი თარიღის დადგენა. თავდაპირველად, აღმოსავლური ეკლესია ამ დღესასწაულს “ღვთის დედამიწაზე მოვლინებას” “ეპიფანიობისას” აღნიშნავდა. დღეს 7 იანვარს, დასავლეთის ეკლესიაში მაცხოვრის შობა 25 დეკემბერს აღინიშნება. IV ს-ის ბოლოდან აღ-ის ეკლესიამაც დაიწყო ამ დღესასწაულის 25 დეკემბერს აღნიშვნა. ეს დღე დადგენილი იქნა შემდეგი მოსაზრების გამო: ითვლება, რომ ზაქარია იყო პირველი მღვდელმთავარი და ანგელოზი მას გამოეცხადა წმიდათაწმიდაში ფარდის იქით. იქ, სადაც მხოლოდ მღვდელმთავარი შედის წელიწადში ერთხელ, განწმენდის დღეს. ჩვენი კალენდრის მიხედვით, ეს დღე არის 23 სექტემბერი (ახ. სტ. 6 ოქტომბერი). ამ დღეს თვლიან წინამორბედის ჩასახვის დღედ. ამ დღიდან მეექვსე თვეს “ანგელოზის” მიერ ეხარა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს. ეს გახლავთ 25 მარტი (7 აპრილი), ხოლო ცხრა თვის შემდეგ, ანუ 25 დეკემბერს (7 იანვ.) იშვა მაცხოვარი. მაგრამ დაზუსტებით არ ვიცით, იყო თუ არა ზაქარია მღვდელმთავარი, ამიტომ მისაღებია შობის დღესასწაულის უფრო სხვა, სიმბოლური ახსნა.

ძველები თვლიდნენ, რომ ქრისტე ჩაისახა 25 მარტს, საგაზაფხულო ბუნიობის დროს, ისევე როგორც პირველი კაცი – ადამი, ხოლო დაიბადა 9 თვის თავზე, ზამთარში, მზის შემობრუნების დროს, როცა დღე იმატებს და ღამე იკლებს. ამის თანახმად, იოანე ნათლისმცემლის ჩასახვას ავლნიშნავთ 22 სექტემბერს, შემოდგომის ბუნიობის დროს, ხოლო დაბადებას 24 ივნისს (ახ. 7 ივლისი), მზის შემობრუნების დროს, როცა დღე იწყებს კლებას. ჯერ კიდევ წმ. ათანასე მიუთითებდა იოანე ნათლისმცემლის სიტყვებზე: “ის უნდა გაიზარდოს, მე კი უნდა დავპატარავდე”. (იოან.3:30).

გაუგებრობას იწვევს წმ. ლუკას შენიშვნა იმის თაობაზე, რომ ქრისტეს დაბადების დროს წარმოებული აღწერა “პირველი” იყო კვირინეუსის სირიაზე მმართველობის პერიოდში, იმიტომ, რომ ისტ. მონაცემების მიხ. კვირინეუსი სირიას მმართველობდა ქრისტეს შობიდან მხოლოდ 10 წ. შემდეგ. ამ გაუგებრობის თავიდან თავიდან ასაცილებლად უნდა ვიგულისხმოთ არა ეს აღწერა (ამისთვის საკმაო საფუძველი არსებობს ბერძნულ ტექსტში), არამედ ბრძანება აგვუსტუსისა აღწერის შესახებ, რომელიც გაიცა ქრისტეს დაბადებამდე, რომელიც სახალხო მღვდვარების გამო შეაჩერეს და 10 წლის შემდეგ განაგრძეს კვირინეოსის მმართველობის დროს. იგი დასრულდა მეორე მმართველობის დროს (კვირინეოსი ორჯერ დაინიშნა სირიის მმართველად). ამიტომაც მახარებელი “პირველ” აღწერაში გულისხმობს ქრისტეს შობის დროის სახალხო აღწერას.

“თითოეული” უნდა აღწერილიყო თავის ქალაქში, რადგან, რომის პოლიტიკა ყოველთვის ეთვისებოდა დაპყრობილი ხალხების წეს-ჩვეულებებს, ებრაელთა წესი კი მკაცრად ითვალისწინებდა თითოეული ძირის, გვარის ჩაწერას. ამიტომ ყველა ებრაელს ევალებოდა ჩასულიყო იმ ქალაქში, საიდანაც მისი მთავარი წინაპარი მოდიოდა. ღვთის განგებულება შეიცნობა იმაშიც, რომ წინასწარმეტყველების მიხ., მესია ბეთლემში უნდა დაბადებულიყო. რადგან იოსები მეფე დავითის შთამომავალი იყო, ბეთლემში უნდა აღრიცხულიყო. ბუნებრივია, მას თან ახლდა ყოვლადწმიდა მარიამი, რომელიც კარგად იცნობდა საღვთო წერილებსა და წინასწარმეტყველებას და ამ გამგზავრებაში ღვთის ნების გამომხატველ მოვლენას ჭერეტდა, რომელიც მას ბეთლემისკენ მიუძღოდა.

“და შვა ძე თვისი პირმშო, შეახვია და მიაწვინა იგი ბაგაში”, რადგან, სასტუმროში მათთვის აღვილი არ აღმოჩნდა. მახარობელი მიუთითებს, რომ მარიამმა თავად შეახვია ახალშობილი, ანუ, როგორც ჩანს, დაბადება იყო უმტკივნეულო.

“პირმშოდ” კი მოიხსენიება ყოველი მამრობითი სქესის ახალშობილი მოსეს კანონის მიხედვით, თუნდაც იგი დედისერთა იყოს.

ადრე ჩამოსულ მოგზაურთა სიმრავლისა თუ წმ. ოჯახის სიღარიბის გამო, ისინი უნდა განთავსებულიყვნენ ერთ-ერთ გამოქვაბულში, ან მღვიმეში, რომლითაც ესოდენ მდიდარია პალესტინა და სადაც უამინდობის დროს საქონელს აფარებდნენ მწყემსები. წინასწარმეტყველების თანახმად, მესია დაიბადა ბაგაში, აკვნის ნაცვლად იქვე იქნა ჩაწვენილი და დაბადებიდანვე დამცირებისა და ვნების, კაცობრიობის ცოდვების ჯვრის ამღები, ჩვენთვის თავმდაბლობის მაგალითის მიმცემი ევნო კაცობრიობის გამოსხნისათვის.

ძვ. გადმოცემის მიხედვით, დაბადების დროს ბაგასთან მიბმული იყო ხარი და ვირი იმის საჩვენებლად, რომ ხარმა იცის თავისი ბატონი, ხოლო ვირმა

იცის თავისი ბატონის ბაგა, ხოლო “ისრაელი არ მიცნობს მე, ჩემი ხალხი ვერ ხვდება” (ეს.1:3)

მაგრამ მაცხოვრის ცხოვრებას თან ახლდა არა მხოლოდ დამცირება, არამედ მისი მიწიერი ცხოვრება, მისი ღვთიური დიდების გამობრწყინებითაც ხასიათდებოდა. მწყემსებს, იქნებ სწორედ მათ, ვისაც გამოქვაბული ეკუთვნოდა და ვინც კარგი ამინდის გამო ველად აძოვებდა საქონელს, გამოეცხადათ ნათლის ანგელოზი დიდებით და აუწყა მათ “დიდი სიხარული”, რომ ღავითის ქალაქში დაიბადა მაცხოვარი “რომელიც არის ქრისტე უფალი”. აქ მნიშვნელოვანია ანგელოზის სიტყვები, რომ ეს “დიდი სიხარული” ეკუთვნით არა მხოლოდ ებრაელებს, არამედ სრულიად კაცობრიობას. ანგელოზმა მისცა მწყემსებს ნიშანი, რომ ისინი ნახავდნენ ყრმას შეხვეულს და ბაგაზე მწოლიარეს. და მაშინვე, ანგელოზის სიტყვების დასტურად ციდან გამოჩნდა “ანგელოზთა დასი”, რომელიც ახალშობილ მესიას საუფლო გალობას აღუსრულებდნენ: “დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება”. ანგელოზები აღიდებდნენ მაცხოვრის გამოძგზავნელ ღმერთს და უგალობდნენ მშვიდობას, რომელიც დაივანებს ყველა მორწმუნის გულში. მათ უხარიათ, რომ ხალხს დაუბრუნდათ ღვთის კურთხევა, ცათა სასუფეველის უცოდველი სულები შეუწყვეტლად აქებენ და აღიდებენ ცათა შინა შემოქმედს ყოვლისას. განსაკუთრებით ჰმადლობენ ისინი ღმერთს მისი უსაზღვრო მოწყალებისა და სახიერების გამო, რომლის მეშვეობითაც სიყვარულით წარიმართება ღვთიური სახლთმშენებლობა. განხორციელებული “ქე ღვთისას” მიერ მოტანილი “მშვიდობა” არ უნდა გავაიგივოთ ადამიანურ გარეგნულ სიმშვიდესა და კეთილდღეობასთან, არამედ ეს არის ცოდვილი ადამიანის სინდისის სიმშვიდე, ესაა ღმერთთან, ადამიანებთან და საკუთარ თავთან შერიგებული სინდისის სიმშვიდე, რადგან ადამიანები ქრისტე მაცხოვრის მიერ არიან გამოსყიდულნი. როცა ეს “გონებისთვის მიუწვდომელი” ღვთის მშვიდობა ისადგურებს ადამიანთა სულში, გარეგნული სიმშვიდეც ადვილად მიიღწევა. გამოსყიდვამ გაამკლავა ღვთის კურთხევა და დიდი სიყვარული ადამიანების მიმართ, ამიტომ ანგელოზთა საგალობლის აზრი ასეთია: “ღირს არს, რათა აღიდებენ ღმერთს ღვთიური სულები, რამეთუ ქვეყანასა ზედა ისადგურებს ხსნა და მშვიდობა და ხალხი ეღირსა ღვთის განსაკუთრებულ წყალობას”.

როგორც ჩანს, მწყემსები ღვთისმოსავი ადამიანები იყვნენ და მაშინვე პირველებმა მიაშურეს ანგელოზის მიერ ნაჩვენებ გზას, რათა ახალშობილი ყრმა - ქრისტესთვის თაყვანი ეცათ. ისინი ყველგან ყვებოდნენ გამოცხადების სასიხარულო ამბავსა და ანგელოზთა გალობას. ყველა უსმენდა მათ და უკვირდათ. უწმინდესი ქალწული მორჩილად ისმენდა ყველაფერს და “ჩაიმარხა სიტყვა და ჩაიღო იგი გულში”.

წინადაცვეთა უფლისა

(ლკ. 2:21-39)

მოსეს კანონის მიხედვით (ლევ.12:3) დაბადებიდან რვა დღის შემდეგ, ყრმა უფალი მიიყვანეს ტაძარში, რათა აღესრულებინა წინადაცვეთის ჩვეულება, ამასთან დაარქვეს მას სახელი იესო, ანგელოზის მიერ დარქმეული მუცელში ჩასახვამდე. მოსეს სჯულის მიხედვით, ახალშობილის ვაჟის დედა 40 დღის

განმავლობაში უწმინდურად ითვლებოდა, ახალშობილი გოგინასი კი – 80 დღის განმავლობაში. მე-40-ე დღეს მას ტაძარში უნდა მიეტანა ყოვლადდასაწველი მსხვერპლი – ერთი წლის ბატკანი და მსხვერპლი ცოდვისათვის – მტრედი ან გვრიტი. სიღარიბის შემთხვევაში ორი გვრიტი, ან ორი მართვე მტრედისა, ყოველი სახის მსხვერპლისთვის თითო-თითო. წმ. მარიამმა და იოსებმა ყრმა იესო, მოსეს კანონის შესასრულებლად, იერუსალიმის ტაძარში მიიყვანეს და წინადაცვეთის ჩვეულება აღასრულეს, რისთვისაც გადაიხადეს გამოსასყიდი 5 სიკლი. ეს კანონი სრულდებოდა იმის სამახსოვროდ, რომ ებრაელთა ეგვიპტიდან წამოსვლის დამეს, უფლის ანგელოზმა მოსკო ყველა ეგვიპტელი პირმშო. იმ დღიდან, ყოველი ებრაელი პირმშო უნდა წარმომდგარიყო ღვთის წინაშე იერუსალიმის ტაძარში. დროთა განმავლობაში, როცა მსახურებისთვის გამოყოფილი იქნა ლევიტელთა შტო, პირმშოები გათავისუფლდნენ ამ მსახურებისაგან 5 კილეა ვერცხლის ფასად. სახარებისეული თხრობიდან ჩანს, რომ უწმინდესმა ქალწულმა და მისმა დანიშნულმა ღარიბი ხალხის მსხვერპლი მოიტანეს სამსხვერპლოზე. ეს იყო ორი მტრედი.

უფლის ჩასახვა და დაბადება უბიწო იყო და არაფერი ჰქონდა საერთო ცოდვასთან. მაშ, რა საჭირო იყო მისი წინადაცვეთა და იწმინდესი ქალწულის მიერ განწმენდის კანონის მორჩილება?

უპირველესად იმიტომ, რომ მომხდარიყო “მთელი სამართლის” აღსრულება (მთ. 3:15). ეს იყო მაგალითი ღვთის სრული მორჩილებისა. მეორეც – ეს იყო მისი ხალხის თვალში მესიის შემდგომი მსახურების აუცილებელი პირობა. წინადაუცვეთელს არ შეეძლო ღვთის ხალხის საზოგადოებაში ყოფნა, მას არ შეეძლო არც ტაძარში, არც სინაგოგაში შესვლა. წინადაცვეთის გარეშე ის ვერ იქონიებდა გავლენას ხალხზე, ვერ აღიარებდნენ მას მესიად. ასევე ვერც მისი წმიდა დედა ვერ ჩაითვლებოდა ჭეშმარიტ ებრაელ ქალად, თუკი არ განიწმინდებოდა მღვდელთმსახურებისა და ხალხის თვალში. უბიწოდ ჩასახვისა და შობის საიდუმლო მაშინ ჯერ კიდევ არავისთვის არ იყო ცნობილი, გარდა მარიამისა და იოსებისა, ამიტომ ყველაფერი, რასაც კანონი მოითხოვდა ზედმიწევნით უნდა შესრულებულიყო.

ღვთისმშობლის ტაძარში მსხვერპლშეწირვის გამო მისვლისას, იქ იმყოფებოდა ღვთისმშობი და მართალი კაცი სვიმეონი, რომელიც მოელოდა “ისრაელის ნუგეშინისცემას”, ღვთისაგან აღთქმულ მესიას, რომლის მოსვლაც იქნებოდა ნუგეში ისრაელისათვის (ეს. 40:1). მახარებელი არაფერს ამბობს სიმეონის შესახებ გარდა იმისა, რომ მას სულიწმინდის მიერ ჰქონდა ნაუწყები: “არ იხილავდა სიკვდილს უფლის ცხებულის, ანუ ქრისტეს ხილვამდე”. გადმოცემის მიხ. სიმეონი იყო ერთ-ერთი იმ 72 მოხუცთაგანი, რომელთაც ეგვიპტის მეფე პტოლომეოსის დავალებით ძველებრაულიდან ბერძნულად თარგმნეს ძვ. აღთქმის წმ. წიგნები. მას მოუწია ესაიას წიგნის თარგმნა და ეჭვი შეეპარა იმაში, რომ მესიას შობდა უბიწო ქალწული. მაშინ ანგელოზი გამოეცხადა მას და უწინასწარმეტყველა, რომ ვერ იხილავდა სიკვდილს, სანამ საკუთარი თვალთ არ იხილავდა წინასწარმეტყველების აღსრულებას. სულიწმინდის ჩაგონებით, სიმეონი მივიდა ტაძარში, იქ, სადაც ყოვლადდასაწველის საკურთხეველი იყო და მარიამის მოყვანილ ყრმაში მესია შეიცნო. მან ხელში აიყვანა ყრმა და მის ბაგეებს შთაგონებული ღოცვა აღმოხდათ: მან ადიდა უფალი, რადგან იგი ღირსი გახდა დაენახა ჩვილი, რომელიც ხსნას განუმზადებდა ისრაელსა და მთელს კაცობრიობას და დაამატა: “აწ განუტევებ, მეუფეო, შენს მონას სიტყვისამებრ, მშვიდობით”, ე.ი.

ამ წუთიდან გამიშვებ მე უფალო ამ ცხოვრებიდან სხვა ახალ ცხოვრებაში, “შენი სიტყვისამებრ, როგორც მიწინასწარმეტყველე სულიწმიდის მიერ და სრული სულიერი მშვიდობით განმიტყევე, “ვინაიდან იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარებაი შენი”, რომელიც შენ აღუთქვი ყველა ხალხს და ესაა მესია – გამომსყიდველი, რომლის ხილვის ბედნიერებასაც ახლა განვიცდი. ესაა ახსნა – “ნათელი წარმართთა განსაბრწყინებლად და შენი ხალხის, ისრაელის სადიდებლად”. იოსებსა და ქალწულ მარიამს უკვირდათ მასზე ნათქვამი, ალბათ იმიტომ, რომ ყველგან ხედებოდათ ადამიანები, რომელთაც ღმერთი უხსნიდა ამ ყრმის საიდუმლოებებს.

წმიდა ოჯახის კურთხევისა და შვილის დაბრუნების შემდეგ, მოხუცმა იწინასწარმეტყველა, რომ ამ ჩვილის გამო იღავებენ მისი მიმდევრები და მტრები, “რათა განცხადნეს მრავალთა გულის ზრახვანი”, ანუ ვისაც უყვარს ჭეშმარიტება და ღვთის ნებას აღასრულებს, ირწმუნებს ქრისტეს. და ვისაც უყვარს ბოროტება და წყვიადის საქმეებს ემსახურება, შეიძულებს ქრისტეს და თავისი ბოროტების გასამართლებლად ცილს დასწამებს მას. ყოველივე ახლა კიდევ მწიგნობრებისა და ფარისევლების მაგალითით და ღვთის ხედვა ქრისტეს მოძულებისა და უღმერთობის სახით. მორწმუნეთათვის ქრისტე საუკუნო ხსნაა, ურწმუნოთათვის – სიკვდილი. სიმეონი სულიწმიდის მიერ წინასწარმეტყველებს, რომ მოძულეობა და შური მაცხოვრის მიმართ შეეხება წმიდა ქალწულსაც და მის “სულშიც გაივლის მახვილი”.

ამ მოვლენებს ესწრებოდა წინასწარმეტყველი ანაც, ფენუელის ასული, რომელშიც ღვთის სული მოქმედებდა შთამაგონებელი მოსაუბრის ნიჭის სახით. მახარებელი ანას ახასიათებს, როგორც პატიოსან ქვრივს, რომელმაც 7 წელი იცხოვრა ქმართან და მისი გარდაცვალების შემდეგ პატიოსნად ემსახურებოდა ღმერთს. მან ამ დროისათვის 84 წელს მიაღწია. სიმეონის მსგავსად მანაც აღიდა ღმერთი და ამ სასიხარულო ამბავს მოუთხრობდა ყველას, ვინც გამოსყიდვას ელოდა ისარელში.

მახარებელი განაგრძობს, რომ კანონის სრულყოფილად აღსრულების შემდეგ, წმ. ოჯახი დაბრუნდა ქალაქ ნაზარეთში, სადაც ცხოვრობდნენ.

მახარებელი ლუკა წინადაცვეთის შემდგომ მოვლენებზე აღარაფერს ამბობს, ალბათ იმიტომ, რომ ამის შესახებ მოგვითხრობს წმ. მათე. კერძოდ: ბეთლემში მოგვთა თაყვანისცემის, წმ. ოჯახის ეგვიპტეში გაპარვის, ყრმების ამოხოცვისა და ეგვიპტიდან დაბრუნების შესახებ, რაც ჰეროდეს სიკვდილის შემდეგ მოხდა.

შეკვეცის მსგავს ხერხს, მოვლენათა აღწერისას ხშირად ვხვდებით წმიდა წიგნების დამწერთა შორის.

თაყვანისცემა ვარსკვლავთმრიცხველთაგან

(მთ. 2:1-12)

როცა იესო „იუდეიას ბეთლემში“ იშვა, იერუსალიმში მოვიდნენ ვარსკვლავთმრიცხველნი აღმოსავლეთიდან. აქ ბეთლემს იუდეას უწოდებდნენ, განსხვავებით სხვა გალილეის ბეთლემისაგან, რომელიც ზაბულონის შტოს ეკუთვნის. თაყვანისაღებად მოსული ვარსკვლავთმრიცხველნი არ განეკუთვნებოდნენ ჯადოქართა, ცრუ სასწაულმოქმედთა, მკვდართა სულების გამოძახებულთა რიცხვს, რომლებსაც ამხელს და მკაცრად სჯის უფლის სიტყვა. ეს იყო სწავლული, მეცნიერი, საიდუმლოთა მცოდნე და დიდი განსწავლულობის მქონე ხალხი, მსგავსი იმათი, ვისაც ბაბილონის ქვეყანაში წინამძღვრობდა დანიელი (დან.2:5). ისინი ვარსკვლავთა მოძრაობის მიხედვით მსჯელობდნენ მომავლის შესახებ, შეისწავლიდნენ ბუნების ძალებს. ასეთი ვარსკვლავთმრიცხველნი დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ ბაბილონსა და სპარსეთში, ისინი იყვნენ მრჩეველები და ქურუმები მეფეთა. მახარობელი ამბობს, რომ ისინი მოვიდნენ „აღმოსავლეთიდან“, მაგრამ არ ასახელებდნენ ქვეყანას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს იყო არაბეთი ან სპარსეთი, ან სულაც ქალდეა. სიტყვა „მაგოსი“, რომელიც სპარსული წარმოშობისაა, მოიხსენიება მახარებლის მიერ. ამიტომ უფრო სავარაუდოა, რომ ისინი მოვიდნენ სპარსეთიდან ან იმ ქვეყნიდან, რომელიც ბაბილონის სამეფოში შედიოდა, რადგან იქ ებრაელთა სამოცდაათწლიანი ტყვეობის დროს, ამ ვარსკვლავთმრიცხველთა წინაპრებს შეეძლოთ იუდეველებისაგან გაეგოთ იმის შესახებ, რომ ისინი მოელიან დიად მეფეს, გამომხსნელს, რომელიც იმეფებს მთელს სამყაროზე. იქვე ცხოვრობდა დანიელ წინასწარმეტყველი, რომელმაც განსაზღვრა დიადი მეფის მოსვლის დრო; იქვე შეიძლებოდა შემონახულიყო ბალამ ვარსკვლავთმრიცხველის გადმოცემა – წინასწარმეტყველება, რომ იაკობისგან აღმოებრწყინდებოდა ვარსკვლავი.

ციური ვარსკვლავის შესწავლა სპარსი ვარსკვლავთმრიცხველების უმთავრესი საქმიანობა იყო. სწორედ მათ მოუწოდა ღმერთმა ვარსკვლავის მეშვეობით ახალშობილი უფლის პატივსაცემად ჩამოსვლა. ამ პერიოდში აღმოსავლეთში ფართოდ იყო გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ იუდეაში უნდა გაჩნდეს ქვეყნიერების უფალი, რომელსაც თაყვანი უნდა სცეს დედამიწის ხალხმა, ამიტომ იერუსალიმში მოსვლის მათი კითხვა ასე უღერდა: „სად არის იუდეველთა მეფე, რომ დაიბადა?“

ამის გამგონე მეფე ჰეროდე შეძრწუნდა, რადგან ის იდუმიელი იყო და იუდეველთა ტახტის კანონიერი ფლობის უფლება არ ჰქონდა. შეძრწუნდა მთელი იერუსალიმი; ალბათ ჰეროდესაგან მოსალოდნელი უბედურების გამო. სისხლმორწყურებულმა ჰეროდემ ახალშობილი მეტოქის განადგურება გადაწყვიტა. მან შეკრიბა მღვდელმთავარნი და მწიგნობარნი, რათა ქრისტეს დაბადების ადგილი გაეგო. მწიგნობრებმა მაშინვე მიუთითეს ჰეროდეს მიქეს (5:2) ცნობილ წინასწარმეტყველებაზე და მოუყვანეს ტექსტი არა ზეპირად, არამედ აზრობრივად მიახლებით, რომ მესია უნდა დაიბადოს ბეთლემში. „ბეთლემი“ ნიშნავს „პურის სახლს“, ხოლო „ეფრაფა“- „ნაყოფიერ მინდორს“. ორივე დასახელება მიწის ნაყოფიერებასთანაა დაკავშირებული. ამ წინასწარმეტყველებაში მითითებულია, რომ მესია დაიბადება და არა იცხოვრებს ბეთლემში. მისი წარმომავლობა კი „საწყისიდანაა“, „მარადიულობიდანაა“. მაშინ ჰეროდემ ფარულად დაიბარა ვარსკვლავთმრიცხველნი და ვარსკვლავის გამოჩენის დრო ჰკითხა მათ, რის

შემდეგაც ისინი ბეთლემში გაგზავნა, რომ დარბუნებისას მოეთხროთ ახალშობილი ყრმის შესახებ. ისინი წავიდნენ და მათ წინ უძღოდა ვარსკვლავი, რომელიც დადგა იქ, სადაც ახალშობილი ყრმა იყო.

რა ვარსკვლავი იყო ეს? ამის შესახებ მრავალი მოსაზრება არსებობს. წმ. ოქროპირი და ნეტარი თეოფილაქტე ფიქრობენ, რომ ეს იყო ღვთიური ძალა, რომელიც ვარსკვლავის სახით გამოჩნდა და რომელიც ადრეც ეხილათ აღმოსავლეთში. სხვები ფიქრობდნენ, რომ ეს იყო ნამდვილი ვარსკვლავი, რადგან ციურ ქვეყანაში მომხდარ დიდ მოვლენებს ხშირად წინ უსწრებდა ხილულ ბუნებაში ასახული ნიშნები. საინტერესოა, რომ ცნობილი ასტრონომის – კეპლერის გამოთვლების თანახმად, ქრისტეს დაბადების დღეს მოხდა იშვიათი დამთხვევა: ერთ წერტილში განლაგდა სამი ყველაზე კაშკაშა პლანეტა – იუპიტერი, მარსი და სატურნი, რამაც შექმნა უჩვეულოდ კაშკაშა, ერთი ვარსკვლავის შთაბეჭდილება. პლანეტათა გაერთიანების სახელით ცნობილი ეს მოვლენა დაემთხვა ამქვეყნად მაცხოვრის მოვლინებას. ამ გზით ღმერთმა მოუწოდა სწავლულ წარმართებს მესიის თაყვანისაცემად. მოგვთა ისრაელში მოსვლის შესახებ იოანე ოქროპირი ამბობს: „რადგან იუდეველებს წინასწარმეყველთაგან მუდამ ესმოდათ ქრისტეს მოსვლის შესახებ, ამას განსაკუთრებულ ყურადღებას არც კი აქცევდნენ. მაშინ უფალმა შთაუნერგა ბარბაროსებს მოსვლა შორეული ქვეყნიდან და გამოკითხვა იუდეველთაგან დაბადებული მეფის შესახებ და იუდეველები სწარსელებისგან გებულობდნენ იმას, რაც წინასწარმეტყველთაგან ვერ შეისწავლეს“.

მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ცხადია, იერუსალიმიდან ბეთლემამდე გზის მანქენებელი ვარსკვლავი, რომელიც „დადგებოდა იმ ადგილზე, სადაც ყრმა იყო“, უკვე აღარ იყო ნამდვილი ან პლანეტა, არამედ სრულიად განსაკუთრებული მოვლენა, რადგან მისი დანახვისას მოგვებმა „მეტისმეტი სიხარულით გაიხარეს“. ცხადია, იმიტომ, რომ ვარსკვლავის გამოჩენით, მათ ერთხელ დაამტკიცეს თავისი ცოდნა მესიის გაჩენის ჭეშმარიტების შესახებ.

შემეგ ნათქვამია, რომ მოგვები მივიდნენ სახლში და იქ „დაემხნენ და თაყვანისცეს“ ახალშობილს. აქედან ჩანს, რომ მოგვები მივიდნენ არა გამოქვაბულში, არამედ სახლში, სადაც წმ. ოჯახი დაბინავდა. “გახსნეს თავიანთი საუნჯენი დამიართვეს ახალშობილს ძღვენი: ოქრო–როგორც მეფეს, გუნდრუკი–როგორც ღმერთს და მური–როგორც მოკვდავ ადამიანს“.

იმის გამო, რომ ჰეროდეს ახალშობილის მოკვლა ჰქონდა ჩაფიქრებული, სიზმარში გაფრთხილებული ვარსკვლავთმრიცხველები სხვა გზით, კერძოდ ბეთლემის სამხრეთიდან წავიდნენ თავიანთ ქვეყანაში.

ეგვიპტეში გაპარვა, ყრმების ამოხოცვა. ნაზარეთში დაბრუნება (მათ. 2:13-23)

როცა ვარსკვლავთმრიცხველები წავიდნენ, უფლის ანგელოზი გამოეცხადა სიზმარში იოსებს და უთხრა: „ადექი, წაიყვანე ყრმა და დედა მისი და გაიქცე ეგვიპტეს“. იოსები მართლაც ადგა ღამით და წაიყვანა ყრმა და მისი დედა ეგვიპტეში. ეგვიპტე მდებარეობს იუდეიდან სამხრეთ-დასავლეთით. მის საზღვართან მისასვლელად 100 ვერსი იყო გასავლელი. ეგვიპტე, იმ დროისათვის, რომის პროვინცია იყო. იქ ცხოვრობდა მრავალი იუდეველი,

ჰქონდათ თავიანთი სინაგოგები, მაგრამ ჰეროდეს მმართველობა ეგვიპტეში არ ვრცელდებოდა. წმინდა ოჯახი ნათესავეებთან უსაფრთხოდ დაბინავდა.

იოანე ოქროპირი განმარტავს, რომ ქრისტემ თავი არ დაიცვა ჰეროდეს გამოგზავნილი მღვდლებისაგან, რადგან „სიყრმიდანვე სასწაულების მომხდენი, ადამიანების მიერ კაცის ძედ ვეღარ ჩაითვლებოდა“. (საუბრ. მთ-ზე VII).

წმინდა ოჯახის ეგვიპტეში მოგზაურობის შესახებ არსებობს მრავალი შესანიშნავი გადმოცემა. მათგან ერთ-ერთი გვაუწყებს, რომ როცა წმ. ოჯახი წარმართთა ტაძარში შევიდა, იქ განლაგებული 365 კერპი მიწაზე დავარდა და დაიძვრა. ამით ახდა წინასწარმეტყველება: „იგი, უფალი დაჯდება ღრუბელსა ზედა სუბუქსა“ ე.ი. წმ. მარიამის ხელში – „და მივა ეგვიპტეს და შეიძვრებიან პირისა მისისაგან კერპნი ეგვიპტისანი“ (იხ.19:1). ყრმა იესოს ეგვიპტეში ყოფნა ნაწინასწარმეტყველები იყო. სრულდება ოსიას წინასწარმეტყველებაც: „ეგვიპტიდან მოუწოდე მე ძესა ჩემსა“ - „ეგვიპტით გარდამოუწოდე ძესა ჩემსა“ (11:1). ეს სიტყვები კონკრეტულად ებრაელი ხალხის ეგვიპტიდან წარმოტყვევნას გულისხმობს, მაგრამ რადგანაც ღვთის რჩეული ერის წიაღში იშვა ღვთის ძე – იესო, მისი ეგვიპტიდან მოწოდების პირველსახე იყო ებრაელთა წარმოტყვევნაც ეგვიპტიდან.

როგორც წმ.იოანე ოქროპირი აღნიშნავს, ძვ. აღთქმის ყველა მოვლენას პირველსახის მნიშვნელობა ჰქონდა, ყველაფერი ახალი აღთქმის მოვლენათა პირველსახეს წარმოადგენდა.

ჰეროდე განრისხდა, როცა მოგვები იერუსალიმში არ დაბრუნდნენ, რადგან თავი მათგან „შეგინებულად“ და დამცირებულად ჩათვალა, თუმცა ცხადია, ეს ასე არ იყო. ჰეროდემ გაიგო, რომ ვარსკვლავი დაახლოებით ერთი წლის წინ გამოჩენილიყო და დაასკვნა, რომ ყრმის ასაკი ერთიდან ორ წლამდე უნდა ყოფილიყო. განრისხებულმა ჰეროდემ გასცა სასტიკი ბრძანება მოეკლათ ყოველი ყრმა „ორი წლისა“ და მასზე უმცროსი ბეთლემსა და მის შემოგარენში, რათა მათ რიცხვში ქრისტეც მოხვედრილიყო. გადმოცემის თანახმად, იმ დღეს 14000 ჩვილი მოიკლა. მათ როგორც ქრისტესთვის წამებულთ, წმ. ეკლესია ყოველი წლის 29 დეკემბერს (ახ. 11 იანვარს) იხსენიებს.

ჰეროდეს დაუნდობლობის შესახებ მოწმობს იოსებ ფლავიუსიც. ცნობილია, რომ უბრალო ეჭვიანობის გამო მან დაახრჩო ცოლი და მოაკვლევინა თავისი სამი შვილი. როცა ამის შესახებ აგუსტუსს მოახსენეს, მან თქვა: „ჰეროდესთან უმჯობესია იყო პირუტყვი, ვინემ მისი ძე“. ბეთლემის შემოგარენში ახლაც არსებობს გამოქვაბული, სადაც საბრალო დედები და ყრმები აფარებდნენ თავს. ყრმათა ხოცვა-ჟლეტაში, წმ. მახარებელი ხედავს იერემიას წინასწარმეტყველებას: „ხმა გაისმა რამაში ტირილი და გოდება“ (32:15). ამ წინასწარმეტყველებაში იერემია აღწერს იუდეველთა ტანჯვასა და გოდებას, როცა ბაბილონში გასაგზავნად ისინი რამაში შეკრიბეს. რამა გახლდათ იერუსალიმის ჩრდილოეთით მდებარე პატარა ქალაქი, რომელიც ბენიამინის ტომს ეკუთვნოდა. ამ ამბების თვითმხილველი იერემია მოვლენას წარმოსახავს, როგორც რაქელის – პირველდედის გოდებას თავისი შვილების სიკვდილის გამო. წმ. მათე მასში ხედავს ბეთლემთან ამოხოცილი შვილების გამო რაქელის გლოვას.

ზუსტად რამდენ ხანს იცხოვრა წმ. ოჯახმა ეგვიპტეში, ცნობილი არ არის, რადგან ქრისტეს დაბადების წელიც არ არის ცნობილი. თუმცა ნათლად

ჩანს, რომ ეგვიპტიდან დაბრუნება მოხდა მალე, ჰეროდეს სიკვდილის შემდეგ. როგორც იოსებ ფლავიუსი წერს, ჰეროდე საშინელი ტანჯვით გარდაიცვალა 750 წლის მარტსა ან აპრილში. აქედან გამომდინარე წმ. ოჯახმა ეგვიპტეში მხოლოდ ორი თვე დაჰყო. ხოლო, თუ სხვა მოსაზრებას გავიზიარებთ, რომლის მიხედვითაც ქრისტე დაიბადა 749 წელს. მაშინ ისინი მთელი წელი დარჩნენ ეგვიპტეში და იქედან დაბრუნებისას ქრისტე ორი წლისა იყო. ყოველ შემთხვევაში, ის ჯერ კიდევ ყრმა იყო, როგორც ბრძანებს ანგელოზი, რომელმაც იოსებს ისრაელის მიწაზე დაბრუნება უბრძანა.

როგორც ჩანს, იოსები ბეთლემში დასახლებას ფიქრობდა, სადაც ძე ღვთისა – მომავალი მესია უნდა გაზრდილიყო, მაგრამ როცა გაიგო, რომ იუდეის ტახტზე ჰეროდეს უსასტიკესი შთამომავალი – არქელაოსი ავიდა, „შეეშინდა იქ წასვლისა“ და ანგელოზისაგან კვლავ ძილში გაფრთხილებულმა, თავისი ოჯახი გალილეის მხარეში, ქალაქ ნაზარეთში წაიყვანა და დასახლდა სწორედ იქ, სადაც ადრე ხუროდ მუშაობდა.

მახარებელი გვამცნობს, რომ ასე მოხდა რათა აღსრულებულიყო წინასწარმეტყველება, რომ მას „ნაზარეველი“ დაერქმეოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ძვ. აღთქმაში ასეთ წინასწარმეტყველებას ვერ ვნახულობთ, ფიქრობენ, რომ იგი უნდა ყოფილიყო ებრაელების მიერ დაკარგულ წიგნებში.

სხვა მოსაზრებით, „ნაზარეველში“ იგულისხმება არა წარმომავლობა, არამედ ადამიანის უკიდურესად დამცირებული მდგომარეობა, რომელიც მაცხოვარმა თავის მიწიერ ცხოვრებაში ნებით მიიღო.

სხვა მოსაზრებით, ზემოთქმული სიტყვა გულისხმობს ადამიანებს, რომლებმაც თავი ღმერთს მიუძღვნეს. შესაძლოა სწორედ ეს მნიშვნელობა იყოს სწორი, რადგან იესო ქრისტემ ხომ თავი სრულად მიუძღვნა ღმერთს და მისთვის მსახურებას და „ნაზარეველური აღთქმების“ ყველაზე დიდ აღმასრულებლად იქცა.

უფალ იესო ქრისტეს ყრმობა

(ლკ. 2:40-52)

ადამიანთა მოღვმისათვის საზოგადო მსახურებამდე, უფალი იესო ქრისტე არ იყო ცნობილი. მახარებელი ლუკა ქრისტეს ყრმობის მხოლოდ ერთ ეპიზოდს აღწერს, რადგან ამბობს: „გულდასმით გამოვიკვლიე ყოველივე თავიდან“. უნდა ვიფიქროთ, რომ უფლის ცხოვრების ამ ეპიზოდში სხვა ღირშესანიშნავი ფაქტი არ მომხდარა. ამ პერიოდს წმ. ლუკა ასე ახასიათებს: „ხოლო ყრმა იზრდებოდა, მტკიცდებოდა სულით და ივსებოდა სიბრძნით და ღვთის მადლი იყო მასზე“. ეს გასაგებიცაა, რადგან ყრმა იესო იყო არა მხოლოდ ღმერთი, არამედ ადამიანიც და ექვემდებარებოდა ადამიანური განვითარების ჩვეულებრივ კანონებს, მაგრამ მისი განვითარების დროს ადამიანური სიბრძნე ასახავდა, ან თავის თავში იტევდა მისიას – ღვთიური ძეობისას, ღვთიური სიბრძნის მთელი სიღმით. ღვთაებრივი სიბრძნე იესომ პირველად 12 წლისამ გამოსცადა. მოსეს კანონის მიხედვით, (შჯ. 16:16) მამრობითი სქესის ყველა ებრაელი წელიწადში სამჯერ უნდა ჩასულიყო

იერუსალიმში: პასექისას, შემდგომ ორმოცდამეათ დღეს და კარვობის დღესასწაულზე. გამონაკლისი დაიშვებოდა მხოლოდ ბავშვებისა და ავადმყოფებისათვის. განსაკუთრებით მკაცრად მოეთხოვებოდათ პასექის დღესასწაულში მონაწილეობა. 12 წლის ყოველ ყრმას უკვე უნდა ესწავლა სჯულის ყველა მოთხოვნა და შეესრულებინა ისინი.

ლუკა მახარებელი გვამცნობს, რომ წმ. მარიამი და იოსები ყოველი წელს დადიოდნენ იერუსალიმში. ყრმა უფლის დაბადება კვლავ საიდუმლოდ რჩებოდა, რადგან ქალწული მარიამი და მოხუცი იოსები მის გახსნას საჭიროდ და სასარგებლოდ არ თვლიდნენ და ნაზარეველთა თვალში იოსები მარიამის ქმრად და იესოს მამად აღიქმებოდა. მახარებელიც ამ გამოთქმას იყენებს საერთო აზრთან მიმართებაში. სხვაგან (ლკ 3:23) ის პირდაპირ ამბობს, რომ იოსებს მხოლოდა თვლიდნენ იესოს მამად, მაშასადამე სინამდვილეში ასე არ იყო.

პასექის დღესასწაული 8 დღეს გრძელდებოდა, შემდეგ მლოცველები ჩვეულებისამებრ ჯგუფ-ჯგუფად ბრუნდებოდნენ სახლში. მარიამმა და იოსებმა ვერ შენიშნეს, რომ ყრმა იესო მათთან ერთად არ ბრუნდებოდა, რადგან ფიქრობდნენ, რომ იგი რომელიმე სხვა ჯგუფს ახლდა. მაგრამ, როცა დიდი ხნის განმავლობაში არ გამოჩნდა, დაუწყეს ძებნა და რაკი ვერ იპოვეს, იერუსალიმში დაბრუნდნენ. ყრმა მართლაც იპოვეს იერუსალიმის ტაძარში მჯდომი, მშობლების გაბრუნების დღიდან; იგი უსმენდა და ეკითხებოდა რაბინებს. ეს ეკლესიის ერთ-ერთ კარიბჭეში ხდებოდა, სადაც რაბინები ასწავლიდნენ, მსჯელობდნენ და ფიქრობდნენ სჯულის შესახებ. ამ საუბარში ყრმა იესომ უკვე გამოავლინა, თავისი ღვთიური სიბრძნე, რადგან ყველას აოცებდა მისი გონება და პასუხები.

ღვთისმშობელი ყრმა იესოს ეუბნება, რომ აღელვებულია მის გამო და იოსებსაც უწოდებს მის მამას, რადგან ხალხის თვალში სხვაგვარად ვერ მოიხსენიებდა მას. ამის პასუხად იესო პირველად ასხენებს თავის დანიშნულებას – შეასრულოს მისი გამომგზავნელის ნება და თითქოსდა შესწორებას უკეთებს დედის ნათქვამს, იგი მიუთითებს, რომ იოსები კი არ არის მისი მამა, არამედ ღმერთი: „თქვენ უნდა გცოდნოდათ, თუ სად ვიქნებოდი მე. ძე ღვთისა, ნუთუ არ იცით, რომ მამის სახლში უნდა ვიყო“?, ანუ ტაძარში. მათ ვერ გაიგეს იესოს ნათქვამი, რადგან ჯერ არ გახსნოდან ქრისტეს დედამიწაზე ქმედების საიდუმლოება. თუმცა, მარიამმა „გულში ჩაიმარხა ყოველივე“. ეს დღე განსაკუთრებით სამახსოვრო იყო მისთვის, როცა იესომ პირველად გააგებინა თავისი არსებობის დიდი დანიშნულება. რამდენადაც ჯერ არ დამდგარიყო დრო იესოს საზოგადო მსახურებისთვის, იგი გაჰყვა მათ და მივიდა ნაზარეთს. და როგორც ხაზგასმით აღნიშნავს მახარებელი „ყველაფერში ემორჩილებოდა“ თავის მიწიერ მშობლებს. შესაძლოა თავის ვითომდა მამასთან – იოსებთან ერთად შრომობდა კიდევ, რომელიც ხელობით ხურო იყო.

ასაკთან ერთად ყრმა მაცხოვარს ემატებოდა სიბრძნე და დაკვირვებული თვალისთვის ადვილი შესამჩნევი იყო ღვთის განსაკუთრებული სიყვარული იესოსადმი, რაც ხალხის სიყვარულსაც უხვეჭდა მას.

ნაწილი მეორე

უფალ იესო ქრისტეს საზოგადოებრივი მსახურება;

უფალ იესო ქრისტეს საზოგადოებრივ მსახურებაზე გამოსვლა;

უფალ იესო ქრისტეს ცხოვრებაში მომხდარი მოვლენები პირველ პასეჟაჟზე.

1. იოანე ნათლისმცემელი და მისი მოწმობა იესო ქრისტეზე

(მთ. 3:1-12; მარკ. 1:1-8, ლკ. 3:1-18, ინ. 1:15-31)

ამ საკითხის ირგვლივ დაწვრილებით საუბრობს ოთხივე მახარებელი: მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე. ამათგან იოანეს გამოტოვებული აქვს ზოგი რამ სხვათა ნათქვამიდან და ხაზს უსვამს ქრისტეს ღვთიურობას.

იოანე ნათლისმცემელის საქადაგებლად გამოსვლასა და თვით უფალი იესო ქრისტეს საზ. მსახურების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის მახარებელი ლუკა. ის გვაუწყებს, რომ ეს მოხდა „ტიბერიოს კეისრის მეფობის მეთხუთმეტე წელს, როცა პონტოელი პილატე განაგებდა იუდეაში, ჰეროდე იყო მეოთხედმთავარი გალილეაში, მისი ძმა ფილიპე მეოთხედ მთავარი იტვირვას და ტრაქონელთა ოლქში, ხოლო ლისანიის-მეოთხედ მთავარი აბილინესში. ანას და კაიაფას მღვდელმთავრობისას (ლკ.3:1-2).

იოანეს ქადაგებაზე თხრობის დაწყებისას, წმ. ლუკას სურს თქვას, რომ იმ დროს პალესტინა რომის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა და იმართებოდა იმპერატორ ტიბერიუსის, ოქტავიანე ავგუსტუსის შემცველის სახელით. კერძოდ, ტეტრარქებისა (მეოთხედმთავრები) და რომაელ პროკურორის – პონტოელ პილატეს მიერ. გალილევას მართავდა ჰეროდე ანტიპა. იგი გახლდათ ბეთლემში ყრმათა ხოცვა-ჟლეტის მომწყობი ჰეროდე დიდის შვილი. მისი ძმა ფილიპე მართავდა იორდანეს ახალ მხარეში მდებარე იტვირვასა და იორდანედან ჩრდ-აღ-ით მდებარე ტრაქონიდიას. ლიბანისა და ჩრდ-აღ-ით გალილეის მოსაზღვრე აბილინესის ოლქს კი ლისანიის მართავდა. მღვდელმთავრებად ისხდნენ ანა და კაიაფა. ანუ, კაიაფა იყო მღვდელმთავარი, ხოლო მისი სიმამრი ანა, ანუ ანანი სამოქალაქო ხელისუფლებამ დააყენა თანამმართველად, რომელიც ხალხში ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა.

ტიბერიუსი ტახტზე ავიდა ავგუსტუსის სიკვდილის შემდეგ (767წ.), მაგრამ ორი წლით ადრე, 765წ. მასთან ერთად თანამმართველობდა. ა. გ. მისი მმართველობის მე-15 წელი 779წ-ია. გამოთვლის მიხედვით, უფალს სწორედ ამ დროს შეუსრულდა 30 წელი, რასაც ადასტურებს წმ. ლუკაც, როცა მიუთითებს უფლის ასაკს, როცა მან იოანესგან ნათელ იღო და საზოგადოებრივი მსახურება დაიწყო.

წმ. ლუკა ამოწმებს, რომ „იყო სიტყვა იოანესადმი“, ანუ განსაკუთრებული მოწოდება ღვთისა, რომლითაც მას უნდა დაეწყო თავისი მსახურება. ამ ადგილს, სადაც იოანემ მსახურება დაიწყო, წმ. მათე „იუდეის უდაბნოს“ უწოდებს. ასე ეწოდებოდა იორდანესა და ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ

სანაპიროს, რადგან მეჩხრად იყო დასახლებული. ღვთის მოწოდების შემდეგ, იოანემ უფრო დასახლებული ადგილებისაკენ გადაინაცვლა, განსაკუთრებით კი ნათლობისათვის საჭირო წყალთან ახლოს. მაგ. ბეთანიაში, იორდანეს გაღმა (ინ. 1:28) და ენონში, სალიმის მახლობლად (3:23). მახარებელი მათე (3:3), მარკოზი (1:9) და ლუკა (3:4) იოანეს უწოდებენ „ხმა მლაღადებელსა უდაბნოსა შინა“, „განუმზადეთ გზა უფალსა, მოასწორეთ მისი ბილიკები“. იოანე ასე უწოდებს თავის თავს იოანეს სახარებაშიც (1:23). ეს სიტყვები აღებულია ესაისას წინასწარმეტყველებიდან, სადაც ის ამბობს, რომ დასრულდა იერუსალიმის დამცირების დრო და მალე განადიდებს მას ღმერთი. „ყოველმა ხორციელმა იხილოს ხსნა ღვთისგან“. (40:5)

ეს წინასწარმეტყველება აღესრულა, როცა 42 000 იუდეველი, სპარსეთის მეფის კვიროსის ნებართვით, 70 წლიანი ტყვეობის შემდეგ იერუსალიმში დარბუნდა. ამ დაბრუნებისას წინასწარმეტყველი ასახავს, როგორც მაცნეს წინამძღოლობით შესრულებულ მხიარულ მსვლელობას. მაცნე განაცხადებს, რომ უდაბნოში, სადაც მათთან ერთად უფალიც გაივლის, განუმზადონ მას პირდაპირი და სწორი გზა, ამოავსონ ღრმულები, ხოლო მთები და ბორცვები მოსაწორონ და ა.შ.

მახარებლები და იოანე ნათლისმცემელიც (იონ. 1:23) ამ მოვლენას და სიტყვების გადატანითი მნიშვნელობით ხსნიან, რამეთუ ან აზრს ატარებდა ძვ. აღთქმისეული ყველა მოვლენა უკვაშირდებოდა და წინ უსწრებდა ახალ აღთქმისეულ მოვლენებს. ტყვეობიდან დახსნილი ხალხის მოწინააღმდეგე უფალში ისინი მესიას გულისხმობენ, ხოლო მის მაცნეში – წინამორბედ იოანეს. უდაბნო, სულიერი მნიშვნელობით, არის ებრაელი ხალხი, ხოლო გზის უსწორმასწორობა, რომელიც მესიის მოსვლამდე უნდა გასწორდეს, არის ადამიანთა ცოდვები, რის გამოც წინამორბედის ქადაგების მთავარი მოწოდება ერთი იყო: „მოინანიეთ!“ ძვ. აღთქმის უკანასკნელი წინასწარმეტყველი მალაქია ეხმაურება ესაიას ამ წინასწარმეტყველებას და უფლის წინამორბედის პირდაპირ „უფლის ანგელოზს“ უწოდებს. წმ. მარკოზი სწორედ ამ ციტატით იწყებს სახარებისეულ თხრობას (1:2).

თავის ქადაგებაში იოანე ნათლისმცემელი ამბობდა, რომ „ახლოა ცათა სასუფეველი“ და საჭიროა ცოდვების მონანიება (მთ.3:2). ცათა საუფეველს კი ღვთის სიტყვა ხსნის ცოდვებისაგან ადამიანის განთავისუფლებით; და მის შიგნით სიმართლის, მშვიდობისა და სიხარულის გამეფებით (ლუკა 17:21) (შდრ. რომ. 14:17, 24:43, 47-49), ამასთან საუკუნო ცხოვრებაში მათი მარადიული დიდებით.

მესიის მოახლებასთან ერთად ცათა სასუფეველში შესვლისთვის იოანე ამზადებდა ხალხს და მონანიებისკენ მოუწოდებდა. ვინც შეისმენდა, ნათელს სცემდა „სინანულის ნათლისცემით“ ცოდვათა მოსატყვევლად (მთ. 3:11; ლკ. 3:3). ეს არ იყო მადლმოსილი ქრისტიანული ნათლისცემა, არამედ წყალში ჩაფლობა ცოდვებისაგან განთავისუფლების, განწმენდის მიზნით ისე, როგორც წყალი განწმენდს სხეულს ჭუჭყისაგან.

იოანე მკაცრ პირობებში ცხოვრობდა. ემოსა აქლემის ტყავის სამოსი, იკვებებოდა კალითა და ველური თაფლით და მკვეთრად განსხვავდებოდა თავისი თანამედროვე ხალხის წინამძღვრებისაგან. მის ქადაგებას მესიის თაობაზე, რასაც ხალხი მოუთმენლად ელოდა, არ შეეძლო საყოველთაო ყურადღება არ მიექცია.

იოსებ ფლავიუსი მოწმობს, რომ იოანეს სწავლებით აღრფთოვანებული ხალხი მრავლად იყრიდა თავს მის გარშემო და მათზე იოანეს გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ ისინი მზად იყვნენ ყოველივე იოანეს რჩევისამებრ გაეკეთებინათ. უფრო მეტიც, თვით მეფე ჰეროდესაც ემინოდა ამ დიდი მოძღვრის ძალაუფლებისა. ფარისეველებმა და სადუკეველებმაც კი ვერ შეიკავეს თავი, გაჰყვნენ ხალხს იოანესთან, მარამ როგორც ჩანს, ყველა სუფთა გულით არ იყო მისული. ამიტომაც არ არის გასკვირი, რომ იოანე მათ მკაცრად ამხელს: „იქედნეთა შობილნი, ვინ შთაგაგონათ მომავლ რისხვისგან გაქცევა?“ მოსეს კანონებით მხოლოდ გარეგნული დაცვით ფარისეველები ოსტატურად ფარავდნენ თავიანთ ნაკლოვანებებს, სადუკეველები კი ხორციულ განცხრომას ეძლეოდნენ და ეწინააღმდეგებოდნენ ყველაფერს, რაც მათი ცხოვრების ეპიკურულ წესს ეწინააღმდეგებოდა: მათ შორის სულიერ ცხოვრებასა და საიქიოში განკითხვას.

იოანე ამხელს მათ ქედმაღლობაში, რჯულის სიწმინდით ასრულებს მათეულ თვითდაჯერებულობაში და აფრთხილებს, რომ აბრაამისგან წარმოშობაზე დამყარებული მათი იმედი არაფრის მომტანი იქნება, თუ ისინი „მონანიების ღირს ნაყოფს არ გამოიღებენ“, რამეთუ „ხე, რომელიც კეთილ ნაყოფს არგამოიღებს, მოიჭრება და ცეცხლს მიეცემა“ როგორც უვარგისი და გამოუყენებელი”. აბრაამის ჭეშმარიტი შვილები არიან ისინი, ვინც ხორციელად წარმოსდგებიან მისგან, არამედ ისინი, ვინც იცხოვრებს მისი მსგავსი რწმენითა და ღვთისადმი ერთგულების სულისკვეთებით. „თუ არ მონანიებთ – ამბობს იოანე, - ღმერთი უარგყოფთ და თქვენს ადგილზე აბრაამის ახალ სულიერ შვილებს მოუწოდებს“ (მთ. 3:9; ლუკ. 3:8).

მახარებელი ლუკას მიხედვით, იოანეს ეს მკაცრი დარიგება ხალხისკენა მიმართული, რაც ბუნებრივიცაა, რადგან ხალხის დიდი უმრავლესობა მოწამლული იყო ფარისეველთა ცრუ სწავლებით. წინასწარმეტყველის სიტყვების სიმკაცრით შეწუხებული ხალხი მას ეკითხება: „მაშ რაღა ვქნათ?“ (ლკ. 3:10), პასუხად იოანე მიუთითებს მათ სიყვარულისა და გულმოდგინების საქმეთა ქმნის აუცილებლობაზე და ყოველგვარი ბოროტისგან თავშეკავებაზე, რაც არის კიდევ „მონანიების ღირსი ნაყოფი“.

იოანეს ქადაგების პერიოდი მესიის საყოველთაო მოლოდინის უამი იყო. ამასთან იუდეველებს სჯეროდათ, რომ მესია მონათლვდა მათ. ა. გ. გასაკვირი არ არის, რომ ბევრს გაუჩნდა კითხვა: „ქრისტე ხომ არ არისო იოანე?“ (ლკ. 3:15). იოანე ამბობს, რომ თვითონ წყლით ნათლავს მონანიების ნიშნად, როლო მესია, რომელიც მის შემდეგ მოვა და არის მასზე დიდი, „მოგნათლავთ თქვენ სულიწმინდით და ცეცხლით“. იგია ის, „ვისი სანდლის თასმის გახსნის ღირსიც კი არ არის“ (ლკ.3:16), ან „მისი ფეხსაცმლის ტარების ღირსი“ (მთ.3:11). მისი ნათლობის დროს იმოქმედებს სულიწმინდის მადლი, რომელიც ყოველგვარი ცოდვის სიბინძურეს სწავას ვითარცა ცეცხლი. „მისი ნიხაბი მის ხელთაა“ – ქრისტე განწმენდს თავის ხალხს ისე, როგორც მეურნე წმენდს ხორბალს ბზისა და ნარჩენებისგან, რათა ხორბალი, ანუ მორწმუნენი, შეკრიბოს თავის ეკლესიაში, ბედელში, ხოლო ყოველი უარყოფელი მისცეს საუკუნო სატანჯველში.

2. უფალ იესო ქრისტეს ნათლობა

(მათ.3:13-17; მარკ.1:9-11; ლუკ. 3:21-22; იოან. 1:32-34)

მაცხოვრის ნათლობის შესახებ მოგვითხრობს ოთხივე მახარობელი. ყველაზე ზედმიწევნით კი ამ მოვლენას წმ.მათე ასახავს.

წმ. მარკოზი აზუსტებს, რომ იესო იყო გალილეელი ნაზარეთიდან: „მოვიდა იესო გალილეეს ნაზარეთიდან“. როგორც ჩანს, ეს მოხდა ტიბერიუსის კეისრის მმართველობის იმავე მე-15 წელს, როცა წმ. უკას მოწმობის მიხედვით იესოს შეუსრულდა 30 წელი, ანუ მოძღვრობისათვის აუცილებელი ასაკი. წმ. მათე ამოწმებს, რომ იოანე უარს ამბობდა იესოს მონათვლაზე რადგან „მე ვსაჭიროებ შენგან მონათვლას“-ო ეუბნებოდა. იოანეს სახარების მიხედვით, ნათლისმცემელი არ იცნობდა მაცხოვარს (იოან. 1:33) მანამ, სანამ არ დაინახა მტრედის სახით მასზე გარდამომავალი ღვთის სული. აქ არ ჩანს არავითარი წინააღმდეგობა. ნათლობამდე იოანე ქრისტეს, როგორც მესიას არ იცნობდა, მაგრამ როცა მასთან იესო მივიდა მოსანათლად, მან (იოანემ), როგორც ადამიანთა გულებში მწვდომმა წინასწარმეტყველმა, მაშინვე იგრძნო მისი სიწმინდე და უცოდველობა, მისი უსაზღვრო აღმატებულობა და აღმოხდა: „მე ვსაჭიროებ შენგან მონათვლას, შენ კი ჩემთან მოდიხარ?“ ხოლო როცა იესოზე გარდამომავალი ღვთის სული იხილა, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მის წინაშე ქრისტე-მესია იდგა.

„ასე გვმართებს ჩვენ მთელი სიმართლის აღსრულება“ – ბრძანებს უფალი, რაც ნიშნავს, რომ იესო ქრისტეს, როგორც ახალი, აღორძინებული კაცობრიობის ფუძებდებელს, თავისი მაგალითით ხალხისთვის უნდა ეჩვენებინა, რომ აუცილებელია ღვთიური დადგენილების დაცვა. მაგრამ ნათელღებული „იესო მაშინვე ამოვიდა წყლიდან“, რადგან როგორც უცოდველს, მას არ ესაჭიროებოდა ცოდვების აღიარება წყალში მღვარი ხალხის მსგავსად.

წმ. ლუკა გადმოგვცემს, რომ „იესო მოინათლა და ლოცულობდა“, უეჭველად იმისთვის, რომ ზეციურ მამას მისი მსახურების საწყისი ეკურთხებინა.

„გაიხსნენ ცანი და მან იხილა ღვთის სული, მტრედით გარდმომავალი, მასზე რომ ეშვებოდა“. ბერძნულად სიტყვა „მასზე“ გამოხატულია მესამე პირის ნაცვალსახელით და არა უკუქცევით. მაშასადამე გამოდის, რომ სულიწმინდა იხილა იოანემ, თუმცა რა თქმა უნდა, იგი იხილა თვით უფალმაც და ხალხმაც, რომლებიც იქ იყვნენ. ამ სასწაულის მიზანია, აქამდე ხალხისთვის უცნობ იესოში ღვთის ძის გამჟღავნება, ამიტომ ნათლისღების დღესასწაულზე ეკლესიაში იგალობება: „რომელი განცხადენ ქრისტე ღმერთი და სოფელი განანათლე (კონდაკი). იოანე ამბობს, რომ სულიწმინდა არა მხოლოდ გარდმოვიდა მასზე, არამედ „დაივანა“ იესოზე (ინ. 1:32:33).

მამა ღმერთის ხმა: „ესე არს“ – მათეს მიხედვით, ან „შენ ხარ?“ – მარკოზისა და ლუკას მიხედვით, „ძე ჩემი საყვარელი, რომელიც მოვიწონე მე“, იოანესა და იქ მყოფებს, მონათლული ძე ღვთისას ღვთიურობაზე მიუთითებდა. ეს იყო წარმოჩინებული ღვთიური ღირსება, რომ მასზე მუდმივად სუფევს მამა ღმერთის კურთხევა. ამასთან ეს იყო ზეციური მამის პასუხი ღვთიური ძისადმი ადამიანთა გადარჩენის დიდი საქმის საკურთხებლად.

ნათლისღების დღესასწაულს წმ. ეკლესია ოდითგანვე 6 იანვარს (ახ. 19 იანვარს) დღესასწაულობდა. ამ დღესასწაულს სხვაგვარად განცხადების დღეც ეწოდება, რადგან ამ დღეს წმ. სამება განცხადდა ხალხის წინაშე: ციდან ხმით მეტყველი მამა ღმერთი, ძე ღმერთი იორდანეში ნათელღებული იოანეს მიერ და სულიწმინდა, მტრედის სახით გადმოსული ციდან.

3. ორმოცდღიანი მარხვა და გამოცდა მაცდურის მიერ (მათ.4:1-11; მარკ.1:12:13; ლუკ.4:1-13).

ამ საკითხის ირგვლივ საუბრობს სამი მახარებელი: წმ.ლუკა და წმ. მათე, უფრო ვრცლად და დაწვრილებით, წმ. მარკოზი კი უფრო მოკლედ.

ნათილები შემდეგ „სულმა წაიყვანა იესო უდაბნოში“, რომელიც იერიქონსა და მკედარ ზღვას შორის მდებარეობს. ამ უდაბნოს ერთ-ერთი მთას დღემდე „ორმოცდღიანი“ ეწოდება, უფლის ორმოცდღიანი მარხვის გამო. იესო ემზადებოდა კაცობრიობის ხსნის დიდი მსახურებისთვის. 40 დღე და 40 ღამე იმარხულა მან უდაბნოში. ამ ხნის განმავლობაში მას საერთოდ არ მიუღია საკვები და ბოლოს „მოშივდა“, ანუ მივიდა გამოფიტვის უმაღლეს წერტილამდე. „მიუახლოვდა მას მაცდური“, ეს გახლდათ მაცდურის საბოლოო შეტევა, რადგან წმ. ლუკას მიხედვით ეშმაკი 40 დღის განმავლობაში განუწყვეტლივ ცდიდა უფალს (4:2).

რა აზრი აქვს ეშმაკის მიერ უფლის ამ გამოცდას?

დედამიწაზე სატანის საქმეთა გასანადგურებლად მოსულ უფალს ცხადია, შეექმნა მისი ერთი ხელის მოსმით განადგურება, მაგრამ აქვე გავიხსენოთ, რომ ეშმაკის საქმეებს ფესვი გადგმული ჰქონდათ სულის შეცდომებში. უფალი მოვიდა ადამიანთა სულების გადასარჩენად, მათი თავისუფალი ნების შეზღუდვის გარეშე, რადგან ეს განძი ადამიანებს თავად უფალმა უბოძა. მან ადამიანი შექმნა არა ინსტიქტების დონეზე დასულ ცხოველად, არა ავსულ, გაუცნობიერებელ ავტომატად, არამედ თავისუფალ, გონიერ პიროვნებად. მაცხოვრის ღვთიურობასთან მიმართებაში ეს გამოცდა იყო ბოროტი სულის ბრძოლა კაცობრიობის მსხნელ ძე ღვთისას წინააღმდეგ, ბედნიერებისა და ცოდნის აჩრდილთ დახმარებით ადამიანებზე თავისი ძალაუფლების შესანარჩუნებლად. ეს გამოცდა ჰგავს ებრაელთა გამოცდას უწყლობის, კერძოდ, როცა მათ რეფიდიმოსში თავად ღმერთი გამოსცადეს სიტყვები: „არის ჩვენთან ღმერთი თუ არა?“ (? 17:1-7). ასევე იწყებს ეშმაკიც თავის გამოცდას: „თუ ძე ღვთისა ხარ“... და როგორც მეფსალმუნე დავითი ამბობს ისრაელის ძეთა შესახებ, რომ ისინი ცდიდნენ უფალს უდაბნოში, ასევე ცდიდა ეშმაკიც ძე ღვთისას, რათა გაეღიზიანებინა, ეყვედრებინა და შეურაცხყო იგი (ფს. 77:40-41). გამოცდა უმთავრესად მიმართული იყო იესოს ადამიანური ბუნების წინააღმდეგ. სწორედ მის ადამიანურ ბუნებაზე ამყარებდა ეშმაკი იმედებს. გადაუშალა რა მთელი თავისი გავლენა, შეეცადა მისი ნება ცრუ გზისკენ გადაეცდინა.

ქრისტე დედამიწაზე მოვიდა, რათა ადამიანთა შორის ღვთის სასუფეველი დაეფუძნებინა. ამ მიზნის მისაღწევად არსებობდა ორი გზა: ერთი, რომელზედაც მაშინდელი იუდეველები ოცნებობდნენ – მესიის, მიწიერი მეფის საჩქარო და ბრწყინვალე გამეფების გზა და მეორე – ნელი, ეკლიანი,

ადამიანთა ნებაყოფლობითი, ზნეობრივი გარდასახვის გზა, რომელიც მრავალ ტანჯვასთან იქნებოდა დაკავშირებული არა მარტო მიმდევრებისთვის, არამედ თვით მაცხოვრისთვისაც. ეშმაკსაც სწორედ ის სურდა, რომ მეორე გზიდან აეცდინა უფალი და არა თუ ტანჯვა, მიწიერი დიდება შეეთავაზებინა.

უპირველეს ყოვლისა, ისარგებლა რა მაცდურმა მაცხოვრის შიმშილით, შეეცადა, ადამიანისათვის ამ შემაწუხებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, იესოს ღვთიური ძალა გამოეყენებინა. მან მიუთითა ქვებზე, რომლებიც დღემდე მოგვაგონებენ პურებს თავისი ფორმით და უთხრა: „თუ ძე ღვთის ხარ, უთხარი ამ ქვას, რომ პურად იქცეს”. ეშმაკს იმედი ჰქონდა, რომ თუ ამით ერთხელ ცდუნდებოდა იესო, შემდგომშიც ასე მოიქცეოდა. მაგალითად, იგი თავს შემოიზღუდავდა ანგელოზთა დასით მტრების ბრბოსგან, ჯვრიდან ჩამოვიდოდა, ან ელიას მოუწოდებდა სახსნელად. (მთ. 26:53; 27:40,49) და მაშინ, ჯვარზე ვნებით ღვთის ძისგან ადამიანთა გადარჩენის საქმე განუხორციელებელი დარჩებოდა.

სხვებისთვის წყლის ღვინოდ გადამქცევი და პურის სასწაულებრივად გამბევრებელი მაცხოვარი, ღმერთკაცი ეშმაკს მოსეს სიტყვებით უპასუხებს: „არა პურითა ერთითა ცოცხლობს კაცი, არამედ ღვთის პირიდან მომდინარე ყოველი სიტყვით” (მთ. 8:3). „სიტყვაში” იგულისხმება ადამიანზე მზრუნველი უფლის კეთილი ნება. უფალი სასწაულებს ახდენდა არა თავისი, არამედ სხვათა საჭიროებისათვის. განსაცდელების ქამს რომ ყოველთვის თავისი ძალაუფლებისთვის მიემართა, ის ჩვენთვის მაგალითად ვერ იქცეოდა. სასწაულის გამეორებით იგი „პურისა და სანახაობის” მომლოდინე ბევრ ადამიანს მოიმხრობდა, მაგრამ ისინი ვერ იქცეოდნენ საყრდენად ღვთის სასუფევლის შენების საქმეში. მაცხოვრის მიზანი იყო – ხალხი თავისი ნებითა და შეგნებით გაჰყოლოდა მის სიტყვას, და არა როგორც მიწიერი ფლობით აღტაცებული მონები.

როცა პირველ გამოცდაში ეშმაკმა მარცხი განიცადა, ხელმეორედ შეუდგა ცდუნებას. წაიყვანა უფალი იერუსალიმის ტაძრის ქიმზე და შესთავაზა: „თუ ძე ღვთისა ხარ, გადაიდგე თავი ძირს, ვინაიდან დაწერილია: თავის ანგელოზებს უბრძანებს შენზე და ისინი ხელში აყვანილს გატარებენ, რათა ქვას ფეხი არ წამოჰკრა”.

ისევ იოლი გზა ხალხი მისამხრობად, ისევ სასწაულით ხალხის განცვიფრების მცდელობა! და ცხადია, ადამიანის ზნეობისთვის არაფრის მომტანი ქმედება. უფალი შემდეგ სიტყვებს უპირისპირებს მაცდურს: „არ გამოცადო უფალი ღმერთი შენი”. თავის დროზე ეს სიტყვები მოსემ უთხრა ებრაელ ხალხს (მეორ. 6:16), ანუ აუცილებლობის გარეშე ღვთის ყოვლისშემძლეობის სასწაულებრივი ძალის გამოსაცდელად თავი საფრთხეში არ უნდა ჩაიგდოთ.

იმედგაცრუებული ეშმაკი მესამე გამოცდასაც უწყობს უფალს: მაღალი მთიდან აჩვენებს „წუთისოფლის ყველა სამეფოსა და მათ დიდებას” და ეუბნება: „ყოველივე ამას შენ მოგცემ, თუ დამხობილი თავყვანს მცემ”. წმ. ლუკა დამატებით გვაუწყებს, რომ ყველა სამეფოს დიდება „ერთ წამში” უჩვენა და უთხრა: „შენ მოგცემ მთელს ამ სახელმწიფოებს და მათ დიდებას, ვინაიდან მე მაქვს მოცემული და ვისაც მინდა იმას ვაძლევ. ჰოდა, თუ თავყვანს მცემ შენი იქნება ყოველივე!” (4:6-7).

ბოროტმა სულმა იესოს თვაწინ გადაუშალა დედამიწის ყველა სამეფო და უჩვენა მას, თუ რა ძალასა და საშუალებებს ფლობს დედამიწაზე. ადამიანთა სახსნელად მოსულ უფალთან საბრძოლველად. როგორც ჩანს, ეშმაკს იმედი ჰქონდა, რომ იესოს ადამიანური ბუნება შემოფოთებოდა ნანახით და დაეჭვებოდა თავისი მისიის აღსრულების შესაძლებლობაში.

და მართლაც: რა უნდა იყოს ეშმაკის ხელში ნებაყოფილობით გადაცემული სამყაროს ხილვაზე უფრო შემზარავი? სატანა აჩვენებს მას მთელს თავის ძალაუფლებას და მოკავშირეობის შემთხვევაში მზადაა, გადაუნაწილოს კიდევ ძალაუფლება. ცხადია, ეშმაკი ქრისტეს ადამიანებზე გარეგნულ ბატონობას სთავაზობს, სულიერ ბატონობას კი არავის დაუთმობს. ეს კი სწორედ ის იყო, რაც არ სურდა უფალს. იესო ასწავლიდა, „რომ იგი მოვიდა არა იმისთვის, რომ ემასხურონ, როგორც მიწიერ მბრძანებელს“ (მთ. 20:28) და რომ „მისი სამეფო არ არის წუთისოფლისა“. უფალი სატანას პასუხობს, რომ არ სცნობს დედამიწაზე მის ძალაუფლებას, რადგან სამყარო ღმერთს ეკუთვნის და მხოლოდ მას შეშვენის თაყვანისცემა.

„მაშინ მიატოვა იგი ეშმაკმა“; მახარებელი ლუკას მიხედვით - „დრომდე გაშორდა მას“, რადგან მალევე განაახლა უფლის გამოცდები. იგი უკვე ადამიანებს იყენებს იესოს წინააღმდეგ თავისი ხრიკების მოსაწყობად. (ლკ.4:13).

მხოლოდ მარკოზის სახარებაშია მითითებული ერთი საინტერესო მომენტი – რომ უდაბნოში უფალთან ერთად „გარეული მხეცებიც იყვნენ“ (1:13). როგორც ახალ ადამს, გარეულმა ცხოველებმა ვერ გაუბედეს რაიმეს დაშვება, რადგან მასში მხსნელი შეიცნეს.

4. ქრისტეს პირველი მოწაფეები

(იოან. 1:35-51)

უდაბნოში ეშმაკისაგან გამოცდის შემდეგ, ქრისტე კვლავ იორდანეზე, იოანესთან გაემართა. მის მოსვლამდე იოანემ კიდევ ერთხელ საზეიმოდ დაამოწმა ქრისტეს შესახებ ფარისევლების წინაშე, ოღონდ არა მომავლის, არამედ უკვე მოსული მესიის შესახებ. ამის შესახებ გვამცნობს მხოლოდ მახარებელი იოანე (1:19-34).

იუდეველებმა იოანეს იერუსალიმიდან მღვდლები და ლევიტელები გამოუგზავნეს, რათა გაეგოთ, თუ ვინ არის იგი, ქრისტე ხომ არა? რადგან მათი წარმოდგენით, მონათვლა მხოლოდ ქრისტე-მესიას შეეძლო. იოანე ფარისევლების კითხვებზე – არის თუ არა იგი ქრისტე, პასუხობს გარკვევით - „არა!“, „მაშ წინასწარმეტყველი ხომ არ ხარ?“ – ეკითხებიან ისევ და პასუხად იოანე აძლევს: მე ვარ „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“ და ხაზს უსვამს, რომ მის მიერ წყლით ნათლობა და მთელი მსახურება არის მზადება მომავალი უფლისთვის და ყველა შემდეგი შეკითხვის ასაშორებლად საზეიმოდ აცხადებს: „თქვენს შორის დგას ვინმე, ვისაც თქვენ არ იცნობთ (გვ. 26), ის არის ჩემს შემდეგ მომავალი, მაგრამ ჩემზე წინ მდგომი, ვისი სანდლის თასმის გახსნის ღირსიც არ ვარ“. (გვ. 26, 27). ეს დაამოწმა იოანემ ბეთლემში, იქ სადაც მრავალრიცხოვანი ხალხი შეკრებილიყო მის სანახავად.

უღაბნოდან მაცხოვრის დაბრუნების მეორე დღეს იოანე, იორდანეზე მყოფი, ამოწმებს მასზე და უწოდებს იესოს „ღვთის კრავს, რომელიც თავის თავზე იღებს წუთისოფლის ცოდვებს“, და სარმწუნოდ ხდის, რომ ეს სწორედ იესო ქრისტეა: „მე დავინახე და დავამოწმე, რომ ეს არის ძე ღვთისა“ (იოან. 1:29-34).

ძე ღვთისაზე პირადი დამოწმების მეორე დღეს, იორდანეს ნაპირთან კვლავ იღვა იოანე და ორი მისი მოწაფე, ასევე იქ იყო იესოც. იოანემ მომავალი მაცხოვრის დანახვისას კვლავ გაიმეორა ადრინდელი მოწმობა: - „აჰა, ღვთის კრავი“ (ინ 1:36). იოანე ამით აცხადებს ესაიას შესანიშნავ წინასწარმეტყველებას მესიაზე: “

იოანეს მოწმობის მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ქრისტე ადამიანთა ცოდვებისათვის „შეწირული მსხვერპლია“, მაგრამ სიტყვებით „რომელიც იღებს წუთისოფლის ცოდვას“, დიდებული მსხვერპლი დიდ მღვდელმთავრადაც წარმოგვიდგება, რომელიც განწმენდას თავის თავზე თვითონვე ახდენს, თავს იღებს წუთისოფლის ცოდვებს და ეწირება მას.

იოანეს სიტყვების გაგონებისთანავე მისი ორი მოწაფე გაჰყვა იესოს იქ, სადაც ის ცხოვრობდა, ის დღე მასთან დაჰყვეს დაახლოებით მეათე საათიდან გვიან საღამომდე და ისმენდნენ მის საუბრებს, რადგანაც მტკიცედ რწმუნდებოდნენ, რომ ის იყო მესია (38-41). ამ მოწაფეთაგან ერთი იყო ანდრია, ხოლო მეორე თვით მახარებელი იოანე, რომელიც მომხდარი და თვალთ ნანახი ამბების თხრობისას თავისთავს არსად არ ასახელებს. უფალთან საუბრის შემდეგ სახლში დაბრუნებულმა ანდრიამ პირველმა ნახა თავისი ძმა სიმონი და ამცნო: „ჩვენ ვიპოვეთ მესია“. (ინ. 1:41). ამრიგად, ანდრია არის არა მხოლოდ ქრისტეს პირველწოდებული მოწაფე, როგორც მას მოიხსენიებენ კიდევ, არამედ პირველი მქადაგებელიც მესიისა, რომელმაც მოაქცია და ქრისტესთან მიიყვანა მომავალი მოციქულთ შორის აღმატებული სიმონ-პეტრე. როცა ანდრიამ ძმა ქრისტესთან მიიყვანა, უფალმა გამომცდელად შეხედა მას და „კეფა“ – ებრაულად „ქვა“, „კლდე“ დაარქვა. (ბერძნულად ჟღერს „პეტროს“).

ანდრიას და იოანეს მოსვლის მეორე დღეს, ქრისტემ მოისურვა გალილეაში წასვლა და მოუწოდა ფილიპეს, რომ გაჰყოლოდა მას, ხოლო ფილიპემ მოინდომა თავისი მეგობრის–ნათანაელის წაყვანა და უთხრა: „ჩვენ ვნახეთ ის, ვისზეც წერდა რჯულში მოსე და აგრეთვე წინასწარმეტყველნი: იესო, იოსების ძე, ნაზარეთიდან“ (ინ1:45). ნათანაელი შეეპასუხა მას: „განა ნაზარეთიდან შეიძლება რაიმე სიკეთე იყოს?“. როგორც ჩანს, ნათანაელი იზიარებდა საერთო იუდეურ რწმენას იმის შესახებ, რომ ქრისტე, როგორც მიწიერი დიდებულებით შემკული მეფე, მოვა და გამოიხდება იერუსალიმის საზოგადოების უმაღლეს წრეებში. ასევე, გალილეას იუდეველებს შორის ცუდი სახელი ჰქონდა გავარდნილი და ეს პატარა ქალაქი – ნაზარეთი, რომელიც ძვ.ა ღთქმის წიგნებში არც ერთხელ არ არის ნახსენები, მესიის დაბადებისათვის, ალბათ წარმოუდგენელ ადგილად მიაჩნდა.

მორწმუნე სულის მქონე ფილიპემ საჭიროდ არ ჩათვალა მეგობრის ეჭვების გაბათილება. ფილიპემ მას საშუალება მისცა თავად დარწმუნებულიყო არსებულის ჭეშმარიტებაში: „წამო და ნახე!“ – უთხრა მან ნათანაელს. ფილიპემ, როგორც გულწრფელმა და გულახდილმა ადამიანმა, ეჭვის გასაბათილებლად უფალს მიაშურა. უფალმა დაამოწმა ნათანაელის სულის

უბრალოება და გულუბრყვილობა, როცა თქვა მასზე: „აჰა, ჭეშმარიტი ისრაელიანი, ვისშიც არ არის მზაკვრობა”.

ნათანაელს გაუკვირდა, თუ საიდან იცნობდა მას უფალი, როცა დღეს პირველად ხედავდა მას. მაშინ, საბოლოოდ რომ გაეფანტა ეჭვები და თავისკენ მიეხიდა იგი, უფალმა გამოავლინა თავისი ღვთიური ყოვლისმჭვრეტელობა, სიტყვის გადაკერის საიდუმლო გარემოებაზე, რომლის არსიც ნათანაელის გარდა არავინ იცოდა: „ლეღვის ქვეშ იყავი, დაგინახე”.

რა მოუვიდა ნათანაელს ლეღვის ქვეშ, მის და ღვთის გარდა არავინ იცის, ამიტომ მოსმენილმა იმდენად განაცვიფრა ნათანაელი, რომ მისი ყველა ეჭვი იესოს შესახებ უმალ გაიფანტა. ის მიხვდა, რომ მის წინაშე უბრალო ადამიანი კი არ იდგა, არამედ ღვთიური ყოვლისმჭვრეტელობით დაჯილდოებული უფალი და მაშინვე იწამა იესო, როგორც ღვთის წარმოგზავნილი მესია. მან მზურვალედ წამოიძახა: „რაბი (მოძღვარო)? შენ ხარ ძე ღვთისა, შენ ხარ ისრაელის მეფე”. (იოან. 1:49).

ვარაუდობენ, რომ ნათანაელს ჩვეულებად ჰქონდა ლეღვის ხის ქვეშ ლოცვის აღსრულება და ალბათ, ერთხელაც, ლოცვისას მან განსაკუთრებული რამ შეიგრძნო, რაც შეუძლებელია სცოდნოდა ვინმე ადამიანთაგანს. აი, ამიტომ გააღვიძეს უფლის სიტყვებმა მასში გულმზურვალე რწმენა, რომ ის არის ძე ღვთისა, რომლისთვისაც გახსნილია ადამიანის სულში დაფარული. ამ შეძახილის პასუხად უფალმა მიმართა არა მხოლოდ ნათანაელს, არამედ ყველა თავის მიმდევარს და იწინასწარმეტყველა: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ამიერიდან იხილავთ გახსნილ ცას და ღვთის ანგელოზებს, კაცის ძეზე აღმავალთ და ჩამომავალთ”. რაც გულისხმობდა, რომ იესოს მოწაფეები ამიერიდან სულიერი თვალთ დაინახავენ მის დიდებას, რომ ახდა ძე. წინასწარმეტყველება ცისა და მიწის საიდუმლო კიბით შეერთების შესახებ, რომელიც ძე. აღთქმიესულმა პატრიარქმა – იაკობმა იხილა ძილში (28:11-17) და ეს მოხდა ძე ღვთისას განხორციელებით, რადგან იგი „კაცის ძე იქცა”. ამ სახელით ხშირად იხსენიებდა უფალი თავის თავს. სახარების მიხედვით, დაახლოებით 80-ჯერ. ამით ქრისტე დადებითად და უდავოდ ამტკიცებს თავის ადამიანურ ბუნებას, ამ სიტყვის უმაღლესი გაგებით – იდეალური, სრულყოფილი, აბსოლუტური ადამიანი, მეორე ადამი, ახალი კაცობრიობის ფუძემდებელი. ამრიგად, ეს წოდება სრულებითაც არ გამოხატავს ქრისტეს მხოლოდ დამცირებას, არამედ უფრო საერთო დონეზე მის ამაღლებას, რადგან მასში მუდავნდება ადამიანური ბუნების განხორციელებული იდეალი, როგორც უნდა იყოს იგი შემოქმედი ღვთის ჩანაფიქრით.

5. გალილეის კანაში, ქორწილში მოხდენილი

პირველი სასწაული (იოან.2:1-12)

გალილეის კანაში, წყლის ღვინოდ გადაქცევის პირველ სასწაულზე, რომელიც უფალმა იესო ქრისტემ მოახდინა, მხოლოდ ერთი მახარებელი, იოანე, მოგვითხრობს. ეს სასწაული მოხდა ფილიპესა და ნათანაელის მოწოდების მესამე დღეს. იესო ქრისტე მიწვეული იყო ქორწილში გალილეის კანაში, ნაზარეთის ჩრდილოეთით 2-3 საათის სავალზე. ეს გახლდათ ნათანაელის სამშობლო. სხვა კანასგან განსხვავებით, რომელიც ქ. ტვიროსთან მდებარეობდა, ამ ქალაქს გალილეის კანა ეწოდებოდა. სტუმართმოყვარეობის

წესის თანახმად, იესო მიწვეული იყო როგორც ჩვეულებრივი ნაცნობი. იქ იყო იესოს დედაც, რომელიც როგორც ჩანს, უფრო ადრე ჩავიდა კანაში. ოჯახი არც თუ ისე მდიდარი უნდა ყოფილიყო, რის გამოც სუფრას ღვინო მალევე შემოაკლდა. ამ სიტუაციაში, რომელსაც ოჯახური სიხარულის ჩამწარება შეეძლო, ცხოველი მონაწილეობა მიიღო უწმინდესმა ქალწულმა. მისმა სიკეთით აღსავსე სულმა თავისი ღვთაებრივი შვილის წინაშე პირველი შუამდგომლობა გამოიჩინა. „ღვინო აღარ აქვთ” – ეუბნება იგი იესოს და უეჭველია, ამასთან იმედოვნებს, რომ უფალი მათ აღმოუჩენს სასწაულებრივ დახმარებას. „რა გინდა ჩემგან დედაკაცო?” – ჰკითხა მას უფალმა. სიტყვა „დედაკაცი” აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი მომართვაა და არავითარ შემთხვევაში არ მიუთითებს უპატივცემულობაზე. ჯვარზე ვნების უმძიმეს მომენტშიც კი უფალი ასევე მიმართავს თავის დედას და მის პატრონობას თავის საყვარელი მოწაფეს მიანდობს. (ინ. 19:26). „ჩემი ჟამი ჯერ არ დამდგარა”, ე.ი. სასწაულმოქმედების დრო ჯერ არ მოსულა; იქნებ იმიტომ, რომ ღვინო ჯერ მთლად არ ამოწურულა – ყოველ შემთხვევაში, უწმინდესი ქალწულის შემდეგი სიტყვებიდან: „რასაც ის გეტყვით, ყველაფერი გააკეთეთ”, მიუთითებს, რომ უფლის პასუხი მას უარად არ მიუჩნევია. სახლში ჰქონდათ ექვსი ჭურჭელი საწყსო განწმენდისათვის, რომელსაც აღასრულებნენ ჭამამდე და ჭამის შემდეგ. თითო ჭურჭელში სამი საწყაო სითხე ჩადიოდა. საწყაო სათლნახევარს (ვედრონახევარს) შეადგენდა, საერთო ჯამში 25 სათლი გამოდის. იესომ უთხრა მათ: „აავსეთ წყლით ჭურჭელი”. მათაც აავსეს წყლით პირთამდე. უფალმა კვლავ ბრძანა: „ახლა ამოიღეთ და მიართვით თამადას”, რათა ის თავად დარწმუნდეს მომხდარი სასწაულის ჭეშმარიტებაში. როგორც ვხედავთ უფალმა სასწაული მოახდინა შორიდან, ახლოს მიუსვლელად, რაც იმაზე მოწმობს, რომ გამჟღავნდა მისი ღვთიური ძალა. წმ. ოქროპირი ამბობს, რომ ეს მოხდა იმის საჩვენებლად, რომ იგი არის ის, ვინც ყურძენს ფესვებიდან აწოდებს წვიმის წყალს და ღვინოდ გადააქცევს, მას იმ დროის განმეგობაში, რომელიც მცენარეს სჭირდება. მას კი ერთი წამი ეყო იგივეს მოსამოქმედებლად ამ ქორწილზე. თამადამ, რომელმაც არ იცოდა თუ საიდან იყო ეს ახალი ღვინო, დაუძახა ნეფეს, თავისი სიტყვებით დაადასტურა მომხდარი სასწაულის ჭეშმარიტება და ხაზი გაუსვა, რომ ახალი ღვინო ბევრად უკეთესი ხარისხისა იყო. გამოთქმა „როცა შეთვრებიან”, არ უნდა ეკუთვნოდეს კერძოდ ამ სუფრას, რადგან ძნელი წარმოსადგენია, რომ უფალი ასეთ ღრეობას დასწრებოდა. როგორც ჩანს, ეს საზოგადოდ იყო ნათქვამი. იუდეველები ღვინის ზომიერი მოხმარებით გამოირჩეოდნენ; თუმცა პალესტინაში ღვინო ჩვეული სასმელი იყო, მასში წყალს აზავებდნენ; ღვინით გამოთრობა შეუფერებელ საქციელად ითვლებოდა.

ქორწილში მომხდარი სასწაულის მიზანია ოჯახურ დღესასწაულზე ღარიბი ხალხისთვის სიხარულის მინიჭება, რაშიაც უფლის სიკეთე გამოჩნდა. მახარებლის მოწმობით, ეს იყო უფლის პირველი სასწაული, მას შემდეგ კი საზოგადოებრივ მსახურებას შეუდგა.

ასე გამოავლინა თავისი დიდება მოწაფეების გასაძლიერებლად და საწრმუნოდ. ამ სასწაულის შემდეგ წმ. ოჯახი ნაზარეთიდან კაპერნაუმს გაემართა, რათა პასექის დღესასწაულზე იერუსალიმში გამგზავრებულყო.

იესო ქრისტეს საზოგადოებრივი მსახურების

პირველი პასექი

1. ტაძრიდან ვაჭრების გარეკვა (იოან. 2:13-25)

პირველი სამი მახარებელი არც თუ ისე ნათლად ჰყვება უფლის იერუსალიმში ყოფნის შესახებ. დაწვრილებით ისინი მხოლოდ იმ პასექზე მოგვითხრობენ, რომლის დადგომამდეც უფალი ევნო. მახარებელი იოანე ერთადერთია, ვინც უფლის საზოგადოებრივ მსახურებაზე მოგვითხრობს, რომელიც სამი წლის განმავლობაში აღესრულებოდა. მახარებელი აღწერს უფლის იერუსალიმში ყოფნას პასექისა და სხვა დღესასწაულების დროს. იესოს იერუსალიმში მოგზაურობა ბუნებრივად იყო, რადგან იქ იყო იუდეველი ხალხის სულიერი ცხოვრების შუაგული. დღესასწაულის დღეებში იქ იკრიბებოდა პალესტინიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ხალხი და უფალსაც სწორედ იერუსალიმში ებრძანა თავის მესიად განცხადება.

იერუსალიმის ტაძრიდან ვაჭრების გარეკვის ამბის გადმოცემა წმ. იოანესთან, განსხვავდება სხვა მახარებლებისგან. პირველთან ეს მოვლენა უფლის საზ. მსახურების დასაწყისში, პირველ პასექამდე მოხდა, სხვებთან კი – მისი საზ. მსახურების დასასრულის მეოთხე პასექამდე.

კაპერნაუმიდან იესო თავის მოწაფეებთან ერთად იერუსალიმში ჩავიდა პასექის დღესასწაულზე დასასწრებლად, მაგრამ არა ჩვეულება-მოვალეობის გამო, არამედ, რათა შეესრულებინა მისი გამომგზავნებილი ნება, რათა გალილეაში დაწყებული მესიანური მსახურება გაეგრძელებინა.

იერუსალიმში ორ მილიონ ებრაელს მოეყარა თავი, რომელთაც საპასექო ცხვრები უნდა დაეკლათ და ღვთისთვის ტაძარში შეეწირათ. იოსებ ფლავიუსის ცნობით ქრ.წ. 63წ-ს, ებრაულ პასექის დროს, მღვდელმთავრებმა ტაძარში 256 000 საპასექო ცხვარი და ფრინველი შესწირეს. ამ მომრავლებული პირუტყვის გაყიდვის მოხერხებულობისათვის ებრაელებმა ე.წ. „წარმართთა ეზო“, რომელიც ტაძართან არსებობდა, საბაზრო მოედნად გადააქციეს. იქ შერეკეს შესაწირი პირუტყვი, ჩადგეს გალიები ფრინველთათვის, მოაწყვეს სარიტუალო ნივთების გასაყიდი დახლები და გახსნეს ფულის გადამცვლელი საღაროები, რაც დიდ მოგებას უტოვებდა ებრაელებს. მომხვეჭელობის გამო, ებრაელები ტაძრის ეზოში სხვა საქონლითაც ვაჭრობდნენ. თავად მღვდელმთავრები ამრავლებდნენ მტრედებს, რომ შემდეგ მაღალ ფასებში გაეყიდათ.

უფალმა თოკისაგან, რომლითაც ალბათ საქონელს აბამდნენ, მათრახი გააკეთა და გადარეკა ცხვრები და ხარები ტაძრის ეზოდან, გადააბრუნა ფულის გადამცველთა მაგიდები, მივიდა მტრედების გამყიდველებთან და უთხრა: „გაიყვანეთ ესენი აქედან და მამაჩემის სახლს ნუ გახდით სავაჭრო სახლად“. ამრიგად, ღვთის თავის მამად წოდებით, იესომ სახალხოდ პირველად გამოაცხადა თავი ძე ღვთისად. ვერავინ შეეწინააღმდეგა ღვთიურ უფლებას, რომლითაც იესო მოქმედებდა, რადგან, როგორც ჩანს, იოანეს მოწმობას მესიაზე იერუსალიმამდეც ჩაეღწია. ამასთან გამყიდველებს საკუთარი სინდისიც ამხილებდა. როცა მტრედებამდე მივიდა, მხოლოდ მაშინ მისცეს შენიშვნა, რადგან ეს უკვე მღვდელმთავრების სავაჭრო ინტერესებს ეხებოდა.

მას უთხრეს: „რა ნიშანს გვიჩვენებ, ამას რომ აკეთებ?” პასუხად იესომ მიუგო: „დაანგრეთ ეს ტაძარი და მე სამ დღეში აღვადგენ მას”. და როგორც მახარებელი განმარტავს, „უფალს მხედველობაში თავისი სხეულის ტაძარი ჰქონდა”. სხვაგვარად ასე მოიაზრება: „თქვენ ითხოვთ ნიშანს და მოგეცემათ იგი, მაგრამ არა ახლა, არამედ როცა თქვენ დაარღვევთ ჩემი სხეულის ტაძარს, მე სამ დღეში აღვადგენ მას და ეს იქნება თქვენთვის ნიშანი იმ ხელისუფლებისა, რომლითაც მე ვმოქმედებ”.

იუდეველებმა ვერ გაიგეს, რომ იესო თავის სიკვდილსა და მესამე დღეს აღდგომაზე საუბრობდა. მათ პირდაპირ გაიგეს მისი ნათქვამი და იერუსალიმის ტაძარს დაუკავშირეს, ამასთან ცდილობდნენ აემხედრებინათ ხალხი მის წინააღმდეგ. აქვე ავლნიშნოთ, რომ ბერძნული სიტყვა „ეგერო” თარგმანში ნიშნავს „გაავადვიებ”, რაც დანგრეულ შენობაზე მეტად, ძილში წასული სხეულს მიესადაგება. ბუნებრივია, რომ უფალი თავის სხეულზე, როგორც ტაძარზე, ისე საუბრობს და ყოველთვის, როცა ფარისევლები მისგან ნიშანს ითხოვენ, ის პასუხობს, რომ „ვერ მიიღებენ ვერანაირ ნიშანს, გარდა იონა წინასწარმეტყველის ნიშნისა”, რომელიცაა უფლის სამდღიანი დაფლვა და აღდგომა. ა. გ. უფლის სიტყვების გაგება შემდეგნაირად შეიძლება: „თქვენ არ გეყნოთ, რომ ჩემი მამის სახლი შებილწეთ და სავაჭრო სახლად გადააქციეთ იგი; თქვენი გაბოროტება იქამდე მიგიყვანთ, რომ ჯვარს მაცემვთ და მოაკვდინებთ სხეულს ჩემსას, მე კი მას სამ დღეში აღვადგენ”.

იუდეველები კი იესოს ნათქვამის პირდაპირ მნიშვნელობას ჩაეჭიდნენ, რათა ისინი უხამსად და შეუსრულებლად წარმოეჩინათ. იუდეველები ეუბნებოდნენ მას, რომ იერუსალიმის ეს საამაყო ტაძარი 56 წლის განმავლობაში შენდებოდა და როგორღა შეიძლება მისი სამ დღეში აღდგენა? საუბარია იროდის მიერ ტაძრის აღდგენაზე, რომელიც 737 წ. რომის იმპერიის დაარსებიდან დაიწყო, რომელიც არის სწორედ ქრისტეს საზ. მოღვაწეობის პირველი პასექის წელი. თვით მისმა მოწაფეებმაც, უფლის სიტყვების აზრი, მისი მკვდრეთით აღდგომის შემდეგ გაიგეს „და იწამეს წერილი და სიტყვა”.

შემდგომ მახარებელი გვამცნობს, რომ პასექის დღესასწაულის მერე უფალმა ბევრი სასწაული მოახდინა, რომელთა მხილველმა მრავალმა ადამიანმა იწამა მისი, მაგრამ „იესო არ ანდობდა მათ თავის თავს”, ანუ არ ენდობოდა მათ, რადგან რწმენა, რომელიც მხოლოდ სასწაულებზეა დაფუძნებული, არ არის გამთბარი ქრისტესადმი სიყვარულით და არ შეიძლება მტკიცე რწმენად ჩაითვალოს. უფალმა იცოდა ყოველი ადამიანი გულისნადები, ამიტომ არ ენდობოდა იმათ, ვინც ხედავდა მის სასწაულებს, სჯეროდა და აღიარებდა მას.

2. უფალ იესო ქრისტეს საუბარი ნიკოდემოსთან (იოან. 3:1-21)

ტაძრიდან ვაჭრების განდევნამ და მომხდარმა სასწაულებმა ისე ძლიერ იმოქმედა იუდეველებზე, რომ ერთ-ერთ იუდეველთა მთავარი, სინედრიონის წევრი (ინ. 7:50), მივიდა იესოსთან ღამით, რადგან სურდა მისი სწავლების მოსმენა, თუმცა ქრისტესადმი მტრულად განწყობილი მეგობრების მხრიდან რისხვას მოერიდა და ამიტომაც აირჩია ღამით წასლვა. ეს გახლდათ ნიკოდემოსი, რომელიც იესოს დანახვისთანავე „რაბი“-ს უწოდებს. რითაც

სცნობს მის მასწავლებლობის უფლებას, რაც მწიგნობრებისა და ფარისევლების აზრით, სარაბინო სკოლის დაუმთავრებლად იესოს არ შეიძლებოდა ჰქონოდა. ყოველივე ზემოთქმული მეტყველებს ნიკოდემოსის უფლისადმი კეთილგანწყობაზე, შემდგომში იგი მას ღვთისგან მოსულს უწოდებს და სცნობს, რომ უფალი სასწაულმოქმედებს მასში არსებულ ღვთიური ძალით. იგი ამას ამბობს არა მხოლოდ თავისი სახელით, არამედ ფარისეველთა სექტის ზოგი წარმომადგენლისა და იქნებ, სინედრიონის წევრთა სახელითაც, თუმცა საერთო ჯამში ეს ხალხიც მტრულად იყო განწყობილი იესოს მიმართ. მთელი შემდგომი საუბარი იესოსა და ნიკოდემოსს შორის იმით არის ღირშესანიშნავი, რომ მიმართულია ცათა სასუფევლისა და მასში შესვლის პირობების შესახებ, ფარისეველთა ცრუ, ფანატიკური შეხედულებების დასამხობად. ეს საუბარი სამ ნაწილად იყოფა:

1. სულიერი აღორძინება, როგორც ძირითადი მოთხოვნა ცათა სასუფეველში შესასვლელად.
2. ძე ღვთისას ჯვარზე ვნების შედეგად კაცობრიობის გამოსყიდვა, რის გარეშეც წარმოუდგენელი იქნებოდა ადამიანთა მიერ ცათა სასუფევლის დამკვიდრება.
3. ღვთის მხოლოდშობილის ძის სახელის უარყოფელი ხალხის თავზე მსჯავრის დადების არსი.

ფარისევლობა იმ დროში ყველაზე ვიწრო ფანატურ-ნაციონალურ პარტიკულარიზმს განასახიერებდა. ფარისეველი თვლიდა, რომ მხოლოდ იმით, რომ ის იუდეველი და ფარისეველია, სასუფევლის უპირობო და უღირსეულესი წევრია. თვითონ მესია კი, მათი შეხედულებით, მათი მსგავსი იუდეველთაგანი უნდა ყოფილიყო, რომელიც თავის ქვეყანას უცხო ქვეყნის ბატონობისაგან იხსნიდა და დაარსებდა ერთ დიდ, საერთო სახელმწიფოს დედამიწაზე. ცხადია, ამ სახელმწიფოში იუდეველებს გაბატონებული მდგომარეობა ექნებოდათ.

ნიკოდემოსი, რომელიც როგორც ჩანს, იზიარებდა ფარისეველთა ამ შეხედულებებს, თუმცა გულის სიდრმეში გრძნობდა მათ სიცრუეს, იმ აზრამდე მივიდა, რომ ამდენი სასწაულების მომხდენი იესო, შესაძლებელია მართლაც მესია ყოფილიყო, მან გადაწყვიტა, თვითონ ენახა იგი, რათა თავის მოსაზრებაში დარწმუნებულიყო.

უფალი საუბრის დაწყებისთანავე მკაცრად ამხელს ფარისევლებს სიტყვებით: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით შენ, ვინც ხელახლა არ იშობა, ვერ იხილავს ცათა სასუფეველს”, ანუ არ არის საკმარისი, რომ იუდეველად დაიბადო. საჭიროა სრული ზნეობრივი განახლება, რაც ადამიანს ღვთისგან ეძლევა. ეს ჰგავს თავიდან დაბადებას, ახალ ქმნილებად ქცევას, რაშიაც ქრისტიანობის არსიც მდგომარეობს. იმდენად, რამდენადაც ფარისევლებს სასუფეველი გრძნობიერ, მიწიერ სამყოფად ჰქონდათ წარმოდგენილი, გასაკვირი არ არის, რომ ნიკოდემოსმა უფლის სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო, კერძოდ, რომ აუცილებელია ხელმეორედ ხორციელი დაბადება, რის გამოც გაკვირვებულმა იკითხა: „როგორ შეუძლია კაცს იშვას, თუ იგი მოხუცია”. ნუთუ შეიძლება თავისი დედის მუცელში მეორედ შევიდეს და იშვას?“. მაშინ იესო განუმარტავს მას, რომ საუბარია არა

ხორციელი, არამედ განსაკუთრებულ სულიერ შობაზე, რომელიც განსხვავდება ხორციელი შობისგან როგორც მიზეზებით, ისე ნაყოფითაც. ესაა დაბადება წყლითა და სულით. აქ წყალი საშუალებაა, იარაღია, სულიწმინდა კი – ძალა, რომელიც ხელახლა დაბადებას აწარმოებს, მისით ხდება ახალი არსებობა: ვინც წყლითა და სულისაგან არ იშვება, ვერ შევა ცათა სასუფეველში. ეს ხელახლა შობა, ხორციელი შობისგან, გამოღებული ნაყოფითაც განსხვავდება: „ხორცისაგან შობილი – ხორცია“. ე. ი. როცა ადამიანი ხორციელი მშობლებისაგან იშვება, იგი მემკვიდრეობით იღებს ხორცში დაბუდებულ ადამიანურ ცოდვას, ხორცისაზე ფიქრობს და ხორციელი ვნებებისა და ახირებების ტყვეა. ხორციელი დაბადების ეს ნაკლოვანებები სწორედ სულიერი შობით გასწორდება, რადგან „სულისაგან შობილი - სულია“. სულის მიერ განახლებული, იგი შედის სულიერ ცხოვრებაში და მალდდება ყოველგვარ ხორციელსა და გრძნობიერზე.

დაინახა რა, რომ ნიკოდემოსს უჭირდა უფლის სიტყვების გაგება, იესომ მას აუხსნა, თუ რაში მდგომარეობდა სულისაგან დაბადება და იგი ქარს შეადარა: „სული (მოც. შემთხვევაში სული ქარია) ქრის სადაც მოისურვებს, მისი ხმა გესმის, მაგრამ არ იცი საიდან მოდის და სად მიდის. ასეა ყველა, ვინც სულისაგან არის შობილი.“ სხვაგვარად, ადამიანის სულიერად შობისას, ხილულად შეიძლება ჩანდეს მხოლოდ ის ცვლილება, რაც მასში ხდება, ხოლო ამადოქინებელი ძალა, გზები, რითაც ის მიდის, საშუალება, რომლითაც მოქმედებს – ადამიანისთვის საიდუმლო და მიუწვდომელია. ქართან მიმართებაში შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვგრძნობთ ქარის მოქცევას, გვესმის „მისი ხმა“, მაგრამ მისი სწრაფვა არის სულიწმინდის მოქმედება, თუმცა ხილული და საგრძნობი, მაინც საიდუმლოდ და აუხსნელად განმანახლებელია ადამიანისა.

ნიკოდემოსი კვლავ გაკვირვებული კითხულობს: „როგორ შეიძლება მოხდეს ეს?“ ამ კითხვაში გამოიხატა მისი უნდობლობა იესოს სიტყვებისადმი და ასევე, მისი ფარისევლური სიამაყე ყველაფრის გაგების პრეტენზიასთან ერთად. სწორედ ასეთ ფარისევლურ, ცრუდ ბრძნადმეტყველებას სცემს იესო ლახვარს მთელი ძალით, ამიტომ ნიკოდემოსი ვეღარ ბედავს რაიმე საწინააღმდეგოს თქმას და თავისი ზნეობრივი თავისებურებით გულში იმზადებს იმ ნიადაგს, რომელზეც უფალი თავისი სწავლების მარცვლებს დათესავს: „შენ ისრაელის მოძღვარი ხარ და განა ეს არ იცი?“ ამ სიტყვებით უფალი ამხელს არა მხოლოდ ნიკოდემოსს, არამედ თავხედ, დიდი წარმოდგენის მქონე ფარისევლურ მსწავლებლობას, რომელმაც ხელთ იპყრო ღვთის სასუფეველის შეცნობის საიდუმლო, არც თვითონ შევიდა მასში და არც სხვა შეუშვა. შეუძლებელია ფარისევლებს არ სცოდნოდათ ზნეობრივი აღორძინების შესახებ, როცა ძვ. აღთქმაში ხშირად ვხვდებით ადამიანის განახლების შესახებ აზრს, რომ მას უნდა ებოდოს ხორციელი გული ნაცვლად ქვის გულისა (ეზეკ. 36:26). მეფე დავითიც ხომ ასე ლოცულობდა: „გული წმინდა დაბადე ჩემთანა ღმერთო და სული წრფელი განმიხლე გვამსა ჩემსა“. (ფს. 50:12). შემდეგ უფალი საუბრობს თავის სასუფეველსა საიდუმლოებაზე და თითქოს შესავალი შენიშვნის სახით, ეუბნება ნიკოდემოსს, რომ ფარისევლთა ცრუ სწავლების საწინააღმდეგოდ, ის და მისი მოსწავლეები ახალ სწავლებას

ახარებენ ქვეყანას და რომ იგი ემყარება ჭეშმარიტების უშუალო ცოდნას და განტყვევებს: „გლაპარაკობთ იმაზე, რაც ვიცით და ვმოწმობთ, რაც გვინახავს, მაგრამ თქვენ არ ღებულობთ ჩვენს მოწმობას”.

„თუ მიწიერზე გითხარით და არ გწამთ, როგორ იწამებთ ზეციერზე, რომ გითხრათ”. – ეუბნება უფალი ნიკოდემოსს და გულისხმობს განახლების აუცილებლობის შესახებ სწავლებას, რადგან განახლების მოთხოვნილებაცა და შედეგიც თვითონ ადამიანშია მოქცეული და მხოლოდ მისი შინაგანი გამოცდილებით შეიცნობა. „ზეციურში” იგულისხმება ამაღლებული, ღვთიური საიდუმლოებანი, რაც აღემატება ადამიანური შეცნობის შესაძლებლობებს, როგორცაა სამსახოვანი ღმერთის წინასაუკუნო სათათბიროზე ძე ღვთისას მიერ ადამიანთა გამომხსნელი ღვაწლის თავზე აღება, ამ ღვაწლში ადამიანებისადმი ღვთის დიდი სიყვარულისა და მისივე მართლმსაჯულების განთავსება. თუ რა ხდება ადამიანთა თავზე და მათში, ამის შესახებ შესაძლოა ნაწილობრივ უწყოდეს ადამიანი. მაგრამ კაცთაგან ვის შეუძლია ზეცაში ასვლა და ღვთიური ცხოვრების საიდუმლო სფეროში შეღწევა? არავის, კაცის ძის გარდა, რომელმაც მიწაზე ჩამოსულმაც კი არ დატოვა ზეცა: „არავინ ასულა ცაში, გარდა ციდან ჩამოსულ კაცის ძისა, რომელიც ზეცაშია”. ამ სიტყვებით უფალი ნიკოდემოსს უხსნის თავისი განხორციელების საიდუმლოს, არწმუნებს, რომ ყველა ღვთის წარმოგზავნილ წინასწარმეტყველზე დიდია (თუმცა ნიკოდემოსი მას წინასწარმეტყველად თვლის), რომ ღედამიწაზე კაცის ძის სახით მოსვლა მისთვის არის უმაღლესიდან უმაღლეს მდგომარეობაში გადასვლა, თავისი თავის უკიდურესი დამდაბლება, რადგან მისი საუკუნო არსებობა არის არა ღედამიწაზე, არამედ ცაში.

შემდეგ უფალი ნიკოდემოსს უხსნის თავისი გამომსყიდველი ღვაწლის საიდუმლოს. „როგორც მოსემ აღამალა გველი უდაბნოში, ასევე უნდა ამაღლდეს კაცის ძე”. რატომ უნდა მოხდეს ეს ამაღლება ჯვარზე? აი ეს არის ის „ზეციური”, რაც ადამიანური აზროვნებისათვის მიუწვდომელია, მიუღწეველია. უფალი მიუთითებს მოსეს მიერ უდაბნოში აღმართულ სპილენძის გველზე, როგორც თავისი ჯვრისმიერი ღვაწლის პირველსახეზე. მოსემ ისრაელიანებისათვის აღმართა გველი, რათა გველთაგან განგმირულებს, ამ გველზე შეხედვით კურნება მიეღოთ. ასევე, ცოდვის წყლულით განგმირული კაცთა მოდგმაც, ჯვარზე გაკრულ ქრისტეს მხილველი, მიიღებს კურნებას იმისგან, ვინც მოევლინა ცოდვილი ხორცის მსგავსებაში (რომ. 8:3). ძე ღვთისას ჯვარზე გაკვრას საფუძვლად უდევს ღვთის სიყვარული ადამიანებისადმი: „რადგან ისე შეიყვარა ღმერთმა სამყარო, რომ მისცა მას ძე თავისი მხოლოდშობილი, რათა ყოველი მისი მორწმუნე, არა თუ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს ცხოვრება საუკუნო”. საუკუნო ცხოვრება ადამიანში სულიწმინდის მადლით ეწყობა, ხოლო „მადლის ტახტამდე” (ებრ. 4:16) ადამიანები მაცხოვრის გამომსყიდველი სიკვდილის მეშვეობით აღწევენ. ფარისეველები ფიქრობდნენ, რომ ქრისტეს საქმე იქნებოდა სხვა რწმენის ადამიანთა განსჯა. უფალი განმარტავს, რომ ქვეყანას მოევლინა არა განსასჯელად, არამედ სახსნელად. ხოლო ურწმუნონი თავის თავს თვითონვე დასდებენ მსჯავრს, რამეთუ ამ ურწმუნობით გამოავლენენ თავიანთ სიყვარულს ბნელეთისადმი და

სიძულვილს ნათლისას. პატიოსანი ადამიანები კი ნათლისკენ მიდიან და მათ მხილებსა არ ეშინიათ.

3. წმ.იოანე ნათლისმცემელის უკანასკნელი მოწმობა იესო ქრისტეზე (იოან.3:22-36)

ნიკოდემოსთან საუბრის შემდეგ, რომელიც პასექის დღესასწაულის დღეებში ხდებოდა, უფალმა დატოვა იერუსალიმი და მივიდა იუდეის ქვეყანაში, სადაც იმყოფებოდა და ნათლავდა. ჩვენ გვაქვს წმ. იოანე მახარებლის მნიშვნელოვანი მითითება უფლის პალესტინის უკიდურეს სამხრეთით მდებარე ოლქ იუდეაში ხანგძლივი ყოფნის შესახებ, რაზედაც სდუმს პირველი სამი მახარობელი.

თუ რამდენ ხანს დაყოვნდა უფალი იუდეაში, შეიძლება ვივარაუდოთ იქედან, რომ იუდეიდან გალილეაში მიმავალი უფლის სირიაში შეჩერების შესახებ, წმ. იოანე გადმოგვცემს მოწაფეებისადმი მიმართული უფლის სიტყვებს: „განა თქვენ არ ამბობთ, რომ კიდევ ოთხი თვე და დადგება მკა?“, ა. გ. უფალი გალილეაში ბრუნდება მკის დაწყებამდე 4 თვით ადრე, ხოლო რადგან პალესტინაში მკის თვე აპრილია, გამოდის, რომ უფალმა პალესტინა დატოვა არა უადრეს ნოემბრისა და, მაშასადამე მან პალესტინაში დაჰყო დაახლოებით რვა თვე – აპრილიდან ნოემბრამდე.

უფალი იესო ქრისტეს საზ. მსახურების შესახებ პირველი სამი მახარებელი არაფერს ამბობს. ნათლობისა და უდაბნოში გამოცდის შემდეგ, ისინი პირდაპირ გადადიან გალილეაში; მისი იქ მოღვაწეობის აღწერაზე.

უფლისგან ბევრად უფრო გვიან მოწოდებული წმ. მათე იმ პერიოდს იუდეაში მომხდარი მოვლენების თვითმხილველი არ იყო, ალბათ არც წმ. პეტრე არ ახლდა უფალს იუდეაში, ხოლო მარკოზი, როგორც ვიცით, წმ. პეტრეს გადმოცემით წერდა მახარებას. როგორც ჩანს, იუდეის მოღვაწეობის შესახებ საკმაოდ ინფორმაციას არც წმ. ლუკა ფლობდა თვითმხილველთაგან, ამიტომ წმ. იოანემ საჭიროდ ჩათვალა შეეცხო გამოტოვებული მოვლენები, მითუმეტეს, რომ თავად იყო თვითმხილველი. მითითებული არ არის, რომ იუდეაში უფალი ერთსა და იმავე ადგილზე ცხოვრობდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მან ეს წმინდა მიწა ქადაგებით მოიარა. „თუმცა ნათლავდა“ (4:2) – როგორც ამბობს მახარებელი, „ნათლავდა არა თვითონ, არამედ მისი მოწაფენი“. ეს ნათლობა არაფრით არ განსხვავდებოდა იოანეს ნათლობისგან. ის იყო წყლითა და არა მადლით ნათლობა, რადგან მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მიღებული სულიწმინდის მადლი. „რადგან ჯერ არ იყო სული, რაკი ჯერ განდიდებული არ იყო“. (7:39). მამის, ძის და სულიწმინდის სახელით „ქრისტიანული მადლმოსილი ნათლობის უფლება მოწაფეებმა უფლისგან მხოლოდ მისი მკვდრეთით აღდგომის შემდეგ მიიღეს“ (მთ.28:19).

ამ პერიოდში იოანე ნათლისმცემელი განაგრძობდა ხალხის მონათვლას სალიმის მახლობლად, ენონში. ძნელი სათქმელია, მაგრამ როგორც ჩანს, ეს მიდამოები არ ეკუთვნოდა იორდანეს, რადგან მაშინ რაღაც საჭირო იქნებოდა დამატებით განმარტება: „ვინაიდან ბევრი წყალი იყო იქ“. წმ. იოანეს მოწაფეებმა შენიშნეს, რომ მათ მასწავლებელთან უწინდელზე ნაკლები მსმენელი მოდის და ბრმა ერთგულების გამო, შურით აღივსენ იმის მიმართ,

ვისაც ხალხში დიდი წარმატება და ავტორიტეტი ჰქონდა, ანუ უფალ იესო ქრისტესადმი. ცხადია, ამ არაკეთილმოსურნე გრძნობებს მათში ფარისევლებიც აღვივებდნენ. მათ წამოაყენეს საკამათოდ საკითხი განწმენდის შესახებ, რამაც მათ იოანესა და იესოს მიერ ჩატარებული ნათლობების ირგვლივ პაექრობისკენ უბიძგა. ეჭვების გასაზიარებლად ისინი მიდიან იოანესთან და ეუბნებიან: „რაბი, ის, ვინც შენთან იყო იორდანეს გაღმა და რომლის შესახებაც შენ მოწმობდი, აჰა, ის ნათლავს და ყველანი მასთან მიდიან“. („ყველანი“ აქ გადაჭარბებითაა ნათქვამი, რაც შურიტაა ნაკარნახევი).

რა თქმა უნდა, ქრისტესადმი ყოველგვარი უარყოფითი გრძნობებისაგან თავისუფალი ნათლისმცემელი, თავის პასუხში უხსნის მათ თუ რამდენადაა მასზე აღმატებული ქრისტე და იძლევა ახალ, უკანასკნელ საზეიმო მოწმობას ქრისტეს ღვთიური ღირსების შესახებ. იოანე იცავს ქრისტესმიერი ნათლობის უფლებას, როცა ამბობს, რომ ადამიანს არაფრის მიღება არ შეუძლია, თუ ციდან არა აქვს მიღებული. ამიტომ თუ იესო ნათლავს მათ, ამის უფლება ღვთისგან აქვს მიღებული. იოანე შეახსენებს, რომ ის არ არის ქრისტე, არამედ მისი წინამორბედი. გულდაწყვეტისა და შურის ნაცვლად იოანე გამოხატავს სიხარულს უფლის საქმეთა წარმატების გამო და ქრისტეს „ნეფეს“, ხოლო თავის თავს „ნეფის მეგობარს“ უწოდებს. იოანე დგას ქრისტესთან, როგორც მსახური მისი და „სიხარულით ხარობს ნეფის ხმაზე“.

ძვ. აღთქმაში ღმერთის კავშირი მორწმუნეებთან და ახ. აღთქმაში ქრისტეს კავშირი ეკლესიასთან ხშირად წარმოგვიდგება ქორწინების სახით (ესაია 54:5-6; ეს. 62:5; ეფეს. 5:23-27). ქრისტე ეკლესიის ნეფეა, ხოლო იოანე მისი მეგობარია, ნდობით აღჭურვილი პირი, რომელსაც ნეფის წარმატებები ახარებს. ნეფის მეგობრის ინსტიტუტს ებრაელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქორწილის წინა პერიოდში, ხოლო მას შემდეგ, რაც ნეფე ქმრად იქცეოდა, ნეფის მეგობრის როლი მთავრდებოდა. ასევე იყო იოანეც. იგი არის ქრისტეს მოსასვლელად ხალხის შემამზადებელი პირი, ხოლო როცა იესომ ხელი მოჰკიდა სახ. მსახურებას, იოანეს როლი დასრულდა. ამიტომაც ამბობს იოანე: „ის უნდა გაიზარდოს, მე კი უნდა დავპატარავდე, როგორც ცისკრის ვარსკვლავი, რომელიც მზის ამოსვლასთან ერთად მკრთალდება“.

ქრისტეს აღმატებულობაზე იოანე ამბობს, რომ უფალი არის „მაღლიდან მომავალი და ამიტომაც ყველაზე მაღალი“. ე.ი. აღემატება არა მარტო უბრალო ადამიანებს, არამედ ღვთის წარმოგზავნილებსაც კი და იოანესაც; თავისი მიწიერი წარმოშობის გამო, ღვთიურ ჭეშმარიტებას მხოლოდ იმდენად მოწმობდა, რამდენადაც ეს შეუძლია მიწიერს. ზეციდან მოსული ქრისტე კი მიწიერსა და ზეციურზე ისე მოწმობს, როგორც უშუალოდ ნანახსა და მოსმენილზე და მიწიერთაგან არავის, ღვთიური მადლის გარეშე არ შეუძლია მისი მოწმობის მიღება (მთ. 10:17; იოან. 6:44).

იოანე წყენით შენიშნავს თავის მოწაფეებში არაკეთილმოსურნეობას და აქებს ქრისტეს მოწმობის მიმღებთ, რამეთუ ქრისტე ადამიანებს ცოცხალი ღვთის სიტყვებს აუწყებს და ვინც ჭეშმარიტად სცნობს მის სიტყვებს, ის ჭეშმარიტად სცნობს მამა ღმერთის სიტყვებსაც.

მამა ღმერთმა იესოს სულიწმინდისგან უბოძა ზომაზე მეტი, რადგან მას უყვარს თავისი ძე და ყველაფერი მას გადასცა, ამიტომ „ვისაც სწამს, მისი ძის – იესო ქრისტესი, აქვს საუკუნო ცხოვრება, ხოლო ვისაც არ სწამს მისი, ვერ იხილავს ცათა სასუფეველს, არამედ ღვთის რისხვა დარჩა მასზე“. ამრიგად,

თავისი მსახურების დასასრულს, იოანემ უკანასკნელად დაამოწმა ქრისტეს ღვთიურობა და ყველას შთააგონებდა, გაჰყოლოდნენ მას. ეს სიტყვები უნდა განიხილებოდეს, როგორც წინასწარმეტყველთაგან უდიდესი ანდერძი.

4. წმ. იოანეს საპყრობილეში ჩამწვედვა (მთ. 14:3-5; მარკ.6:17-20; ლკ.3:19-20)

ბოლო მოწმობის შემდეგ, იოანე მალევე იქნა შეპყრობილი და ციხეში დამწყვდეული. მას ბრალად სდებდნენ იმას, რომ ამხილა მეფე ჰეროდე ანტიპას, მისი ძმის – ფილიპეს ცოლთან – ჰეროდიასთან უკანონო ცხოვრების გამო. ამ მოვლენების შესახებ მოგვითხრობს პირველი სამი მახარებელი: მათე, მარკოზი და ლუკა.

ჰეროდე ანტიპა, ბეთლემელი ყრმების გამჟღავნებელი ჰეროდე დიდის შვილი იყო. ის მართავდა გალილეასა და ჰერეას. ცოლად ჰყავდა არაბეთის მეფის – არეტის ასული, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან სასიყვარულო კავშირი გააბა ჰეროდიასთან, რომელიც უკმაყოფილო იყო ქმართან ცხოვრებით და ურცხვად და დაუფარავად გადავიდა სასახლეში საცხოვრებლად. ჰეროდემ სასახლიდან განდევნა ჰეროდეს კანონიერი ცოლი, რის გამოც შეურაცყოფილმა მამამისმა, არეტმა წამოიწყო ომი ჰეროდეს წინააღმდეგ. ჰეროდე უნდა მისულიყო ჯარების მთავარსარდლობის ჩასაბარებლად მკვდარი ზღვიდან აღ. მდებარე ციხესიმაგრე მარექუში, სადაც მან გაიგო იოანესა და მისი მოძღვრების შესახებ. ჰეროდემ ჩათვალა, რომ იოანეს სახით დამხმარე გამოუჩნდა და მის მოსაყვანად ხალხი გაგზავნა, მაგრამ მხარდაჭერის ნაცვლად მან იოანესგან მწარე მხილება მოისმინა: „არ გეკუთვნისო შენი ძმის – ფილიპეს ცოლის ცოლად ყოლა“. ამ სიტყვებმა განარისხა ჰეროდია, რომელმაც მთელი თავისი გავლენა გამოიყენა იოანეს მოსაკლავად, მაგრამ ჰეროდეს ხალხის რიდი ჰქონდა და ვერ ბედავდა იოანეს მოკვლას, თუმცა ციხესიმაგრეში გამოაწყვდია იგი. მახარებელი მარკოზის გადმოცემით, ჰეროდე იოანეს, როგორც მართალ და წმინდა კაცს, პატივსაც კი სცემდა და ბევრ რამეს მისი რჩევისამებრ აკეთებდა. ეტყობა, როგორც სუსტი ნებისყოფის ადამიანი, თავის სინდისთან ხშირად აწარმოებდა გარიგებებს, რადგან იმედოვნებდა, იოანესგან ნაკარნახევი ზოგიერთი კეთილი საქმით თავის მთავარ ცოდვას გამოისყიდდა. სწორედ ამ ცოდვაზე ჰქონდა განსაკ. იერიში იოანეს. ჰეროდე სიამოვნებით უსმენდა იოანეს, მაგრამ ცოდვის ქმნას თავს არ ანებებდა და ბოლოსდაბოლოს, ბოროტი ჰეროდიას საამებლად, დაატუსაღა კიდევ.

5. უფლის წასვლა გალილეაში და მისი საუბარი სამარიელ ქალთან (მთ.4:12; მარკ. 1:14; ლუკ.4:14; იოან.4:1-2)

ოთხივე მახარებელი ჰყვება უფლის გალილეაში წასვლის შესახებ. წმ. მათე და მარკოზი აღნიშნავენ, რომ ეს მოხდა მას შემდეგ, რაც წმ. იოანე საპყრობილეში ჩასვეს, ხოლო იოანე მახარებელი დასძენს, რომ ამის მიზეზად იქცა დარხეული ხმები, რომ იესო უფრო მეტ მოწაფეებს იძენს და ნათლავს, ვიდრე იოანე ნათლისმცემელი, თუმცა, როგორც მახარებელი განმარტავს, ნათლავდა არა იესო, არამედ მისი მოწაფეები. იოანეს დატუსაღების შემდეგ იუდეველთა მთელი მტრობა იესოს ეკვეთა. მათ იგი იოანეზე საშიშად ეჩვენებოდათ; რადგანაც ჯერ მისი წამების დრო არ მოსულიყო, იესო თავისი

მტრებისგან თავის ასარიდებლად ტოვებს იუდეას და გალილეაში მიდის. გალილეაში მიმავალი უფლის სამარიელ ქალთან შეხვედრასა და საუბარზე მხოლოდ იოანე მახარებელი მოგვითხრობს.

უფალს გზად უნდა გაეგლო სამარია-იუდეიდან ჩრდ. მდებარე ოლქი, რომელიც ადრე დანის, ეფრემისა და მანასეს ტომებს ეკუთვნოდათ. აქ მდებარეობს ქალაქი სამარია, ისრაელის ყოფილი დედაქალაქი. ასირიის მეფე სალმანასარმა დაიპყრო ეს სამეფო, ებრაელები დაატყვევა და მათ ადგილზე ბაბილონელები და სხვა წარმართები დაასახლა. ამ გადმოსახლებული ხალხის ებრაელებთან შერევით წარმოიქმნენ სამარიელები. მათ მიიღეს მოსეს ხუთწიგნეული, სცნეს იეჰოვა, მაგრამ თავს არ ანებებდნენ თავიანთი ღმერთების მსახურებასაც.

როცა ებრაელები ტყვეობიდან დარბუნდნენ და იერუსალიმის ტაძრის აღდგენა დაიწყეს, სამარიელებსაც უნდოდათ მასში მონაწილეობის მიღება, მაგრამ იუდეველებმა ნება არ დართეს, ამიტომ სამარიელებმა თავისთვის ცალკე ააგეს ტაძარი ჰარიზიმის მთაზე. მათ სცნეს მოსეს კანონები, მაგრამ უარყვეს წინასწარმეტყველთა წერილები და გადმოცემები, ამიტომაც იუდეველები მათ წარმართებზე უარესად მიიჩნევდნენ, გაუბოდნენ მათთან ყოველგვარ ურთიერთობას და ეზიზღებოდათ ისინი.

გზად მიმავალი უფალი სამარიაში ჭასთან შეჩერდა. გადმოცემის თანახმად ეს ჭა იაკობის მიერ იყო ამოთხრილი და ქალაქ სიქემის მახლობლად მდებარეობდა. მახარებელი ამ ქალაქ, „სიქას“ უწოდებს და შესაძლოა ხმარებაში შემოსული ეს დამცინავი სახელწოდება სიტყვა „მიკარიდან“ მოდიოდეს და „ღვინით მარჩენალს“ ნიშნავდეს, ან კიდევ „შეკერ“, რაც „სიცრუეს“ ნიშნავს. მახარებელი გვაუწყებს, რომ იესო ჭასთან შეჩერდა ექვს საათზე, ჩვენი დროით შუადღის მზის გულზე, რამაც დასვენებისა და დარწმუნების სურვილი აღძრა მასში. „სამარიიდან მოვიდა დედაკაცი“ წყლის ამოსაღებად. იესომ ქალს სთხოვა: „წყალი დამალევინე“. სამარიელმა ქალმა ჩაცმულობით თუ საუბრით იცნო, რომ მთხოვნელი იუდეველი იყო და გარკვეულმა, უწოდა რა იუდეველების სიძულვილი მათ მიმართ, უთხრა, თუ როგორ სთხოვს იგი, იუდეველი მას წყალს. უფალი, რომელიც წუთისოფელში არა მხოლოდ იუდეველთათვის, არამედ სრულიად კაცობრიობისათვის მოვიდა, უხსნის სამარიელ ქალს, რომ ის არ დასვამდა ასეთ შეკითხვას რომ სცოდნოდა ვის ელაპარაკებოდა და რაოდენი ბედნიერება შეამთხვია მას ღმერთმა უფალთან შეხვედრით. ქალმა რომ იცოდეს ვინ ეუბნება წყალი დამალევინე, თავადვე მოითხოვდა მისგან წყლით დარწმუნებას, ანუ ჭეშმარიტების გახსნას, რომელსაც ყველა ადამიანი ელტვის და იესოც მისცემდა მას ამ „ცოცხალ წყალს“, რაშიაც სულიწმინდის მადლი უნდა ვიგულისხმოდ (იონ. 7:38-39).

სამარიელმა ქალმა უფლის ნათქვამი „ცოცხალი წყალი“ წყაროს წყლად მიიჩნია, რომელიც ამ ჭის ძირში იყო, ამიტომაც ეკითხება იესოს, თუ საიდან აქვს მას ცოცხალი წყალი, თუ ჭურჭელიც კი არ გააჩნია, რომ ამ ღრმა ჭიდან წყალი აავსოს: „ნუთუ შენ მეტი ხარ ჩვენს მამა იოკობზე, რომელმაც ეს ჭა გვიბოძა და თვითონაც აქედან სვამდა და მისი ძენიც და მისი საქონელიც?“ – სიამაყითა და სიყვარულით იხსენებს იგი პატრიარქ იაკობს, რომელმაც შთამომავლებს ეს ჭა დაუტოვა. მაშინ უფალი სამარიელ ქალს თავისი საუბრის გააზრების უმაღლეს საფეხურზე აიყვანს: ყველას, ამ წყლის მსმელს მოსწყურდება, ხოლო ვინც დაღვეს წყლიდან, რომელსაც მე მივცემ მას,

საუკუნოდ არ მოსწყურდება, რადგან წყალი, რომელსაც მე მივცემ, მასში გადაიქცევა წყლის წყაროდ, რომელიც საუკუნო სიცოცხლეს იძენს”.

სულიერ ცხოვრებაში მადლმოსილ წყალს სხვა მოქმედება გააჩნია, ვიდრე სხეულებრივ ცხოვრებაში შეგრძნობად წყალს. ვინც სულიწმინდის მადლით დარწყულდება, აღარასოდეს იგრძნობს სულიერ წყურვილს, რამეთუ ყველას სულიერი მოთხოვნილება სრულად დაუკმაყოფილებელია, ამისგან განსხვავებით, გრძნობიერი წყლის მსმელს კვლავ და კვლავ მოსწყურდება და სულ მუდამ მოუწევს წყლის სმის განმეორება.

გარდა ამისა, როცა ადამიანს „მადლმოსილი წყალი” მიეცემა, იგი მასში წყაროდ გადაიქცევა და იძენს (ბერძნულად პირდ. თარგმ. „ისტუნებს”) საუკუნო სიცოცხლედ, ანუ ადამიანს საუკუნო სიცოცხლეს აზიარებს.

სამარიელი ქალი უფლის სიტყვებს კვლავ პირდაპირი მნიშვნელობით გებულობს და ასკვნის, რომ წყალი კია ჩვეულებრივი, მაგრამ მაინც განსაკუთრებულია და მის დამლევს აღარ მოსწყურდებაო, ამიტომ უფალს სთხოვს მისცეს მას ეს წყალი, რომ აღარასოდეს დასჭირდეს მას წყლის ამოსაღებად მოსვლა.

უფალს სურდა სამარიელი ქალისთვის გაეგებინებინა, თუ ვის ელაპარაკებოდა და პირველად უბრძანა თავისი ქმრის მოყვანა, შემდეგ კი ამხილა, რომ მას ხუთი ქმარი ჰყავდა და ახლაც მრუშობაში ცხოვრობს. ქალმა იგრძნო, რომ მასთან მოსაუბრე წინასწარმეტყველია, იცის დაფარული, მაშინ იგი მას მიმართავს სამარიელებისთვის მნიშვნელოვანი კითხვით, კერძოდ სამარიელებთან იუდეველების დამოკიდებულების შესახებ: ღვთისმსახურების საკითხში სიმართლე რომელი მხარისკენაა, სამარიელებისკენ, რომლებიც თავიანთ ტაძარში მსახურებენ ღმერთს, თუ იუდეველებისკენ, რომლებიც იერუსალიმის ტაძარში მსახურებენ (მეორ. 11:29) → მოსეს მოთხოვნის თანახმად აირჩიეს სამარიელებმა ჰარიზმის მთა, თუმცა მათი აგებული ტაძარი ქრ.შ.მდე 130წ. იოან გიკანის მიერ იქნა დანგრეული. ისინი კვლავ აგრძნელებდნენ მსხვერპლშეწირვას ამ მთაზე.

ამ სადავო საკითხზე უფალი პასუხობს, რომ შეცდომაა იმაზე ფიქრი, რომ ღმერთს რომელიმე ამორჩეულ ადგილზე უნდა სცე თაყვანი. დავა იუდეველებსა და სამარიელებს შორის ახლო მომავალში თავისთავად გადაწყდება, რაც ახლა კიდევ, როცა ომებით გაწამებული სამარიელები გადარწმუნდნენ თავიანთი მთის მნიშვნელობაში, იერუსალიმის ტაძარი კი ქრ.შ-დან 70წ. რომაელებმა დაანგრიეს. მიუხედავად ამისა, უფალი უპირატესობას ანიჭებს იუდეველური წესით ღვთისმსახურებას, და ცხადია, მხედველობაში აქვს მოსეს ხუთწიგნეული, რომელიც მიიღეს სამარიელებმა და წინასწარმეტყველთა წერილები, რომელიც უკუაგდეს და რომელშიც თანმიმდევრობითაა გადმოცემული სწავლება მესიის პიროვნებისა და მეფობის შესახებ. „ხსნაც იუდეველთაგანაა”, რადგან კაცობრიობის გამომსყიდველი იუდეველი ხალხის წიაღიდან წარმოიშვა. შემდეგ უფალი განავრცობს უკვე გამოთქმულ თავის აზრს და მიუთითებს, რომ დადგება (და უკვე დადგა, რადგან მესია მოვლენილია) დრო ახალი, უმაღლესი ღვთისმსახურებისა, რომელიც შემოფარგლული არ იქნება რომელიმე ერთი ადგილით, არამედ შესრულდება ყველგან, რამეთუ სულითა და ჭეშმარიტებით იქნება”. სწორედ ასეთი მსახურება მოსწონს ღმერთს, რადგან ღვთის ბუნებას შეესაბამება, რადგან ღმერთი არის სული. ასეთი სახის მსახურება ნიშნავს არა მხოლოდ გარეგნულ

თაყვანისცემას მსხვერპლშეწირვის გზით, როგორც ამას იუდეველები და სამარიელები აკეთებდნენ, რომლებიც ღვთისმსახურების არსს ამაში ხედავდნენ, არამედ ღვთისადმი, როგორც სულისადმი ჭეშმარიტ და გულწრფელ სწრაფვას, სულიერი არსების მთელი ძალით შეყვარება ღვთისა, თვალთქცობისა და მოჩვენებითობის გარეშე. უფლის თაყვანისცემა „სულითა და ჭეშმარიტებით“ არ გამორიცხავს მის გარეგნულ, წეს-ჩვეულებრივ მხარეს, რის გამტკიცებასაც ცდილობს ზოგიერთი ცრუ მასწავლებელი და სექტანტი, რომლებიც უპირატესობას სწორედ ღვთისმსახურების გარეგნულ მხარეს ანიჭებენ. გარეგნულ, საწესო მხარეში არაფერია დასაძრახი, ის აუცილებელიც და გარდაუვალია, რადგან ადამიანი შედგება არა მხოლოდ სულის, არამედ სხეულისგანაც. თვით იესო ქრისტე მამა ღმერთს თაყვანს სცემდა მუხლმოდრეკითა და მიწაზე პირქვე დამხობით და არც სხვისაგან მის მიმართ ამგვარ თაყვანისცემას თავისი მიწიერი ცხოვრების დროს. (მთ. 2:11; 14:33; 15:22; იოან. 11:21; 12:3)

სამარიელი ქალი თითქოს თანდათან ხვდება იესოს სიტყვების მნიშვნელობას და ჩაფიქრებული ამბობს: „ვიცი, რომ მოდის მესია, რომელსაც ჰქვია ქრისტე, ის რომ მოვა, ყველაფერს გაგვიცხადებს“. სამარიელებიც ელოდნენ მესიას, ისინი მას მოსეს სუთწიგნეულზე (ცხოვ. 49:10, რიცხ. 24) და განსაკუთრებით მის სიტყვებზე (მეორ. 18:18) დაყრდნობით ჰაშაპებს უწოდებდნენ. სამარიელთა წარმოდგენები მესიის შესახებ არ იყო ისე შერყენილი, როგორც იუდეველებისა, სამარიელები მესიის სახით წინასწარმეტყველს ელოდნენ, ხოლო იუდეველები – პოლიტიკურ წინამძღოლს. ამიტომ, თუ იესო იუდეველებთან თავისი თავის მესიად მოხსენიებას თავს არიდებდა, ამ სამარიელ გულუბრყვილო ქალს პირდაპირ ეუბნება, რომ ისაა სწორედ მოსესგან შეპირებული მესია–ქრისტე. „ეს მე ვარ, რომელიც გელაპარაკება შენ“. მესიის ნახვით აღრფოვანებულმა ქალმა დატოვა თავისი ჭურჭელი, ქალაქისკენ გაიქცა და ყველას უამბო მესიის მოსვლა, რომელმაც გულთამხილავად უთხრა ყოველივე „რაც კი რამ ჩაუდენია“. ამ დროს, ქალაქიდან მოსულ მოწაფეებს გაუკვირდათ, რომ მათი მოძღვარი ქალს ესაუბრებოდა, რადგან რაბინთა წესით, მათ ქალთან დიდხანს საუბრის უფლება არ ჰქონდათ: „გზად არავინ არ უნდა დაელაპარაკოს ქალს, თუნდაც თავის კანონიერ ცოლს; უმჯობესია დაიწვას კანონის სიტყვები, ვიდრე შეასწავლო იგი ქალს“.

მაგრამ მოსწავლეებს უფლის დიდი რიდი ჰქონდათ და შეკითხვითაც არ გამოუხატავთ თავიანთი გაკვირვება; უბრალოდ შესთავაზვეც მას საჭმელი, რომელიც ქალაქიდან მოიტანეს.

მაგრამ ბუნებრივი შიმშილი იხშობა უფალში სამარიის მცხოვრებთა მისდამი მიმართვისა და მათი ხსნისათვის ზრუნვის სიხარულში. მას უხარია, რომ მის მიერ ჩაგდებულმა თესლმა უკვე ნაყოფის გამოღება დაიწყო და ამიტომ მოსწავლეების მიერ საჭმლის შეთავაზებისას პასუხობს მათ, რომ მისთვის ჭეშმარიტი საკვები არის მამა ღვთისგან დავალებული ადამიანთა ხსნის საჭმის აღსრულება. მისკენ მომავალი სამარიელები, სამკალად მომზადებული ყანაა, რომელიც მომწიფდა, მაშინ, როცა იუდეაში პურის მკის დრო ოთხ თვეში დადგებოდა.

თესვის შემდეგ ჩვეულებრივ, ასე ხდება, სათესს მთესველი მოიმკის, ხოლო სიტყვის თესვისას სულიერი სამკალი უფრო ხშირად სხვებს რჩებათ; ამასთან მთესველი მაინც მომკალთან ერთად ხარობს, რამეთუ სთესა მან არა

თავისთვის, არამედ სხვებისთვის. ქრისტე ამბობს, რომ ის მოციქულებს უშვებს სულიერი ყანის სამკელად, რომელიც თავიდან დამუშავდა და დაითესა არა მათგან, არამედ ძვ. აღთქმისეული წინასწარმეტყველთა და თვით მის მიერ.

ამ საუბრის დროს უფალთან სამარიელები მივიდნენ. ბევრმა ირწმუნა უფლისა და იმ ქალის სიტყვა და უფრო მეტმა მისი სიტყვებით, როცა მათი მიწვევით უფალმა მათ ქალაქში ორი დღე დაჰყო. როგორც თვითონ აღიარეს სამარიელებმა, უფლის სიტყვების მოსმენით ისინი დარწმუნდნენ, რომ ჭეშმარიტად ის არის წუთისოფლის მხსნელი ქრისტე.

6. მაცხოვრის გალილეაში ჩასვლა და ქადაგების დაწყება (მათ.4:13-17; მარკ.1:15; ლუკ.4:14-15; იოან. 4:43-45)

იესო ქრისტეს გალილეაში ჩასვლისა და იქ ქადაგების შესახებ გვიამბობს ოთხივე მახარებელი. გალილეაში მოსვლამდე მან დატოვა ქალაქი ნაზარეთი, დამოწმებით, რომ წინასწარმეტყველს თავის სამშობლოში არა აქვს პატივი. უფალი დასახლდა ზღვისპირა ქალაქ კაპერნაუმში, რომელიც ზაბულონისა და ნეფალის ტომთა ტერიტორიაზე მდებარეობდა. წმინდა მათე ამ მოვლენაში ესაიას (9:1-2) უბველესი წინასწარმეტყველების აღსრულებას ხედავს. გალილეელებმა კარგად მიიღეს იგი, რადგან იესრუსალიმში დღესასწაულის გამო ისინიც იყვნენ და დაინახეს ყველაფერი, რაც იესომ მოიმოქმედა. მაღე მის შესახებ ხმა მთელს ქვეყანაში დაირხა და ისიც ასწავლიდა ყველგან და ყველას. თავის ქადაგებას მაცხოვარი იწყებდა სიტყვებით: „მოინანიეთ, ვინაიდან ახლოა ცათა სასუფეველი”.

აღსანიშნავია, რომ ზემოდსხენებული სიტყვები იდენტურია იოანე ნათლისმცემლის იგივე სიტყვებისა. ახალი სასუფეველი და ახალი წესები, რომელთა დასამკვიდრებლადაც მოვიდა უფალი კაცთა შორის, იმდენად განსხვავდება ადრინდელი ცოდვიანი ცხოვრების კანონებისაგან, რომ აღამიანებს მართლაც ესაჭიროებათ მონანიების გზით თავიდან შობა, ანუ სრულად შეცვლა შინაგანად. მონანიება არის კიდევ აზრების, სურვილებისა და გრძნობების სრული ცვლილება.

მას შემდეგ, რაც უფალი იუდეიდან გალილეაში დაბრუნდა, გალილეა მისი ქმედებისთვის ჩვეულ ადგილად იქცა. ეს იყო არც თუ ისე დიდი, მაგრამ ხალხმრავალი ქვეყანა, რომელშიც იუდეეელებთან ერთად მოსახლეობდნენ ფინიკიელები, არაბებიცა და ეგვიპტელებიც კი. ამ ქვეყნის ნაყოფიერება ოდითგანვე იზიდავდა გადმოსახლებულთ, რომლებიც შეერწყნენ ადგილობრივ მოსახლეობას და ერთ ხალხად ჩამოყალიბდნენ. გაბატონებული ადმსარებლობა იუდეველობა იყო, თუმცა მრავლად იყვნენ წარმართებიც, რის გამოც მას „წარმართთა გალილეას” ეძახდნენ. ერთი მხრივ, ეს იყო გალილეველთა რელიგიური უმეცრების მიზეზი, მეორე მხრივ, ისინი თავისუფალნი იყვნენ იუდეველთა რელიგიური ცრურწმენისგან, კერძოდ, მესიასთან დაკავშირებით. მაცხოვრის ყველა მოწაფე გალილეიდან იყო და მის სხვა მიმდევრებსაც უადვილდებოდათ მისი თანხლება ამ ნაყოფიერ ქვეყანაში. ამ მოსაზრებით შეიძლება აიხსნას ის, რომ უფალმა სწორედ გალილეა აირჩია თავისი მსახურებისთვის უპირატეს ადგილად. ჩვენ ვხედავთ, რომ სინამდვილეში გალილეელებმა უფრო მეტად აღიქვეს იესოს ქადაგება, ვინემ სიამაყით აღვსილმა იუდეველებმა.

7. დიდებულის შვილის განკურნება კანაში

(იოან. 4:46-54)

კაპერნაუმში მიმავალმა უფალმა გზად კანაში შეიარა, სადაც წყლის ღვინოდ გადაქცევის სასწაული მოახდინა. როცა ამის შესახებ ჰეროდეს ეოფილმა დიდებულმა გაიგო, რომელსაც შვილი ძლიერ ავად ჰყავდა, სთხოვა იესოს, მისი სიკვდილის პირს მყოფი შვილი განეკურნა. იესომ უთხრა: „არ ირწმუნებთ, თუკი ნიშნებსა და სასწაულებს არ იხილავთ“. სასწაულთა ჭვრეტაზე დაფუძნებულ რწმენას უფალი აყენებს ბევრად უფრო დაბლა, ვინემ თავისი ღვთიური სწავლების სიწმინდისა და სიმაღლის გაგებაზე დაფუძნებულ რწმენას. სასწაულებზე წარმოქმნილი რწმენა თავისი განმტკიცებისათვის სულ ახალ და ახალ სასწაულებს მოითხოვს, რადგაც ადრინდელი სასწაულები ჩვეულებრივად იქცევიან და აღარ აკვირვებენ ადამიანს. ამასთან ასეთი რწმენით აღვსილი ადამიანი შეიძლება ადვილად ცდუნდეს, რადგან სასწაული ცრუ და სატანურიც არსებობს. ამიტომაც გვაფრთხილებს უფალი: „სიფრთხილით მოეკიდეთ სასწაულებს“ (მეორ. 13:1-15) გალილეელთა ამ საკითხში განსხვავებულობის შესახებ უფალი ერთგვარი მწუხარებით ლაპარაკობს.

უფლის ზემოხსენებულ სიტყვებს, დიდებული ერთგვარი დაჟინებით პასუხობს, რომელიც მისი რწმენის გაძლიერებაზე მეტყვევებს. უფალი იესო ქრისტე კი არ მიჰყვება დიდებულს სახლში, არამედ ნახვის გარეშე მთარჩენს ბავშვს მძიმე სენისგან, დიდებულს კი ეტყვის: „წადი, ცოცხალია შენი შვილი“. სწორედ ამ დროს დიდებულის შვილს ციებ-ცხელებამ გაუარა, ხოლო ასეთი სწრაფი გამოჯანმრთელებით გააკვირვებულმა მსახურებმა ბატონთან მისვლა იჩქარეს. უფლის ნათქვამის ჭეშმარიტება ირწმუნა დიდებულმა, თუმცა ფიქრობდა, რომ გამოჯანმრთელება თანდათანობით მოხდებოდა. მან ჰკითხა მოსულ მსახურებს, თუ რომელ საათზე მოხდა გამოჯანმრთელება და დაასკვნა, რომ ეს სწორედ ის დრო იყო, როცა უფალმა ბრძანა: „ქე შენი ჯანმრთელია“ და „ირწმუნდა მან და მთელმა მისმა სახლობამ“. შესაძლოა ეს დიდებული გახდდათ ქუზა, რომლის ცოლი იოანა შემდგომში გაჰყვა უფალს და ემსახურებოდა მას.

ეს იყო გალილეაში უფლის მეორე სასწაული.

8. სამოციქულო მსახურებისთვის მეთევზე პეტრეს, ანდრიასა

და იოანეს მოწოდება (მთ.4:18-22; მარკ.1:16-20; ლუკ. 5:1-11)

პირველი მოციქულების მოწოდების შესახებ მოგვითხრობს პირველი სამი მახარებელი: მათე, მარკოზი და ლუკა. ამთგან პირველი ორი ფაქტებს მოკლედ და კონკრეტულად გადმოქცემს, წმ. ლუკა კი ვრცლად აღწერს სასწაულებრივ თევზჭერას, რომელიც წინ უძღოდა ამ მოწოდებას. როგორც თვით წმინდა მახარებელი იოანე მოგვითხრობს, უფალს ჯერ კიდევ იორდანეზე გაჰყვნენ მის მიერ არჩეული მოწაფეები ანდრია და იოანე, შემდეგ მივიდნენ უფალთან სიმონი, ფილიპე და ნათანაელი, მაგრამ როცა იესოსთან ერთად

გალილეაში დაბრუნდნენ, ნელ-ნელა ყველა თავის ძველ საქმიანობას – თევზჭერას დაუბრუნდა.

ამიერიდან კი, უფალი მათ მუდმივი თანხლებისაკენ მოუწოდებს, უბრძანებს მიატოვონ თევზჭერა და თავი სხვაგვარ შრომას მიუძღვნან, კერძოდ, ხალხის დაჭერას ცათა სასუფეველისათვის.

მესიის შესახებ ხმა სწრაფად გავრცელდა მთელს გალილეაში და მისი სწავლების მოსასმენად უამრავი ხალხი იყრიდა თავს, მის ირგვლივ ეყოველთვის ზღვა ხალხი ირეოდა. ერთხელაც, როცა გენისარეთის ტბასთან (ამ ტბას ზღვასაც უწოდებენ), უფალს ნავში ჩაჯდომა მოუნდა, რათა ტბაში შეეცურა და იქიდან ექადაგა მრავალრიცხოვანი ხალხისთვის. როცა სწავლება დამთავრდა, უფალმა სიმონს, ვისაც ნავი იკუთვნოდა, უბრძანა ღმრად შეეცურა და ბადე ესროლა. გამოცდილი მეთევზე, წარუმატებელი შრომითი დღის გამო დარწმუნებული იყო, რომ ვერც ეს გადასროლა მოუტანდა შედეგს, მაგრამ დამორჩილდა უფალს და შედეგად იმდენი თევზი ამოჰყვა, რომ ბადე წყდებოდა სიმძიმისგან. პეტრემ და ანდრიამ მეზობელ ნავში მჯდომ იაკობსა და ანდრიას მოუხმეს საშველად. საბოლოოდ, თევზის სიმძიმით ორივე ნავი იძირებოდა. მოწიწებული შიშით მოცული პეტრე იესოს ფეხებთან დაეცა და უთხრა: „გამშორდი უფალო, ვინაიდან ცოდვილი კაცი ვარ“. ამ სიტყვებით მან თავისი უღირსების შეგნება გამოხატა უფლის სიდიადისა და ძლიერების წინაშე. უფალმა თავმდაბალი სიტყვით დაამშვიდა პეტრე და მომავალში მის მაღალ დანიშნულებაზე იწინასწარმეტყველა. მახარებლების მათესა და მარკოზის მოწმობით, უფალმა ძმებს – პეტრესა და ანდრიას, მოუწოდა სიტყვებით: „მომყევით მე და ადამიანთა მებაღურებად გაქცევით“. შემდეგ ასევე მოუწოდა ძმებს იაკობ და იოანე ზებედეს ძეებს.

პირველებმა ბადეები და ძველი საქმე, მეორეებმა კი მამა მიატოვეს და გაჰყვნენ უფალს.

9. ქრისტესმიერი ქადაგების ძალა და ეშმაკეულის განკურნება კაპერნაუმის სინაგოგაში (მარკ. 1:21-28; ლუკ. 4:31-37)

უფალი იესო ქრისტე ყველაზე ხშირად ქალაქ კაპერნაუმში იმყოფებოდა. ეს ქალაქი „მის ქალაქად“ იქცა იმდენად, რამდენადაც მისგან, როგორც ქალაქის სხვა მკვიდრთაგან, გადასახადსაც კი ითხოვდნენ. (მთ. 17:24; 9:1). კაპერნაუმი მდებარეობდა გალილეისა და იტურეის საზღვარზე. გამოირჩეოდა კარგი კლიმატური პირობებით, შედარებით კარგი ეკონომიკური მდგომარეობით და იყო ყველა პირობა იმისთვის, რომ იესოს მოსასმენად ხალხი მრავლად შეკრებილიყო.

კაპერნაუმში ყოფნისას, შაბათობით იესო სინაგოგებში ასწავლიდა. სინაგოგებში ხალხი სალოცავად იკრიბებოდა. მსხვერპლშეწირვა და ღვთისმსახურება მხოლოდ იერუსალიმის ტაძარში სრულდებოდა. ბაბილონის ტყვეობაში ყოფნის დროს ებრაელებმა ცხადად იგრძნეს სამლოცველო სახლების აუცილებლობა, რათა ერთობლივად ეკითხათ რჯულის წიგნები. სწორედ ასეთ სახლებად იქცნენ სინაგოგები. ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ ყველა ებრაული დასახლებასა და ებრაელთა გაფანტვის ადგილებში კი გაჩნდნენ სინაგოგები. ყველა სინაგოგაში იდგა კილობანი, რომელშიც სჯულის წიგნებს ინახავდნენ, იდგა კათედრა, რომელზეც სჯულის კანონისა და

წინასწარმეტყველების წიგნებს კითხულობდნენ და იყო დასაჯდომი ადგილი, საიდანაც ისმენდნენ ქადაგებას. წაკითხულის განმარტების უფლება ჰქონდა ყველას, ვინც ამის შემძლედ ჩათვლიდა თავს. კითხვისას იდგნენ ფეხზე, განმარტებისას კი შეეძლოთ დაჯდომა.

მწიგნობრებისა და ფარისევლების „მკვდარი“ სიტყვის მსმენელი გალილეელები განცვიფრებულები უსმენდნენ უფლის ცოცხალ სიტყვას. უწინდელნი სჯულის მონებივით საუბრობდნენ, იესო კი როგორც ხელმწიფების მქონდე. ისინი ვერ მიხვდომისა და ვერჩაწვდომის გამო ამახინჯებდნენ სჯულის კანონთა არსს და ამიტომ არადამაჯერებლად საუბრობდნენ, იესო კი ამბობდა იმას, რაც მამისაგან გაიგო და იხილა და ამიტომ დამაჯერებლად და მთელი ხელმწიფებით ლაპარაკობდა. იგი ძლიერ და ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა ხალხზე.

როცა უფალი კაპერნაუმის სინაგოგაში ასწავლიდა, იქ იყო არაწმინდა სულით შეპყრობილი კაცი, რომელიც უეცრად და ყველასათვის მოულოდნელად აყვირდა: „რა გინდა ჩვენგან იესო ნაზარეველო? ჩვენს დასაღუპად მოხვედნი, გიციობ ვინც ხარ, ღვთის წმინდავ“.

ძე ღვთისას თანდასწრებით ამოკენესილი ეს უნებლიე აღსარება ჭეშმარიტებისა იყო მდაბალი მონური შიშის ამონარიდი, რომელმაც თვალთმაქცურად განიზრახა თავიდან აეცილებინა მასზე დადებული მსჯავრი – ტყვეობაში მყოფის გოდება ბატონთან უეცარი შეხვედრისას, რადგან მის წარმოსახვას ცხადად წარმოუდგა ის ტანჯვა-წამება, რომელსაც ვერ ასცდებოდა. უფლის წინაშე ამგვარი აღიარებით, შესაძლოა, მტერს სურდა შეერყია ხალხის იესოსადმი რწმენა და ნდობა“. ჩვენ ვხედავთ, რომ უფალმა მტერს მართლაც აუკრძალა თავის შესახებ დამოწმება როცა თქვა: „გაჩუმდი და გადი მაგისგან“. არაწმინდა სულით შეპყრობილი დაეცა მწიაზე და როცა ადგა, სრულიად განკურნებული იყო, რამეთუ ბოროტი სული დაემორჩილა უფლის ბრძანებას და გავიდა კაცისგან. ორივე მახარებელი განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავს იმ დიდ გავლენასა და შთაბეჭდილებას ხალხზე, რომელიც ამ სასწაულმა მოახდინა.

10. პეტრეს სიდერისა და მრავალ სხვათა განკურნება (მთ. 8:14-17; მარკ. 1:29-34; ლუკ. 4:38-41)

მახარებლები მარკოზი და ლუკა, ამ სასწაულს უშუალოდ წინა სასწაულს უკავშირებდნენ. სანაგოგიდან გამოსული უფალი, როგორც ჩანს პურის საჭმელად სიმონ-პეტრეს სახლში შევიდა. იქ მას მძიმე ავადმყოფობით (როგორც ექიმი ამბობდა „დიდი სიცხით“ – განმარტავს წმ. ლუკა) შეპყრობილი პეტრეს სიდერი დახვდა. უფლის მხოლოდ ერთი სიტყვით ავადმყოფს ციებ-ცხელებამ გაურა და ისე მომჯობინდა, რომ „მყისვე წამოდგა და მოემსახურა მათ“.

სინაგოგასა და პეტრეს სახლში მომხდარმა კურნებებმა ისე შეძრა ხალხი, რომ სახლთან მზის ჩასვლამდე განუწყვეტლივ მოჰყავდათ ავადმყოფები და ეშმაკეულები. მალე მთელმა ქალაქმა იქ მოიყარა თავი. უფალი არჩენდა ყველა იქ მისულსა და ავადმყოფობით გაწამებულ ადამიანებს.

წმინდა მათე ამოწმებს სახარებაში, რომ იესო ის გამომხსნელია, რომელზედაც წინასწარმეტყველებდნენ, როგორც ავადმყოფთა მასიურ

განმკურნებელზე. ესაია წინასწარმეტყველი ამბობს: „მან აიღო ჩვენი უძღურებანი და იტვირთა ჩვენი სნეულებანი“. იტვირთო უძღურება, ნიშნავს უძღურება ახსნა ადამიანებს, გაანადგურო იგი; იტვირთო სნეულებანი ნიშნავს, შეამსუბუქო სხვისი სატკივარი, სხვისი სნეულებანი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უფალს არ სურდა მასზე ბოროტ სულებს დაემოწმებინათ. იგი უკრძალავდა ლაპარაკსა და იმის თქმას, რომ იგი არის ქრისტე – ძე ღვთისა“.

11. უფლის ქადაგება გალილეაში და მისის საქმეები (მთ. 4:23-25; მარკ. 1:35-39; ლუკ. 4:42-44)

ქრისტეს ადამიანური ბუნება ცხადია განიცდიდა დაღლილობას ამდენი საქმეების გამო. ამ მხრივაც, შეიძლება ითქვას, რომ მან ატარა ჩვენი უძღურებანი და ავადმყოფობანი. და აი, მეორე დღეს, დილაადრიან, დახარჯული ძალების აღსადგენად და სალოცავად, უფალი ადამიანებს გაშორდა და მიაშურა განმარტოვებულ ადგილს. სიმონის სახლთან მოდარაჯე ხალხმა, როცა უფლის წასლვა შენიშნა, დაუწყო მოძებნა. სიმონი, ანდრია, იაკობი და იოანეც წავიდნენ მოძღვრის მოსაძებნად. როცა უფალი იპოვეს, მას ქალაქში დაბრუნება სთხოვეს მოზღვავებული და მომლოდინე ხალხის გამო, მაგრამ მან უპასუხა, რომ იგი სხვა ქალაქებშიც აპირებს საქადაგებლად წასვლას, რადგან მისი პირდაპირი მოვალეობა, ღვთის სასუფეველის შესახებ ხარება იყო.

კაპერნაუმიდან გამოსულმა იესომ მთელი გალილეა მოიარა ქადაგებათა სასწაულების მოხდენით. მის შესახებ ხმა გავრცელდა გალილეიდან ძალიან შორს – სირიაში. მასთან მოჰყავდათ ავადმყოფები ათქალაქიდან, იუდეიდან, იერუსალიმიდან და იორდანეს გაღმვიდან. იგი კურნავდა მათ და ქადაგებდა. მრავალი ხალხი მისდევდა მას და ისმენდა მის სწავლებას.

12. იესო ქრისტეს ქადაგება ნაზარეთის სინაგოგაში

(ლუკ. 4:16-30)

წმ. ლუკას ეს მოვლენა უფლის ქადაგების დასაწყისშივე აქვს აღნიშნული, მაგრამ მას წინ უძღვის შენიშვნა, რომ „მისი ამბავი მოედო მთელს არემარეს, ასწავლიდა მათ სინაგოგებში და განდიდებული იყო ყველას მიერ“.

თუ მხედველობაში მივიღებთ ზემოთქმულსა და ასევე იმას, რაც მონათხოვიდან ჩანს ამ მოვლენის შესახებ, გამოდის, რომ უფალი ნაზარეთში თავისი საზ. მსახურების დასაწყისში კი არ მოსულა (როგორც შეიძლებოდა გვეფიქრა), არამედ გაცილებით უფრო გვიან, კაპერნაუმში მის მიერ მოხდენილი მრავალი სასწაულის შემდეგ, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

მეორე მხრივ, წმ. მათე და მარკოზი, ამ მოვლენას გაცილებით გვიანდელ პერიოდს მიაკუთვნებენ, მაგრამ ახალი აღთქმის ისეთი ავტორიტეტული განმმარტებლები, როგორიცაა ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული და სხვები, თვლიან, რომ უფლის ნაზარეთში ჩასვლა (მათე. 13:53-58 და მარკ. 6:1-6) განსხვავდება იმ ჩასვლისგან, რომელზეც წმ. ლუკა მოგვითხრობს და მართლაც, მიუხედავად დიდი მსგესებისა, არსებითი განსხვავებებიც თვალნათლივ ჩანს. საერთოდ უნდა ვიფიქროთ, რომ ახ. აღთქმაში მოცემული

მოვლენების ზუსტი, უდავო ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დადგენა თითქმის შეუძლებელია, რადგან ყოველ მახარებელს, დასმულ მიზანთან შეთანხმებული, გადმოცემის საკუთარი სისტემა აქვს და ზუსტი ქრონოლოგიის დაცვა არ იყო მათი მთავარი მიზანი.

ნახარეთის სინაგოგაში შესული უფალი წინასწარმეტყველ ესაიას წიგნის იმ ადგილს კითხულობს, სადაც ესაია განხორციელებული მესიის პირით ხატოვნად ლაპარაკობს მისი მოვლინების მიზნის შესახებ. წინასწარმეტყველის პირით მესია ამბობს, რომ ის უფალმა წარმოგვიზავნა, რათა გლახაკს, გულშემუსვრილსა და ჩაგრულს ცათა სასუფევლის – სიყვარულისა და გულმოწყალების სასუფევლის შესახებ ამცნობს. ებრაელებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ეს წინასწარმეტყველება მესიის შესახებ იყო, ამიტომაც, როცა უფალმა იესო ქრისტემ თქვა, რომ „დღეს აღესრულა ეს წერილი თქვენ რომ მოისმინეთ“, მათ აღარაფერი დარჩენოდათ გარდა იმისა, რომ მესიად ელიარებინათ იგი.

მრავალი მათგან მართლაც მზად იყო უფლის მესიად მისაღებად, მაგრამ სინაგოგებში მყოფთა შორის უეჭველად იქნებოდნენ მტრულად განწყობილი მწიგნობრები და ფარისეველები, რომლებსაც მომავალ მესიაზე დამახინჯებული წარმოდგენა ჰქონდათ. რადგან ფიქრობდნენ, რომ ის იქნებოდა მიწიერი მეფე, ებრაელთა ეროვნული წინამძღოლი, რომელიც ებრაელთა ძალაუფლებას დაუმორჩილებს დედამიწის ყველა ხალხს, ხოლო მწიგნობრებსა და ფარისეველებს, როგორც მასთან დაახლოვებულებს, მმართველობის სათავეში დააყენებს.

გლახაკთა და სულით გლახაკთა შესახებ სწავლება ფარისეველთა და მწიგნობართათავის სრულიად მიუღებელი იყო. დანარჩენებიც, თუმცა უსმენდნენ და ხარობდნენ მისი სიტყვით, მისი მადლმოსილებით, მესიად მაინც ვერ აღიქვამდნენ მას, რადგან ბავშვობიდანვე დარიბი ხელოსნის შვილად იცნობდნენ. თუმცა მისი სიბრძნე და სასწაულები აკვირვებდა მათ. ისინი, ნაცვლად რწმენისა, მხოლოდ იხიბლებოდნენ მისით. უფალს არ სურდა თავისი ძლევა მოსილების დასამტკიცებლად და საჩვენებლად სასწაულების გაგრძელება, ამიტომ ძვ. აღთქმის ისტორიიდან მან წინასწარმეტყველთა ელიასა და ელისეს შესახებ ორი თვალსაჩინო მაგალითი მოუყვანა მათ და მიახვედრა, რომ ისინი უღირსნი არიან იმ სასწაულებრივი ნიშნებისა, რომელთაც ელიან. გაიგონეს რა ეს მწარე სიმართლე და მიხვდნენ, რომ მათი სიამაყე იბღალებოდა, რადგან უფალი მათ წარმართებზე დაბლა აყენებს, „მძვინვარებით აღივსნენ“, გააძევეს იგი ქალაქიდან და შეეცადნენ მთის ძირიდან გადაგდებით მაშინვე მოეკლათ, მაგრამ ღვთის საიდუმლო ძალამ სასწაულებრივად დააბრკოლა ისინი ამ დანაშაულისაგან, რადგან დრო ჯერ არ დამდგარიყო.

13. კეთროვნის განკურნება (მარკ. 1:40-45; ლუკ. 5:12-16)

კეთროვნის განკურნების შესახებ, სხვა მახარებლებთან ერთად მოგვითხრობს წმ. მათე (8:1-4) მაგრამ ისეთი ავტორიტეტული განმარტებები, როგორიცაა თეოფანე, ფიქრობენ, რომ ეს არის განსაკუთრებული სასწაული, რომელიც უფალმა მთის ქადაგებიდან საკმაოდ გვიან მოახდინა. მითუმეტეს, რომ წმ. მახარებელი ლუკა ამბობს, რომ ეს ქალაქში მოხდა.

აღმოსავლეთში გავრცელებული და ბიბლიაში მოხსენიებული დაავადებათა შორის კეთრი ყველაზე საზიზღარი დაავადებაა. ის სხეულზე სირსველის მსგავსი ლაქებით გამოდის. თავიდან სახეზე, ცხვირსა და

თვალეზე, შემდეგ კი თანდათან მთელს სხეულზე ვრცელდება და ფუფხით იფარება. ამ დროს სახე სივდება, ცხვირი შრება და წვეტიანდება, ყნოსვა იკარგება, თვალეზი იცრემდება და მკრთალებს, ხმა იხრინწება, თმა ცვივა, კანი იხორკლება, სკდება, ჩნდება ავთვისებიანი წყლულები, რომლებიც სიმყრალეს გამოსცემენ. გაუშნოვებული და დასივებული პირიდან ავსუნიანი ნერწყვი მოედინება ხელ-ფეხი ბუჟდება. მთელი სხეული ეშვება; შემდეგ ცვივა ფრჩხილები, თითები, ცალკეული სახსრები, სანამ სიკვდილი არ შეუმსუბუქებთ ხვედრს. კეთროვნები დაბადებიდან 30, 40, ან 50 წელი მიათრევენ თავიანთ ცხოვრებას. მოსემ (ლევ. თ.13) დაწერილებით დაგალებები მისცა კეთროთ დაწყლულებულებს. მღვდელს უნდა გამოეკვლია დაავადებული და თუ კეთროვანი აღმოჩნდება ცალკე აგებულ საცხოვრებლებში უნდა მიეცა მისთვის ბინა, რათა სხვებიც არ დაავადებულიყვნენ.

მოცემულ შემთხვევაში კეთროვანი, როგორც ჩანს, ღრმა რწმენის გამოისობით, არღვევს ადამიანებთან მიახლოების ამკრძალავ წესებს და უახლოვდება იმას, ვინც მისი აზრით უფლებათა უფალია. იგი თავმდაბლობითა და სასწაულმოქმედების რწმენით არის სავსე. მისი თხოვნა შესმენილი იქნა და უფალმა შეხებით განკურნა იგი, რითაც აჩვენა, რომ ის კანონით არ არის შეკრული და შეუძლია შეეხოს კეთროვანს, რომ წმინდასთვის არაფერია უწმინდურება. ამ შესტით ის უდიდეს თანაგრძობას იჩენს უბედურების მიმართ. მისი ნათქვამი „მნებაგს, განიწმინდე“, ღვთაებრივ უფლებაზე მიუთითებს. მან განკურნებულს უბრძანა, მოსეს კანონის შესასრულებლად მღვდელს ჩვენებოდა და არავისთვის ეთქვა მომხდარი სასწაულის შესახებ. მთავარი მიზეზი ამ აკრძალვისა არის უფლის თავმდაბლობა, რომლითაც ძე ღვთისა დამდაბლდა და ჩვენს სახსნელად მონას ემსგავსა, არ ისურვა დედამიწაზე დიდებით სვლა (იოან. 5:41) მითუმეტეს, რომ მისი სასწაულმოქმედებების შესახებ ხმები ხალხში გააძლიერებდა არასწორ, მეოცნებე წარმოდგენებს მესიის შესახებ, რასაც უფალი ებრძოდა.

უფალი განკურნებულს უბრძანებს, წავიდეს და ეჩვენოს მღვდელს „მოწმობად მათთვის“, რადგან მღვდლებს კანონით უნდა დაედასტურებინა კეთროვანის განკურნების ფაქტი, ასევე, ისიც, რომ უფალი არ უზრუნველყოფს კანონს, არამედ ასრულებს მას.

14. დაუძღურებულის განკურნება კაპერნაუმში (მთ. 9:2-8; მარკ. 2:1-12; ლუკ. 5:17-26)

სამი მახარებელი – მათე, მარკოზი და ლუკა შეთანხმებულად მოგვითხრობენ დაუძღურებულის განკურნების სასწაულის შესახებ. წმ. მარკოზი მისი შესრულების ადგილად კაპერნაუმს ასახელებს, ხოლო წმ. მათე ამბობს, რომ უფალმა ეს სასწაული მოიმოქმედა, როცა „მივიდა თავის ქალაქში“, ამგვარი წოდების პატივი კი, როგორც ვხედავთ, კაპერნაუმს ხვდა წილად, რაზედაც წმ. იოანე ოქროპირი მოწმობს: „ის დაიბადა ბეთლემში, აღიზარდა ნაზარეთში, ხოლო ცხოვრობდა კაპერნაუმში“.

დაუძღურებული ადამიანი უფალთან სარეცელით მოიყვანეს, ე.ი. მას თავისით გადაადგილება არ შეეძლო. თუ ამ ავადმყოფობის აღწერილობით ვიმსჯელებთ, ჩვენს დროში მას „დამბლას“ ეძახიან. წმ. მარკოზი და ლუკა დასძენენ, რომ ხალხის სიმრავლის გამო იგი სახლში კარიდან ვერ შეიყვანეს, არამედ სახურავიდან ჩაუშვეს. საფიქრებელია, რომ ეს იყო დროებითი

სახურავი, რომელიც ფიცრების, ტყავის ან ტილოსგან კეთდებოდა წლის ცხელ პერიოდში. სახლის შიდა ეზოზე შესაძლებელი იყო კიბით ასვლა, რადგან იგი გარშემორტყმული იყო დამრეცი სახურავიანი შენობებით. მხოლოდ დიდ რწმენას შეეძლო იმ ავადმყოფისა და მისი მომყვანის ამგვარი საქმის შთაგონება. ამ რწმენის მხილველმა უფალმა დაუძღურებულს უთხრა: „გამაგრდი შვილო, მოგეტყვა შენი ცოდვები“ – რითაც მიუთითა ცოდვასა და ავადმყოფობას შორის არსებით კავშირზე. ღვთის სიტყვის სწავლებით, ავადმყოფობები ცოდვის შედეგია (იოან. 9:2; ლუკ. 5:14-15) და ხანდახან უფალი აზიანების მათ ცოდვების გამო დასასჯელად (1კორ. 5:3-5; 11:30) ხშირად ავადმყოფობასა და ცოდვას შორის თვალსაჩინო კავშირი არსებობს; ასეთია მაგალითად, სიმთვრალითა და უწესო ცხოვრებით გამოწვეული ავადმყოფობები. ამიტომ ავადმყოფობის განსაკუთრებლად, თავიდან ცოდვა უნდა მიეტევოს ადამიანს.

როგორც ჩანს, დაუძღურებული თვითონვე სცნობდა თავის თავს დიდ ცოდვილად იმდენად, რომ ძლივსდა ჰქონდა პატიების იმედი, რის გამოც მაცხოვარმა გაამხნევა იგი: „გამაგრდი, შვილო“. იქ მყოფი ფარისევლები და მწიგნობრები გულში განიკითხავდნენ უფალს, რადგან მის სიტყვებში ღმერთის უფლებათა მითვისებას ხედავდნენ. უფალი უწყოდა მათ აზრებს და გააგებინა კიდევ ამის შესახებ, როცა უთხრა: „რა უფრო ადვილია თქვა: შენი ცოდვები მოგეტყვა: თუ თქმა: „ადექი და გაიარე?“ ერთისა და მეორისთვისაც ღვთაებრივი უფლებაა საჭირო, „ხოლო რათა იცოდეთ, რომ კაცის ძეს დედამიწაზე აქვს ცოდვების მიტევების ხელმწიფება, - ასე უთხრა დავრდომილს, ადექი, აიღე შენი საწოლი და წადი შენს სახლში“.

წმ. იოანე ოქროპირი მშვენივრად განმარტავს საუბრის ამ გადაბმას: „რადგან სულის განკურნების დანახვა არ შეიძლება, ხოლო სხეულის განკურნება ხილულია, მაშინ პირველს მეორეს შევუერთებ, რომელიც თუმცა უფრო მდაბალია, მაგრამ თვალსაჩინოა, რათა მის მიერ დავიჯერო უფრო ამაღლებული და უხილავი“.

განკურნების სასწაულმა, რომელიც უფლის სიტყვებს მოჰყვა, დაამტკიცა, რომ ღვთიური ძალით მოსილმა ქრისტემ ტყუილად არ უთხრა დაუძღურებულს: „მოგეტყვა შენი ცოდვები“. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სასწაული ფარისევლებისთვის ღვთაებრივი სიძლიერის დასამტკიცებლად მოხდა. ყოველი სასწაული, პირველ რიგში, მისი ღვთაებრივი სიკეთისა და გულმოდგინების გამო ხდებოდა. დაუძღურებულმა თავისი სხეულის გამოჯანსაღება იმით დაადასტურა, რომ მხარზე შემოიდო საწოლი, რომელზედაც იწვა და ისე წავიდა. შედეგად მოხდა ის, რომ ხალხს უკვირდა და აღიძვებდა ღმერთს, რომელმაც ადამიანებს ასეთი უფლება მიანიჭა. როგორც ჩანს, ფარისევლებსაც და იქ მყოფებსაც იესო მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი ეგონათ.

15. მათეს მოწოდება (მთ.9:9-17; მარკ. 2:13-22; ლუკ. 5:27-29)

ამ მოვლენის შესახებ გარდა მარკოზისა და ლუკასი, მოგვითხრობს თვითონ წმ. მათეც. ამასთან მხოლოდ მარკოზი უწოდებს მას „მათეს“, დანარჩენები მას „ლევედ“ მოიხსენიებენ.

როცა უფალმა დაუძღურებული განკურნა და სახლიდან გამოვიდა, დაინახა კაცი, რომელიც საბაჟოსთან იჯდა, ანუ იყო მებაჟე, გადასახადების

ამკრები და სახელი მისი იყო მათე. უფალმა უთხრა მას: „გამომყევი!“ და ისიც იმავე წუთს გაჰყვა მას.

უნდა ვიცოდეთ, რომ მეზვერეები, ანუ გადასახადების ამკრები ებრაელთა შეხედულებით, ყველაზე ცოდვილ და საძულველ ხალხად ითვლებოდნენ, რადგან ხალხს ფულს რომის იმპერიისთვის ართმევდნენ და ხალხისგან ზედმეტს იღებდნენ, ვიდრე ეკუთვნოდათ, რის გამოც საყოველთაო სიძულვილი დაიშასხურეს.

უფლის სიტყვის ძალა ისეთია, რომ ცოდვილები, რომლებიც აცნობიერებენ და მზად არიან ცოდვათა მისატყვებლად მონანიების გზით უფრო ახლოს არიან ცათა სასუფეველთან, ვიდრე ცრუ სიწმიდით განდიდებული ფარისევლები. უფლის მოწოდებით გახარებულმა მათემ იესო და მისი მოწაფეები სახლში მიიპატიჟა და გაუმასპინძლა მათ. აღმოსავლური ჩვეულების თანახმად, მიწვეულები სუფრას კი არ უსხდნენ, არამედ „მიწოლილი იყვნენ“ დაბალი მაგიდის ირგვლივ სპეციალურ სკამებსა და დივნებზე, რომელსაც მარცხენა ხელით (ბალიშს) ეყრდნობოდნენ. იქვე თავი მოიყარეს მათეს მეგობრებმა, ანუ ფარისეველთა გაგებით სხვა მებაჟე-ცოდვილებმა და მაგიდის ირგვლივ განლაგდნენ. ფარისევლებმა გააკიცხეს უფალი იმის გამო, რომ იგი ცოდვილებთან ერთად მიირთმევდა სადილს, ანუ ძალიან დაუახლოვდა მათ. „რატომ ჭამს და სვამს თქვენი მოძღვარი მებაჟეებთან და ცოდვილებთან ერთად?“ – უთხრეს მათ მის მოწაფეებს. იოანე ოქროპირი განმარტავს: „ცილს სწამებენ მასწავლებელს მოსწავლეების წინაშე იმ მიზნით, რომ მასწავლებელს მოსწავლეები ჩამოაცილონ. ამ გზით ისინი უფალზე ეჭვს განაბნევენ, თითქოს უფალი ცუდი საზოგადოების მაძიებელია“.

„მკურნალი ჯანმრთელებს კი არა ავადმყოფებს სჭირდებათ“ – პასუხობს მათ თვითონ ქრისტე. ამ სიტყვების აზრი შემდეგია: მაცხოვრის საჭიროებას ვითომდა მორწმუნე ფარისევლები ვერ გრძნობენ, ხოლო ცოდვილებს სჭირდებათ იგი. „ექიმის ადგილი ავადმყოფის საწოლთანაა“ – თითქოს ამას ამბობს უფალი – „ჩემი ადგილი კი იმათთანაა ახლოს, ვისაც თავისი სულიერი უძლურება სტკივა; და მეც მათთან, ცოდვილებთან და მეზვერეებთან ერთად ვარ, როგორც ექიმი ავადმყოფებთან“. წადით და ისწავლეთ, რას ნიშნავს: „წყალობა მსურს და არა მსხვერპლი“.

ფარისევლები თვლიან, რომ სიწმინდე, კანონით აღსრულებულ მსხვერპლშეწირვაში გამოიხატება, ამასთან მათ ავიწყდებათ წინასწარმეტყველი ოსიას მიერ ნათქვამი სიტყვები უფლისა: „წყალობა მსურს და არა მსხვერპლი“ (ოს. 6:6).

ქრისტე თითქოს ამბობს: გაიგეთ, რომ თქვენი მსხვერპლშეწირვები და მთელი გარეგნული მორწმუნეობა არაფერია უფლის თვალში, თუკი არ გექნებათ სიყვარული მოყვასისა, არ გექნებათ მოწყალების საქმეები. „მე მოვედი ცოდვილთათვის და არა მართალთა მოსანანიებლად სახმობად“, ანუ „მე იმიტომ მოვედი, რომ ცოდვილებმა შეინანონ და გამოსწორდნენ. მე მოვედი, რათა მოსანანიებლად მოგუხმო არა მათ, ვინც ფიქრობს რომ წმინდაა და არც არაფერი აქვს სასინანულო, არამედ მათ, ვინც თავდაბლად აღიარებს თავის ცოდვილობას და უფალს შეწყალებას სთხოვს“.

სინამდვილეში უფალი მოვიდა ყოველი ადამიანის სახსნელად, მაგრამ ამპარტავანნი არ განიძარცვნენ ცრუ წარმოდგენებისგან და თავს უცოდველად თვლიდნენ. მათი მოწოდება უნაყოფოა, გადარჩენა – შეუძლებელი!”

ამ საკითხში დამარცხებულ ფარისევლებს იერიში უფლის მოწაფეებზე გადააქვთ და ამაში მათ იოანე ნათლისმცემლის მოწაფეებიც უერთდებიან. ისინი, იოანეს იესოზე მაღლა აყენებდნენ და ა. გ. უფლის სულ უფრო მზარდ დიდებას შურით უცქეროდნენ. წმ. იოანე ნათლისმცემელი მკაცრი მომარხულე

იყო და რა თქმა უნდა, მოსწავლეებიც მკაცრ მარხვას მიაჩვია. ამ პერიოდისათვის, როგორც ჩანს, იოანე უკვე დაპატიმრებული იყო და ამიტომ მისმა მოწაფეებმა უფრო გააძლიერეს მარხვა. ფარისევლებმა მათ მიუთითეს იმაზე, რომ იესოს მოწაფეები არ იცავდნენ დადგენილ მარხვებს და აი, ისინი ეკითხებიან უფალს: „რატომ არის, რომ ჩვენ და ფარისევლები ვმარხულობთ, შენი მოწაფეები კი არ მარხულობენ?” ამაზე უფალი მათ მათივე მასწავლებლის სიტყვებით პასუხობს: „განა შეუძლია იგლოვონ მექორწილებმა, ვიდრე ნეფე მათთან არის? მაგრამ დადგება დღე, როცა ნეფე წაერთმევათ და მაშინ იმარხულებენ”. სხვაგვარად ეს ნიშნავს: თქვენმა მასწავლებელმა ხომ „ნეფე” მიწოდა, თავის თავს კი „ნეფის მეგობარი”, რომელსაც მხიარულება მართებს, ამიტომ სანამ მათთან ვარ და გადამეტებულად მკაცრი მარხვა შეუთავსებელია ამ სიხარულთან, რადგან მარხვა დარდის, ტანჯვის გამოხატულებაა. როცა დადგება დრო და ისინი დედამიწაზე მარტონი დარჩებიან, მაშინ იმარხულებენ.

უფლის ამ სიტყვების სახსოვრად, ჩვენმა ეკლესიამ ვნების კვირის მარხვა დაადგინა, რომელიც წმ. ოთხთეულის მარხვასა და ოთხშაბათის და პარასკევის მარხვასთან ერთად აღნიშნავს იმ დღეებს, როცა უფალი წაგვეერთვა, ანუ ეს არის ნეფის გაცემის, ვნებისა და ჯვარცმის დღეები.

იმ სიტყვების შემდეგ, რომ მისი მოწაფეებისთვის ჯერ მარხვის დრო არ მოსულა, უფალი ავითარებს აზრს შემდეგი სიტყვებით: „ძველ ტანისამოსს არავინ დაადებს ახალი ქსოვილის საკერებელს, ვინაიდან ახლადდაკერებული მოიხევა სამოსელისაგან და ნახვრეტი უარესი გახდება. არც ახალ ღვინოს ჩაასხამენ ძველ ტიკებში, რადგან ტიკები სკდება და ღვინოც იღვრება და ტიკებიც იღუპება. არამედ ახალ ღვინოს ასხამენ ახალ ტიკებში და ორივე ინახება”.

წმ. ოქროპირის განმარტებით, „ახალი ქსოვილის საკერებელი და ახალი ღვინო არის მკაცრი მარხვა და საერთოდაც მკაცრი მოთხოვნები, ხოლო „ძველი სამოსი” და „ძველი ტიკები” – მოსწავლეთა სისუსტე, უძლურება, რადგან ჯერ არ იყვნენ მზად დიდი ღვაწლისთვის. ამით უფალი თითქოს პასუხობს: „მე ჯერ მიზანშეწონილად არ მივიჩნევ ჩემს მოწაფეებს მკაცრი ცხოვრებისა და მძიმე მცნებების ტვირთი აკვილო მანამ, სანამ სულიწმინდის მადლით არ განახლდებიან, არ აღივსებიან და აღორძინდებიან”.

უფალი საყვედურებისგან იცავს თავის მოწაფეებს, რაც ჭკმმარიტი მამობრივი სიყვარულით და შემწყნარებლობით არის განხორციელებული.